ი. კაჭარავა

პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი—1975

ნაშრომში მოკლედ განხილულია საქართველოში პირველი სახალხო რევოლუციის ძირითადი საკითხები, გაშუქებულია საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი, მათი განმსაზღვრელი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ დაწყებული რევოლუციური მოძრაობის ერთ ნაკადად გაერთიანების პროცესი, ნაჩვენებია საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩამოყალიბება და ამ კავშირში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი.

ნაშრომი ეძღვნება 1905 — 1907 წლების რევოლუციის 70-ე წლისთავს.

К $\frac{10164-266}{М\ 601(08).75}$ 63—75

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1975

ავტორისაგან

ქართული ისტორიული და ისტორიულ-პარტიული ლიტერატურა საკმაოდ მდიდარია სპეციალური გამოკვლევებით 1905—1907 წლების რევოლუციის შესახებ. მათ უკვე მიიღეს მაღალი შეფასება. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათში ცხადად და გარკვეულად არ არის ნაჩვენები ყველა მიზეზი იმისა, თუ რატომ მიიღო კლასობრივმა ბრძოლამ მწვავე ხასიათი, და ამის შესაბამისად, დიდი გაქანება და ფართო მასშტაბი რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში.

გლეხობის პოლიტიკური უუფლებობის საკითხი თითქმის სრულიად შეუსწავლელია საქართველოში, რის გამოც დაუსაბუთებელი ჩანს გლეხობის მოთხოვნა სხვა წოდებებთან გათანასწორების შესახებ. ნაკლებადაა შესწავლილი გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ფორმები და მეთოდები, რის გამოც თითქმის უყურადღებოდაა დარჩენილი საქართველოში რევოლუციური მოძრაობის გაშლისა და განვითარების კანონზომიერების საკითხი.

1905—1907 წლების რევოლუციის დროს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩამოყალიბების ფაქტს საქართველოში, მრავალი ავტორი აღნიშნავს, მაგრამ სრულად და ამომწურავად არავინ აშუქებს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა ეს კავშირი, რაში გამოიხატა იგი და რა როლი შეასრულა რევოლუციის განვითარებაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საფუძვლიანად შესწავლილი არ არის პოლიტიკური პარტიების ბრძოლა გლეხობისათვის რევოლუციის პერიოდში.

ამრიგად, თითქმის სრულიად შეუსწავლელია საქართველოს გლეხობის რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი, ნაკ-

ლებადაა შესწავლილი ამ თავისებურებათა განმსაზღვრელი „სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების“ ის „განსაკუთრებული პირობები“, რომელზედაც ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითებდა ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკური პარტიის მესამე ყრილობა.

წინამდებარე ნარკვევი მიზნად ისახავს ნაწილობრივ მაინც შეავსოს აღნიშნული ხარვეზები.

თ ა ვ ი I

იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია რუსეთში

ჩვენი ქვეყნის ხალხები წელს აღნიშნავენ რუსეთის პირველი რევოლუციის სამოცდაათი წლისთავს.

რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუცია ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპია არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში, არამედ საერთაშორისო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაშიც.

რუსეთის პირველი რევოლუცია მასების პოლიტიკური აღზრდის დიდი და სერიოზული სკოლა იყო. მან აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისა და რევოლუციური ბრძოლისათვის გამოაღვიძა მილიონობით ჩაგრული ადამიანი არა მარტო ჩვენში, არამედ ევროპასა და აზიაშიც.

1905—1907 წლების რევოლუციის ხელმძღვანელი და მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო პროლეტარიატი, რომელმაც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შემოიკრიბა მრავალმილიონიანი მშრომელი გლეხობა, საფუძვლიანად შეარყია თვითმპყრობელობა და სერიოზული დარტყმა მიაყენა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას რუსეთში როგორც ცენტრში, ისე ცარიზმის მიერ ჩაგრულ განაპირა მხარეებში.

1905—1907 წლების რევოლუციური ბრძოლების მდიდარი გამოცდილებით შეიარაღებულმა რუსეთის მუშათა კლასმა შედარებით ადვილად დაამხო თვითმპყრობელობა 1917 წლის თებერვალში და დაიპყრო ძალაუფლება 1917 წლის ოქტომბერში. ჩვენი ქვეყანა გახდა მსოფლიო რევოლუციური და მუ-

შათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა“. ესოდენ დიდი გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა 1905—1907 წლების „გენერალური რეპეტიციის“ გარეშე[1].

რუსი ხალხის შემოქმედებით-რევოლუციური ენერგია ასეული წლების მანძილზე შებოჭილი იყო თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის არტახებით. გაბატონებული კლასები ამ ხალხის შემოქმედებითი ენერგიისა და დევგმირული ძალის ყოველგვარ გამოვლინებას ძირშივე სპობდნენ ბარბაროსული მეთოდებით, მაგრამ მათ საბოლოოდ მაინც ვერ გატეხეს მისი ურყევი ნება და ვერ ჩაახშეს როგორც რუსი, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის დაუცხრომელი ლტოლვა თავისუფლებისაკენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ხალხის შემოქმედებით-რევოლუციური ენერგია თანდათანობით ამსხვრევს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის სალტეებს და გამოდის ფართო ისტორიულ არენაზე. ბატონყმობის გაუქმება, კაპიტალიზმის განვითარება, სამრეწველო პროლეტარიატის წარმოქმნა, მუშათა კლასის რევოლუციური გამოსვლები, მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა და მარქსიზმის გავრცელება რუსეთში — ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპებია რუსი ხალხის შემოქმედებით-რევოლუციური ენერგიის განვითარების ისტორიულ გზაზე. ყოველივე ეს ქმნიდა პირობებს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრის დასავლეთიდან აღმოსავლეთში, დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმონაცვლებისათვის.

XIX საუკუნის პირველი, ნამდვილად მასობრივი და პოლიტიკურად გაფორმებული პროლეტარული რევოლუციური მოძრაობა იყო ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში. მაგრამ რიგმა ისტორიულმა პირობებმა თანდათანობით მოადუნეს ინგლისის მუშათა მოძრაობის რევოლუციური ბუნება და იგი ტრედუნიონისტული გზით წარმართეს.

1848 წელს საფრანგეთის პროლეტარიატი გამოვიდა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა და მტკიცედ იდგა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 13.

საერთაშ.რისო მუშათა რევოლუციური ბრძოლის ავანგარდში პარიზის კომუნის დამარცხებამდე.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გადავიდა გერმანიაში. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ნახევარში, თუ გერმანიაში გაიმარჯვებდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იგი გახდებოდა პროლეტარული რევოლუციის უშუალო პროლოგი. ეს ისტორიული გარემოება ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო იმისა, რომ გერმანია გახდა მეცნიერული სოციალიზმის სამშობლო, ხოლო გერმანიის პროლეტარიატის ბელადები — კ. მარქსი და ფ. ენგელსი — მისი შემოქმედნი.

რუსეთის სამრეწველო პროლეტარიატის წარმოქმნა და ფართო მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაწყება ხელსაყრელ ისტორიულ პირობებს ქმნიდა მარქსიზმის გავრცელებისათვის რუსეთში, მისთვის იდეური პირობებიც იყო შეშზადებული რუს რევოლუციურ-დემოკრატთა ძრავალმხრივი პრაქტიკული მოღვაწეობით და პროგრესულ-რევოლუციური თეორიული მემკვიდრეობით. მარქსიზმის გავრცელებას 1883 წლიდან ხელს ჰკიდებს გ. პლეხანოვის მიერ დაარსებული „შრომის განთავისუფლების ჯგუფი". ფ. ენგელსი აღფრთოვანებული იყო „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" მოღვაწეობით, მარქსიზმის გავრცელებით რუსეთში.

მუშათა რევოლუციური მოძრაობა XIX საუკუნის დასასრულისათვის გახდა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ამის გამო ჯერ კიდევ 1894 წელს „რუსი მუშის ისტორიული როლის" შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „როდესაც ამ კლასის მოწინავე წარმომადგენლები შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეას, როდესაც ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშებს შორის შეიქმნება მტკიცე ორგანიზაციები, რომლებიც მუშების დღევანდელ დაქსაქსულ ეკონომიურ ომს გარდაქმნიან შეგნებულ კლასობრივ ბრძოლად, — მაშინ რუსი მუშა აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს **რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის** პროლეტარიატთან ერთად) **აშკარა პოლიტიკური ბრძო-**

ლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ"[1].

მუშათა რევოლუციური მოძრაობა კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი გახდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს, როდესაც კაპიტალიზმი გადაიზარდა მის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიად—იმპერიალიზმად. იმპერიალიზმმა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი უკიდურესობამდე გაამწვავა; მან რევოლუცია პრაქტიკულ აუცილებლობად აქცია და შექმნა პირობები კაპიტალიზმის ციხესიმაგრეზე პირდაპირი იერიშის მისატანად, ასეთმა საერთაშორისო ვითარებამ წარმოშვა ლენინიზმი ისეთ ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენდა იმპერიალიზმის კლასიკურ ქვეყანას, მაგრამ იყო იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი.

„მეფის რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი, ქვეყანა, რომელშიც ყველაზე მეტად მომწიფდა წანამძღვრები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, სახალხო რევოლუციისა, რომელიც შემდეგში უნდა გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციად. ეს განპირობებული იყო რუსეთის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მთელი მსვლელობით"[2].

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთი წარმოადგენდა კაპიტალისტური, კოლონიური, სამხედრო და ფეოდალური ჩაგვრის კერას. ვ. ი. ლენინმა სრულიად სამართლიანად დაახასიათა ცარიზმი როგორც „სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი". რუსეთის ცარიზმი თავისუფლად უშვებდა ქვეყანაში უცხოეთის კაპიტალს, რომელმაც ხელში ჩაიგდო რუსეთის მთელი მეურნეობის მბრძანებელი სიმაღლეები. ცარიზმს აგრეთვე შეეძლო გამოეყვანა მრავალმილიონიანი არმია დასავლეთის იმპერიალისტთა ინტერესების დასაცავად. ერთი სიტყვით, რუსეთი იყო დასავლე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 355—356.

[2] „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები)".

თის იმპერიალიზმის უდიდესი რეზერვი. ცარიზმი აგრეთვე იყო დასავლეთის იმპერიალიზმის მოდარაჯე ქოფაკი და აგენტურა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, მისი მოკავშირე აზიის ხალხთა ჩაგვრასა და დამონებაში.

ამიტომ გადაეხლართა ერთმანეთს ცარიზმისა და დასავლეთის იმპერიალიზმის ინტერესები. აქედან გამომდინარეობდა, რომ ვინც ცარიზმის წინააღმდეგ ხელის აღმართვას მოინდომებდა, მას აუცილებლად იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა აღემართა ხელი, ვინც „უჯანყდებოდა ცარიზმს, ის იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა აჯანყებულიყო, ვინაიდან ვინც ცარიზმს ამხობდა, მას იმპერიალიზმიც უნდა დაემხო, თუ კი მართლა სურდა ცარიზმის არა მარტო დამარცხება, არამედ საბოლოოდ მოსპობაც. ამრიგად, რევოლუცია ცარიზმის წინააღმდეგ უახლოვდებოდა და უნდა გადაზრდილიყო რევოლუციად იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პროლეტარულ რევოლუციად“[1].

პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების ეპოქაში, როდესაც რევოლუციის საკითხი ისტორიულმა განვითარებამ პრაქტიკის საკითხად აქცია, გამოუსადეგარი აღმოჩნდნენ მეორე ინტერნაციონალის პარტიები, ოპორტუნიზმით გულგამოხრული პარტიები. ისინი წარმოადგენდნენ მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო აპარატს, რომელსაც მოითხოვდა პარლამენტური ბრძოლა და პარლამენტური დიპლომატია. პარლამენტური ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს ისინი ვერ სცილდებოდნენ.

მუშათა კლასის აშკარა შეტაკებათა პერიოდში, იმპერიალიზმის საყრდენებზე პირდაპირი იერიშის ეპოქაში მეორე ინტერნაციონალის პარტიები უძლურნი აღმოჩნდნენ ახალი ვითარების შესაბამისად გარდაექმნათ მთელი პარტიული მუშაობა, აღეზარდათ მუშათა კლასი პოლიტიკური ძალაუფლების რევოლუციურად დაპყრობის სულისკვეთებით. ამიტომ ახალი ამოცანების — იმპერიალიზმის დამხობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ამოცანების — შესრულება შეუძ-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 6. გვ. 89.

ლებელი იყო ძველი ტიპის პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობით.

რუსი მარქსისტების წინაშე წამოიჭრა გადაუდებელი ამოცანები: ულმობელი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, ბრძოლა მარქსიზმის რევიზიის წინააღმდეგ, მარქსიზმის დაცვა და განვითარება ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად, ბრძოლა მუშათა კლასის ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის.

ამ დროს აუცილებლობასა და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახალი ტიპის მებრძოლი პოლიტიკური პარტიის შექმნა, რომელიც რუსეთის მუშათა კლასს წაიყვანდა „აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ“.

დაყოვნება შეუძლებელი იყო. XX საუკუნის დასაწყისს რუსეთში სწრაფად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. მის მომწიფებას ხელს უწყობდა:

პირველი, მუშათა კლასის მძიმე მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა;

მეორე, მრავალმილიონიანი უმიწაწყლო გლეხობის ტანჯვა მემამულისა და კულაკის მიერ;

მესამე, რუსეთის იმპერიაში, ამ „ხალხთა საპყრობილეში“ მოქცეულ არარუს ხალხთა (ზუსტად — მთელი მოსახლეობის 57 პროცენტი) ეროვნული ჩაგვრა ცარიზმისა და რუსეთის გაბატონებული კლასების მიერ;

მეოთხე, 1900—1903 წლების ეკონომიური კრიზისი, რომელმაც ჩვეულებრივზე მეტად გააძლიერა ხალხის საერთო უბედურება;

მეხუთე, რუსეთ-იაპონიის ფრონტზე მეფის ჯარების დამარცხება, რომელიც კიდევ უფრო ზრდიდა საყოველთაოსახალხო აღშფოთებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

მეექვსე, ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებამდე მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის შექმნა და გაფორმება, რამაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის პოლიტიკური კავშირის შექმნასა და ჩამოყალიბებაში და სხვ.

ქვეყნად შექმნილი პოლიტიკური კრიზისი მუშათა კლასსა და გლეხობას უბიძგებდა კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმებისაკენ. პროლეტარიატი ეკონომიური გაფიცვებიდან გადადის პოლიტიკურ გაფიცვებზე. იწყება გლეხობის მასობრივი გამოსვლები ჯერ კიდევ 1902 წლიდან. აი, ასეთ ვითარებაში საჭირო იყო საყოველთაო-სახალხო მოძრაობის წარმართვა ორგანიზებულად, „კომუნისტური რევოლუციისაკენ", რაც შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასის ახალი ტიპის პოლიტიკურ პარტიას. ასეთი პარტიის შექმნას ხელი მოჰკიდა ვ. ი. ლენინმა. მან შექმნა კიდეც მუშათა კლასის შეუპოვარ მებრძოლთა პარტია — კომუნისტური პარტია.

რევოლუციისა და პარტიის ბელადი — ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პოლიტიკურ პარტიას საფუძველს უყრიდა და ქმნიდა მაშინ, როდესაც რუსი მარქსისტების წინაშე იდგა, როგორც ვნახეთ, უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე რევოლუციური იყო სხვა ქვეყნების პროლეტართა ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, ე. ი. რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად. და მართლაც, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის გმირული ბრძოლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახდა მარქსისტულ-ლენინური პარტია, კომუნისტური პარტია.

საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოვიდა. რუსეთი გახდა ლენინიზმის სამშობლო, ხოლო რუსეთის კომუნისტების ბელადი — ვ. ი. ლენინი მისი შემოქმედი.

მეფის რუსეთის გაბატონებული კლასები კარგად გრძნობდნენ საყოველთაო-სახალხო რევოლუციის მოახლოებას, ამიტომ ყველა საშუალებით ცდილობდნენ მის თავიდან აცილებას. იაპონიასთან ომი უმთავრესად ასეთ მიზანს ისახავდა, მაგრამ მას სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მოჰყვა. ამჯერად მეფის ხელისუფლება შეეცადა პროლეტარიატის დაშინებას და მზარდი სახალხო რევოლუციის ძირითადი ძალების განადგურებას. მას ამ საქმეში დიდი სამსახური გაუწია გაპონმა 1905

წლის 9 იანვრის დემონსტრაციის მოწყობით. მეფის ხელისუფ-
ლებამ საბაბი იშოვა მუშათა კლასის დასაშინებლად — მეფის
სასახლისაკენ პეტიციით მიმავალ მუშათა მშვიდობიან დემონ-
სტრაციას ტყვია დაუშინა. მეფის ხელისუფლებამ მიზანს ვერ
მიაღწია, მან საწინააღმდეგო შედეგი მიიღო. აი, რას წერდა
ამის შესახებ რევოლუციის ბელადი — ვ. ი. ლენინი: „პროლე-
ტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთ დღეს ისეთი ნაბიჯი
გადადგა, როგორსაც იგი უფერული, ყოველდღიური დაბეჩა-
ვებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა"[1].

დაიწყო რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული
რევოლუცია. იგი პროლეტარული პარტიისაგან მოითხოვდა
მასებისადმი სწორსა და ენერგიულ ხელმძღვანელობას, მაგ-
რამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია გათიშული
აღმოჩნდა ორ ფრაქციად. არ არსებობდა ერთიანობა რევოლუ-
ციის ხასიათის, მისი მამოძრავებელი ძალებისა და რევოლუ-
ციაში პროლეტარიატის ინტერესების გაგებისა და შეფასების
საკითხში.

რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავე-
ბისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის ხელ-
მძღვანელობითა და ინიციატივით მოწვეულ რსდმპ III ყრი-
ლობას. ყრილობამ განსაზღვრა პროლეტარიატის ამოცანები
მიმდინარე რევოლუციაში, პროლეტარიატის მხრივ მთავარი
დარტყმის მიმართულება, გამოიმუშავა რევოლუციის ძალე-
ბის მთავარი და მეორეხარისხოვანი რეზერვების განლაგების
შესაფერი გეგმა.

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის მსვლელობამ
მთლიანად და სავსებით დაადასტურა ლენინური სტრატეგიუ-
ლი და ტაქტიკური ხაზის სისწორე.

მოკლედ რევოლუციის მსვლელობაზე რუსეთში.

1905 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ფართოდ გაიშალა
მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლა. ლო-
ძის ფეიქართა საყოველთაო გაფიცვამ საბარიკადო ბრძოლის
ხასიათი მიიღო. ივანოვო-ვოზნესენსკში გაფიცულმა მუშებმა
შექმნეს მუშათა რწმუნებულების საბჭო, რომელიც ფაქტიუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 101.

რად მუშათა დეპუტატების ერთ-ერთი პირველი საბჭო იყო რუსეთში. პოლიციასა და ჯარის ნაწილებთან შეიარაღებულ შეტაკებას ადგილი ჰქონდა ვარშავაში, ოდესაში, რიგაში და სხვა ქალაქებში. შემოდგომისათვის რევოლუციური მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო. ოქტომბერში დაიწყო სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. მუშათა დეპუტატების საბჭოები შეიქმნა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ტვერში, კოსტრომაში, ბაქოსა და სხვაგან. მეფის ხელისუფლება დაფრთხა და 17 ოქტომბერს კონსტიტუციური მანიფესტი გამოსცა.

მუშათა მოძრაობის გავლენით რევოლუციური ხანძარი მოედო სოფელსაც. გლეხობა მედგრად გამოვიდა მემამულური მიწათმფლობელობისა და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ. 1905 წლის შემოდგომაზე გლეხთა აჯანყებების ხანძარში გახვეული იყო ცენტრალური შავნიადაგიანი რაიონი, ვოლგისპირეთი, უკრაინა, საქართველო, ბალტიისპირეთი და სხვა მხარეები.

ბოლშევიკური აგრარული პროგრამა პროლეტარიატის გარშემო რაზმავდა და რევოლუციური ბრძოლისათვის აღაფრთოვანებდა რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობას, ისე როგორც ბოლშევიკური ეროვნული პროგრამა რაზმავდა პროლეტარიატის გარშემო რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხებსა და ერებს განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

რუსეთის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ყველა ჩაგრული ხალხის რევოლუციური ბრძოლა, მეფის რუსეთის დამარცხება იაპონიასთან ომში გარდუვალად იწვევდა რევოლუციურ გამოსვლებს არმიასა და ფლოტში. რევოლუციის გაღრმავებაზე მიუთითებდნენ: აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე", ჯარისკაცთა გამოსვლები ხარკოვში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ვორონეჟში და სხვაგან; ჯარისკაცთა აჯანყება კრონშტადტში, სევასტოპოლში, ვლადივოსტოკში.

მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლა უშუალოდ მიადგა შეიარაღებულ აჯანყებას. ბოლშევიკები, ასრულებდნენ რა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს, გულმოდგინედ ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

რევოლუციის განვითარებამ კულმინაციურ წერტილს მი-

აღწია დეკემბერში. 9 დეკემბერს აჯანყდა მოსკოვის პროლეტარიატი. ქალაქის ქუჩებში გაიმართა ცხარე საბარიკადო ბრძოლები. მეფის ხელისუფლებამ მოსკოვში დიდძალ ჯარებს ჩოუყარა თავი და აჯანყება სისხლის მორევში ჩაახრჩო.

მეფის ხელისუფლების მიერ მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხება, როგორც ცნობილია, შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ჯ ე რ ე რ თ ი, აჯანყებისადმი ხელმძღვანელობა ჩამორჩა მზარდ რევოლუციურ მოძრაობას; ბ ე ო რ ე, მოსკოვის კომიტეტის დაპატიმრების შემდეგ აჯანყებამ დაკარგა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა; ს ე ს ა მ ე, საკმარისი არ აღმოჩნდა მუშათა გაწვრთნილი შეიარაღებული რაზმები; მ ე ო თ ხ ე, მოსკოვის აჯანყებას ხურგი ვერ გაუმაგრა რუსეთის სამრეწველო ცენტრების მუშათა და სოფლად გლეხობის იმავდროულმა აჯანყებამ; მ ე ხ უ თ ე, მოსკოვის აჯანყებულებმა ხელიდან გაუშვეს შეტევის ინიციატივა. ისინი თავდაცვით დაკმაყოფილდნენ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგაც მთელ წელიწადნახევარს არყევდა რევოლუციური ბრძოლები მეფის თვითმპყრობელობას. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის ტალღები თანდათანობით ცხრება და რეაქცია ძლიერდება. ცარიზმმა ძალების დიდი დაძაბვით შეძლო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის ჩახშობა.

1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების ძირითადი მიზეზები ის იყო, რომ ვერ მოხერხდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ერთდროული გამოსვლა ცარიზმის წინააღმდეგ; მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი რევოლუციაში ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ მტკიცე; გლეხობა, მართალია, გამოდიოდა მემამულეთა წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ბედავდა მეფის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევას. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა არმიაზე, რომლის დიდი უმრავლესობა გადამწყვეტ მომენტში მეფის მხარეზე აღმოჩნდა; სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ერთიანობის უქონლობა, მენშევიკების ოპორტუნისტული პოლიტიკის შედეგად, თიშავდა მუშათა კლასის რიგებს, ასუსტებდა რევოლუციის ხელმძღვანელ ძალას; ყოველივე ამის გამო, მაშინ პროლეტარიატმა ვერ შეძლო მთლიანად და ბოლომდე შეესრულებინა რევოლუციის

ნამდვილი ბელადის როლი; ამავე დროს მეფის თვითმპყრობელობის რევოლუციის ჩახშობაში დაეხმარნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. „1906 წელს, როდესაც რევოლუციონ რუსეთში ჯერ კიდევ ვითარდებოდა, დასავლეთი დაეხმარა მეფის რეაქციას გამოესწორებინა თავისი მდგომარეობა. იმით, რომ მისცა მას 2 მილიარდი სესხი. და ცარიზმი მართლაც განმტკიცდა მაშინ დასავლეთისადმი რუსეთის ახალი ფინანსური დამონების ფასად"[1].

* * *

რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუცია იყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია, ამდენად მას, ევროპის ადრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან განსხვავებით, რიგი თავისებურება გააჩნდა. ეს თავისებურებანი განაპირობეს იმპერიალიზმის ეპოქის საერთო კანონზომიერებებმა, და ამასთან ერთად, რუსეთის კონკრეტულ-ისტორიულმა ვითარებამ.

იმპერიალიზმის ეპოქის ძირითადი კანონზომიერებანი აღმოაჩინა და მეცნიერულად ახსნა ვ. ი. ლენინმა. მან სწორად განსაზღვრა რუსეთის პირველი რევოლუციის ხასიათი, მისი ჰეგემონისა და მამოძრავებელი ძალების, რევოლუციის პერსპექტივების საკითხი, ამ რევოლუციის ძირითადი თავისებურებანი[2].

პ ი რ ვ ე ლ ი ძ ი რ ი თ ა დ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა იყო ის, რომ იგი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ეპოქის პირველ სახალხო რევოლუციას. ევროპის ხალხებმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები განახორციელეს კაპიტალიზმის აღმავლობის პირობებში, ბურჟუაზიის რევოლუციური განწყობილების ვითარებაში. რუსეთის ხალხები კი მას ახორციელებდნენ დაგვიანებით, კაპიტალიზმის დაღმავლობის პირობებში, ბურჟუაზიის კონტრრევოლუციის ბანაკში თანდათანობით

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 267.

[2] ეს საკითხი ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში პირველმა გააშუქა ემელიან იაროსლავსკიმ.

გადაბარგების პირობებში. მას კონტრრევოლუციის ბანაკში მიერეკებოდა ფეოდალიზმის ნაშთებით და პოლიციური დესპოტიზმით განაწამები გლეხობის უკიდურესი რევოლუციურობა და სოციალისტური პროლეტარიატის შეგნებულობა, კლასობრივი დარაზმულობა. რუსეთის პროლეტარიატი 1905—1907 წლებში გაცილებით უფრო შეგნებული და უკეთესად ორგანიზებული იყო, ვიდრე გერმანიის პროლეტარიატი 1848 წელს[1]. ბოლშევიკები, როდესაც იმუშავებდნენ იმპერიალიზმის ეპოქის პირველ სახალხო რევოლუციაში პროლეტარიატის მოღვაწეობის სტრატეგიულ გეგმასა და ტაქტიკურ ხაზს, ითვალისწინებდნენ ყოველივე აღნიშნულს. ამიტომ ყოველთვის გამოდიოდნენ კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესწავლიდან, და არა საეჭვო ისტორიული ანალოგიებიდან, როგორც მენშევიკები.

მ ე ო რ ე ძ ი რ ი თ ა დ ი თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა იყო ის, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში არა მარტო მომწიფდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა აუცილებლობა, არამედ შეიქმნა ამ გარდაქმნათა განმახორციელებელი რეალური ძალაც, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა — რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი, რომლის სათავეში იდგა მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული ახალი ტიპის პოლიტიკური პარტია; ეს უკანასკნელი დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე ბურჟუაზიული პარტიები რუსეთში. ამ გარემოებამ, როგორც აღვნიშნეთ, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა: მან უზრუნველყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შექმნა, ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაცია და გადააქცია რევოლუცია ნამდვილად სახალხო რევოლუციად, მასში მშრომელთა მასების უფართოესი მონაწილეობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, 1905—1907 წლების რევოლუცია სახალხო რევოლუცია იყო იმიტომაც, რომ მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტით სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ხალხის უდიდესი უმრავლესობა — პროლეტარიატი, მშრომელი გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, ქალაქისა და სოფლის ნახევრადპროლეტარული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი. ტ. 12, გვ. 406.

ელემენტები. რევოლუციის გამარჯვება მათთვის უზრუნველყოფდა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის გაადვილებას.

მესამე ძირითადი თავისებურება იყო ის, რომ „ის თავისი სოციალური შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ ბრძოლის საშუალებებით — პროლეტარული"[1], სხვაგვარად არც შეიძლებოდა. რევოლუციას, რომლის ხელმძღვანელ და ძირითად მამოძრავებელ ძალას პროლეტარიატი წარმოადგენდა, არ შეეძლო არ ბრძოლის პროლეტარული ფორმები და მეთოდები. ოსეთის რევოლუციურმა პროლეტარიატმა პირველად გამოიყენა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა, როგორც მასების ამოძრავებისა და მობილიზაციის მთავარი საშუალება, რამაც რევოლუციის გაღრმავების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა.

მეოთხე ძირითადი თავისებურება იყო ის, რომ მასში პირველად განხორციელდა მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი, ბრწყინვალედ დადასტურდა მარქსისტულ-ლენინური იდეა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესაძლებლობისა და მისი აუცილებლობის შესახებ იმპერიალიზმის ეპოქის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტია, უარყოფდა რა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, ამტკიცებდა, ეს კავშირი მხოლოდ „იდეაში არსებობდაო". ამის გამო ვ. ი. ლენინი წერდა: „ეს მთლად დაბნეული და ყალბი ფრაზაა. პროლეტარიატისა და გლეხობის ძალთა კავშირი არა „იდეაში არსებობდა" და არა „ის-ის იყო მხოლოდ იწყებდა ცხოვრებაში განხორციელებას", არამედ ახასიათებდა რუსეთის რევოლუციის მთელ პირველ პერიოდს, 1905—1907 წლების ყველა დიდ მოვლენას"[2]. სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, გლეხთა აჯანყებანი, ჯარისკაცთა და მეზღვა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 313.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 403.

ურთა რევოლუციური გამოსვლები და შეიარაღებული აჯანყებანი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განხორციელება იყო. მართალია, „ეს კავშირი იყო სტიქიური, გაუფორმებელი, ხშირად შეუცნობელი... მაგრამ ფაქტი პროლეტარიატის და გლეხობის „ძალთა კავშირისა“... უდავოა“[1]. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირზე მიუთითებს აგრეთვე რევოლუციის ის თავისებურებაც, რომ იგი იყო გლეხური რევოლუცია, რომელსაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობდა. ამ რევოლუციამ პრაქტიკულად ცხადყო იმპერიალიზმის ეპოქის დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა და აუცილებლობა. ლიბერალური ბურჟუაზიის თანდათანობით მზარდი კონტრრევოლუციურობის გამო გლეხობა ბურჟუაზიის რეზერვიდან, მისი მოკავშირიდან გადაიქცა პროლეტარიატის რეზერვად, მის მოკავშირედ. ამიტომ რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში უნდა შექმნილიყო არა ბურჟუაზიის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა. ასე ახლებურად წყდებოდა ახალ ისტორიულ ვითარებაში რევოლუციის ძირითადი საკითხი — სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი.

მ ე ხ უ თ ე ძ ი რ ი თ ა დ ი თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა ი ყ ო ის, რომ პირველმა სახალხო რევოლუციამ თავიდანვე მიიღო საერთაშორისო ხასიათი, არა მარტო იმიტომ, რომ იგი ხდებოდა იმ ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს, არამედ იმიტომაც, რომ მან გამოიწვია მრავალმილიონიანი მასების ამოძრავება აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

* * *

რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ გააღვივა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა დასავლეთში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი, დემოკრატიული მოძრაობა აღმოსავლეთში. „რუსეთის რევოლუციამ, — წერდა ვ. ი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 403—404.

ლენინი, — გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მრავალი ასეული ძილიონიანი ადამიანის წინააღმდეგ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას"[1].

1908 წელს მოხდა ბურჟუაზიული რევოლუცია თურქეთში.

1906 წელს დაიწყო ბურჟუაზიული რევოლუცია სპარსეთში, რასაც 1909 წელს მოჰყვა სპარსეთის შაჰის დამხობა.

1910 წელს გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში, ჩინელი ფეოდალებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რაც ბურჟუაზიული რესპუბლიკის დამყარებით დამთავრდა. ამიტომ წერდა ვ. ი. ლენინი: „1905 წლის შემდეგ დადგა 1908 წელი თურქეთში, 1909 წელი სპარსეთში და 1910 წელი ჩინეთში"[2].

ამრიგად, რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ დასაბამი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა და დემოკრატიულ რევოლუციათა ეპოქას აზიაში. აზიის მრავალმილიონიანი მოსახლეობა უშუალოდ ჩაება მთელი ცივილიზებული კაცობრიობის დემოკრატიულ მოძრაობაში.

აზიის გამოღვიძებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო აზიისათვის, არამედ ევროპისათვისაც, „ახლა ჩვენ სწორედ ამ ქარტეხილებისა და ევროპაზე მათი „უკუფენის" ეპოქაში ვცხოვრობთო" — წერდა ვ. ი. ლენინი.

ევროპაზე აზიის, კერძოდ ჩინეთის რევოლუციის შესაძლო გავლენაზე ჯერ კიდევ კ. მარქსი წერდა: „საყურადღებო სანახაობა იქნება, როცა ჩინეთი დასავლეთ მსოფლიოში ძვრას გამოიწვევს და ამავე დროს დასავლეთის სახელმწიფოები ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის სამხედრო გემების დახმარებით „წესრიგის დანერგვას შეუდგებიან შანხაისა, ნანკინსა და „დიდი არხის შესართავებში"[3].

ისტორიამ გაამართლა მარქსის წინასწარხედვა. რევოლუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 331.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 34.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. IX, стр. 316.

ცოტრ ჩინეთში „წესრიგის" დამყარებისაკენ მიისწრაფოდნენ ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები, მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „როგორიც არ უნდა იყოს ბედი ჩინეთის დიდი რესპუბლიკისა, რომელზეც ახლა კბილებს ილესავენ სხვადასხვა „ცივილიზებული" აფთრები, მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს ძველ ბატონყმობას აზიაში..."[1].

„აზიის შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამოძრავდა — მხოლოდ არა აზიურად — ევროპაც. 1872—1904 წლების „შეიდობიანი" პერიოდი სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს"[2].

9 იანვრის ამბებმა ფართო გამოძახილი პოვა მთელ მსოფლიოში. ყველგან იმართებოდა მასობრივი მიტინგები და საპროტესტო დემონსტრაციები: მუშათა კლასი პროტესტს აცხადებდა უიარაღო მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის გამო. მეფის ხელისუფლება ყოველდღე ახალ-ახალ ცნობებს ღებულობდა საკუთარი დიპლომატებისაგან საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, ავსტრია-უნგრეთიდან, იტალიიდან, და სხვა ქვეყნებიდან მუშათა საპროტესტო გამოსვლების შესახებ.

ინგლისის მუშათა კლასი დიდი საპროტესტო გაფიცვებით გამოეხმაურა 9 იანვრის „სისხლიანი კვირის" ამბებს. გაიფიცნენ საფეიქრო და სამთამადნო მრეწველობის მუშები, დოკერები და სხვ. რუსეთის რევოლუციას გამოეხმაურნენ ფრანგი მუშებიც. საფრანგეთში 1905 წლის მაისის საგაფიცვო მოძრაობაში 140 ათასი მუშა მონაწილეობდა. საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლამ გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში მძლავრი რევოლუციური გაქანება მიიღო რუსეთის რევოლუციური ბრძოლების გავლენით.

1905 წლის 17 ოქტომბერს ვენაში მიიღეს დეპეშა რუსეთის მეფის მიერ კონსტიტუციური მანიფესტის გამოცემის შესახებ. ეს დეპეშა მაშინ შეიტანეს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დარბაზში, როდესაც ყრილობა ისმენდა მოხსენებას პოლიტიკური გაფიცვის შესახებ. კა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი. ტ. 18, გვ. 708.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 709.

ძათი მაშინვე შეწყდა. ყრილობის დელეგატებმა ერთხმად შესძახეს: „ჩვენი ადგილი ქუჩაშია!“ და უახლოესმა დღეებმა გვიჩვენეს ხალხმრავალი დემონსტრაციები ვენის ქუჩებში და მრისხანე ბარიკადები პრაღაში. გადაწყდა ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება, 1907 წელს იგი საბოლოოდ დააკანონეს.

ევროპის პროლეტარიატი როდი კმაყოფილდებოდა რუსეთის მუშათა კლასისადმი სოლიდარობის დემონსტრაციითა და გაფიცვებით. ისინი მოუწოდებდნენ რუსეთის გმირი მუშათა კლასისადმი დახმარებისაკენ, ფართოდ აჩაღებდნენ რევოლუციურ ბრძოლას საკუთარი ქვეყნის ანტიხალხური რეჟიმების წინააღმდეგ.

საფრანგეთიდან სენის დეპარტამენტის გაერთიანებულმა პროფკავშირებმა დეპეშით მიმართა პეტერბურგის მუშებს, სადაც წერდნენ, რომ „რევოლუციური ქალაქის — პარიზის მუშები თქვენთანაა... ჩვენი იმედი იქონიეთ, ჩვენი დახმარება თქვენდამი უზრუნველყოფილია“[1].

27 იანვარს საფრანგეთის პარლამენტში მკაცრად გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ მეფის რუსეთთან კავშირის გამო. ინგლისში მუშათა მიტინგებზე საპროტესტო რეზოლუციები მიიღეს „სისხლიანი კვირის“ გამო.

ბრიუსელში ერთ-ერთ ხალხმრავალ მიტინგზე ორატორი ამბობდა: „მთელი თანამედროვე სოციალური წყობილება შერყეული იქნება რუსეთის რევოლუციის მიერ ისე, როგორც XVIII საუკუნის სოციალური წყობილება იქნა შერყეული საფრანგეთის რევოლუციის მიერ. ის, რაც ახლა რუსეთში ხდება — არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის საქმეა, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტართა საქმეა“[2].

საფრანგეთში მუშათა ერთ-ერთმა საპროტესტო მიტინგმა სპეციალური მანიფესტით მიმართა ფრანგ ხალხს, სადაც ვკითხულობთ: „მოქალაქენო, რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც იბრძვის თავისი საქმისათვის, იბრძვის აგრეთვე თქვენი საქმისთვისაც. ცარიზმის დამხობა — ეს არის დარტყმა

---

[1] Журн. «Историк-марксист», кн. I, 1936, стр. 30.

[2] იქვე, გვ. 29.

კონტრრევოლუციის უშველებელ დიდ ძალაზე ყველა ქვეყანაში"[1].

საქართველოს ბოლშევიკების ლეგალური ორგანო გაზეთი „მნათობი" 1907 წლის იანვარში, უკეთებდა რა ანალიზს რუსეთის რევოლუციის პირველ შედეგებს, თავის მოწინავეში წერდა: „ჯერ კიდევ 9 იანვრის მოძრაობამ გამოიწვია ევროპაში იქაური პროლეტარიატის ტაშისცემა, მისი გამოფხიზლება; ვის არ ახსოვს მაშინდელი ათიათასიანი მიტინგები ევროპის ქალაქებში... ეს მთელი დემონსტრაცია იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ, და ეს დემონსტრაცია პირდაპირი გამოხმობა იყო რუსეთის რევოლუციის დასაწყისისა.

ოქტომბერ—ნოემბერ—დეკემბრის დღეებმა ხომ მთლად შეურყია ევროპის პროლეტარიატს ძველი რწმენები, მან არათუ მარტო გამოაფხიზლა, არამედ ფეხზე დააყენა იგი"[2]. ყოველივე ამან ფეხზე დააყენა საერთაშორისო კონტრრევოლუციაც, რომელმაც უდიდესი დახმარება გაუწია ცარიზმს ახალი სესხის მიცემით. ევროპის კონტრრევოლუციის მესვეურები ამასაც არ დასჯერდნენ და ძლიერი არმია და ფლოტი გაამზადეს რუსეთში ინტერვენციისათვის, რუსეთში „წესრიგის" დასამყარებლად. რევოლუციის ჩახშობის მიზნით ურჩიეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა მეფის ხელისუფლებას იაპონიასთან სწრაფად დაზავება.

რევოლუციური მოძრაობის საერთაშორისო ფრონტს დაუპირისპირდა გაერთიანებული საერთაშორისო კონტრრევოლუცია. ი. ბ. სტალინმა თავის სტატიაში „საერთაშორისო კონტრრევოლუცია" ამხილა გერმანიისა და ავსტრიის კონტრრევოლუციური კავშირი მეფის რუსეთთან. ეს კავშირი მიმართული იყო სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ, პროგრესული ძალების წინააღმდეგ საერთოდ.

„წავიდა ის დრო, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როცა ხალხებს და სახელმწიფოებს შეეძლოთ ერთიმეორისაგან განკერძოებულად ეცხოვრათ. შეხედეთ: ევროპა უკვე ბობოქრობს. მისი ბურჟუაზია შეშფოთებულია და მზადაა მილიონები და მილი-

---

[1] Журн. «Историк-марксист», кн. I, 1936, стр. 30.

[2] გაზ. „მნათობი", 1907 წლის 6 იანვარი.

არდები გასცეს, ოღონდ შეაჩეროს ხანძარი რუსეთში. მილიტარისტული ევროპული სახელმწიფოების მმართველები ფიქრობენ სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ მეფეს... ევროპის კონტრრევოლუცია ხელს უწვდის რუსეთის კონტრრევოლუციას... ჩვენც მოგვეპოვება რუსეთის რევოლუციის ევროპული რეზერვი. ეს რეზერვია — საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი, საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია"[1].

ამრიგად, რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციამ გამოაღვიძა აზია და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩააბა ევროპის პროლეტარიატი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 533.

თ ა ვ ი II

ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები საქართველოში

§ 1. ბატონყმობის გაუქმების პირველი შედეგები

XIX საუკუნე ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის გარდატეხით. საქართველოს რუსეთთან შეერთება სრულიად ახალ პერსპექტივებს სახავდა მრავალჭირნახული ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ენერგია და მთელი სასიცოცხლო ძალები, რომლებიც თავზე ხელაღებულ გადამთიელებთან ბრძოლაში ქარწყლდებოდა, ახალი ძალით იწყებენ გაფურჩქვნას.

ქვეყნის შემდგომ ეკონომიურსა და კულტურულ განვითარებას აფერხებდა არა მარტო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, არამედ ბატონყმობაც. იგი ხელს უშლიდა და სულს უხუთავდა თვით რუს ხალხს, ძირშივე ჰკლავდა მის შემოქმედებით ენერგიასა და ინიციატივას.

XIX საუკუნის ნახევრისათვის მომწიფდა ისტორიული პირობები რუსეთში ბატონყმობის გასაუქმებლად. 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით ბატონყმობა გაუქმებულად გამოცხადდა რუსეთში.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების საკითხის პრინციპულად და პრაქტიკულად გადაწყვეტის შემდეგ მისი გატარება საქართველოში მომენტისა და მიზანშეწონილობის საკითხი იყო მხოლოდ და მხოლოდ.

ცარიზმის პოლიტიკა საქართველოში, როგორც ცნობილია,

რეაქციულ თავადაზნაურთა ინტერესებს ეშსახურებოდა. მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი ამას არც მალავდა. მისი აზრით, საქართველოში საჭირო იყო „მაღალი წოდების უფლებათა არა შეზღუდვა, არამედ ყოველგვარი ზომებით ამ უფლებებ-ს დაცვა და განმტკიცება, რადგან მხოლოდ არისტოკრატიულ საწყისს შეუძლია დაძლიოს ის დემოკრატიული მიმართულება, რომელიც აქ განვითარდა“[1].

მეფის ხელისუფლებას მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის გატარებისა. იქითკენ, რომ იგი ნაკლებ მტკივნეული ყოფილიყო თავადაზნაურობისათვის, და მართლაც, აქ რეფორმა მემამულე — თავადაზნაურთათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში გაატარეს, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, ამას თვით ოფიციალური ხელისუფლებაც არ მალავდა. „ბატონყმობის გაუქმება ამიერკავკასიაში, — წერდა მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, — განსაკუთრებით კი საქართველოში, მოხდა მემამულეებისათვის მეტისმეტად ხელსაყრელ და გლეხობისათვის არახელსაყრელ პირობებში, ამასთან ერთად, მთავრობამ, საკუთრივ რუსეთში მიღებულ პრინციპისაგან გადახვევით, პირადი დამოკიდებულების გაუქმებისათვის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიათა თავადაზნაურობას გადაუხადა ყოფილი ყმის თითოეულ სულზე 25 მანეთიდან 50 მანეთამდე, რამაც შეადგინა თანხა შვიდი მილიონ მანეთის რაოდენობით და უფრო მეტად გაზარდა ბატონყმობის დროს არსებული გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებათა ნორმა“[2].

საგლეხო რეფორმა, ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, საქართველოში გატარდა 1864—1871 წლებში. საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, რეფორმამ გლეხობა კიდევ უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააგდო. ეს რეფორმა საქართველოში კიდევ უფრო მეტად იყო გლეხობის „უსინდისო გაძარცვა“, ვიდრე რუსეთში. ამ რეფორმის შედეგად გლეხობამ დაკარგა მნიშვნელოვანი ნაწილი იმ მიწებისა,

---

[1] З. Семин, Великая годовщина. 1911. стр. 15.

[2] А. Воронцов-Дашков. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем, СПБ, 1907, стр. 68, 87.

რომლებიც რეფორმამდე მის სარგებლობაში იყო. ასე მაგალითად, თუ რეფორმამდე გლეხური კომლის სარგებლობაში იყო საშუალოდ 5,4 დესეტინა მიწა, რეფორმის შემდეგ მას დარჩა საშუალოდ 3,4 დესეტინა. რეფორმამ სრულიად უმიწოდ დატოვა გლეხების ის ნაწილი, რომელსაც რეფორმამდე არ ჰქონდა მიწის ნაკვეთი საკუთარ სარგებლობაში. მიწა არ მიეცა აგრეთვე შინაყმებსა და ხიზნებს, სულ 8 ათასამდე მეტ გლეხურ კომლს. ტყე და საძოვარი არც ერთი კატეგორიის გლეხს არ მიეზომა. ტყითა და საძოვრით სარგებლობა გლეხს შეეძლო მას შემდეგ, რაც მემამულეს გადაუხდიდა სათანადო გადასახადს. ნადელის გამოსყიდვამდე გლეხს მემამულისათვის უნდა ეძლია კარმიდამოს სარგებლობისათვის ფულად სამი მანეთი, ბაღ-ვენახებისათვის — კულუხი მოსავლის 25 პროცენტის რაოდენობით, სახნავ-სათესი მიწისათვის — ღალა აგრეთვე მოსავლის 25 პროცენტის რაოდენობით[1]. ეს გადასახადები დიდად აღემატებოდნენ რეფორმამდე არსებულ გადასახადებს[2].

საქართველოში საგლეხო რეფორმის შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მთელი მიწის 78 პროცენტამდე შერჩა თავადაზნაურობას, დანარჩენი კი სახელმწიფოს, ეკლესია-მონასტრებსა და გლეხობას.

სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად ადგილი ჰქონდა მიწის მთელი ფონდის ხელახალ „გადანაწილებას". თანდათანობით მცირდებოდა თავადაზნაურული მიწათმფლობელობა და ასევე თანდათანობით იზრდებოდა კულაკური მიწათმფლობელობა, ამასთან ერთად გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სრულიად დაკარგა მიწა, უმიწაწყლო გლეხობა სამუშაოს ეძებდა სოფლად კაპიტალისტური ევოლუციის გზაზე შემდგარ მემამულურ მეურნეობაში და კულაკურ მეურნეობაში, ქალაქად — კაპიტალისტურ საწარმოში. ეს პროცესი ისე შორს წასულა, რომ მის ტემპებზე

---

[1] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში თბ., 1950, გვ. 5—35.

[2] А. Воронцов-Дашков, Указ., отчет, стр. 24.

1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებიც კი გვაძლევენ წარმოდგენას. ამ დროისათვის სოფლის მეურნეთა 97,3 პროცენტს მხოლოდ შვიდი დესეტინამდე მიწა ჰქონდა შერჩენილი, ხოლო შვიდ დესეტინაზე ზევით მიწები ჰქონდა შერჩენილი სოფლის მეურნეთა მხოლოდ 2,7 პროცენტს, რომელთაც აღმწერნი უწოდებენ „კერძომფლობელურ მეურნეობებს“, ესენი ფლობდნენ მთელი ვარგისი მიწის 40,7 პროცენტს, ე. ი. მოსახლეობის 97 პროცენტზე მეტი ფლობდა მთელი მიწის თითქმის 60 პროცენტს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის სამ პროცენტამდე ფლობდა მთელი მიწის 40 პროცენტზე მეტს. ასეთი დისპროპორცია მიწათმფლობელობაში განაპირობა არა მარტო სოფლის კაპიტალისტურმა განვითარებამ, არამედ იგი ნაწილობრივ თავიდანვე დაჰყვა საგლეხო რეფორმას.

მიწის ფონდის ასეთი უთანაბრო განაწილების გამო ფართოდ იყენებდნენ საქართველოში მიწის იჯარას. მიწის იჯარით აღებას უფრო მიმართავდნენ სოფლის ის მეურნენი, რომელნიც ფლობდნენ შვიდ დესეტინამდე მიწას, ვიდრე „კერძომფლობელური მეურნენი“. ასე მაგალითად, შვიდ დესეტინამდე მიწისმფლობელ მეურნეებთან იჯარით აღებული მიწა მათ განკარგულებაში არსებული მთელი მიწის 13,6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო „კერძომფლობელურ მეურნეობებში“ ან შვიდ დესეტინაზე ზევით მიწისმფლობელ მეურნეებთან იგი (მიწის იჯარით აღება) შეადგენდა მათ განკარგულებაში არსებული მთელი მიწის მხოლოდ 1,3 პროცენტს. პირველ შემთხვევაში მიწის იჯარით გაცემა უდრიდა მათ განკარგულებაში არსებული მთელი მიწის 6,4 პროცენტს, მეორე შემთხვევაში კი 27,2 პროცენტს. ასეთი შეფარდება აშკარად მიუთითებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური განვითარების რუსეთთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალ დონეზე. რუსეთის სოფელში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შეინიშნებოდა სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა. იქ, რაც უფრო უზრუნველყოფილი იყო სოფლის მეურნე სანადელო ან სხვა სახის

მიწით. მით უფრო მეტად მიმართავდა იგი მიწის იჯარით აღებას. ვ. ი. ლენინი, სწავლობდა რა ამ მდგომარეობას, მიუთითებდა რუსეთის სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების შედარებით მაღალ დონეზე.

საქართველოში აგრარულ ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვავებდა ცარიზმის საკოლონიზაციო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მეტად საგრძნობი იყო სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწის აბსოლუტური სიმცირე, ცარიზმი გაძლიერებით ეწეოდა ქვეყნის კოლონიზაციას. საკოლონიზაციო მიწის ფონდი, როგორც ცნობილია, იქმნებოდა მკვიდრი მოსახლეობის შევიწროების გზით, გლეხთა მიწების ძალით მიტაცების საშუალებით. მკვიდრ მოსახლეობას ერეკებოდნენ კულტურული მიწებიდან ჭაობიანი, მთაგორიანი და მწირი, მიწებისაკენ. ეს კიდევ უფრო ამწვავებდა იმ ძძიმე მდგომარეობას, რომელიც შექმნა საგლეხო რეფორმამ. „საიდანღა იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რ-სთვის ხდება იქ გადასახლება, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების განსახლება მოახდინონ? — კითხულობდა ვ. ი. ლენინი და თვითონვე პასუხობდა—გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილ-მამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის“[1].

ამიერკავკასიაში ცარიზმის საკოლონიზაციო პოლიტიკის ამოცანებისა და მიზნების შესახებ ი. ბ. სტალინი წერდა: „ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ დაემკვიდრებინათ ამ რაიონებში რაც შეიძლება მეტი კულაკური ელემენტები რუს გლეხთა და კაზაკთაგან და გადაექციათ ეს უკანასკნელნი დიდმპყრობელურ მისწრაფებათა საიმედო დასაყრდენად. ამ პოლიტიკის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18. გვ. 101.

შედეგი იყო ედაბურ მიწებზე განდევნილ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა... თანდათანი ამოწყდომა"[1].

ბევრის რუსეთის ხელისუფალნი განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროების, კერძოდ აფხაზეთის კოლონიზაციისაკენ მიიწვრაფოდნენ. ამ მისწრაფებას თავის დროზე წინ აღუდგა საქართველოსა და აფხაზეთის საზოგადოების მოწინავე, პროგრესული ნაწილი. კავკასიაში თავისუფალ მიწებზე დასახლების უფლება მხოლოდ კავკასიელებს აქვთო, წერდა 1877 წელს გ. წერეთელი[2]. 1874 წელს სპეციალური სტატიით გამოვიდა ი. გოგებაშვილი რუსულ პრესაში. ამ სტატიაში იგი ასაბუთებდა, რომ შავი ზღვის სანაპიროების, კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიის დასახლებისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო მოსახლეობა, ვიდრე რუსეთის ცენტრალური გუბერნიიდან მოსული გლეხობა[3]. ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა, რომ „მოგვცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწაწყალი, რომელიც ეხლა ხაზინას აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს. ქართველს გარდა"[4]. არაერთგზის აღნიშნავდა ქართული პრესა, რომ „მეგრელებს, აფხაზებს, რაჭველებს სოხუმში ალაგს არ აძლევდნენ და რაც მიუციათ იმასაც უნახევრებენ, ხოლო სხვა ეროვნებებს ეპატიჟებიანო"[5]. ნ. ჯანაშია კატეგორიულად მოითხოვდა, რომ აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე დაესახლებინათ ქართველებიც, რადგან „აფხაზებთან ერთად ქართველობას არაერთგზის უღვრია ამ მიწაზედ თავისი სისხლიო"[6]. მიუხედავად ყოველივე ამისა, ცარიზმი და მისი სატრაპები დაჟინებით ახორციელებდნენ აფხაზეთის დასახლებას ყველა სხვა ეროვნების ადამიანებით, მაგრამ არა ქართველებით. აშკარაა, რომ მათი ვერაგული პოლიტიკის მიზანი იყო აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოსაგან, აფხაზეთის მოსახლეობის გარუსება. ეს იყო

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 28.
[2] გაზ. „დროება", 1877 წლის 5 ოქტომბერი.
[3] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1952, გვ. 90—123.
[4] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 9, 1957, გვ. 265.
[5] გაზ. „დროება", 1884 წლის 31 ოქტომბერი.
[6] გაზ. „ივერია", 1895 წლის 24 აგვისტო.

ცარიზმის ჩვეულებრივი პოლიტიკა ყოველთვის და ყველგან. ამას თვით მეფისნაცვალიც არ მალავდა[1].

მეფის ხელისუფლებამ, როგორც აღვნიშნეთ, საგლეხო რეფორმით უფრო მძიმე მდგომარეობაში დატოვა საქართველოს გლეხობა, ვიდრე რუსეთის ცენტრალური გუბერნიების გლეხობა. ასე მაგალითად, მოსკოვისა და პეტერბურგის გუბერნიებში სანადელო მიწა ერთ სულზე მოდიოდა 1,6 დესეტინის რაოდენობით, სამხრეთ-დასავლეთის გუბერნიებში — 3,1, დასავლეთის გუბერნიებში — 1,6, აღმოსავლეთის გუბერნიებში — 2 და ჩრდილოეთის გუბერნიებში — 2,6 დესეტინის რაოდენობით[2]. თბილისის გუბერნიაში გლეხობამ რეფორმის შედეგად ფაქტიურად მიიღო ერთ კომლზე 3,9 დესეტინა მიწა, ქუთაისის გუბერნიაში კი 2,5 დესეტინა[3]. ერთ სულზე, თუ კომლში ვიანგარიშებთ ჩვეულებრივად ხუთ სულს, საბოლოოდ მოდიოდა 0,5-დან 0,8 დესეტინამდე მიწა.

საქართველოში გლეხთა მდგომარეობა არა მარტო ველიკორუს გლეხთა მდგომარეობაზე, არამედ რუსეთის სხვა განაპირა მხარეთა გლეხობის მდგომარეობაზედაც უფრო უარესი იყო. ასე მაგალითად, უკრაინაში 31 ათასამდე მემამულე ფლობდა, თითქმის 10 მილიონ დესეტინა მიწას, ხოლო სამ მილიონამდე გლეხი კი მხოლოდ 13 მილიონ

---

[1] ა. ვორონცოვ-დაშკოვი წერდა:

«К сожалению, тяготение мингрельцев к Сухумскому округу сопровождается стремлением грузинского духовенства к огрузиванию православной части абхазцев через совершение церковных служб на грузинском языке и ведение на нем же преподавания в церковных школах. Так как для абхазцев грузинский язык является столь же чужим, как и русский, но особенной потребности в последнем, за малым соприкосновением с русскими, сами абхазцы пока не ощущают, что необходимы известные условия со стороны для остановки замечаемого огрузинивания и надлежащего введения в школьное и церковное дело государственного языка» (А. Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем, 1907, стр. 22).

[2] М. Шахназаров, Крестьянское движение в Грузии и социал-демократия, М., 1906, стр. 13.

[3] З. Семин, Великая годовщина, 1911, стр. 35.

დესეტინა მიწას, აქედან ერთ მეურნეზე საშუალოდ მოდიოდა 6,4 დესეტინა მიწა, ან ერთ სულზე — საშუალოდ 1,3 დესეტინა. ლატვიაში 750-მდე მემამულე ფლობდა ერთი მილიონ 300 ათასზე მეტ დესეტინა მიწას, ხოლო 22 ათას ხუთასი გლეხი — ერთ მილიონ 160 ათასამდე დესეტინა მიწას. ესტონეთში მთელი მიწების 60 პროცენტი გერმანელ ბარონებს ეკუთვნოდა. 40 პროცენტი კი გლეხობასა და სხვადასხვა უწყებას. ურალის მხარესა და შუა ვოლგისპირეთში მთელი მიწის 35—47 პროცენტამდე ეკუთვნოდა მემამულეებსა და სასულიერო წოდებას[1], მაშინ, როდესაც საქართველოში მარტო თავადაზნაურობას ეკუთვნოდა მთელი მიწის 77—78 პროცენტი, დანარჩენი კი გლეხობას, სახელმწიფოს, ეკლესია-მონასტრებსა და სხვა უწყებებს.

საქართველოში, შედარებით სომხეთსა და აზერბაიჯანთან, უფრო ძეტად იგრძნობოდა სამეურნეო მნიშვნელობის მიწების აბსოლუტური სიმცირე, რის გამოც გლეხთა რიგმა კატეგორიამ აქ უფრო ნაკლები „ნადელები" მიიღო, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. „ადგილობრივი დებულებით" ყველა კატეგორიის გლეხის კომლზე საშუალოდ მოდიოდა მიწა თბილისის გუბერნიაში 14,4 დესეტინა, ქუთაისის გუბერნიაში — 3,3, ელიზავეტპოლის გუბერნიაში — 12,6, ბაქოს გუბერნიაში — 15,0 და ერევნის გუბერნიაში 14,0 დესეტინა; აქედან ერთ სულზე მოდიოდა. შესაბამისად 4,1 დესეტინა, 0.8 3,9, 4,3 და 3,1 დესეტინა. სახელმწიფო გლეხების კომლზე მოდიოდა (მიწა) თბილისის გუბერნიაში 17,8 დესეტინა, ქუთაისის გუბერნიაში — 4,2, ელიზავეტპოლის გუბერნიაში — 18,3, ბაქოს გუბერნიაში — 16,3 და ერევნის გუბერნიაში — 15,3 დესეტინა; აქედან ერთ სულზე მოდიოდა შესაბამისად 5,2 დესეტინა, 1,3, 4,8, 4,6 და 3,4 დესეტინა. საბატონო გლეხობის კომლზე მოდიოდა მიწა თბილისის გუბერნიაში 8 დესეტინა, ქუთაისის გუბერნიაში 5,5 დესეტინა და ა. შ[2].

---

[1] «Революция 1905—1907 гг. в национальных районах России», М., 1955, стр. 10—11.

[2] ი. კაპარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბ., 1959, გვ 12.

ამიერკავკასიაში მიწის სიმცირით ყველაზე მეტად ქუთაისის გუბერნიის გლეხობა გამოირჩეოდა. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვითაც ქუთაისის გუბერნია გამოირჩეოდა. აქ ერთ კვ. ვერსზე მოდიოდა 38,3 სული, თბილისის გუბერნიაში კი 22,2 სული. მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ქუთაისის გუბერნიაში საქალაქო მეურნეობის განვითარების შედარებით დაბალი დონე. ასე მაგალითად, თბილისის გუბერნიაში XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე ქალაქად ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 20,6 პროცენტი, თუმცა მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ ჰქონდა კავშირი სოფლის მეურნეობასთან, მოსახლეობის დაახლოებით 80-მდე პროცენტი სოფლის მეურნეობაში იყო ჩაბმული. ამავე დროს, მიუხედავად მცირემიწიანობის შედარებით მაღალი პროცენტისა, ქუთაისის გუბერნიაში მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ მოსახლეობის მხოლოდ 5,6 პროცენტი იყო საქალაქო ცხოვრებაში ჩაბმული, დანარჩენი ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობით ირჩენდა თავს[1]. ისიც უნდა ითქვას, რომ კერძომფლობელობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწის უფრო მეტი ნაწილი (78 პროცენტი) თავადაზნაურობას ეკუთვნოდა ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო უფრო ნაკლები (77 პროცენტი) — თბილისის გუბერნიაში[2].

ასეთი იყო ზოგადად საგლეხო რეფორმის პირველი შედეგები. ამჟამად უკვე შეიძლება საგლეხო რეფორმის, მისი ხასიათისა და მნიშვნელობის შეფასებაზე შევჩერდეთ.

საგლეხო რეფორმით გლეხობა იურიდიულად განთავისუფლდა, მან მოიპოვა პირადი თავისუფლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკეს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა, აგრეთვე XIX საუკუნის სამოციანი წლების გამოჩენილმა რუსმა და ქართველმა

---

[1] 1897 წელს მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში შემდეგი სახით წარმოგეიდგება: დასავლეთ საქართველოში ერთ კვ. ვერსტზე მოდიოდა 31,1 სული, აღმოსავლეთ საქართველოში — 24,7 სული (იხ. პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973, გვ. 16—18).

[2] «Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях», 1910, стр. XI, XXX.

მოღვაწეებმა. „რეფორმის შემდეგ, — წერდა ფ. ენგელსი, — გლეხობა მიყვანილ იქნა იმ მდგომარეობამდის, სადაც არც სიცოცხლე შეიძლება და არც სიკვდილი“[1].

ვ. ი. ლენინი გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობაზე რეფორმის გავლენის შესახებ წერდა: „ყბადაღებული „განთავისუფლება“ იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას... „განთავისუფლების“ გამო, გლეხები აიძულეს „გამოეყიდათ“ მათი საკუთარი მიწები, ამასთან მათ წაჰგლიჯეს მიწის ნამდვილ ფასზე ორჯერ და სამჯერ მეტი. საერთოდ 60-იანი წლების მთელმა „რეფორმათა ეპოქამ“ გლეხი გაღატაკებული, დაბეჩავებული, უმეცარი, მემამულე-მებატონეებისადმი დამორჩილებული დასტოვა...“[2].

საგლეხო რეფორმა რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან გააკრიტიკეს ქართველმა სამოციანელებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა. მათ შორის დამახასიათებელია ნ. ნიკოლაძის გამოსვლა საგლეხო რეფორმის კრიტიკით მაშინდელ რუსულ თავისუფალ (უცენზურო) პრესაში — გაზეთ „კოლოკოლში“, სადაც 1865 წელს წერდა: „ახალი კანონმდებლობანი“, რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო“, მიზნად ისახავენ მხოლოდ status quo-ს განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძვლის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას“[3]. ასე ამხილა ნ. ნიკოლაძემ საგლეხო რეფორმის მებატონური ხასიათი და როგორც არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების შენარჩუნების მებატონური ღონისძიება. შემდეგ, არჩევდა რა საქართველოში გლეხთა განთავისუფლების პირობებს, განთავისუფლების შედეგებსა და მის მნიშვნელობას, ნ. ნიკოლაძე დაასკვნიდა: „თუ მთავრობამ... ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, ყოველ შემთხვევაში არა გლეხობისა, არამედ უფრო თავადაზნაურობისა... სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XV, стр. 408.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17. გვ. 126—127.

[3] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 117.

სინათლეზე გამოჰქონდათ მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება"[1]. რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან საგლეხო რეფორმის ასეთი ძლაფრი კრიტიკა მაშინდელ პირობებში რუსეთის სამოციანელებს თუ შეეძლოთ მხოლოდ!

საგლეხო რეფორმის ყველაზე მძიმე შედეგი იყო მიწის ფონდის უთანაბრო განაწილება წოდებებსა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ბატონყმურ-ფეოდალური ურთიერთობის ეს უმძიმესი ნაშთი ამწვავებდა აგრარულ ურთიერთობას. მას კიდევ უფრო დაძაბულს ხდიდა სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების აბსოლუტური სიმცირე, საგლეხო რეფორმის მებატონური ხასიათი და მეფის რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკა. სწორედ ამიტომ ყველაზე ადრე გაჩაღდა და ყველაზე ძწვავე პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მიიღო აგრარულ-გლეხურმა მოძრაობამ ამიერკავკასიისა და საქართველოს იმ რაიონებში, სადაც გლეხობა ყველაზე ნაკლებად აღმოჩნდა მიწით უზრუნველყოფილი[2]. ამის გამო მაშინ აზერბაიჯანსა[3] და სომხეთში[4] გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 179—180.

[2] ა. ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ელიარებინა, რომ გლეხებს შეხვდათ უმცირესი „ნადელი" და უდიდესი ვალდებულებანი (დასახელებული ანგარიში, გვ. 41).

[3] ბ. ი. იბრაგიმოვი, სტატიაში „1905—1907 წწ. რევოლუცია აზერბაიჯანში", წერს:

«Несмотря на значительный рост крестьянского движения в 1905 г., оно не охватило еще всех уездов Азербайджана, не приняло массового характера и носило локальный и неорганизованный характер» (Сб. ст. «Революция 1905—1907 гг. национальных районах России». М., 1955, стр. 451).

[4] დ. ე. გაბრიელიანი, სტატიაში „1905—1907 წწ. რევოლუცია სომხეთში", წერს:

«Под влиянием революционной борьбы пролетариата оживляется и крестьянское движение в Армении, но в 1905—1907 гг. оно не стало массовым и не носило сознательного революционного характера. Это было скорее состояние глухого революционного возмущения, прорывающегося по временам в виде отдельных вспышек» (Сб. ст. «Революция 1905—1907 г. г. в национальных районах России, М., 1955, стр. 561).

ვერ მიიღო ფართო რევოლუციური გაქანება და მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი.

საქართველოში გლეხთა სერიოზული აგრარული მოძრაობა პირველად ქუთაისის გუბერნიაში დაიწყო, 1902 წელს, შედარებით გვიან — თბილისის გუბერნიაში. ამავე დროს გლეხთა აგრარულმა მოძრაობამ შედარებით უფრო ძლაფრი პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მიიღო ქუთაისის გუბერნიაში.

§ 2. კაპიტალიზმის განვითარება და სამრეწველო პროლეტარიატის წარმოქმნა

ბატონყმობის გაუქმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარება საქართველოში. „რუსეთის კაპიტალიზმი,— წერდა ვ. ი. ლენინი,— კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს — ქ მ ნ ი დ ა ბ ა ზ ა რ ს თავისი ფაბრიკებისათვის“[1]. იგი ამით პროგრესულ როლს ასრულებდა — ხელს უწყობდა ბხარის საწარმოო ძალთა აღორძინებას და, აქ, საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ახალ საწარმოო ურთიერთობათა განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკის ახალი, პროგრესული მიმართულებით განვითარებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ საგზაო მშენებლობას, განსაკუთრებით კი რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას. როგორც ცნობილია, 1857 წელს დაარსდა „რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოება“, დაიწყო რეგულარული მიმოსვლა რედუტ-კალესა, ფოთსა, ოდესასა და სხვა ქალაქებს შორის. 1873 წელს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შორის. 1883 წელს რკინიგზის მთავარმა მაგისტრალმა ერთმანეთთან დააკავშირა ბათუმი, თბილისი და ბაქო. ამავე წელს გაიხსნა თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც 3 500-ზე მეტმა მუშამ მოიყარა თავი.

XIX საუკუნის 80—90-იანი წლებიდან ჩქარი ტემპებით

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 704.

იწყებს კაპიტალიზმი განვითარებას საქართველოში. ამის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია შრომის საზოგადოებრივი განაწილების, შინაური ბაზრის გაფართოების დონე, რაც უმთავრესად გამოიხატება სოფლად სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებითა და წარმოების საშუალებათაგან უშუალო მწარმოებლის გამოცალკევებით—გლეხობის ფენებად დაშლით, სოციალური დიფერენციაციით[1]. თუ ამ ნიშნების მიხედვით გადავხედავთ მაშინდელ სოფლის მეურნეობას, სოფლად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიურ პროცესებს, დავრწმუნდებით, რომ კაპიტალიზმი მნიშვნელოვნად ვითარდებოდა მაშინდელ სოფელში, მტკიცედ მკვიდრდებოდა მის ყოფასა და მეურნეობაში, ამის გამო მას საფუძვლიანად შეურყევია სოფლის პატრიარქალური ცხოვრების იდილიური მყუდროება და ფეოდალური ყოფით დაბეჩავებული გლეხი ცხოვრების ახალ სარბიელზე გამოუყვანია. იგი ნელა, მაგრამ გაბედულად ებმებოდა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში, მისი მნიშვნელოვანი კონტინგენტი, რომელსაც სოფელი უკვე დედინაცვლად გადაექცა, ქალაქების საქირაო მუშათა რიგებს ავსებდა.

თბილისის გუბერნიის მოსახლეობის 18,4 პროცენტი 1886 წელს უკვე ქალაქის მაცხოვრებელი იყო, ხოლო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის მხოლოდ 4,2 პროცენტი ცხოვრობდა ამ დროისათვის ქალაქში, ამიერკავკასიის მასშტაბით კი საშუალოდ — 11 პროცენტი. ამ მხრივ ამიერკავკასია ცოტათი ჩამორჩებოდა რუსეთის ევროპულ ნაწილს, სადაც 1883 წელს ქალაქად ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის მხოლოდ 13 პროცენტი. ეს გარემოება მიუთითებდა ჯერ კიდევ შრომის საზოგადოებრივი განაწილების სისუსტეზე, სამრეწველო შრომის სუსტ ზრდაზე სამიწათმოქმედო შრომის ხარჯზე არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ საერთოდ, რუსეთის მთელ იმპერიაში.

შინაური ბაზარი იქმნებოდა საქართველოში, ისე როგორც ყველგან, არა მარტო სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 61—64.

მიწათმოქმედო შრომიდან სამრეწველო შრომის გამოყოფის გზით, არამედ სოფლის მეურნეობის შიგნითაც მომხდარი შრომის საზოგადოებრივი განაწილების, სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სპეციალიზაციის გზით. ყოველივე ამის შედეგად გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როგორც ირკვევა, ისე განვითარებულა საქართველოში სავაჭრო მიწათმოქმედება, რომ იგი არა მარტო შინაურ ბაზარს აკმაყოფილებდა, არამედ საგარეო ვაჭრობაშიც მნიშვნელოვნად მონაწილეობდა.

საგარეო და საშინაო საბაზრო ურთიერთობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მონაწილეობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: 1885 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან ფოთისა და ბათუმის პორტებით გაიტანეს 151 972 ფუთი ხორბალი, 1886 წელს — 633 526 და 1887 წელს — 374 605 ფუთი; ქერი, შესაბამისად — 315 531 ფუთი, 433 235 და 194 026 ფუთი; სიმინდი, შესაბამისად — 2 241 207 ფუთი, 1 865 630 და 1 378 155 ფუთი. ამრიგად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან საგარეო ბაზარზე სულ გაუტანიათ მარცვლეული 1885 წელს 2 708 710 ფუთი, 1886 წელს — 2 932 391 და 1887 წელს — 1 846 786 ფუთი.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა პუნქტებში მარცვლეულის მოძრაობის სურათს გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი სტატისტიკური ცნობები: 1885 წელს ადგილმონაცვლეობს 43 820 ფუთი ხორბალი, 1886 წელს — 107 910 და 1887 წელს — 129 749 ფუთი. ქერი — შესაბამისად, 123 910 ფუთი, 174 194 და 217 589 ფუთი. სიმინდი — შესაბამისად, 59 659 ფუთი, 101 569 და 167 112 ფუთი. ამრიგად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ადგილმონაცვლეობაშია, ან საშინაო საბაზრო ურთიერთობაში მონაწილეობდა მარცვლეული 1885 წელს 226 389 ფუთი, 1886 წელს — 383 673 და 1887 წელს — 514 450 ფუთი.

ამრიგად, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მოყვანილი მარცვლეულიდან საგარეო და საშინაო საბაზრო ურთიერთობაში მონაწილეობდა, ან მის სასაქონლო ნაწილს შეადგენდა

1885 წელს 2 935 179 ფუთი, 1886 წელს — 3 316 064 და 1887 წელს — 2 361 226 ფუთი[1].

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეულის სასაქონლო ნაწილის ზრდა ყოველთვის როდი იყო სოფლის მეურნეობის მოღონიერების, მისი ინტენსიფიკაციის შედეგი. ზოგჯერ, პირიქით, იგი გლეხურ მეურნეობათა მძიმე ეკონომიური მდგომარეობითაც კი იყო განპირობებული. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ოფიციალურ გამოცემაში ვკითხულობთ, რომ „ჩვენი გლეხი არაიშვიათად იძულებულია გაყიდოს პურის არა მარტო ზედმეტი ნაწილი, არამედ ნაწილიც იმ პურისა, რომელიც აუცილებელია მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად", მაშასადამე, გლეხი, ჰყიდის პურის მისთვის საჭირო მინიმუმის ნაწილს, ამიტომ „პურით ვაჭრობა სწარმოებს გლეხთა შიმშილობის ხარჯზე"[2].

საქართველოს სოფლის მეურნეობა საბაზრო ურთიერთობაში მონაწილეობდა არა მარტო მარცვლეულით, არამედ მესაქონლეობის პროდუქტებით, ხე-ტყის ნაწარმით, ძვირფასი და ტექნიკური კულტურებით, სწორედ ამ უკანასკნელ დარგებში განვითარდა სავაჭრო მიწათმოქმედება ყველაზე მნიშვნელოვნად.

საბაზრო ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აგრეთვე ბოსტნეულიც. 1884 წელს თბილისში რკინიგზით ჩამოუტანიათ 38 818 ფუთი კომბოსტო, 1887 წელს კი — 45 640 ფუთი. ამავე პერიოდში ბათუმსა და ფოთში ჩატანილი კომბოსტოს რაოდენობა გაიზარდა 14 520 ფუთიდან 31 539 ფუთამდე. ასევე იზრდებოდა კარტოფილის მოხმარება აღნიშნულ ქალაქებში. კომბოსტო უმთავრესად კასპისა და გორის სადგურებიდან იგზავნებოდა თბილისში, კარტოფილი კი ხაშურის სადგურიდან[3], რაც სოფლის მეურნეობის სათანადო სპეციალიზაციაზეც მიგვანიშნებს.

---

[1] «Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края», Тиф., 1888, стр. 426—429

[2] «Труды Кавказского общества сельского хозяйства», 1887, № 2, стр. 122.

[3] «Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края», Тиф., 1888, стр. 433—454.

საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხობის დატოვებამ თითქოს უმიწოდ და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებამ განაპირობეს შედარებითი ჩამოქვეითება მარცვლეულის მეურნეობისა როგორც ნაკლებ რენტაბელური დარგისა და ძვირფასი და ტექნიკური კულტურების განვითარება[1]. ასე მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მევენახეობას მისდევდა დუშეთის მაზრის გლეხურ მეურნეობათა 26 პროცენტი, გორის მაზრის — 50, თბილისის მაზრის — 67, სიღნაღის მაზრის — 79 და თელავის მაზრის 98 პროცენტი[2].

მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სასაქონლო დარგი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20—30-იან წლებში[3]. ამ დროს ბაზარზე თუ გადიოდა მევენახეობის პროდუქციის 25—75 პროცენტამდე, 70-იან წლებში მან 75 პროცენტსაც გადააჭარბა[4]. აქ მცირე როლი როდი შეასრულა სავაჭრო კაპიტალის დაბანდებამ სოფლის მეურნეობაში.

მსხვილი ვაჭრები ხელსაყრელ ფასად ხელში იგდებდნენ გაჩანაგებული გლეხებისა და თავად-აზნაურთა მამულებს. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ჩალის ფასად იყიდებოდა თავად-აზნაურთა და გაღატაკებულ გლეხთა მამულები. „სოხუმის ოლქში. მემამულეებმა თავიანთი მიწა-წყალი გაჰყიდეს.—იტყობინებოდა გაზეთი, — ვისაც გადარჩა რამ, ისინიც ეშურებიან მამულის მოშორებას. თუ საქმე ასე წავიდა, ხუთი წლის შემდეგ ჩვენს მეგაჭულეებს ფაცხის დასადგმელი ადგილიც აღარ ექნებათ, ადგილი ჩალის ფასად გაჰყიდეს, ფული ოხრად გაფლანგეს და

---

[1] И. Л. Сегаль, Крестьянского землевладение в Закавказье. Тиф., 1912, стр. 98.

[2] Отчет завед. акцизными сборами Закавказского края. 1903 года». Тиф., 1904 г.

[3] Акты, т. VII, стр. 189; «Обозрение Российских владений за Кавказом», т. I, стр. 342, 378—379.

[4] «Историко-статистический обзор промышленности России», т. I. СПБ. 1883, стр. 51; «Статистический временник Российской империи», серия II, вып. XV, СПБ. 1887, стр. 386.

ზომავალზე რას ფიქრობენ, ალაჰმა უწყის"[1]. გუდაუთიდან კიდევ უფრო ადრე იტყობინებოდნენ: „ყოველ დღე მოდიან რუსეთის კაპიტალისტები და ყიდულობენ აქაური თავადებისაგან მამულებს. ჯერ-ჯერობით გაიყიდა ექვსი მამული... თუ ასე წავიდა ჩვენი საქმე, ეჭვი არ არის, მთელი აფხაზეთი მალე გაიყიდება"[2]. „თუ ჩვენმა თავადაზნაურობამ გაჰყიდა „ნადელები", — წერდა ნ. ჯანაშია, — არც გლეხობამ დააყარა თავის საზოგადო „ნადელსა" — და საზოგადო მიწას ხეირი, ღვთის წინაშე აქაც თვით თავადაზნაურობას ედება ბრალი"[3].

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც იმდროინდელი სხვა ქართველი მოღვაწეები, თავადაზნაურთა მამულების უცხოტომელ ფულიანთა ხელში გადასვლას ერისათვის დამღუპველ მოვლენად მიიჩნევდა. ამის გამო მას სოხუმში მის პატივსაცემად გამართულ სადილზე უთქვამს: „დღეს აქომამდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავთ, ისე გულდაგულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ. ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი, იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელიც გაუხდეთ"[4]. ამიტომ ვისაც სურს, ილიას აზრით, შერჩეს ცხოვრების სარბიელს და არ აღიგავოს პირისაგან მიწისა უნდა ბოლოვიერდეს ეკონომიურად, რადგან „დღევანდელ ცხოვრებაში, — როგორც ილია ამბობდა, — სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს (ე. ი. კაპიტალისტურად განვითარდეს, ი. კ.). ვინც ამას არ ფიქრობს... ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილით გაიაროს ცხოვრებაში"[5].

ერის ერთადერთ ხსნას ილია ჭავჭავაძე ხედავდა ქვეყნის

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903 წლის 29 მაისი.
[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899 წლის 12 მაისი.
[3] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1902 წლის 27 იანვარი.
[4] გაზ. „ივერია", 1903 წლის 4 ივლისი.
[5] თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 30.

კაპიტალისტურ განვითარებაში, როდესაც ქართველთა მიწაწყალი თვით ქართველი ხალხის კაპიტალითა და მარჯვენით იქნებოდა გამშვენიერებული. ამიტომ ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც მაშინდელი სხვა ქართველი მოღვაწენიც, მიესალმებოდნენ თავადაზნაურთა მამულების კაპიტალისტური განვითარების გზით წარმართვას. „გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე ერთადერთი მემამულე გახლდათ აფხაზეთში, რომელსაც კარგა მოზრდილი (6000 დესეტინა სახნავ-სათესი) მამული შეძენა და (თავი და თავი) შერჩენა და ასე თუ ისე მოვლა ძოუხერხებია. უზარმაზარი ზვარი ევროპული და ადგილობრივი ჯიშის ვაზებისა, გამოცდილი მებაღის ხელმძღვანელობით სათანადოდ მოვლილი, მაყურებელს თვალს უხარებს“[1]. ამიტომ ილია ჭავჭავაძე დიდ პატივს სცემდა გ. შერვაშიძეს[2] და დიდად მოსწონდა მის მიერ უმაღლეს მთავრობაში წარდგენილი პროექტი[3], რომელიც ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას[4], რასაკვირველია, თვით მამულის მფლობელთა ხელმძღვანელობით.

ცხოვრება კი თავისას აკეთებდა. თავადაზნაურობა სანამ კაპიტალისტურად გარდაქმნიდა თავის მეურნეობას, მათ მნიშვნელოვან ნაწილს ჩალის ფასად ისაკუთრებდა ქალაქთა ფეულიანი ხალხი, ქართველი თუ უცხოელი.

ოფიციალური მონაცემებით სოფელ ხიდისთავში თბილისელ და გორელ ვაჭრებს ხელთუგდიათ ძალიან ბევრი და კარგი ვენახი. სურამელ ვაჭრებს ვენახები შეუძენიათ იმერეთში[5]. ვაჭრებს დუშეთის მაზრაში ჰქონიათ 77 ვენახი, გორის მაზრაში — 348 ვენახი 186 დესეტინაზე და ა. შ[6]. ასეთი მამულე-

---

[1] თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 298.

[2] გაზ. „ივერია“ 1893 წლის 11 ივლისი და 1894 წლის 22 ივნისი.

[3] ეს პროექტი დამტკიცდა 1904 წლის 31 აგვისტოს და კანონად იქცა მთელ იმპერიაში.

[4] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970, გვ. 342.

[5] «Отчет о деятельности Кавказского филоксерского комитета в 1891 г». Тиф., 1892, стр. 144—145, 198—199.

[6] «Сборник сведений по виноградарства и виноделию на Кавказе», вып. VIII, 1897, стр. 120—168.

ების სავაჭრო-სამრეწველო ხასიათზე მიუთითებენ მაშინდელი ოფიციალური წყاროებიც[1].

ამრიგად, სოფლად კაპიტალი შემოდიოდა თავად-აზნაურთა მამულების შესყიდვის. აგრეთვე გაჩანაგებულ გლეხურ მეურნეობათა კუთვნილი მიწების შესყიდვისა და იჯარით აღების გზითაც. ასეთ პირობებში კაპიტალისტებს „...სოფელში და სოფლის მეურნეობაში გადააქვთ ქალაქში შეძენილი კაპიტალი და ქალაქად უკვე განვითარებული წარმოების წარმართვის კაპიტალისტური წესი, პროდუქტის დამზადება როგორც მხოლოდ საქონლისა და როგორც მხოლოდ ზედმეტი ღირებულების მითვისების საშუალებისა"[2].

გასული საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში მაღალი საქონლიანობით გამოირჩეოდა მეცხოველეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა. მესაქონლეობა, კერძოდ მეცხვარეობა უმთავრესად მსხვილმეურნეობრივი ხასიათისა იყო. მასზე განაწევი სამეურნეო ხარჯები (გზის, საძოვრების. მწყემსვის და სხვ) წვრილი მეურნეობის ძალ-ღონეს აღემატებოდა ამიტომ იგი თავიდანვე იქმნებოდა როგორც მსხვილი მეურნეობანი სოფლის შეძლებული მოსახლეობის ხელში[3]. გარდა ამისა, კაპიტალისტური განვითარებისათვის დამახასიათებელი კონკურენციის კანონი იწვევდა წვრილ მეურნეობათა. გაჩანაგებას და მთელი ქონების კონცენტრაციას რამდენიმე შეძლებული მეურნის ხელში. ოფიციალური წყاროებიც აღნიშნავენ წვრილი ფარების თანდათანობით შემცირების ფაქტს[4]. მსხვილი მეცხვარეობის მეურნეობაში ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელსაც[5]. ეს გარემოება მესაქონლეობის ამ დარგს გარკვეულად კაპიტალისტურ ხასიათს

---

[1] «Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края», т V, ч. II, стр. 35.

[2] კ მარქსი, კაპიტალი. ტ. 3, ნაწ. II, 1959, გვ. 422.

[3] «Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края», т. V,ч. I, 1888, стр. 215.

[4] იქვე, ტ. IV, ნაწ. II, გვ. 281.

[5] «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», т. V, 1887, стр. 459.

აძლევდა. „კაპიტალის ეს შესვლა მიწათმოქმედებაში დამოუკიდებელი და ხელმძღვანელი ძალის სახით ხდება არა ერთბაშად და საყოველთაოდ, არამედ თანდათანობით და წარმოების განსაკუთრებულ დარგებში. იგი იპყრობს პირველად არა საკუთრივ მიწათმოქმედებას, არამედ წარმოების ისეთ დარგებს, როგორიცაა, მაგალითად, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა"[1].

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ერთგვარ უთანაბრობასთან გვაქვს საქმე. იგი ყველგან, ყველა კუთხეში, როდი ვითარდებოდა ერთნაირი ტემპით და ერთნაირი სიღრმით, ამიტომ მისი განვითარების დონეში შესამჩნევი იყო ერთგვარი უთანაბრობა. ასე მაგალითად, კაპიტალისტური განვითარების დონე, ჩვენი აზრით, შედარებით უფრო მაღალი იყო დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, მთიანეთში ის კიდევ უფრო დაბალი იყო ვიდრე ბარში და ა. შ. ასევე ითქმის მეურნეობის ცალკეულ დარგებში მისი განვითარების ხასიათზეც. ამ კანონზომიერების შესახებ მიგვანიშნებს შემდეგი ფაქტები და მოვლენები:

დასავლეთ საქართველოში, შედარებით აღმოსავლეთ საქართველოსთან, კაპიტალისტური განვითარების უფრო მაღალ დონეზე მიუთითებს „სანადელო" მიწების გამოსყიდვის ოპერაციები. ასე მაგალითად, 1866 წლიდან 1882 წლამდე თბილისის გუბერნიაში 5 712 კომლმა გამოისყიდა 7 195 დესეტინა მიწა, რაშიც გადაიხადა 421 570 მანეთი და 60 კაპიკი[2]. ამის შემდეგ „დროებითვალდებულებათაგან" განთავისუფლდა გლეხთა დაახლოებით 30 პროცენტი. ქუთაისის გუბერნიაში 1869 წლიდან 1889 წლამდე 23 707 კომლმა მთავრობის ყოველგვარი დახმარების გარეშე საკუთარი ფულით გამოისყიდა 104 165 დესეტინა „სანადელო" მიწა, რაშიც გადაიხადა 4 833 258 მანეთი და „დროებითვალდებულებათაგან" განთავისუფლდა გლეხობის 50 პროცენტი[3].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. II, 1959, გვ. 424.

[2] ამ შემთხვევაში მთავრობა „დაეხმარა" გლეხებს სესხის მიცემით.

[3] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I стр. 427.

დასავლეთ საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედარებით მაღალ დონეზე მიუთითებდა „კვალის“ პუბლიცისტი. იმ გარემოებას, რომ ქუთაისის გუბერნიაში უფრო მეტად წარმოებდა „ნადელების“ გამოსყიდვა გლეხების მიერ, ვიდრე თბილისის გუბერნიაში, „კვალი“ ხსნიდა დასავლეთ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შედარებით უფრო მაღალი დონით. „საინტერესოა ამ შემთხვევაში იმერეთის და ამერეთის ერთმანეთთან შედარება, — ვკითხულობთ „კვალში“,— იმერეთში ახალი ცხოვრების პირობებმა უფრო წინ წადგეს ფეხი, ვინემ ქართლ-კახეთში, და ან რომელსამე კავკასიის სხვა ადგილებში. ამიტომაც დროებითი ურთიერთობა, როგორც ძველი წესწყობილების გამომხატველი მოვლენა, იქ ყველაზე უფრო ადრე უნდა გაქარწყლდეს, რასაც აშკარად გვიმტკიცებს ჩვენი დღევანდელი ცხოვრება... მოკლეთ რომ ვთქვათ, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფული უფრო ბლომათ დატრიალდა იმერეთში. ვინემ ამერეთში და, აი, სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ უკანასკნელი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ თბილისის გუბერნიაში 1891 წლამდე გლეხობას მართებლობის (მთავრობის, ი. კ.) დაუხმარებლად დაუხსნია მთელი მისი წილის (ნადელის) მხოლოთ 0,55 პროცენტი“[1].

საქართველოში საგლეხო რეფორმის შემდეგ, სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად, მიწა ამოძრავდა, იგი ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა, რასაც შედეგად მოჰყვა, უპირველეს ყოვლისა, თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ხარჯზე არაპრივილეგიურთა, კულაკურ მეურნეობათა მიწათმფლობელობის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში უფრო ძეტად დასავლეთ საქართველო მონაწილეობდა, ვიდრე აღმოსავლეთი. ასე მაგალითად, 1879—1888 წლებში, თბილისის გუბერნიაში შედგა მიწის ნაყიდობის 2 477 აქტი, ქუთაისის გუბერნიაში კი 5 685. თბილისის გუბერნიაში გაიყიდა 35 123 დესეტინა მიწა 904 777 მანეთად, ქუთაისის გუბერნიაში — 10 029 დესეტინა მიწა 1 142 645 მანეთად. როგორც

---

[1] ჟურნ. „კვალი“, № 19, 1896, გვ. 325.

ჩანს, თბილისის გუბერნიაში მიწები უფრო მსხვილ ნაკვეთებად იყიდებოდა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში, ე. ი. მიწა თბილისის გუბერნიაში უფრო მეტად მსხვილ მემამულეთა, მსხვილი კულაკებისა და სომხის წელმაგარი ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა[1]. ეს პროცესი შემდეგშიც, XX საუკუნეშიც, თვით რევოლუციამდეც გრძელდებოდა.

დასავლეთ საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის შედარებით მაღალ დონეზე მიუთითებს ე. წ. სოფლად შეფარდებითი „ჭარბი მოსახლეობის“ წარმოქმნაც. მას ხელს უწყობდა, ჯერ ერთი, მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლება. გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობა ქუთაისის გუბერნიაში გაიზარდა 16 პროცენტით, თბილისის გუბერნიაში—17 პროცენტით[2]. მეორე, გლეხობის სოციალური დიფერენციაცია, ფენებად დაშალა, რასაც იწვევდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება. ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან გაძლიერებით მიმდინარეობს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ვ. ი. ლენინი, ახასიათებდა რა საგლეხო რეფორმას და გლეხობის სოციალურ დიფერენციაციას, მის ფენებად დაშლას, წერდა: „ეს არის პირველი მასობრივი ძალადობა გლეხობის მიმართ მიწათმოქმედებაში ახლად გაჩენილი კაპიტალიზმის სასარგებლოდ. ეს არის მემამულური „წმენდა მიწებისა“ კაპიტალიზმისათვის“[3]. მიწების ასეთ „წმენდაზე“ წერდნენ და კამათობდნენ მაშინდელ ქართულ პრესაში, ხოლო 90-იან წლებში იგი ყველასათვის აშკარა იყო. „ეკონომიური ბრძოლა, — წერდა გ. წერეთელი, — განა ჩვენს შინაურობაში კი არ არის? თვით ჩვენი შეძლებული, ფულით გამდიდრებული იმერლობა თავისსავე საწყალს, გაღარიბებულ შოძმე იმერელს სულსა წვდის და, როგორც მოგეხსენებათ. ჭინდ მგელს (მებატონეს, ი. კ.) შევუჭამივარ, გინდ მგლისფერ

---

[1] «Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутайсской губерниях», под. ред. Ф. Г. Гогичайшвили, Тиф., 1910.

[2] ჟურნ. „მოამბე“, № 2, 1899, განყ. II, გვ. 52—70.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 340.

ძაღლს (კულაკს, ი. კ.) სულერთია...". აზუსტებდა რა ავტორი თავის აზრს, დასძენდა „მდიდარი იმერელი ღარიბი იმერლის მიწა-წყალს იფლობსო"[1].

ასე და ამრიგად კარგავდა გლეხობის ერთი ნაწილი მიწას და, ბოლოს, შრომის იარაღსაც, ხდებოდა უშუალო მწარმოებლის გამოცალკევება წარმოების საშუალებათაგან.

გლეხობის ნაწილი, რომელმაც მოასწრო გაბოგანოება, ქმნიდა სოფლის მოჯამაგირეთა კადრებს, სოფლის პროლეტარიატს და თავისუფალი მუშახელის რეზერვს მრეწველობისათვის, ქალაქებისათვის. მეორე მხრივ, გლეხთა გაბოგანოების შედეგად ადგილ-მამული მიწათმფლობელთა შედარებით მცირე ჯგუფის კერძო საკუთრება ხდებოდა. მიწის წოდებრივი-ფეოდალური საკუთრება ადგილს უთმობდა მიწაზე ბურჟუაზიულ საკუთრებას. ექსპროპრირებულ საწარმოო საშუალებათა თავმოყრამ კულაკობის ხელში კიდევ უფრო გაზარდა კულაკურ მეურნეობათა მოგების წყაროები. ასეთ პირობებში კულაკი, რასაკვირველია, მეტს თესავდა და მეტსაც იმკიდა, მაგრამ კულაკი ამას აღწევდა შედარებით ნაკლები შრომის დახარჯვით, რაც მსხვილი მეურნეობის უპირატესობის შედეგად ხდება ხოლმე და, რაც სამიწათმოქმედო შრომისაგან ათავისუფლებს ზედმეტ მუშახელს.

ამრიგად, სოფლად მიმდინარე კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პროცესი ჯერ დაქირავებულ სოფლის მუშად, სოფლის პროლეტარად, მოჯამაგირედ აქცევს მცირენადელიან გლეხს, შემდეგ კი, კულაკური მეურნეობის გაფართოებისა და განვითარების კვალობაზე, სამუშაოსაც ართმევს მას და ქალაქისაკენ, კაპიტალისტური საწარმოსაკენ უჩვენებს გზას, და აქაც, ყოველთვის როდი ხვდება ღია კარები.

ჩვენ ზიერ ზემოთ აღწერილი პროცესი აშკარად გვიჩვენებს მსხვილ-გლეხურ მეურნეობათა რენტაბელობასა და შე-

---

[1] ჟურნ. „კვალი", № 3, 1895, გვ. 4.

დარებით სიმყარეს. ასეთი მოვლენები, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რუსეთის სოფლის მეურნეობაში თავის დროზე შეუნიშნავთ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს. ვ. ი. ლენინს, მოჰყავდა რა ვ. პოსტნიკოვის აზრი იმის შესახებ, რომ „მეურნეობისა და სახნავის გადიდებასთან ერთად გლეხთა ხარჯი მუშახელის, მოჯამაგირეებისა და პირუტყვის შესანახად, — ეს უმთავრესი ხარჯი სოფლის მეურნეობაში, — პროგრესულად კლებულობს, და ბევრისმთესველი ჯგუფები ერთ დესეტინა ნათესზე თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებს ხარჯავენ, ვიდრე მცირემთესველი ჯგუფები“, თავის მხრივ დასძენდა, რომ „მსხვილ გლეხურ მეურნეობათა მეტი პროდუქტიულობის და, მაშასადამე, მეტი სიმყარის კანონს ბ-ნი პოსტნიკოვი სრულიად სამართლიანად აკუთვნებს დიდ მნიშვნელობას“[1].

მსხვილ კულაკურ მეურნეობათა წარმოქმნამ სოფლად შექმნა „ჭარბი“, „აგრარული მოსახლეობა“, ჭარბი მუშახელი, როგორც ითქვა. მსხვილი კულაკური მეურნეობანი ნაკლებ მუშახელს საჭიროებდნენ, ხოლო თავადაზნაურული მეურნეობა, რომელმაც შედარებით, ერთგვარი სიმტკიცე შეინარჩუნა საგლეხო რეფორმის მებატონური ხასიათის გამო, აგრეთვე ნაკლებად საჭიროებდა თავისუფლად დაქირავებულ მუშახელს იგი შრომამიგების სისტემაზე იყო დამყარებული. „შრომამიგება არის საბატონო მეურნეობიდან კაპიტალიზმზე გადასვლა. — განმარტავდა ვ. ი. ლენინი, — შრომამიგების არსი ის არის, რომ მემამულეთა მიწებს გლეხები ამუშავებენ თ ა ვ ი ს ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი თ, რისთვისაც იღებენ საზღაურს ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით (მიწა, ჩამონაჭრები, საძოვარი, საზამთრო სესხი და სხვ.)... შრომამიგებითი მემამულური მეურნეობისათვის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ნადელიანი გლეხი, რომელსაც გააჩნია თუნდაც უცუდესი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი; აუცილებელია აგრეთვე, რათა ეს გლეხი წელში გატეხილი იყოს გაჭირვებით და კაბალას თანხმდებოდეს. კაბალა თავისუფალი დაქირავების ნაცვლად შრომამიგების აუცილებელი თანამგზავრია“[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 70—71.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 87.

ამრიგად, გლეხურ მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება და, მეორე მხრივ, თავადაზნაურული მეურნეობის შედარებითი სიმტკიცე ქმნიდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში შეფარდებით „ჭარბ“ სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობას.

საგლეხო რეფორმის შემდეგ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება საქართველოში[1], როგორც უკვე აღვნიშნეთ, იწვევდა სოფლად გლეხების ფენებად დაშლას. „ყველა ეკონომიური წინააღმდეგობის ერთობლიობა გლეხობაში წარმოადგენს სწორედ იმას, — როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, — რაც ჩვენ გლეხობის დაშლას ვუწოდებთ. თვით გლეხები მეტად მოსწრებულად და მკაფიოდ ახასიათებენ ამ პროცესს ტერმინით: „განგლეხება“... ეს პროცესი ნიშნავს ძველი პატრიარქალური გლეხობის ძირფესვიანად დაშლას და სოფლის მოსახლეობის ახალი ტიპების შექმნას“[2]. ეს ტიპებია სოფლის ბურჟუა და სოფლის პროლეტარი — კულაკი და მოჯამაგირე. ლენინი სწორედ მოჯამაგირეს, სოფლის დღიურ მუშას, მშენებელ მუშას ან კიდევ სხვა რომელიმე მუშას, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ამა თუ იმ ოდენობით „ნადელი“, თვლიდა სოფლის პროლეტარის უაღრესად ტიპიურ წარმომადგენლად. მსგავსივე მოვლენასთან გვაქვს საქმე საქართველოშიც, კიდევ მეტი, „ნადელიანი მუშა“ ავსებდა არა მარტო სოფლის პროლეტართა რიგებს, არამედ ქალაქის პრო-

---

[1] ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ამ პროცესის შესახებ ხ. ა. ვერ იშვეი წერდა:

«Постепенный процесс мобилизации крестьянской надельной земли в руках несколько наиболее зажиточных поселян последовательно ведет к образованию в крестьянской среде более или менее значительного числа хозяйства, только по имени сохранивших сходство с чисто крестьянскими, в действительности же представляющих нечто среднее между хозяйствами батрацким и самостоятельным» («Свод материалов по изучению економического быта государственных крестьян Закавказского края», 1888, т. IV, ч. I, стр. 457).

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 186—187.

ლეტართა რიგებსაც, როდესაც ეწეოდა იგი „ორმისამართიან“ ცხოვრებას.

ამრიგად, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების, მისი გაფართოება-გაღრმავების კვალობაზე გლეხობის უდ-დესი უმრავლესობა განიცდიდა ე. წ. „განგლეხებას“, კარგავდა იმ მცირე ადგილ-მამულსაც, რომელიც მას მებატონურმა რეფორმამ არგუნა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს გლეხობის სოციალური დიფერენციაციის ფაქტი (ვდიდრებად, საშუალო კლეხად და სოფლის პროლეტარიატად) აღიარებულია ოფიციალური წყაროებითაც[1]. 90-იანი წლების ბოლოს დუშეთის მაზრის გლეხთა 67 პროცენტი მოჯამაგირეობითა და დღიური მუშაობით ცხოვრობდა, დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო გორის მაზრაში[2], და ქართლის სხვა რაიონებშიც[3].

ეს ძირითადი საერთო კანონზომიერება იყო არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი რუსეთის იმპერიისათვისაც; ამიტომ სრულიად მართებულად აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი 1899 წელს, რომ „დაშლა ახლა უკვე მომხდარი ფაქტია, რომ გლეხობა სავსებით გაითიშა მოწინააღმდეგე ჯგუფებად“[4]. და რომ „თანამედროვე საზოგადოებაში გლეხობა, რა თქმა უნდა, უკვე არ წარმოადგენს ერთიან კლასს“[5].

საქართველოში გლეხობის სოციალური დიფერენციაციის შესახებ 1904 წელს ფ. მახარაძე წერდა: „თანამედროვე კაპიტალისტური წესწყობილების გამო გლეხკაცობა თანდათან იყოფა სამ ნაწილად: უმცირესობას შეადგენს სოფლის ბურჟუაზია, ე. ი. შეძლებული გლეხები, რომლებიც მიწა-წყალს ფლობენ და ვაჭრობასაც მისდევენ: ესენი დღევანდელი ცხოვრების პირობებშიაც იოლად მიდიან. მეორე, უმრავლესობას

---

[1] «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», т. V. ч. II, стр. 23.

[2] И. Веретенников, По поводу податной реформы на Кавказе (Журн. «Русская мысль», 1902, кн. VII, стр. 130—135).

[3] «Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе», 1897, стр. 80.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 203.

[5] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 131.

შეადგენს ხელმოკლე გლეხები, რომელთაც მიწა-წყალი იმდენად ცოტა აქვთ, რომ იძულებული არიან მემამულეებისაგან ღალათ აიღონ, და მესამე ჯგუფს — გლეხები, რომელთაც ან სულ არა აქვთ და ან სულ მცირე, დანის პირის ოდენა საკუთრება შერჩენიათ და იძულებული არიან მოჯამაგირეებად დაუდგხენ მემამულეებს ან კიდევ სრულებით მოშორდნენ სოფლებს და ქალაქის მუშად გადაიქცნენ, რაც უფრო ხშირდება"[1].

საქართველოში გლეხთა სოციალურ ჯგუფებს შორის თანაფარდობის საკითხი დღესაც სადაოა. მოვიტანოთ ზოგიერთ ავტორთა მოსაზრება ამ საკითხზე. თედო ღლონტის გაანგარიშებით თბილისის გუბერნიის დროებითვალდებულ გლეხთა დიფერენცირების შედეგად შექმნილა გლეხობის სამი ფენა: ღარიბი, საშუალო და მდიდარი. აქ ღარიბი გლეხობა წარმოადგენდა მთელი გლეხობის 58,2 პროცენტს, საშუალო გლეხობა — 21,7 პროცენტს და შეძლებულნი კი 19,8 პროცენტს[2]. კ. ორაგველიძის გაანგარიშება ჩატარებულია მიწის ფართობის ოდენობის საფუძველზე და ემყარება შიდა ქართლის 26 სოფლის მასალებს. ამ მასალების საფუძველზე, ავტორის აზრით, ღარიბები შეადგენდნენ მთელი გლეხური მოსახლეობის 64,8 პროცენტს, საშუალო გლეხები — 26,4 პროცენტს და კულაკები — 8.8 პროცენტს. კ. ორაგველიძის ეს მონაცემები ძირითადად ემთხვევა გლეხობის სოციალური დიფერენციაციის ზოგად კანონზომიერებას[3]: ამიტომაც იგი გაუზიარებია გ. ხაჭაპურიძესაც[4]. საერთოდ გლეხთა სოციალური დიფერენციაციის სტატისტიკისა და თეორიის საკითხები საფუძვლიანადაა გაშუქებული საბჭო-

---

[1] ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. II. 1925, გვ. 81—82.

[2] გაზ. „სახალხო გაზეთი", 1911 წლის 18 მარტი და 16 ნოემბერი.

[3] К. Орагвелидзе, К вопросу о развитии капитализма в сельском хозяйстве Закавказья («История классовой борьбы Закавказья», Тиф., 1930, стр. 24—33).

[4] Г. В. Хачапуридзе, Грузия во второй половине XIX века, (Журн. «Историк-марксист», № 8, 1940, стр. 50).

თა ისტორიულ და ეკონომიურ ლიტერატურაში[1], ამიტომ მასზე არ ვჩერდებით.

საქართველოს სოფელში მიმდინარე სოციალური დიფერენციაციის პროცესის უფრო დეტალური და ამომწურავი შესწავლა მეტად გართულებულია, თითქმის შეუძლებელია. რუსეთში კი ეს არც თუ ისე ძნელია, იქ საერობო სტატისტიკის არსებობის გამო. ჩვენში არ არსებობდა ერობა და, მაშასადამე, არც ოდნავ მოწესრიგებული სტატისტიკური საქმიანობა. ამიტომ ყოველივე იმას, რაც ზემოთ ითქვა გლეხობის სოციალური დიფერენციაციის შესახებ, შეიძლება დავუმატოთ არაპირდაპირი მასალები ზოგიერთ მაზრაში მიმდინარე სოციალური დიფერენციაციისათვის თვალის გასადევნებლად[2].

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქუთაისის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა და ოზურგეთის მაზრაში სოციალური დიფერენციაციის სურათი შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ქუთაისის მაზრის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში ღარიბი გლეხები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 43 პროცენტს, საშუალო გლეხები — 39 და კულაკები — 18 პროცენტს. ოზურგეთის მაზრაში ეს პროცესი უფრო ღრმად წასული ჩანს. აქ ღარიბი გლეხები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 67 პროცენტს, საშუალო გლეხები — 25 და კულაკები — 8 პროცენტს. აღნიშნულ მაზრებში ყველა გლეხის სარგებლობაში მყოფი მიწების 42—54,3 პროცენტი კულაკურ მეურნეობათა ხელში იყო თავმოყრილი. საქონლის განაწილების მდგომარეობა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: სიღნაღის მაზრის სრულიად უსაქონლო მეურნეთა რაოდენობა შეადგენდა 41,2 პროცენტს, 48,6 პროცენტს არ ჰყავდა მუშა საქონელი, 65,8 პროცენტს კი მეწველი საქონელი. ყოველივე ამის შედეგად ღარიბი გლეხის ბიუჯეტი მუდმივი დეფიციტით ხასიათდებოდა[3]. ესენი იძულებულნი იყვნენ მოეხდინათ საკუთარი მეურნეობის ლიკვიდაცია — გაეყიდათ მიწის უკანასკნელი ნაჭერიც და

---

[1] Журн. «История СССР», № 1, 1966 г.

[2] ი. ხუციშვილი, 1905—1906 წლების რევოლუცია საქართველოში 1955, გვ. 18—22.

[3] «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», Тиф., 1893, т. 1, стр. 198—206.

შეევსოთ ქალაქისა და სოფლის პროლეტართა რიგები. ეს, მთელი საქართველოსათვის გასული საუკუნის 80—90-იან წლებში დამახასიათებელი საერთო პროცესი, განსაკუთრებით ცხადად იხატებოდა დასავლეთ საქართველოში[1]. აქ კი სხვა მაზრებიდან გამოირჩეოდნენ ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, შორაპნისა და ლეჩხუმის მაზრები[2].

კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში, გლეხობის ფენებად დაშლა და გლეხობის უდიდესი უმრავლესობის გაღატაკება. ერთი მხრივ, სოფლის, თითქმის მთელი საწარმოო საშუალებათა თავმოყრა ერთი მუჭა კულაკურ მეურნეობათა ხელში, მეორე მხრივ, ახასიათებდა საქართველოს ყველაკუთხეს, საგულისხმო რეფორმის შემდეგ. ამიტომ დაახლოებით სწორად აღნიშნავდა მიხა ცხაკაია 1905 წელს რსდმპ III ყრილობაზე, როდესაც საქართველოს გლეხობის უდიდეს უმრავლესობას ნახევრად პროლეტარულ კლასად თვლიდა[3].

ვ. ი. ლენინი როგორც ერთცხენიან, ისე უცხენო გლეხსაც სოფლის პროლეტარულ ელემენტად თვლიდა. იგი წერდა: „თავისი საარსებო დონით ერთცხენიანი და უცხენო გლეხები მოჯამაგირეებზე მაღლა არ დგანან, პირიქით, უფრო უახლოვდებიან მოჯამაგირის ცხოვრების დონის mini-

---

[1] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", 1971, გვ. 29.

[2] «Громадное большинство лечхумского крестьянства не самостоятельные хозяева, это скорее полупролетарии или даже настоящие пролетарии, их земледельческое хозяйство при таких земельных отношениях, какие сложились после уничтожения крепостного права, в самом лучшем случае дает возможность только лишь не умереть с голоду» (Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края», т. IV, стр. 104).

[3] მ. ცხაკაია ამბობდა:

«Крестьянскую буржуазию представляет самый незначительный процент «ростовщиков» и разных «промышленников». Среднее крестьянство также очень незначительно сравнительно с остальной массой. Понятно отсюда, что громадная масса крестьянства по своему экономическому положению ниже среднего, т. е. это или полупролетарии или приближающиеся к ним» («Протоколы третьего съезда РСДРП», под ред. Н. К. Крупской, М., 1937, стр. 241).

mum-ს"[1] ამის გამო „ყველა უცხენო გლეხი და ერთცხენიანი გლეხების უმრავლესობა უნდა მიეკუთვნოს სოფლის პროლეტარიატს"[2]. მაგრამ ლენინი იქვე მიუთითებდა, რომ ამასთან ერთად საჭიროა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებაც. რითაც შესაძლებელი გახდებოდა გლეხობის ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებაში ერთგვარი, ადგილობრივი პირობებით ნაკარნახევი, კორექტივის შეტანა.

საქართველოში, ერთცხენიანი (ან ცალხარიანი) გლეხობა მხედველობაში რომ არ მივიღოთ (განსაკუთრებით ძვირფასი და ტექნიკური კულტურების რაიონში ამას მოითხოვს ადგილობრივი პირობების გათვალისწინება) უცხენო (ან მუშა საქონელს სრულიად მოკლებული) გლეხობა, მთელი გლეხობის ნახევარზე მეტი იყო, ე. ი. საქართველოს სოფელში ჭარბად იყო წარმოდგენილი პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტები. მათი მდგომარეობა პირდაპირ მათხოვრული იყო. ამას გლეხის ბიუჯეტის მონაცემებიც ადასტურებს. ღარიბი გლეხის ბიუჯეტი ქრონიკული დეფიციტით ხასიათდებოდა[3]. ამ მძიმე მდგომარეობიდან ღარიბი გლეხობა გამოსავალს ეძებდა გარესამუშაოზე გასვლით, მიწის იჯარით აღებით, მოჯამაგირეობით და ა. შ.

XIX საუკუნის 80—90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, მასობრივად გადიან სოფლებიდან, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან გარესამუშაოზე უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები. ყველაზე მეტად ისინი მიდიოდნენ შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში და, ხშირად, საქართველოს საზღვრებს გარეთაც კი. ამ მოვლენას სერიოზულად მიუპყრია ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება, ის მრავალმხრივი განხილვისა და მსჯელობის საგნად გაუხდია მაშინდელ ქართულ პრესას.

მცირემიწიანობისა და მასთან დაკავშირებით გლეხობის ძირითადი მასის შემდგომი გაღატაკების შესახებ ჟურნალი „მწყემსი" წერდა: „1864 წლიდან ხალხის რიცხვმა ერთიორად

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 181.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 192.
[3] ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 22.

იმატა. საბატონო გლეხებს, რომელთაც ბატონყმობის გადაარდნის დროს 3—4 ქცევა მიწა შეხვდა, დღეს ეს მიწა 3—5 არის დანაწილებული. სახაზინო გლეხებშიც წინანდელი i გლეხი 2—3 ოჯახად დანაწილდა... „სანადელო მიწაც“ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 1—3 დესეტინას შორის მერყეობს. დღემდის ჯერ კავკასიაში გლეხთა 50—70% არ განთავისუფლებულა მებატონეებისაგან, ხოლო გამოუსყიდველი მიწა მთელს 75% შეადგენს. დროებით ვალდებულ გლეხს კი 3—4 დესეტინაზე მეტი არ უჭირავს“[1].

ბატონყმობის ნაშთების სიჭარბისა და სიმძიმის შესახებ ქიზიყიდან იტყობინებოდნენ: „დღეს თუმცა დიდი ხანია, რაც ბატონყმობა კანონით მოისპო ყველასათვის, მაგრამ აქ უმეტეს ნაწილმა სრულებით არ იცის, თუ რა ხილია თავისუფლება. ნადელებიდან ვერ დაუღწევიათ თავი და ისევ ისე ძველებურად თავიანთი მებატონეების მამულზე ცხოვრობენ. ისინი ჭუშაობენ და მზამზარეულს, მომკილსა და გალეწილს ღალას აძლევენ მამულის პატრონებს. ზოგს მათგანს ნარდად აქვს აღებული მიწა და მიუხედავად იმისა, იქნება მოსავალი თუ არა, გადასახადი უნდა აძლიოს ან სულადათ ან ფულად. ვისაც ასე ნარდად არ აქვს გადაწყვეტილი, ისინი კიდევ უფრო უარეს დღეში არიან, რადგანაც მათ არ შეუძლიათ, როცა სურთ ან უჭირთ, თავიანთი მოსავალი გაჭირვების დროს გაჰყიდონ, რადგან „უსტავნის გრამატების“ ძალით მებატონეების დაუკითხავად და ნებადაურთველათ არ შეუძლიათ არც ყანის მომკა და არც ვენახის დაკრეფა“[2].

ჟურნალი „მოამბე“, მიმოიხილავდა. რა გლეხობის მიწით უზრუნველყოფის საკითხს, აღნიშნავდა: „მცირე მამულიანობას ის მოჰყვა, რომ ხალხი გარბის, დღეს იმერელს შეხვდები ახალციხის მაზრასა, ბორჩალოს მაზრასა და ჩრდილოეთ კავკასიაში..., თბილისის გუბერნიაში..., თითო გლეხს მიეზომა (რეფორმის შედეგად, ი. კ.) „უსტავნი გრამოტით“ ორ დღიურზე ცოტა მეტი, ე. ი. 19-ჯერ ნაკლები, ვინემ სტავროპოლის გუბერნიის გლეხს... ხალხმა იმატა ერთი ორად, სამად და მა-

---

[1] ჟურნ. „მწყემსი“, № 13—14, 1897, გვ. 10—11.

[2] ჟურნ. „კვალი“, № 42, 1896, გვ. 747—743.

შინდელი საგლახაკო ნადელი კი ერთი ორად-სამად შემცირდა"[1].

უმიწო და მცირემიწიანი გლეხები სამუშაოს ეძებდნენ საქართველოს გარეთაც, და ხშირად, უკან არც კი ბრუნდებოდნენ. მკვიდრდებოდნენ ახალ ადგილებზე. ამის შესახებ გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა: „დღეს მთელს თერგისა, დონის, აზოვის და დაღესტნის ოლქებში 1600 კომლი ქართველი მცხოვრები ირიცხება. 12% აქედან თბილისისა და ქუთაისის ძხრიდან არიან გადმოსახლებულნი, ხოლო დანარჩენი რაჭისა და დუშეთიდან"[2].

საქართველოდან გლეხობის თითქმის მასობრივად გასვლაჰ გარესამუშაოზე მიიპყრო გამოჩენილი ქართველი პროფესიონალ-რევოლუციონერისა და თავის დროს ფრიად განათლებული მარქსისტის ალ. წულუკიძის ყურადღება. ამის შესახებ იგი წერდა: „ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ აავოძრავა ეკონომიურმა სივიწროვემ ჩვენებური გლეხები: სვანი, რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვათ მოედინებიან ქალაქებისაკენ და ადგილს დაეძებენ"[3]. ასე იყო მთელ საქართველოში[4].

ჟურნალი „საქართველოს კალენდარი" აღნიშნავდა სოფლებიდან ქალაქებისაკენ გლეხობის არა მარტო ლტოლვის

---

[1] ჟურნ. „მოამბე", № 2. განყ. II. გვ. 52—70.

[2] გაზ. „ივერია", 1904 წლის 20 მარტი.

[3] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 174.

[4] გლეხობის გარესამუშაოზე ლტოლვის ფაქტს ადასტურებს კავკასიის მაშინდელი ოფიციალური ხელისუფლებაც. ა. ვორონცოვ-დაშკოვი წერდა:

«Почти все сельское население рабочего возраста в Гурии, Имеретии, Мингрелии занимается отхожими промыслами, отнюдь не порывая связи с родиной. Гурийцы и мингрелы составляют главный контингент всевозможных рабочих во всех черноморских портах, начиная с Батуми, Поти и Сухума и кончая Одессою и Константинополем. Имеретины также охотно занимаются всевозможными профессиями при своих отходах с родины, почти исключительно контингент домашной прислуги во всех городах Кавказа и появляются... во многих городах Российской империи вплоть до Владивостока (А. Воронцов-Дашков, Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем», 1907, стр. 26).

ფაქტს, არამედ ცდილობდა აეხსნა მისი სოციალურ-ეკონომიური ხასიათი. „ცოტა მიწის მქონე გლეხს ან სრულიად უმამულოს, — ვკითხულობთ აღნიშნულ ჟურნალში, — შეძლებაც არა აქვს სოფელშივე სადმე დღიურ მუშად დადგეს და უმამულობისაგან წარმომდგარი დანაკლისი დღიურ ქირაზე მუშაობით შეივსოს. ჩვენებურს სასოფლო მეურნეობაში ჯერ კაპიტალიზმი არ შესულა (?), წარმოების წესი არ შეცვლილა (ეს ნაწილობრივ შეეხება თავადაზნაურულ მეურნეობას, ი. კ.); არ მოიპოვება დიდი მამულები, რომლებსაც პატრონი გაუმჯობესებული მაშინებით ამუშავებდეს, კაპიტალს ანდომებდეს და ამიტომ მოქირავე მუშებს საჭიროებდეს და კიდეც ხმარობდეს. ჩვენში დაქუცმაცებული წვრილი სამეურნეო წარმოება არსებობს და არა მსხვილი და ამის გამო თავისუფალი, საკუთარ სამუშაოს მოკლებული მუშახელი იქ ვერ შოულობს საქმეს და ცხოვრების წყაროს... დღეს მიწის შემოსავალს მოკლებული გლეხი საშინაო მრეწველობითაც ვეღარ ივსებს თავის შერყეულ ბიუჯეტს და ვეღარ იადვილებს ცხოვრებას. შინამრეწველობის ტექნიკა პრიმიტიულია, ნაწარმოების დამზადებას შეუფერხებლად ბევრი დრო და ჯაფა უნდება, გასავალი. ბაზარი კი თითქმის სულ არა აქვს, რადგან ხალხის გემოვნება შეიცვალა და უფრო იაფს და ლამაზ უცხო ნაწარმოებს შეეჩვია.

უმამულო გლეხისათვის სოფელში ფულის შოვნა და ოჯახის შემოსავლის საჭირო დონეზე დაყენება ხშირად შეუძლებელია. ამ სახით უმთავრესი და უძლიერესი მიზეზი სოფლის ხალხის ქალაქებში გადმოხიზვნისა ეკონომიური უსახსრობა და გაჭირვება არის. სოფლის ხალხი ქალაქში ეძებს საშუალებას თავის რჩენისას, ცოლ-შვილის გამოკვებისა, გადასახადთა გასტუმრების სახსარს“[1].

ეს პროცესი დამახასიათებელია მთლიანად საქართველოსათვის, ამიტომ ის, რაც ძალაშია ერთი რომელიმე პროვინციის მიმართ, შეიძლება, მეტ-ნაკლებად გავრცელდეს მთელ ქვეყანაზეც. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ერთ-ერთი ოფიციალური წყაროდან შემდეგი ადგილის მოტანა: „ლეჩხუმის გლეხობის უდიდესი უმრავლესობა დამოუკიდე-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს კალენდარი“, 1904, გვ. 282—292.

ბელი მეურნეები როდია, ესენი უფრო ნახევრადპროლეტარები ან ნამდვილი პროლეტარები არიან, მათი სამიწათმოქმედო მეურნეობა აგრარული ურთიერთობის ისეთ პირობებში, როგორიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შეიქმნა, საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ძიმშილით არ ამოწყდნენ"[1].

საქართველოში გლეხობის ნახევარზე მეტი მიწის იჯარით ამღები იყო. ქუთაისის გუბერნიაში მიწას იჯარით იღებდა მთელი გლეხური მოსახლეობის 60—64 პროცენტი. მცირემიწიანობა ზღაპრულად ზრდიდა საიჯარო ფასს. 1902 წელს ქუთაისის გუბერნიაში საიჯარო ფასი საშუალოდ 13,3 მანეთიდან 18 მანეთამდე მერყეობდა, თბილისის გუბერნიაში კი 7,5 მანეთიდან 12,2 მანეთამდე[2]. საიჯარო ფასის ნატურალური გადახდევინება კიდევ უფრო მეტი იყო. ქუთაისის გუბერნიაში იგი აღწევდა მოსავლის ერთი მეოთხედიდან ნახევრამდე ან 25-დან 50 პროცენტამდე. თბილისის გუბერნიაში — ერთი მეათედიდან ნახევრამდე.

მაღალი საიჯარო ფასის ან მიწის რენტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მიწის ფასიც, რაც წარმოადგენდა კაპიტალიზებულ რენტას. ქუთაისის გუბერნიაში 1889 წელს ერთი დესეტინა მიწა იყიდებოდა 297 მანეთად, თბილისის გუბერნიაში — 81 მანეთად, 1899 წელს ქუთაისის გუბერნიაში მიწის ფასმა მიაღწია 352 მანეთს, თბილისის გუბერნიაში — 112 მანეთს[3].

მიწის საიჯარო ფასისა და მასთან ერთად მიწის ფასის ზრდა გამანადგურებლად მოქმედებდა სოფლის მეურნეობაზე. იგი აფერხებდა მსხვილ, რაციონალურ-კულტურულ მეურნეობათა განვითარებას სოფლად. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საქართველოში გავრცელებული იყო უმთავრესად მოკლევადიანი იჯარა, რომელიც აგრეთვე ძირს უთხრიდა სოფლის მეურნეობას და კიდევ უფრო აძლიერებდა გლეხის კაბა-

---

[1] ციტ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", 1971, გვ. 29.

[2] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, стр. 9.

[3] იქვე, გვ. 135—136.

ლურ მდგომარეობას. ის იწვევდა სოფლის მეურნეობაში მრავალწლიანი ნარგავებითა, და საერთოდ, ტექნიკური კულტურებით დაკავებულ ფართობთა მაქსიმალურ შემცირებას. ყოველ შემთხვევაში, ხელს უშლიდა მათ შემდგომ განვითარებას, აგრეთვე იწვევდა ნიადაგის გამოფიტვას მიწის მტაცებლური ექსპლოატაციის გამო. ყოველივე ეს მეტისმეტად აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა დღითი-დღე ეცემოდა. ასე მაგალითად, XIX საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში საშუალო ხარისხის ერთი დესეტინა მიწიდან გლეხი ღებულობდა საშუალო 180—200 ფუთ სიმინდს, 900-იან წლებში კი მხოლოდ 60—70 ფუთს. XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისის გუბერნიაში საშუალო ხარისხის ერთი დესეტინა მიწიდან გლეხი ღებულობდა საშუალოდ 60 ფუთ ხორბალს, 90-იან წლებში კი მხოლოდ 40—50 ფუთს[1]. „საერთოდ ამიერკავკასიაში მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 1884 წელს 4,45 ჩეტვ. პუდეული, 1901 წელს — 2.10, ხოლო 1914 წელს — 2,70, ე. ი თითქმის 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1884 წელს. ამასთანავე, აღებულ 1884—1914 წწ., ე. ი. 30 წლის განმავლობაში პუდეულის მთლიანი მოსავალი მხოლოდ 15.5 პროცენტით გადიდდა, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიაში მოსახლეობა ამავე ხნის მანძილზე გაიზარდა, დაახლოებით, 55 პროცენტით"[2].

საქართველოში ღარიბი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობდა[3]. სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მასალებით შესაძლებელი ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩაბმული დაქირავებული მუშახელის დაახლოებით რაოდენობის აღრიცხვა. აღწერის მომენტისათვის საქართველოს სოფლის

---

[1] «Кавказское сельское хозяйства за 1900». стр. 605.

[2] ვ. გუგუშვილი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ., 1954, გვ. 146—147.

[3] გლეხობის ფენებად დაშლა აფართოებს შინაური ბაზრის მოცულობას — იზრდება მოხმარების საგნებისა და წარმოების საშუალებათა ბაზარი. პირველს უმთავრესად ქმნის გლეხობის გადაქცევა სოფლის პროლეტარიატად, მეორეს — უმთავრესად გლეხობის გადაქცევა სოფლის ბურჟუაზიად (ვ. ი. ლენინი თხზულებანი, ტ. 3, გვ. 178).

მეურნეობაში დაქირავებული მუშახელის რაოდენობა 62 ათასამდე აღწევდა[1], რაც შეადგენდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 3,15 პროცენტს, ან მხოლოდ სოფლის მოსახლეობის 3,7 პროცენტს.

საქართველოს გლეხობის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, შედარებით სრული სახით, წარმოგვიდგენს მეფის ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის ზოგადი გაცნობაც კი. საგლეხო რეფორმის შემდეგ ყოველგვარ პირდაპირ სახელმწიფო გადასახადს და საერობო გამოსაღების უდიდეს ნაწილს მხოლოდ გლეხობა იხდიდა. თავადაზნაურობა თავისუფალი იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან, იგი იხდიდა მხოლოდ საერობო გამოსაღების მცირე ნაწილს. მთელი გლეხობა, რომელიც თავადაზნაურობაზე მხოლოდ ორჯერ მეტ მიწას ფლობდა, იხდიდა ორჯერ მეტს ფულადი გადასახადის სახით, საერობო ბეგარა-ვალდებულებანი კიდევ სხვა იყო.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სახელმწიფო გლეხის ერთ დესეტინა მიწაზე მოდიოდა 78 კაპიკი საერობო გადასახადი. მაშინ, როდესაც ევროპული რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში იგი, მხოლოდ 10,5 კაპიკს შეადგენდა. 900-იან წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში „სანადელო" მიწა 3—4-ჯერ მეტად იბეგრებოდა, ვიდრე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში[2].

მეფის ხელისუფლებამ 1901 წელს კავკასიაში ჩაატარა მიწის დაბეგვრის რეფორმა. ამ რეფორმით კომლობრივი და სხვადასხვა სახის გადასახადები გაუქმდა. მათ მაგიერ დაწესდა: 1. სახელმწიფო საღალო გამოსაღები იმ სახელმწიფო მიწებზე, რომლებიც გლეხთა მუდმივ სარგებლობაში იყო, 2. სახელმწიფო-საადგილმამულო გადასახადი ყველა სხვა მიწებზე, 3. საერობო გადასახადი (გავრცელდა) ყველა მიწაზე. ამ რეფორმით მთავრობა ხალხს ჰპირდებოდა საადგილმამულო გადასახადის სიმძიმის თანაბრად განაწილებას ყველა წოდებაზე, რაც ამაო

---

[1] ი. ხუციშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51—52.

[2] პ. გუგუშვილი, აგრარული ურთიერთობანი ამიერკავკასიაში, XIX—XX საუკუნის მიჯნაზე (საიუბ. კრებ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბ., 1955, გვ. 49—51).

დაპირება აღმოჩნდა. საერობო გადასახადი გლეხობას მხოლოდ ორი პროცენტით შეუმცირდა, საძაგიეროდ მათ გაუდიდეს სხვა სახის ბეგარა-გადასახადები. ამავე დროს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას მიეცა შეღავათები სახელმწიფო-საადგილმამულო გადასახადის გადახდაში: ამ გადასახადისაგან ისინი ჯერ სამი წლით გაანთავისუფლეს, შემდეგ კიდევ სამი წლით[1].

საგადასახადო რეფორმის შემდეგ მემამულე-თავადაზნაურობის ერთ დესეტინა მიწაზე მოდიოდა სახელმწიფო-საადგილმამულო და საერობო გადასახადი 20,4 კაპიკის რაოდენობით, ხოლო გლეხთა (დროებით ვალდებულთა) ერთ დესეტინა მიწაზე — 42.5 კაპიკი და ა. შ.

საერობო შემოსავლიდან პოლიციურ დაცვაზე იხარჯებოდა 57 პროცენტი, საგზაო მშენებლობაზე — 20, სამედიცინო მომსახურებაზე — 13 და სახალხო განათლებაზე — 4 პროცენტი[2].

ამრიგად, 1901 წლის საგადასახადო რეფორმას არსებითად არ შეუმსუბუქებია ხალხის, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის საგადასახადო ტვირთი. „ცარიზმის ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენდა აბიერკავკასიის მოსახლეობის ძირითადი მასების კოლონიური ექსპლოატაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იარაღს...“[3]. ცარიზმის არა მარტო ფისკალური, არამედ სამეურნეო-ეკონომიური ღონისძიებაც ამ მხრივ კოლონიური ექსპლოატაციის მიზანს ემსახურებოდა. ეს მიზანი თავის დროზე, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოაყალიბეს მეფის რუსეთის სატრაპებმა. აი, რას წერდა ერთ-ერთი მათგანი 1830 წელს: „საქართველოს ჩვენ უნდა ვუყურებდეთ, როგორც კოლონიას, რომელიც აწვდის რუსეთს უხეშ მასალას... ჩვენი ფაბრიკებისათვის და ჩვენგან კი მიაქვს ჩვენი მანუფაქტურის ნაკეთობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთუ საქართველოში დაარსდება მანუფაქტურა, შესუსტდებაო ბუნებრი-

---

[1] А. Воронцов-Дашков, Указ. отчет, стр. 89.

[2] იქვე, გვ. 98—99.

[3] პ. გუგუშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52—53.

ვი ურთიერთკავშირი საქართველოსა და ჩვენს შორის"[1]. აი, რა მიზანი ჰქონდა ცარისტულ სამეურნეო „სპეციალიზაციისა და კოორდინაციის", ან კოლონიური ექსპლოატაციის პოლიტიკას იმპერიის შემადგენლობაში შემავალ განაპირა მხარეების მიმართ! ამის შესახებ კიდევ უფრო აშკარად წერდა დიდმპყრობელური შოვინიზმის ერთ-ერთი ყურმოჭრილი მსახური: „ამიერკავკასია მოპოვებულია რუსული იარაღით... ამ მხარის მორალური დაპყრობა ჯერ არ დამთავრებულა. იგი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორიგაციული არხების ქსელის შექმნით და მორწყვის საქმის მოწესრიგებით... მხოლოდ მაშინ მოგვიტანს ეს კოლონია სარგებლობას და აანაზღაურებს იმ სისხლსა და ფულს, რაც დაჯდა მისი მოპოვება"[2]. მეფის ხელისუფლება, როგორც ცნობილია, ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხებს ღებულობდა კავკასიიდან. ასე მაგალითად, მან 1899 წელს მიიღო წმინდა შემოსავალი 4 185 ათასი მანეთის, 1900 წელს — 7 723 ათასი მანეთისა და 1901 წელს—11 504 ათასი მანეთის ოდენობით[3].

საქართველოს გლეხობის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა მათი პოლიტიკური უუფლებობა. საგლეხო რეფორმის შედეგად გლეხობის მიერ მოპოვებული იურიდიული უფლებანი, მეფის მოხელეთა ალვირახსნილი და განუკითხავი თარეშის გამო ფეხქვეშ ითელებოდა. გლეხის პიროვნება დამცირებული, დაბეჩავებული, მისი მოქალაქეობრივი შეგნება გატეხილი და ჩახშობილი იყო მეფის შექრთამე და გახრწნილი ბიუროკრატიის მიერ.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში არსებობდა ე. წ. საგუბერნიო მმართველობის სისტემა, რუსეთის ცენტრალური გუბერნიების მმართველობის სისტემისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შეზღუდული. სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგში და ბათუმის ოლქში ჯერ კიდევ კავკასიის ომების

---

[1] Акты, т. VII, док. 108 (См. журн. «Исторические записки», № 18, 1946).

[2] В. Дингельштадт, Водовладение и ирригация, М., 1880, стр. 2.

[3] ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1974, გვ. 370.

დროიდან შემოღებული იყო ე. წ. სამხედრო-სახალხო მმართველობა. ეს ნიშნავდა ადგილობრივი ხელისუფლების თავმოყრას ოფიცრის ხელში, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდალს, ხოლო მოსახლეობის შინაური საქმეების განმგებლობაში დაშვებული იყო ადათის გამოყენება. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, ოფიცერი სინამდვილეში წარმოადგენდა შეუზღუდველ სამხედრო ერთმმართველს, რაც სულს უხუთავდა მოსახლეობას და ძირშივე კლავდა საზოგადოებრივი ინიციატივისა და საქმიანობის ყოველგვარ გამოვლინებას. მმართველობის ამ სისტემის შეცვლის საკითხი წამოიჭრა 1883 წლიდან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებში და ბათუმის ოლქში საგუბერნიო მმართველობის სისტემის გავრცელებაზე. მინისტრთა საბჭო დაკმაყოფილდა ადგილობრივ მმართველობაში მხოლოდ ზოგიერთი ცვლილების შეტანით, რაც მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაში არაფერს ცვლიდა.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სასოფლო სამმართველოები, რომლებიც თვითმმართველობის მაგვარი ორგანოები უნდა ყოფილიყვნენ, გადაგვარდნენ ფისკალურ-პოლიციურ „კანცელარიებად". სასოფლო-საზოგადო კრებების მნიშვნელობა გაქარწყლდა, სასოფლო საზოგადოებათა ინიციატივა და სამეურნეო თვითმოქმედება ჩაკვდა იმის გამო, რომ სასოფლო „კანცელარიებმა" ხელთ იგდეს სასოფლო საქმეები. „კანცელარიებში", სამაზრო პოლიციის მხარდაჭერით, მოკალათდნენ სოფლის ბობოლა ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებას პირადი ანგარების და პოლიციური სამსახურისათვის იყენებდნენ. მათი აღვირახსნილი მოქმედების შედეგად სახელმწიფო და საზოგადო ბეგარა-გადასახადები მთლიანად სოფლის ღარიბსა და უღარიბეს მოსახლეობას აწვებოდა მძიმე ტვირთად. სოფლის შეძლებული და გავლენიანი ფენები თავს არიდებდნენ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ვალდებულებათა შესრულებას"[1].

სოფლის „კანცელარიათა" ძალაუფლების ზრდამ გამოი-

---

[1] А. Воронцов-Дашков, Указ. отчет, стр. 137.

ნაკია გლეხთა სასოფლო კრებების მიერ საკუთარი ფუნქციებისა დაკარგვა. ამ კრებებზე გაბატონდნენ ვაჭრები, კულაკები და პოლიციელები. ამ კრებებმა დაკარგეს ყოველგვარი ფასი გლეხობის თვალში. 1893 წლის ჟურნალ „კვალის“ კორესპონდენტი სოფლიდან იტყობინებოდა: „ვისაც თხუთმეტი წლის წინათ ჩვენი სოფლისათვის თვალყური უდევნებია, იმას ეხსომება, როგორ ბეჯითად დადიოდა ყოველი გლეხი ყრილობაზე, როგორი ხმაურობა ისმოდა იმ ყრილობებში... უქმე დღეს ყველა ყრილობისათვის ემზადებოდა, რომ იქ სასოფლო საქმეს თავისი ჭკუის ძალით შესწეოდა... იქ გესმოდათ დალაგებული სჯა ანეულის ხვნის ვადაზე, ფაცხების გატანაზედ, სიმინდის საჭრელად გასვლაზედ, სათიბის შეკვრისა და გახსნის ვადაზედ... გზებზედ, არხებზედ, ბოგირებზედ, ვენახის საქმეებზე, ქვრივ-ობოლთა ხელ-წაშველებაზედ... და სხვადასხვა. ამიტომაც ასეთ ყრილობაზედ ლაპარაკი ყველა გლეხისათვის გასაგები იყო. ეხლა კი სულ სხვას ვხედავთ. გლეხი მეტადრე რიგიანი მხვნელ-მთესველი ძალიან მიურბის აწინდელ ყრილობას... დღეს ყრილობაზედ ანგარიშს დუქნისას და ურიადნიკულ სკოლაში გაქნილ კაცებსა აქვთ ალაგი, იმ გლეხთა, რომელთაც მინდვრისა აღარა სწამთ რა და მთელს დღეს დუქნებში აღამებენ, საპრისტაოში საჩაფროებში... და სხვ[1].

მეორე კორესპონდენტი სასოფლო მმართველობის შესახებ წერდა: „გლეხის ეკონომიური დაქვეითება პირდაპირი შედეგია ერთის მხრივ აწინდელი უფლებრივი მდგომარეობისა და მეორე მხრივ სახელმწიფოს ფინანსური და ეკონომიური პოლიტიკის მიმართულებისა... ე. წ. საგლეხო თვითმმართველობა, რომელიც უფრო სახელმწიფო გადასახადის მოკრების საჭიროებასთან არის შეთანხმებული, ვიდრე გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესების მისწრაფებასთან... ჩვენებურის გლეხის ბედი და უბედობა დამოკიდებულია საგლეხო მმართველობისაგან, რომელსაც შეადგენენ ბოქაული, მაზრის უფროსი, საგუბერნიო მმართველობა, გუბერნატორი, გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულო და მთავარმართებელი... სოფლის საზოგადოების ყრილობაზე, რომელიც საგლეხო თვითმმართველო-

[1] ჟურნ. „კვალი“, № 14, 1893, გვ. 6.

ბის ცენტრს წარმოადგენს, თავს იყრის აუარებელი ხალხი, რომელსაც არ შეუძლიან საქმის ვითარების აწონ-დაწონვა. თვითმმართველობის მოხელეთა არჩევანიც მხოლოდ ფიქციაა და თავის მოტყვილება... არჩევანი მუდამ იმ პირზე დადგება ხოლმე, ვისაც ადმინისტრაცია მოისურვებს. ადმინისტრაციას უფლება აქვს არ დაამტკიცოს საზოგადოებისაგან არჩეული მამასახლისი"[1].

დაახლოებით ასეთივე შეფასებას აძლევდა ფ. გოგიჩაიშვილი მაშინ ქვეყნად შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. იგი 1905 წელს გაზ. „ივერიაში" წერდა: „ყირიმის დამარცხებამ რუსეთი აიძულა, ერთი დიდი ნაბიჯი გადაედგა მოქალაქეობრივი განვითარების გზაზე — მოესპო ბატონყმობა. მართალია, ეს საგრძნობელი ნაბიჯი იყო, მაგრამ... მოქალაქეობრივ წყობილებამდე კიდევ შორსაა. მესამოცე წლების რეფორმებს არ მოჰყვა ბიუროკრატიის თვითნებობის შესუსტება. ამიტომ ძველი წყობილება არსებითად მაინც იგივე დარჩა. საზოგადოება მაინც უუფლებო გამოვიდა, მაგრამ შემდგომ, ცხოვრებამ ნათლად გამოააშკარავა, რომ შეუძლებელია ძველს ორგანიზაციაში ახლის ცხოვრების მოთავსება. ახლანდელმა ომმა (რუსეთ-იაპონიის ომმა, ი. კ.) საბოლოოდ გამამართლა ეს აზრი. საერთაშორისო დამოკიდებულებამ გადაჭრით უპასუხა რუსეთის ეხლანდელ წყობილებას: შენ გამოუსადეგარი ხარ და უნდა შეცვლილ იქნეო.

შინაური ცხოვრებაც ამასვე ღაღადებს. წესიერი ცხოვრება შეუძლებელია იქ, სადაც მოქალაქეს არავითარი უფლება არა აქვს... მცხოვრებთათვის თანდათან აუტანელი ხდება ძველს პირობებში ყოფნა. ეს იწვევს ძველის წყობილების რყევას...

სწორედ ასეთი მომენტი დადგა დღეს რუსეთის ცხოვრებაში"[2].

ამრიგად, სოციალური დიფერენციაციის ღრმად წასულმა პროცესმა და გლეხობის პოლიტიკურმა უუფლებობამ მნიშვნელო-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წლის 6 თებერვალი.

[2] ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, გვ. 393—394.

ვანი რაოდენობით დააგროვა სოფლად პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტები, კიდევ უფრო გაამწვავა აგრარული და პოლიტიკური ურთიერთობანი საქართველოში. კლასობრივი წინააღმდეგობათა გამწვავება, ერთი მხრივ, მემამულეთავადაზნაურობასა და გლეხობას შორის და, მეორე მხრივ, სოფლის შეძლებულ გლეხობასა (კულაკობასა) და უღარიბეს გლეხობას შორის, უმაგალითოდ ზრდიდა სოფლად რევოლუციური აფეთქების ელემენტებს XIX საუკუნის მიწურულსადა XX საუკუნის დასაწყისში.

* * *

საქართველოში საწარმოო ძალთა განვითარებას, როგორც ცნობილია, ცარიზმი ხელოვნურად აფერხებდა, იგი ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს გადაქცევას სამრეწველო ნედლეულის წყაროდ და რუსეთის სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრად. იგი ხელს უშლიდა საქართველოს მდიდარ წიაღისეულთა ადგილობრივ დამუშავებას, უმდიდრესი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენება „ფუჭი და მავნე ფანტაზიად" ითვლებოდა[1]. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მსხვილი სამრეწველო ცენტრების შექმნა ცარიზმისა და რუსეთის ბურჟუაზიის ინტერესებში, რა თქმა უნდა, არ შედიოდა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში მრეწველობის განვითარება რუსეთის ბურჟუაზიისათვის ნიშნავდა: ჯერერთი, გასაღების ბაზრების დაკარგვას არა მარტო აქ, არამედ აღმოსავლეთშიც, განსაკუთრებით ირანში; მეორეც. ნედლეულის მდიდარი წყაროების დაკარგვას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, რომლებიც გადაქცეულნი იყვნენ ცენტრალური, რუსეთის მრეწველურად განვითარებული გუბერნიე-

---

[1] გ. ხაჭაპურიძე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1954, გვ. 18.

ბის სასოფლო-სამეურნეო დანამატებად; და ბოლოს, მ ე ს ა-ძ ე, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მძლავრი სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენას, რომელსაც, ეროვნული ჩაგვრის პირობებში, შეეძლო შედარებით ადვილად გაეჩაღებინა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საქართველოსა და ამიერკავკასიის სამრეწველო განვითარებას ხელს უშლიდა, სხვა გარემოებებთან ერთად, ადგილობრივი კაპიტალის სისუსტე და მეტწილად უვარგისი საგზაო და სატრანსპორტო საშუალებანი. ამიტომ ცარიზმს საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიურ ექსპლოატაციაში ეხმარებოდა, გვერდში ედგა უცხოეთის კაპიტალი. იგი ან უშუალოდ, ან კიდევ რუსეთის საწარმოო დაწესებულებათა საშუალებით ახერხებდა შეღწევას საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკაში.

უცხოეთის კაპიტალის ლტოლვა საქართველოსაკენ განსაკუთრებით გაძლიერდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. მიმდინარე საუკუნის პირველ ათეულ წლებში უცხოურმა კაპიტალმა ხელთ იგდო საქართველოს მრეწველობის მბრძანებელი სიმაღლეები. ამ დროისათვის ამიერკავკასიის საჯარო ანგარიშგებას დაქვემდებარებულ საწარმოო-დაწესებულებებში დაბანდებული იყო უცხოეთის კაპიტალი 213 მილიონი ოქროს მანეთის რაოდენობით. აქედან ინგლისისა იყო 43 პროცენტი, საფრანგეთისა — 30,5 და გერმანიისა — 8 პროცენტი. კიდევ უფრო მეტად ახერხებდა ამიერკავკასიის ეკონომიკაში უცხოეთის კაპიტალი შეღწევას რუსეთის საწარმოო-დაწესებულებათა საშუალებით. რუსეთის საწარმოებში, რომლებიც ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწეოდნენ, დაბანდებული იყო უცხოეთის 325 მილიონი მანეთი, აქედან გერმანიისა იყო 34,1 პროცენტი, საფრანგეთისა — 28,9 და ინგლისისა — 14 პროცენტი. უცხოური კაპიტალი ამიერკავკასიაში შემოჭრისათვის იყენებდა ისეთ არხებსაც, როგორიცაა სარკინიგზო მშენებლობა, კომუნალური და საბანკო საქმე (ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით), ვაჭრობა (უმთავრესად რამბურსის კრედიტის გზით) და სხვ[1].

---

[1] «Закавказье, статистико-экономический сборник», Тиф, 1927.

ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, მიუხედავად ხელის შეშლისა ცარიზმის მხრივ, თანდათანობით მრავლდებოდა ქარხნებისა და ფაბრიკების რაოდენობა საქართველოში. 1874 წლიდან 1884 წლამდე ქარხანა-ფაბრიკების რაოდენობა (წვრილი კუსტარული სახელოსნოების ჩათვლით) დაახლოებით 521-დან გაიზარდა 1160-მდე. ამავე პერიოდში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულება გაიზარდა, დაახლოებით, 2 240 ათასი მანეთიდან 12 572 ათას მანეთამდე. 1898 წელს გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ, დაახლოებით, 17660 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო 1902 წელს — 61 588 ათასი მანეთი.

მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქები და ქალაქური მოსახლეობა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. ასე მაგალითად, საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 1897 წელს მთელი მოსახლეობის 15,8 პროცენტიდან გაიზარდა 1921 წლისათვის 19,7 პროცენტამდე[1].

ბურჟუაზიული რეფორმების შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ახალციხისა და სხვ. მოსახლეობა; იგი განპირობებული იყო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებით; კერძოდ, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის, მრეწველობის, საგზაო-სატრანსპორტო საშუალებათა და სოფლის მეურნეობის განვითარებით, სადაც შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა „ჭარბი აგრარული მოსახლეობა"[2], რის გამოც ქალაქებისაკენ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა სოფლის მეურნეობიდან გამონთავისუფლებული გლეხობა და ა. შ.

საქარხნო-საფაბრიკო წარმოების განვითარებასთან ერთად ისახებოდა და ვითარდებოდა ახალი საზოგადოებრივი ძალა — სამრეწველო პროლეტარიატი. ამის შესახებ ალ. წულუკიძე წერდა: „გემები, რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფები ობობას ქსელივით მოედო ქვეყანას და დაუახლოვა ერთმანეთს შო-

---

[1] В. Ш. Джаошвили, Население Грузии, Тб., 1968, стр. 11—13, 211—220.

[2] იქვე, გვ. 34, 134.

რეული ქვეყნები, გადაბა დღემდე მოწყვეტილი კუთხეები, აამოძრავა მოძრაობას შეუჩვეველი მცხოვრებლები, დაბადა მრავალი ინტერესები, შექმნა ცხოვრების მრავალფეროვნება. ამ ნიადაგზე ფრთა შეისხა მსხვილმა წარმოებამ, შეიპარა წარმოების ყოველ დარგში, გამოყარა მომუშავე წვრილი მწარმოებელნი ქუჩაზე სამუშაოს საძებნელად, მორეკა სოფლებიდან „ბედის მაძიებელნი“ ერთი სიტყვით, საქირაო მუშათა რაზმი შექმნა...“[1]. ამის შემდეგ განუხრელად იზრდებოდა საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატის რაოდენობა ოფიციალური, რამდენიმედ შემცირებული ცნობებით (რკინიგზელ მუშათა გამოკლებით) 1874 წელს საქართველოს მრეწველობაში მუშაობდა ოთხი ათასზე მეტი კაცი, 1884 წელს — რვა ათასზე მეტი, 1898 წელს — 16 ათასამდე, ხოლო 1902 წელს 21 ათასზე მეტი კაცი. გასული საუკუნის ბოლოს რკინიგზაზე ექვსი ათასამდე კაცი მუშაობდა. ამრიგად, 1902 წლისათვის სამრეწველო მუშათა რაოდენობა 35 ათასს დიდად ჭარბობდა[2].

საქართველო სამრეწველო განვითარების დონით, მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, ევროპულ სახელმწიფოებზე, რომ არაფერი ვთქვათ, დიდად ჩამორჩებოდა თავისთავად ჩამორჩენილ მეფის რუსეთსაც კი.

მრეწველობის განვითარების შედარებით დაბალი დონე და ქვეყნის კოლონიური ხასიათი მუშათა კლასის მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა საქართველოში, ვიდრე იყო იგი რუსეთში. „საქართველოს სამრეწველო მუშების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე რუსეთში. კაპიტალისტურ ექსპლოატაციას თანერთვოდა მკაცრი ეროვნული ჩაგვრა“[3]. ასე მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში, მხარის ამ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საწარმოში, სამუშაოდ არ ღებულობდნენ ქართველებს. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან

---

[1] ალ. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 335.

[2] „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, 1971, გვ. 24: ი. ხუციშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51—52.

[3] გ. ხაჭაპურიძე, 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955.,

დაუშვეს გამონაკლისი — სამუშაოზე ქართველების მიღების შესახებ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცდას ჩაბარებდნენ რუსული ენის ცოდნაში, რაც ფაქტიურად უხშობდა კარებს სახელოსნოებისაკენ ქართველებს. ეს წესი გაუქმეს მხოლოდ 1905 წლის მუშათა რევოლუციური ბრძოლის გავლენით. გარდა ამისა, ერთი და იგივე კვალიფიკაციისა და თანრიგის მუშა ერთნაირი სამუშაოს შესრულებისათვის უფრო ნაკლებს ღებულობდა საქართველოში, ვიდრე რუსეთში. ასე მაგალითად, 1896 წელს საქართველოში მუშის წლიური ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა რუსეთში მუშის წლიურ ხელფასს, იგი მისი 89 პროცენტი იყო მხოლოდ, 1897 წელს—98, 1898 წელს—92, 1899 წელს—94 და 1900 წელს კი 90 პროცენტი[1]. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, „საქართველოში, ისე როგორც ამიერკავკასიაში საერთოდ, არ ვრცელდებოდა ის საფაბრიკო კანონებიც კი, რომლებიც რუსეთში მოქმედებდნენ; საფაბრიკო-საქარხნო ინსპექცია საქართველოში მხოლოდ 1902 წელს შემოიღეს, მაგრამ იგი ფორმალურად არსებობდა, და, თითქმის, არავითარ საქმიანობას არ ეწეოდა. დამახასიათებელია ისიც, რომ ეს ინსპექცია ხარკოვის ოლქს ემორჩილებოდა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა სავალდებულო ზედმეტ სამუშაოსთან ერთად კანონით არ წესრიგდებოდა. ფართოდ იყენებდნენ ქალთა და ბავშვთა შრომას, რაშიაც გაცილებით ნაკლებ გასამრჯელოს იძლეოდნენ, ვიდრე მოზრდილი მამაკაცის შრომაში. არ არსებობდა სამედიცინო დახმარება, დაზღვევა ინვალიდობისა და დასახიჩრების შემთხვევისათვის“[2]; მუშების სავალდებულო დაზღვევა მხოლოდ 1904 წლიდან დაიწყო[3].

ამრიგად, მუშათა კლასის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი იყო საქართველოში, ვიდრე რუსეთში. დუხჭირი ეკონომიური პირობები, ეროვნული ჩაგვრა და პოლიტიკური უუფლებობა უკიდუ-

---

[1] ი. კაჭარავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.
[2] გ. ხაჭაპურიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11.
[3] ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, გვ. 292.

რესობამდე ამწვავებდა წინააღმდეგობას შრომასა და კაპიტალს შორის. დღითი-დღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა საქართველოს მუშათა კლასის პოლიტიკური მოწიფულობა და ორგანიზაციული დარაზმულობა. იგი მტკიცედ დგებოდა რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლთა რიგებში.

§ 3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს შეერთება რუსეთთან წარმოადგენდა დიდ ისტორიულ გარდატეხას ქართველი ერის ცხოვრებაში. ქართველმა ერმა, მართალია, დაკარგა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, მაგრამ უზრუნველყო ხალხის ფიზიკური არსებობა და მშვიდობიანი სამეურნეო-კულტურული განვითარება რუსეთთან შეერთებით. ამან ქართველ ხალხს. ყველა დადებით შედეგებთან ერთად, კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელიც მოუტანა.

ცარიზმი, როგორც ცნობილია, განაპირა მხარეებში ხელოვნურად ნერგავდა ჩამორჩენილობას, უკულტურობას, დაჟინებით ეწეოდა ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების პოლიტიკას, სდევნიდა ეროვნულ ენას და კულტურას, ახშობდა კულტურულ საქმიანობასა და ხალხის ყოველგვარ შემოქმედებით ინიციატივას. მაგრამ ობიექტური ისტორიული კანონების ძალა მეფის რუსეთის გაბატონებული კლასებისა და მმართველების ნება-სურვილზე ძლიერი აღმოჩნდა. საქართველო ებმებოდა რუსეთის პროგრესული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების საერთო ფერხულში. ამიერიდან, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, როგორც კანონზომიერი მოვლენა, რუსეთის უშუალო გავლენით წარმოიშობოდა საქართველოში: დეკაბრისტული, რევოლუციურ-დემოკრატიული და ნაროდნიკული მოძრაობა, მარქსიზმი, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარ-

ტია და ბოლშევიზმი რუსეთში, ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მეტნაკლები სიზუსტით, ვრცელდება საქართველოში — 1832 წლის შეთქმულთა, „თერგდალეულთა“ და ხალხოსანთა მოძრაობის, მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ბოლშევიზმის სახით. აქ სხვა კანონზომიერებაც შეინიშნება, კერძოდ, რუსეთსა და საქართველოში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა შორის მსგავსება და განსხვავება პირდაპირ პროპორციულია იმ ტემპისა და დონისა, რომლითაც ხასიათდებოდა ამ ორი ხალხის სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური დაახლოება XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლომდე.

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრი, და საერთოდ, სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა, როგორც ცნობილია, მოიცავდა ორ ძირითად პრობლემას: სოციალურსა (კლასობრივსა) და ეროვნულს. საქართველოს განსაკუთრებული ისტორიული მდგომარეობა ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრის გახვევას ეროვნული კითხვის სამოსელში, ეს გარემოება ერთგვარად აჩლუნგებდა კიდეც კლასობრივ ბრძოლას XIX საუკუნეში, ნაწილობრივ XX საუკუნეშიც კი.

XIX საუკუნის პირველი სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ეროვნული კითხვის გადაჭრის ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრას ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაციას უკავშირებდა. ამისათვის საიდუმლო საზოგადოებაც კი შეიქმნა, სადაც შეინიშნებოდა რესპუბლიკური და დეკაბრისტული იდეების მომხრეთა ჯგუფიც.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, როგორც ცნობილია, ვერ შეურიგდა მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია და მოინდომა დაკარგული პრივილეგიების დაბრუნება. ბრძოლის საშუალებად, ხალხის მასებთან კავშირს მოკლებულმა, ფეოდალურმა არისტოკრატიამ შეთქმულების გზა აირჩია. შეთქმულებაში ჩაებნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომლებმაც მასში შეიტანეს კონსტიტუციური და რეს-

პუბლიკური მოძრაობის საკმაოდ ჯანსაღი ნაკადი დეკაბრიზმით გაცხოველებული. მიუხედავად ამისა, სოციალური კითხვა დაჩრდილა ეროვნულმა კითხვამ. ეროვნული საკითხის თავადაზნაურული გადაჭრის ცდამ და სოციალური საკითხის მიჩქმალვამ 1832 წლის შეთქმულებას ყველა გზა მოუჭრა ხალხისაკენ, შეთქმულნი იზოლირებულნი აღმოჩნდნენ. ამის გამო ერთ-ერთი ცნობილი სამოციანელი — გ. წერეთელი წერდა: „მათ, რომ ნამდვილი ეროვნული პრინციპი კარგად სმენოდათ, არც ისე განკერძოებული და უთანაგრძნობო დარჩებოდნენ, ოოცა მათ „ფრთები შეატუსესო"[1].

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ქართველი თავადაზნაურობა მწარედ ჩააფიქრა და მტკივნეულად აგრძნობინა პოლიტიკური პლატფორმის შეცვლის საჭიროება. ქართველი თავადაზნაურობა ამიერიდან გამოეთხოვა სეპარატიზმის იდეას და მისმა ერთმა ნაწილმა რუსეთის სამეფო ტახტისადმი „ერთგული სამსახური" და მეფის რუსეთიდან გამოთხოვილი რეფორმები ჩათვალა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებად. მან რუსეთის სახით დაინახა არა მარტო სამხედრო ბიუროკრატია და დიდმპყრობელური შოვინიზმი, არამედ მაღალი, პროგრესული კულტურა და ამიტომ პროგრესულ რუსეთთან კავშირში ხედავდა იგი ქართველობის ხსნასა და აღდგენას; ხოლო ქართველი თავადაზნაურობის მეორე ნაწილმა გულწრფელად გაუწოდა ხელი რუსეთის თვითმპყრობელობას, დაივიწყა ყოველგვარი ეროვნული ინტერესები და გახდა მისი პოლიტიკის ერთგული და საიმედო გამტარებელი საქართველოში. ქართველი თავადაზნაურობის ამ ნაწილის დაახლოება რუსეთის თვითმპყრობელობასთან XIX საუკუნის სამოციანი წლებისათვის თავის ლოგიკურ დასასრულს აღწევს, როდესაც, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა: „საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანეებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას

---

[1] ეურნ. „კვალი", № 6, 1896.

და, მასთან ერთად, „ფ ე ო დ ა ლ უ რ-მ ო ნ ა რ ქ ი უ ლ ნ ა-ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს“, რის შემდეგაც მან აშკარად „ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას“[1].

საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის პერიოდია. რუს ხალხთან ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირის თანდათანობით გაფართოებისა და განმტკიცების შედეგად საქართველო ჩაება პროგრესული სოციალ-ეკონომიური ურთ.-ერთობის ფერხულში. სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდა ბურჟუაზია. ახალმა კლასმა „ბურჟუაზიის ნაციონალური კითხვა“ წამოაყენა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ამ პერიოდში ახლის მესიტყვედ გამოდის ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი — „თერგდალეულები“. ისინი აღიზარდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და რუსული პროგრესული აზრის, აგრეთვე ქართული დემოკრატიული იდეებისა და პატრიოტიზმის დიად ტრადიციებზე. ისინი იყვნენ ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი განმანათლებლები. მათზე შეიძლება ზუსტად გავიმეოროთ ის, რასაც ვ. ი. ლენინი ამბობდა რუსეთის დიდ განმანათლებლებზე. ჯ ე რ ე რ თ ი, ისინი გამსჭვალულნი იყვნენ, როგორც ლენინი წერდა, „მძაფრი მტრობით ბატონყმობისადმი და ყ ვ ე ლ ა მ ი ს ი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში“; მ ე ო რ ე, მათ ახასიათებდათ „მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა“; ე. ი. ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებისა, და, მ ე ს ა მ ე, „ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა... ინტერესების დაცვა. იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისთვის ხელშეწყობისა“[2].

„თერგდალეულები“ საოცრად ახლოს მივიდნენ ხალხთან, ისინი ხელმძღვანელობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას და „ბურჟუაზიული ნაციო-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 33.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 626—627.

ნალური კითხვის“ იდეოლოგები იყვნენ საქართველოში. „თერგდალეულები“ ობიექტურად პროგრესული ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგები იყვნენ[1]. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე მათი ბრძოლის ფორმები და მეთოდები გარკვეულად რევოლუციურ-დემოკრატიზმია, ხოლო საბოლოო მიზანი — დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც განხორციელების შემთხვევაში, შეუძლებელია ყოფილიყო სხვა რამ, გარდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისა.

საქართველოს ისტორიაში „თერგდალეულთა“ დიდ როლს სრულიად არ ამცირებს მათი აღიარება არა თუ ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც კი აღმავალი, პროგრესული ბურჟუაზიის იდეოლოგად. მაშინ, როდესაც „თერგდალეულები“ გამოვიდნენ სამოღვაწეო სარბიელზე აღმავალი, პროგრესული ბურჟუაზიის იდეოლოგობა პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეს ნიშნავდა. ეს სამწუხაროდ, ხშირად უგულებელყოფილია საზოგადოებრივი აზრის ბევრი მკვლევარის მიერ. „ბურჟუა“ და „ბურჟუაზიული“ არ შეიძლება განვიხილოთ აბსტრაქტულად, დროისა, ადგილისა და პირობების გარეშე. ასეთ საკითხებში ისტორიზმის პრინციპის დავიწყება, ხშირადაა საბედისწერო. მაგრამ ამას არად აგდებს ზოგიერთი თვითდაჯერებული მკვლევარი. რას ვიზამთ, მეცნიერებაში იძულების მეთოდი სამართლიანადაა დაგმობილი, ამიტომ რჩევისათვის შეიძლება მივმართოთ მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს. აღნიშნული საკითხისადმი ისტორიული მიდგომის აუცილებლობას მოგვაგონებს ვ. ი. ლენინი, როდესაც წერს: „ჩვენში ხშირად მეტად არასწორად, ვიწროდ, ანტიისტორიულად ესმით ეს სიტყვა (ბურჟუაზია, ი. კ.), უკავშირებენ რა მას (ისტორიულ ეპოქათა განუსხვავებლად) უმცირესობის ინტერესთა ანგარებიან დაცვას. ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ხანებში, როდესაც 40-იანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებელნი სწერდნენ, ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1955, გვ. 3—5.

წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ არავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იჩენდნენ; პირიქით, დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელად სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ჯერ არც შეეძლოთ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა"[1].

„თერგდალეულთა" მრავალმხრივი და ნაყოფიერი შოლვაწეობა წარმატებით ემსახურებოდა ეპოქის ძირითადი პრობლემების — ბატონყმობისა და მისი ნაშთების — ლიკვიდაციის, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების, ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროგრესულ საქმეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ „თერგდალეულთა" რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა მნიშვნელოვნად გააპოხიერა პოლიტიკური ნიადაგი და შექმნა ხელსაყრელი იდეური გარემო მარქსიზმის გავრცელებისათვის საქართველოში.

1832 წლის შეთქმულთა და „თერგდალეულთა" ბრძოლა ქართული ენის, ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის ფრიად აჩქარებდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული მთლიანობის იდეის განმტკიცებას. ამ იდეის წინააღმდეგ მძაფრი იერიში მიიტანა ცარიზმმა, განსაკუთრებით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ბრძოლის საშუალებად მან კიდევ უფრო მოიმარჯვა მისი ტრადიციული იარაღი — დამორჩილებული ერებისა და ხალხების გარუსების პოლიტიკა[2]. ამ მიზნით მეფის ხელისუფლებამ თითქმის სრუ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 628.

[2] მეფის რუსეთის ადგილობრივმა მოხელეებმა, გამოდიოდნენ რა ცარისტული გამარუსებელი პოლიტიკიდან, უარყვეს სასამართლოში მსჯავრდადებულთათვის საბრალმდებლო დასკვნისა და სხვა საბუთების თარგმნა ზეპირადაც კი. საგულისხმოა, მისი უარყოფა შემდეგი მოტივით:

«Узаконять такой порядок и делать его обязательным едва ли целесообразно, ибо эта мера могла бы только способствовать отдалению времени распространения знания государственного языка ту-

ლიად განდევნა 1881 წლიდან ქართული ენა სკოლებიდან. ამან აამხედრა მთელი ქართველი ინტელიგენცია. დაიწყო მძლავრი საპროტესტო მოძრაობა.

ქართულმა პრესამ ამხილა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, მაგრამ უკან ვერ დაახევინა მოძალადეებს. ისინი კიდევ უფრო შორს წავიდნენ, 1885 წლიდან შეუდგნენ შემზარავი პოლიტიკის გატარებას, სამეგრელოს დაპირისპირებას საქართველოს სხვა კუთხეებისადმი, ამ მიზნით სამეგრელოს სკოლებიდან სრულიად განდევნეს ქართული ენა და სავალდებულოდ აქციეს მეგრული და რუსული ენის სწავლება, ასე იქცეოდნენ აფხაზეთშიც.

აფხაზეთში კრძალავდნენ ქართველთა შორის ქართული ენის სწავლებას და ქართულად ღვთისმსახურების ჩატარებას ეკლესიებში. ერთადერთ ენად, რომელზედაც უნდა ესწავლათ და მოესმინათ ხვთისმსახურება როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს, იყო რუსული ენა. ამ გამარუსებელ პოლიტიკას წინააღუდგა საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია, მათ შორის მაშინ აფხაზეთში მოღვაწე პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ: თ. სახოკია, ნ. ჯანაშია, ა. ჯუღელი, პ. ჭარაია, ს. ნორაკიძე, ი. გეგია, გრ. კანდელაკი, ი. ბურჭულაძე და სხვები. ესენი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა 1900 წლის 28 მარტს დაბეზღა მეფისნაცვალთან, მათ უწოდა მთავრობის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ შებრძოლი „ქართული პარტია“[1]. ამასთან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა აფხაზების გარუსების გეგმაც კი დაუსახა მეფისნაცვალს[2].

земным населением в Кавказском крае, что было бы не согласно с задачами государственной власти на наших окраинах» (Евангулов. Проект судебной реформы на Кавказе, Тиф., 1901).

1 ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ზემოაღნიშნული პირები მიაჩნდა. «...главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа» (ო. ჭურღულია, ნარკვევები... I., სოხ., 1974, გვ. 102).

2 «Для полного слияния абхазцев с населением империи, необходимо в церквах Абхазии иметь образованных священников, знающих русский язык, а благочинных—непременно русских, ...и наконец, чтобы чиновники всех ведомств были не грузинской национальности

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი არა მარტო ქართულ ენას იცავდა აფხაზეთში, არამედ ასევე ენერგიულად ესარჩლებოდა იგი აფხაზურ ენასაც. ამასთან დაკავშირებით 1907 წელს ი. გოგებაშვილი გაზეთ „ზაკავკაზიეში" წერდა, რომ „გაზეთების ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ხვთისმსახურების შესრულებას. ეს მეტის მეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე, როგორც დამოუკიდებულ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე... ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში"[1].

ეს სიტყვები ანდერძივით შემოინახა ქართველმა ინტელიგენციამ.

ამრიგად, ცარიზმი მიისწრაფოდა ქართველთა შორის ეროვნული მთლიანობის შეგნების ჩახშობისა, და შემდეგში მათი ადვილად გარუსებისაკენ. იგი აგრეთვე მიისწრაფოდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის კულტურული და ყოფითი კავშირ-ურთიერთობის ჩაშლისაკენ, რათა უფრო ადვილად გაერუსებინა აფხაზი ხალხი. ცარიზმის ამ ვერაგული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, და ყიფიანმა, ი. მაჩაბელმა, ნ. ცხვედაძემ, ი. მეუნარგიამ და აფხაზეთში მოღვაწე მოწინავე ქართველმა ინტელიგენტებმა[2].

...Грузинское движение в Сухумском округе служит тормозом к обрусению края» (МНО ГССР, д. 7861, л. 12, 13).

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 200—201.

[2] იხ. დაწვრილებით ო. ჭურღულია, დასახელებული ნაშრომი... I, 1974.

მეფის ხელისუფლებამ ქართველთა შორის ნახა ქართველობისათვის არამარტო თავდადებულ მებრძოლთა მძლავრი თაობა, არამედ იპოვა ქართველობის თითოოროლა მტერიც, რომლებიც ხალისით კისრულობდნენ ცარიზმის დამქაშთა როლს ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართულ ბინძურ საქმიანობაში. ერთ-ერთი მათგანი იყო აშორდია, რომელიც მთავრობის წინაშე აბეზღებდა ქართველობისათვის მებრძოლთა გამოჩენილ მოღვაწეებს. იგი 1887 წლის 28 აპრილს ერთ-ერთი საიდუმლო პატაკით ატყობინებდა ხელისუფლებას: „სენაკის სააზნაურო სკოლაში თითქმის ყოველდღიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, რომელიც უკვე გადაასახლეს, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვანი და წყვეტენ საკითხს, თუ როგორ ააჯანყონ ხალხი 1885 წლის[1] 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგ სამეგრელოს სასოფლო სკოლების შესახებ"[2]. ცარიზმის მეორე აგენტი, პეტერბურგიდან „მეგრული ანბანის" შესადგენად მოვლინებული ალ. გრენი, ეხებოდა რა სამეგრელოში, და საერთოდ საქართველოში, სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღების წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობას, წერდა, რომ სენაკის სააზნაურო სკოლაში „სხდომებს მართავს ნამდვილი რევოლუციური კომიტეტი — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი", — მის წევრთაგან თავ. აკ. წერეთელი მუდამ სამეგრელოში დაეხეტება საპროპაგანდოთ"[3].

XIX საუკუნის 80-იან წლებში განხორციელებულმა ცარისტულმა „საგანმანათლებლო", რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა შორის ეროვნული მთლიანობის შეგნება. მეფის ადგილობრივი ხელისუფლება, 1905—1907 წლების რევოლუციის გავლენით, იძულებული გახდა ეღიარებინა რუსიფიკატორული პოლიტიკის უარყოფითი შედეგები მისი სულისჩამდგმელთათვის[4].

---

[1] დედანში შეცდომითაა 1884 წელი.

[2] ეურნ. „საისტორიო მოამბე", № 3, 1947, გვ. 229—231.

[3] ციტ. ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 96—135.

[4] А. Воронцов-Дашков, указат. отчет, стр. 107—108.

ცარიზმის მიერ ქართული ენის, ქართული კულტურის დევნა-შევიწროებამ ვერ მოახდინა გავლენა ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის დამოკიდებულებაზე რუსული პროგრესული კულტურისადმი. რუსული კულტურის მიმართ ქართველი პროგრესული ინტელიგენცია განუხრელად ინარჩუნებდა ჯანსაღ თვალსაზრისს. მთელი ქართველი ხალხის და მისი ინტელიგენციის, სულისკვეთებას გამოხატავდა ი. გოგებაშვილი, როდესაც წერდა: „ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს რუსული სიტყვა და, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედაენა... დიდი ხანია რუსეთს თვლის თავის სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება“[1].

მეფის ადგილობრივი მოხელეები, რომლებიც მთელი გულმოდგინებით ახორციელებდნენ ცარიზმის „საგანმანათლებლო“ პოლიტიკას საქართველოში, მაინც ვერ ახშობდნენ ქართველი ხალხის ლტოლვას საერთოდ განათლებისაკენ, კერძოდ კი ეროვნული კულტურის განვითარებისაკენ. რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ წარმატებით იღწვოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ქართული პროგრესული საზოგადოებრიობის ენერგიულმა მეცადინეობამ და ქართველი ხალხის დაუცხრომელმა ლტოლვამ განათლებისაკენ სასურველი ნაყოფი გამოიღო. გასული საუკუნის მიწურულს საქართველო წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მოწინავე მხარე იყო.

თბილისის გუბერნიაში, 1897 წლის აღწერის მასალებით, წერა-კითხვის მცოდნე იყო ქალაქებში მამაკაცების 42,8 პროცენტი და დედაკაცების 22,3 პროცენტი. სოფლებში — მამაკაცების 18,2 პროცენტი და დედაკაცების 2,0 პროცენტი, სულ წერა-კითხვის მცოდნე იყო მამაკაცების 22,0 პროცენტი და დედაკაცების 8,9 პროცენტი.

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952, გვ. 162.

ქუთაისის გუბერნიაში წერა-კითხვის მცოდნე იყო ქალაქებში მამაკაცების 51,3 პროცენტი და დედაკაცების 34,4 პროცენტი. სოფლებში — მამაკაცების 15,3 პროცენტი და დედაკაცების 7,6 პროცენტი. სულ წერა-კითხვის მცოდნე იყო მამაკაცების 19,5 პროცენტი და დედაკაცების 9,5 პროცენტი.

ბაქოს გუბერნიაში წერა-კითხვის მცოდნე იყო ქალაქებში მამაკაცების 34,5 პროცენტი და დედაკაცების 15,5 პროცენტი. სოფლებში — მამაკაცების 4,7 პროცენტი და დედაკაცების 1,0 პროცენტი. სულ წერაკითხვის მცოდნე იყო მამაკაცების 11,1 პროცენტი და დედაკაცების 3,8 პროცენტი.

ერევნის გუბერნიაში წერა-კითხვის მცოდნე იყო ქალაქებში 26,4 პროცენტი, სოფლებში — 13,6 პროცენტი, სულ გუბერნიაში — საშუალოდ 7,9 პროცენტი"[1].

1903 წლისათვის თბილისის გუბერნიაში 224 დაწყებითი სკოლა იყო, ქუთაისის გუბერნიაში კი (ბათუმის ოლქითა და სოხუმის ოკრუგითურთ) — 287, ელიზავეტპოლის გუბერნიაში — 149, ბაქოს გუბერნიაში — 111, ერევნის გუბერნიაში — 113, ყარსის ოლქში — 47.

თბილისის გუბერნიაში ერთი სკოლა მოდიოდა 4,5 ათას კაცზე, ქუთაისის გუბერნიაში (ბათუმის ოლქითა და სოხუმის ოკრუგითურთ) — 3,4 ათას კაცზე, ელიზავეტპოლის გუბერნიაში — 6,1 ათას კაცზე, ბაქოს გუბერნიაში — 9,1 ათას კაცზე, ერევნის გუბერნიაში — 6,6 ათას კაცზე და ყარსის ოლქში — 6,2 ათას კაცზე.

საქართველოს, როგორც ვხედავთ, სწავლა-განათლების მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებთან შედარებით[2]. და ყოველივე ამას ქართველმა ხალხმა მიაღწია, მიუხედავად ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისა, რუსი ხალხის პროგრესული კულტურის გავლენით. რუსულმა კულტურამ — ლიტერატურამ, ხელოვნებამ და მეცნიერებამ დიდი კეთილმყოფელი გავლენა იქონია არა მარ-

---

[1] «Первая всеобщая перепись населения... 1897, т. XI, XIX, XXI, 1905.

[2] ტ რ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48.

ტო ქართული კულტურის განვითარებაზე, არამედ დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზედ.[1]

XIX საუკუნის ქართველ ინტელიგენციას, და კერძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს, რომლებიც ყოველივე მშობლიურის (რასაკვირველია, პროგრესულის) აღდგენისათვის იბრძოდნენ, არასოდეს აზრად არ მოსვლიათ უპატივცემლობა უცხოსადმი, უცხო ენისა და ლიტერატურისადმი, მით უმეტეს, რუსული ენისა და ლიტერატურისადმი. „პირიქით, წერდა ილია ჭავჭავაძე — ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებული ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს“[2]. ი. ჭავჭავაძე არ ივიწყებდა იმ სამსახურს, რომელიც გაუწია რუსულმა სკოლამ და მეცნიერებამ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. ის წერდა: „რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ ვაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“[3]. „რაც შეეხება კერძოდ რუსულსა ენასსა, ჩვენთვის, ქართველობისათვის, — წერდა ი. გოგებაშვილი, — მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი, ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა როგორც სკოლაში, ისე სახლობაში. და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და ლიტერატურა“[4].

---

[1] А. Н. Пипин, Русский роман за границей (журн. «Вестник Европы», 1886, октябрь).

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1928, გვ. 82.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1928, გვ. 285.

[4] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 378—379.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა დაუღალავი ზრუნვის საგანს შეადგენდა ქართველთა შორის ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძება და ეროვნული ერთიანობის შეგნების განმტკიცება, ამასთან ერთად, ჭეშმარიტი პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობათა აღზრდა ქართულ საზოგადოებაში მათი პირველი ზრუნვის საგანი იყო. ამ საქმეში ილია ჭავჭავაძე უაღრესად დიდ როლს ამიკუთვნებდა ქართულ თეატრსა და ქართულ პრესას. ამ უკანასკნელის შესახებ იგი წერდა: „არის დრო და საზოგადოება, როცა ჟურნალ-გაზეთობა განსაკუთრებით თუ არა, უმთავრესად მაინც მარტო მას მისდევს, რომ აღზარდოს საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, ააღორძინოს საზოგადოების თვითმოქმედების ძალა და ხალისი თვითცნობისა"[1].

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს ღრმად ჰქონდა შეგნებული აგრეთვე „მრავალგვარი მნიშვნელობა ისტორიისა ერის გამოცოცხლებისათვის", ხალხის აღზრდისათვის პატრიოტული სულისკვეთებით.

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლთ მტკიცედ სწამდათ, რომ ადამიანთა მსოფლმხედველობას, მათ გონებრივ ჰორიზონტს აფართოებს ისტორიის ცოდნა, რომ ის ადამიანებს ეხმარება აწმყოსა და მომავლის გაგებაში, რომ იგი ადამიანებში იმუშავებს მიმდინარე მომენტის რთულ მოვლენებში გარკვევის, სწორი ორიენტირების უნარს, ამზადებს მათ თანამედროვეობის ჭეშმარიტი გაგებისათვის, ამიტომ „ერად სახსენებელი არ არის იგი, — წერდა ილია, — რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს", რადგან „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს". ილიამ იცოდა, რომ „დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწვრთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ..."[2] ჭეშმარიტ მამულიშვილებს სამშობლოს თავისუფ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1928, გვ. 18.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1927, გვ. 207—208.

ლებისათვის ბრძოლაში. „ვისაც წარსული არა აქვს შესწავლილი და არ უკვირდება აწმყოს,— ამბობდა აკაკი წერეთელი.... იმას არც მომავლის გათვალისწინება შეუძლია“[1]. ხალხის ისტორიული წარსულის შესწავლას ასეთსავე მნიშვნელობას აძლევდა ს. მესხი. ის ბოჰემიელ ხალხის მაგალითზე მითითებით წერდა: „წარსული ცხოვრების გახსენებამ ხალხი თითქო ხელახლად გააცოცხლა, ფეხზე წამოაყენა და თავის აწმყოზე და უკეთეს მომავალზე დააფიქრა“[2].

ქართველი ხალხის პატრიოტიზმი, მისი მოწინავე ინტელიგენციის ეროვნული პროგრამა კაცთმოყვარული, დიდი საკაცობრიო იდეალებით განირჩეოდა ყოველთვის; კერძოდ, XIX საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის მხარდამხარ, სამშობლო ქვეყნის სიყვარულს, პატრიოტიზმს საფუძვლად უდებდა კაცობრიობის საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლისაკენ დაუცხრომელ მისწრაფებას. ამაში ხედავდა იგი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი სამშობლოსადმი ჰეშმარიტ სამსახურს.

XIX საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ღრმა რწმენით, ჰეშმარიტი მამულიშვილია ის, ვინც ემსახურება სამშობლო ქვეყნის წინსვლას, პროგრესს, ვინც თავის ერის მოძმეა „ჰმუნვასა და სიხარულში“, ვისაც ერის წყლული თავის წყლულად მიაჩნია და „მის ბედით და უბედობით“ ედაგება „მტკიცე გული“, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვით, ხარობს მისი ლხენით, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“[3].

---

[1] ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, სიტყვა თქმული ერთ არჩევანზე, თბ., 1908, გვ. 4.

[2] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, ტ. I, 1903, გვ. 246.

[3] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 111.

ქართველი მშრომელი ხალხი დამისი მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის თავისუფალი იყო ერისა და ადამიანობის დამამცირებელი გრძნობისაგან — ნაციონალიზმისაგან. „ჩვენში პატრიოტიზმი, — წერდა ი. გოგებაშვილი,— იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება... ჩვენი სამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზე არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონებისათვის, არამედ თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათი დამცირებით ჩვენი თავი აღვამაღლოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გაუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა“[1].

ასევე მსჯელობდა დიდი ქართველი პატრიოტი აკაკი წერეთელი: „ყველაზე პირველად მე ქართველი ვარ. რადგანაც ქართველად დავბადებულვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უბედურებით რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი, ეს არ მინდა და არც ჩემს ხალხს შევსწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა თავის-თავად ბედნიერი იყოს ერთი მეორის გადაუკიდებლად“[2]

ილია ჭავჭავაძე, ეთანხმებოდა რა ბ. ბელინსკის, აღნიშნავდა, რომ პატრიოტიზმი უნდა იყოს ცოცხალი სურვილი — უკეთესობაში იქნას მოყვანილი სვებედი ხალხისა. მავნეა მკვდარი კმაყოფილება არსებულით, კიდევ უფრო ცუდია განახლების ძალთა შეფერხება, ძველისაკენ, დრომოჭმულისაკენ დაბრუნება. ი. გოგებაშვილს მიაჩნდა ეს ქართული პატრიოტიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად. იგი წერდა: „ზოგიერთ

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 112—113.
[2] ა. წერეთელი, სიტყვა, თქმული ერთ არჩევანზე, გვ. 4.

სხვა ქვეყნებში პატრიოტობა და უკანდახევის სურვილი, ძველი წესწყობილების აღდგენის წადილი, ახალი აზრების და მიმართულებების უარჰყოფა ერთად არიან შეკავშირებულნი, ერთმანეთზედ გადაბმულნი... ჩვენში ამგვარ პატრიოტებს წამლადაც ვერ მოსძებნით. ძველებურის საქართველოს აღდგენა, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის დაწყობილებათა რესტავრაცია სიზმრადაც აღარავის ეჩვენება. უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია საძუდამოდ წარსულს დროდ, რომლის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ჩავლილი წყლის უკუმოქცევა: ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედებისა და ნატვრისა, მიქცეულ უნდა იქნას არა უკან... არამედ წინ"[1].

ძველი საქართველო ილია ჭავჭავაძისათვისაც, ისე როგორც ყველა „თერგდალეულთათვისაც", განვლილი ეტაპი იყო. ილიასა და მის თანამებრძოლთა დროშა იყო ბრძოლისა და მოღვაწეობის პროგრესული დროშა. ისინი არ მისტიროდნენ მას, „რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა", მათ მოიკლეს „წარსულ დროებაზედ დარდი", რადგან ქართველმა ხალხმა უნდა ზიდოს „ახლა სხვა ვარსკვლავს", მისმა მოწინავე ნაწილმა უნდა მისცეს „მომავალი ხალხს".

ქართველი ხალხი და მისი მოწინავე წარმომადგენლები „მომავლისათვის" ზრუნვას, „მომავლისათვის" ბრძოლას მტკიცედ უკავშირებდნენ რუსი ხალხის პროგრესული ძალების ბრძოლას. „არც ერთი ჩემი ამხანაგი,— წერდა ივანე ჯაბადარი,— რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენს პროცესში, არც კი ფიქრობდნენ სეპარატიზმზე, არამედ მუშაობდნენ მხოლოდ რუსული სოციალური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რომელიც მოუპოვებს თავისუფლებას რუსეთის ყველა ხალხებს და მათთან ერთად ჩვენ ქართველებსაც"[2]. ამასვე ადასტურებს ხალხოსანი შ. დავითაშვილის შემდეგი სიტყვები: „საქართველო მჟიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. ქართველი ხალხი თავს ვერ დაიხსნის, თუ

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 113—114.
[2] Журн. «Былое», № 28, 1907, стр. 2.

რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილება არ დაიმსხვრა. მაშასადამე, თუ ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის რევოლუციის საქმეს ეხმარება, ამით ის ემსახურება არა მარტო რუსის ხალხს, არამედ საქართველოს ინტერესსაც"[1]. ამ საკითხში სრული ერთიანობა სუფევდა ქართველი პროგრესული ინტელიგენციის ყველა თაობას შორის. აი, რას წერდა ი. გოგებაშვილი: „მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივსცეთ, როცა იგი ცდილობს აიცდინოს თავიდან რომელიმე სენი, რომელიმე უკეთესმართი წეს-წყობილება. ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი ბედნიერება"[2].

ამრიგად, XIX საუკუნის მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ შექმნა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯანსაღი იდეოლოგია, ჯანსაღი პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დიადი საკაცობრიო იდეალები და კეთილშობილური პატრიოტიზმი ედო. ამ გარეგნებამ შემდეგში ფრიად გააადვილა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცედ დაკავშირება რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო-სახალხო რევოლუციურ მოძრაობასთან, რომლის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენდა პროლეტარიატი.

* * *

საქართველოში საგლეხო რეფორმის შემდეგ „თერგდალეულთა" ჯგუფში, როგორც ცნობილია, იწყება დიფერენციაცია. იგი საბოლოოდ გაითიშა 70-იანი წლების ბოლოსათვის, როგორც შემდეგში უწოდეს, პირველ და მეორე დასად.

---

[1] შ. დავითაშვილი, ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, 1933, გვ. 40.

[2] ი. გოგებაშვილი. რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 433.

აი, რაგორ გაფორმდა იგი ორგანიზაციულად: ი. ჭავჭავაძეს და ბ. ღოღობერიძემ 1876 წელს მოიწვიეს ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: ი. ჭავჭავაძე, ბ. ღოღობერიძე, ბეს. ჯაფარიძე, გ. ყაზბეგი, გ. თუმანიშვილი, პ. უმიკაშვილი, პ. მელიქიშვილი, სტ. ზარაფოვი, ვლ. ჯანდიერი, ნ. დადიანი, ნ. ღოღობერიძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, დ. ავალიშვილი, ალ. ჩოლოყაშვილი და სხვ[1]. აქ გადაწყდა ახალი გაზეთის — „ივერიის" გამოცემა 1877 წლიდან, რომლის რედაქტორობა ი. ჭავჭავაძემ იკისრა. „ამ გაზეთის დაარსებით ჩვენში, — წერდა ალ. ჭყონია („მაჭახელაძე").— ორი პარტია სდგება, რომელთა წევრები დიდი ხანია იყვნენ ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ დღემდე ეგრედ რიგზედ არ დალაგებულან პარტიებად"[2], პარტიებად, თუ დასებად.

ამ დაყოფას უმთავრესად განაპირობებდა საქართველოში ისტორიული პროგრესის ხელმძღვანელი ძალის გაგების საკითხი. ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების პროგრესულობის თვალსაზრისს კვლავ ინარჩუნებდა ორივე დასი. მაგრამ, სანამ ისინი დაობდნენ ისტორიული პროგრესის ხელმძღვანელი ძალის გამოსარკვევად, ისტორია თავისას აკეთებდა. ვითარდებოდა კაპიტალიზმი არა მარტო სიგანით, არამედ სიღრმითაც: ისტორიული პროგრესის ხელმძღვანელი ძალის ადგილს თანდათანობით იკავებდა ბურჟუაზია. ამასთან ერთად ვითარდებოდა მუშათა კლასიც, მტკიცდებოდა მისი ორგანიზაცია და იდეოლოგია საქართველოში. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ილია ჭავჭავაძეს, აი, რას წერდა იგი 1886 წელს: „ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაბადა ხალხის ცხოვრებაში... ცხოვრება წინ წავიდა" და, მართლაც, ყოფილი „თერგდალეულები" სიტყვიდან საქმეზე გადადიან და პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. ყოველივე ამის გამო ხედავდა ილია ჭავჭავაძე „ცხოვრების ცა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, ს. ბოცვაძის რედაქციით, სოხუმი, 1950, გვ. 217.

[2] გაზ. „დროება", 1876 წლის 30 ივლისი.

ოიელ მოედანს“ და სრული საფუძველი ჰქონდა ყოფილიყო „ახალი დასის მოლოდინში“[1].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძე და მისი ჯგუფი ტოვებენ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებს და ცდილობენ კლასებისა და წოდებების შერიგებას, იცავენ „საერთო ნიადაგის“ თეორიას. ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე ერთიანი ფრონტის შექმნას 80-იანი წლებიდან დიდმპყრობელური შოვინიზმის, რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერებული მოძალების წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძეს, ალბათ, ამის გამოც მიაჩნდა მიუღებლად კლასთა ბრძოლის მარქსისტული მოძღვრება მაშინდელი საქართველოსათვის. ილიას აზრით, აქ ეროვნული ინტერესები სოციალურ ზავს მოითხოვდნენ უეჭველად. მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მარქსიზმის სრული გამარჯვებისა და გაფართოების პერიოდში (1872—1904 წწ.) ტიპიურია ლიბერალიზმისათვის. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, ამ ეპოქის ლიბერალები „ქადაგებენ „სოციალურ ზავს“... კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღებას“[2]. ილია ჭავჭავაძე 1905 წელშიც მოუწოდებდა სოციალური ზავისაკენ“[3]. იგი გახდა საქართველოში „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფუძემდებელი. სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებს ცვლის კლასთა თანამშრომლობის ბურჟუაზიული თეორია. იგი აღმოცენდა მაშინ, როდესაც საქართველოს სოციალ-ეკონომიურმა განვითარებამ თანდათან გასდო ხიდი საქართველოსა და რუსეთის ბურჟუაზიულ კლასებს შორის. და ბოლოს, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა: „ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და უფრო კი, მედგარმა კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები“[4], სრული დამარცხება აგემა ბურჟუაზიის ნაციონალურ საკითხს საქართველოში. ამრიგად, „თერგდალეულთა“ რევოლუციური დემოკრატიზმის შეცვლა ბურჟუა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1928, გვ. 67—69.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 707.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 191.
[4] ი. ბ. სტალინი თხზულებანი, ტ. 1, გვ. 34.

ზიული ლიბერალიზმით XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან განაპირობა როგორც კლასობრივმა, ისე ეროვნულმა მომენტებმა. ამ დროიდან დამთავრდა „თერგდალეულობა“ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და იდეური მიმდინარეობა საქართველოში. მისი პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები შეიწოვა პროლეტარულ რევოლუციურმა მოძრაობამ და მარქსისტულმა იდეოლოგიამ. ქართველი ერის სოციალური (კლასობრივი) და ეროვნული განთავისუფლების დროშა ხელში აიღო პროლეტარიატმა XX საუკუნის დასაწყისში.

სამრეწველო პროლეტარიატის წარმოქმნა და კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავება ხელს უწყობდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდას, მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში. პროლეტარიატი როგორც ერთადერთი, ყველაზე რევოლუციური კლასი თანდათანობით ეუფლება ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლების დროშას. ამით იწყება საქართველოში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე პერიოდი — პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის პერიოდი.

ამრიგად, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არენაზე გამოვიდა პროლეტარიატი, ამავე დროს საფუძველი ჩაეყარა მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას, იქმნება სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, სწრაფად ვრცელდება მარქსიზმი. საქართველოს მუშათა კლასი თანდათანობით სათავეში უდგება ყველა მშრომელი და დემოკრატიული ელემენტის ბრძოლას ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამის შესახებ საქვეყნოდ განაცხადა XX საუკუნის გარიჟრაჟზე რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის ორგანომ გაზეთმა „ბრძოლამ“[1].

მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატია გზას იკაფავდა საქარ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 1, 1901 წლის სექტემბერი.

თველოში „ივერია“-„დროების“ ჯგუფისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულმა ჯგუფებმა უკუაგდეს სამოციანელთა მემკვიდრეობის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები და ხელი ჩასჭიდეს მის სუსტ მხარეებს. ამიტომ საქართველოში მარქსიზმის დანერგვისა და გავრცელებისათვის აუცილებელი იყო „ივერია“-„დროების“ ჯგუფის მოღვაწეთა საფუძვლიანი გაკრიტიკება, „60-იანი წლების მემკვიდრეობის“ პროგრესული, რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების დაცვა ლიბერალურ წარყვნისაგან. მაგრამ ზოგიერთი „მესამე დასელი“ გაიტაცა ილია ჭავჭავაძის კრიტიკამ და სრულიად უსაფუძვლოდ უკუაგდო სამოციანი წლების მთელი იდეური მემკვიდრეობა. ამდენად მათი ცალმხრივი და ტენდენციური გალაშქრება ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ საზიანო აღმოჩნდა მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მაშინ, როდესაც ჩვენში მწიფდებოდა ნამდვილი სახალხო რევოლუცია, იგი ხელს უშლიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეერთებას პროლეტარიატისა და დემოკრატიული ძალების მძლავრ რევოლუციურ მოძრაობასთან, და მაშასადამე, სახალხო რევოლუციის აზვირთებას საქართველოში.

ამრიგად, XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე მთავარი იყო ბრძოლა არა ილია ჭავჭავაძისა და სხვა სამოციანელთა წინააღმდეგ, რომლებმაც 80-იანი წლებიდან ფაქტიურად დატოვეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ფრონტი და იყვნენ „ახალი დასის“ მოლოდინში, არამედ მათი ეპიგონების წინააღმდეგ, რომლებიც ჩაებღაუჭენ რა „საერთო ნიადაგის“ თეორიას, წარყვნეს რევოლუციონერ-დემოკრატთა სახელოვანი ტრადიციები. სამოციანელთა ეპიგონებმა „თერგდალეულთა“ რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები „შინაგანად დამპალი ლიბერალიზმით“ და „საერთო ნიადაგის“ თეორიის პროპაგანდით შეცვალეს, ხოლო დიადი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეები — ნაციონალიზმისა და შოვინიზმის პროპაგანდით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მემკვიდრეობის, რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების ერთადერთი თანმიმდევარი

და ერთგული დამცველები იყვნენ საქართველოში რევოლუციური სოციალ-დემოკრატები: ამიტომ სრულიად არ იყო შეცთხვევითი, რომ რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს არა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ, არამედ მათი ეპიგონების წინააღმდეგ.

ამრიგად, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეროვნული და სოციალური მოძრაობა ერთმანეთს ჩაეკონა. რუსი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირში ნან საკვლევი-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ბატონყმობასა და მის ნაშთებს, მათ შორის,— თვითმპყრობელობასაც. ეს არის ის ძირითადი კანონზომიერება, რომლითაც ხასიათდება ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მოძრაობის სათავეში იდგნენ ახალი, ბურჟუაზიული საქართველოს მესიტყვენი — „თერგდალეულები". მათი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ხელს უწყობდა ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ფორმირებას. რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს თესდნენ ისინი პოლიტიკურად გაუამირებულ ქართულ ნიადაგზე.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე მუშათა კლასისა და სოციალ-დემოკრატიის გამოსვლის შემდეგ, ქართველი ხალხის სოციალური (კლასობრივი) და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა ახალმა კლასმა — პროლეტარიატმა და. მისმა პოლიტიკურმა პარტიამ სოციალ-დემოკრატიამ იკისრა. სოციალური და ეროვნული მოძრაობა კიდევ უფრო მტკიცედ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, გაფართოვდა ბრძოლის პროგრამა და მასთან ერთად ბრძოლის ფორმები და მეთოდებიც.

ასეთია მოკლედ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის საუკუნოვანი ბრძოლის ძირითადი მომენტები, რომელმაც განსაზღვრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ეტაპები.

საქართველო, იმის შემდეგ, რაც მოექცა რუსეთის სოციალ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ორბიტში, ბუნებრივად დაექვემდებარა ამ ქვეყნის ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერებას. ამიტომ რუსეთის XIX საუკუნის ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია, რომელიც მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ სტატიაში — „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან", ძირითადად ძალაშია საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის მიმართაც. ამ სტატიაში ვ. ი. ლენინი წერდა:

„განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე"[1].

საქართველოს XIX საუკუნის ისტორია რუსეთის ამავე საუკუნის ისტორიისაგან ზოგიერთი განსხვავებული თავისებურებით ხასიათდება. იგი დაკავშირებულია ეროვნულ კითხვასთან და ამითაა პირობადებული. ამ თავისებურების მეცნიერული დახასიათება მოგვცა ი. ბ. სტალინმა თავის სტატიაში — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?".

ეროვნული საკითხის ისტორიის პერიოდიზაცია, რომელსაც ი. ბ. სტალინი იძლევა აღნიშნულ სტატიაში, ფაქტიურად არის XIX საუკუნის საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა და იდეურ მიმდინარეობათა ისტორიის პერიოდიზაცია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის რამდენადმე ახლებური პერიოდიზაცია.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია შეიძლება გაიყოს სამ პერიოდად:

პირველ პერიოდში ქართველი ხალხის ბრძოლას

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 292.

ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სათავეში ედგა ფეოდალური კლასი; ამიტომ ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფეოდალური პერიოდი, იგი გაგრძელდა გასული საუკუნის ნახევრამდე, ეს პერიოდი შეიძლება გაიყოს სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სათავეში ედგა სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ფეოდალური კლასი; ამიტომ ამ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელმწიფოებრივი ეტაპი, იგი გრძელდება XVIII საუკუნის ბოლომდე, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. მეორე ეტაპზე ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სათავეში ედგა უკვე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მოკლებული ფეოდალური კლასი, რომელიც ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაციის დროშით აწარმოებდა; ამიტომ ამ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რესტავრატორული ეტაპი, იგი გაგრძელდა 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე[1]. მესამე ეტაპზე ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებად ქართველი თავადაზნაურობის ერთ ნაწილს მიაჩნდა რუსეთის სამეფო ტახტისადმი „ერთგული სამსახური“ და მეფის რუსეთიდან გამოთხოვილი რეფორმები. ამიტომ ამ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიბერალურ-თავადაზნაურული ეტაპი, იგი გაგრძელდა XIX საუკუნის სამოციან წლებამდე.

მეორე პერიოდში ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სათავეში ედგა ბურჟუაზიული კლასი; ამიტომ ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ-განმათავისუფლე-

---

[1] ს. დოდაშვილის ჯგუფი საერთო კანონზომიერებას არ ცვლის.

ბ ე ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი, ი გ ი გ ა გ რ ძ ე ლ დ ა გ ა ს უ ლ ი ს ა უ კ უ ნ ი ს ბ ო ლ ო მ დ ე. ე ს პ ე რ ი ო დ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ა ი ყ ო ს ო რ ე ტ ა პ ა დ: პ ი რ ვ ე ლ ე ტ ა პ ზ ე, ქ ა რ-
თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა დ ა-
მ ო უ კ ი დ ებ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა თ ა ვ ე შ ი ე დ გ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-დ ე მ ო-
კ რ ი ტ ი კ უ ლ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა; ა მ ე ტ ა პ ს შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვ უ-
წ ო დ ო თ ე რ ო ვ ნ უ ლ-გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი მ ო ძ-
რ ა ო ბ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ე ტ ა-
პ ი, ი გ ი გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა XIX ს ა უ კ უ ნ ი ს 80-ი ა ნ წ ლ ებ ა მ დ ე.
ნ ე ო რ ე ე ტ ა პ ზ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა დ ა დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა თ ა ვ ე შ ი ე დ გ ა
ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ა დ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ა; ა მ ე ტ ა პ ს შ ე ი ძ ლ ე ბ ა
ვ უ წ ო დ ო თ ე რ ო ვ ნ უ ლ-გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი
მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ-ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი
ე ტ ა პ ი, ი გ ი გ ა გ რ ძ ე ლ დ ა პ ი რ ვ ე ლ ს ა ხ ა ლ ხ ო რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე.

მ ე ს ა მ ე პ ე რ ი ო დ შ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ს
ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა დ ა დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა-
თ ა ვ ე შ ი ე დ გ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი კ ლ ა ს ი; ა მ პ ე რ ი ო დ ს შ ე ი ძ ლ ე ბ ა
ვ უ წ ო დ ო თ ე რ ო ვ ნ უ ლ-გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი
მ ო ძ რ ა ო ბ ი ს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი, ი გ ი
ვ ა გ რ ძ ე ლ დ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ებ ა მ დ ე.

თ ა ვ ი III

ბლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში

§ 1. პირველი სახალხო რევოლუციის დაწყება და მიმდინარეობა

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი საბოლოოდ გადაიზარდა მისი განვითარების უმაღლესსა და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში. ეს გადაზრდა რუსეთში შედარებით მძიმედ მიმდინარეობდა, მას აფერხებდა ქვეყნად ფეოდალიზმის ჭარბი გადმონაშთების არსებობა. ამის გამო აქ, კაპიტალიზმის განვითარების ამ სტადიამ სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმის ხასიათი მიიღო. იგი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთში გავრცელდა XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო სამრეწველო კრიზისი, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავა მაშინ აქ გადატანილმა მოუსავლიანობამ და შიმშილობამ. ამიტომ სამრეწველო კრიზისს, რომელიც თავს დაატყდა ქვეყანას გასული საუკუნის 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობის შემდეგ, უდიდესი დამანგრეველი შედეგები მოჰყვა რუსეთში, განსაკუთრებით კი საქართველოში.

სამრეწველო კრიზისმა ძირფესვიანად შეარყია საქართველოს ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა. მაქსიმალურად შეიკვეცა ჭიათურის მარგანეცის წარმოება და ბათუმიდან ნავთობპროდუქტების გატანა. ზედიზედ იხურებოდა საწარმოები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში და სხვ. უმუშევარი დარჩა რამდენიმე ათასი კაცი. უმუშევართა არმია კიდევ უფრო იზრდებოდა მოუსავლიანობის

შედეგად. შიმშილია სოფლებიდან ასობით და ათასობით გამორეკა გლეხები, ისინი კალიასავით მოედვნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებს სამუშაოს საძებნად. შრომის ბაზრების ჭარბი მუშახელით გადატვირთვამ კიდევ უფრო დასცა შრომის ხელფასი. უფრო და უფრო იზრდებოდა კაპიტალისტური ექსპლოატაცია. მძიმე მატერიალურ პირობებში ჩავარდნენ არა მარტო უმუშევარნი, არამედ თვით მომუშავენიც.

იზრდებოდა რევოლუციური აფეთქების ელემენტები.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისათვის მაშინ საქართველოში საკმაოზე მეტი მიზეზი არსებობდა: საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა ამ დროს უფრო მძიმე იყო, ვიდრე რუსეთისა. ამას ზედ ერთვოდა მათი პოლიტიკური უუფლებობაც. საგლეხო რეფორმის შედეგად გლეხობის მიერ მოპოვებულ პირად თავისუფლებას მეფის მოხელეები ფეხებით თელავდნენ. გასული საუკუნის სამოციან წლებში შემოღებული „სასოფლო მმართველობა" უკვე გადაგვარებული იყო ფისკალურ-პოლიციურ კანცელარიებად, სადაც სამაზრო პოლიციის მხარდაჭერით მოკალათდნენ სოფლის ბობოლები, რომლებიც ხელისუფლებას პირადი ანგარებისა და პოლიციური სამსახურისათვის იყენებდნენ.

ხალხის მოთმინების ფიალა ივსებოდა. იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები მასებში — მუშათა კლასსა და გლეხობაში რევოლუციური მუშაობისათვის. ამასთან, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამაოდ არ ჩაუვლია გასული საუკუნის მეორე ნახევრის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას და მის ხელმძღვანელთა იდეურ მოღვაწეობას. ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში არა მარტო სოციალური და ეკონომიური პირობები იყო საკმაოდ მომწიფებული, არამედ ასევე საკმაოდ მომზადებული იყო იდეური გარემოც კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო რევოლუციური ბრძოლის აზვირთებისათვის.

ასევე მწიფდებოდა რევოლუცია მთელ რუსეთში. ეს კი გადაუდებლად მოითხოვდა მუშათა კლასის ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიის შექმნას. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ვაჩაღებულ მუშაობას სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი.

საქართველოში მარქსისტულ იდეებს დემოკრატიული ინტელიგენცია და მუშათა კლასი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეცნობა. ამ დროიდან ეყრება საფუძველი მოძრაობას სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნისათვის. განცალკევებულად მომუშავე მარქსისტ ინტელიგენტების ჯგუფმა მიხა ცხაკაიასა და ეგნატე ნინოშვილის ინიციატივით, 1892 წლის დასასრულს, წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, ზესტაფონში მოიწვიეს კონფერენცია, რომელმაც ჩამოაყალიბა პირველი მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც შემდეგში გ. წერეთელმა „მესამე დასი" უწოდა. ეს ორგანიზაცია არ იყო ერთგვაროვანი. მასში თავიდანვე გამოირჩეოდა ოპორტუნისტული და რევოლუციური მიმდინარეობა. „მ ე ს ა მ ე დ ა ს ი ს" შიგნით დაპირისპირება აღნიშნულ მიმდინარეობათა შორის არსებობდა მისი არსებობის მთელ პერიოდში. ის გარემოება, რომ ამ დაპირისპირებას არ მიუღია II ყრილობის შემდეგდროინდელი პოლიტიკური ჯგუფებისა და პარტიების ბრძოლის ხასიათი, ამ ბრძოლის ფორმები და მეთოდები არ გვაძლევს საფუძველს „მესამე დასის" ერთგვაროვან ორგანიზაციად წარმოდგენისათვის

„მესამე დასის" რევოლუციურ ფრთას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პრინციპებისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატები და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული რუსი მუშები: თ. აფანასიევი, ო. ერმანსკი, ი. ლუზინი, გ. ფრანჩესკი, ვ. როძევიჩი, ს. ალილუევი, ს. რენიგერი, თ. ტატარინოვი, ნ. ვიგორბინი, ი. კოჩეტკოვი, ა. ზაკომოლდინი და სხვ. ესენი ეწეოდნენ დიდ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო და რევოლუციურ მუშაობას საქართველოს მუშათა კლასში. ქმნიდნენ არალეგალურ მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს მუშათა შორის ერთ-ერთ ასეთ არალეგალურ მარქსისტულ ჯგუფში გაეცნო ი. ბ. სტალინი მარქსისტულ ლიტერატურას. ამის გამო თქვა მან გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში: „რევოლუციურ მოძრაობაში მე ჩავები 15 წლის ასაკიდან, როცა დავუკავშირდი მაშინ ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მარქსისტების არალეგალურ ჯგუფებს. ამ ჯგუფებმა დიდი გავლენა

ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲔᲑ ᲩᲔᲛᲖᲔ და ᲨᲔᲛᲐᲧᲕᲐᲠᲔᲑ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ“[1].

ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად რუსი სოციალ-დემოკრატები და მოწინავე მუშები ადუღაბებდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის რევოლუციურ ძალებს თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომ რუს სოციალ-დემოკრატებსა და მოწინავე მუშებს ს. ორჯონიკიძე „თბილისის ორგანიზაციის სიამაყეს“ უწოდებდა[2].

„მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის პეტერბურგის ბრძოლის კავშირის“ გავლენით, თ. აფანასიევის, მ. კალინინის, ვ. კურნატოვსკისა და სხვათა დახმარებით საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატები მტკიცედ იცავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშას, სასტიკ ბრძოლას უმართავდნენ ნაციონალიზმსა და მარქსიზმის ოპორტუნისტული წარყვნის ყოველგვარ ცდას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ხელს ჰკიდებდნენ მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების დიდ ისტორიულ საქმეს. აქ შექმნილი ისტორიული ვითარება სოციალ-დემოკრატიისაგან მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადასვლას საწრეო-პროპაგანდისტული მუშაობიდან აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაზე. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გამწვავდა წინააღმდეგობა „მესამე დასის“ რევოლუციურსა და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის. „მესამე დასის“ ოპორტუნისტულ ჯგუფს სიტყვის გაგონებაც არ სურდა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლის შესახებ. ისინი არალეგალური გაზეთის გამოცემის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. მაგრამ რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა 1901 წლის სექტემბერში გამოსცეს პირველი, ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალური გაზეთი „ბ რ ძ ო ლ ა“. იგი იბეჭდებოდა ბაქოში ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით, მის მიერვე მოწყობილ არალეგალურ სტამბაში, რომელსაც კონსპირაციის მიზნით მაშინ „ნინას“ უწოდებდნენ.

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან, 1939. გვ. 11.

[2] Газ. «Социал-демократ», 8 декабря 1911 г.

გაზეთი „ბრძოლა“ ეწეოდა ლენინური „ისკრის“ იდეების მხურვალე პროპაგანდას, ქადაგებდა საქართველოსა და რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთიანობასა და განუყოფელობას, იგი ზრდიდა და ამზადებდა საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობას ცარიზმის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლისათვის.

1901 წლის დასაწყისში თბილისში მოხდა 15-მდე გაფიცვა. გაფიცვები უფრო და უფრო ორგანიზებულ, პოლიტიკურ ხასიათს იღებდა, თანდათანობით ხდებოდა მათი გადაზრდა ქუჩის დემონსტრაციებში. ამ პერიოდში საქართველოს მუშათა კლასის პირველი, ყველაზე დიდი პოლიტიკური გამოსვლა იყო 1901 წლის პირველმაისობა. 22 აპრილს (ძვ. სტ.) თბილისში, ქალაქის შუაგულში, დღისით-მზისით აფრიალდა პროლეტარიატის წითელი დროშა. დემონსტრაცია პოლიტიკური ლოზუნგებით ჩატარდა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ თვითმპყრობელობის დამხობას, დემოკრატიულ რესპუბლიკას და 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას. მეფის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დემონსტრაცია სისხლში ჩაახრჩო. ამ დემონსტრაციას მაღალი შეფასება მისცა ლენინურმა გაზეთმა „ისკრამ“. იგი წერდა: „ამბავი, რომელიც კვირას 22 აპრილს (ძვ. სტილით) თბილისში მოხდა, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“[1].

გაზეთმა „ბრძოლამ“ მოამზადა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი არჩევითი „თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს“ შექმნა. იგი ჩამოყალიბდა 1901 წლის ნოემბერში, რომელშიც შედიოდნენ: ი. სტალინი, ს. ჯიბლაძე, ვ. ცაბაძე, ზ. ჩოდრიშვილი, ა. ოქუაშვილი და სხვ. დაახლოებით ამავე პერიოდში ი. სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების „ბ ა თ უ მ ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი“. ამ კომიტეტის გავლენა დიდი იყო არა მარტო ბათუმში, არამედ, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში, სადაც დიდი წარმატებით ვრცელდებოდა ბათუმის კომიტეტის პროკლამაციები.

---

[1] Газ. «Искра», № 6, июль 1901 г.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მოეწყო 1902 წლის 9 მარტს დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დემონსტრაცია დაარბია, მოკლეს 14 და დაჭრეს რამდენიმე ათეული დემონსტრანტი. დაიწყო რეპრესიები და ბათუმიდან რევოლუციონერ მუშათა გასახლება გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის სოფლებში.

შეფის ადგილობრივი ხელისუფლება ანგარიშში მოტყუვდა. თბილისიდან და ბათუმიდან გასახლებულმა რევოლუციონერმა მუშებმა საქართველოს სოფლებს სწრაფად მოსდეს რევოლუციური ბრძოლის ხანძარი. დაიწყო გლეხობის რევოლუციური გამოსვლები ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, შორაპნის, გორისა და სხვა მაზრებში. სოციალ-დემოკრატი მუშები სოფლებში ქმნიდნენ როგორც პარტიულ, ი.ე გლეხურ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს — გ ლ ე ხ თ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ებ ს, რომლებიც წარმართავდნენ გლეხობის ბრძოლას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და მეშამულე-თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მზარდმა აღმავლობამ მოითხოვა ჯერ კიდევ დაქსაქსულად არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება. 1903 წლის მარტში შედგა კავკასიის ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა. აქ შეიქმნა „რ ს დ მ პ კ ა ვ კ ა ს ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი“; ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანო — „კ ა ვ კ ა ს ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი“; მასში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ბ. კნუნიანცი, მ. ბოჭორიძე და სხვები. კავკასიის კავშირის კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ვ. ი. ლენინთან და მისი მითითებით განაგრძობდა ბრძოლას ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1903 წლის პირველ ნახევარში შექმნა „გ უ რ ი ი ს ს ო ფ ლ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი“, ხოლო ივლისში — „ი მ ე რ ე თ-ს ა მ ე გ რ ე ლ ო ს კ ო მ ი ტ ე ტ ი“ — ქუთაისში. კავკასიის კავშირის კომიტეტს ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — გაზეთი „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა-

ტის ბრძოლა“, რომელიც გამოდიოდა ქართულ და სომხურ ენებზე. კავკასიის კავშირის არალეგალური გამოცემები იბეჭდებოდა მიხა ბოჭორიძის ხელმძღვანელობით 1903 წელს მოწყობილ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, რომელმაც იარსება 1906 წლის - მარტამდე, მარტში იგი აღმოაჩინა ჟანდარმერიამ და გაანადგურა.

ვ. ი. ლენინმა და გაზეთმა „ისკრამ“ 1902 წლისათვის მოამზადეს რსდმპ II ყრილობის მოწვევა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მუშათა კლასის ახალი ტიპის პოლიტიკურ პარტიას. ყრილობაზე, როგორც ცნობილია, აშკარად გამოვიდა სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთა, რომელსაც შემდეგ მენშევიკები ეწოდათ. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით ამხილეს მენშევიზმი, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობა. მაგრამ ყრილობამ მაშინვე ვერ განდევნა მენშევიკები პარტიიდან, რაც II ყრილობის ერთ-ერთ ნაკლად ითვლება.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო „მესამე დასის“ოპორტუნისტული ფრთა დადგა მენშევიკურ პოზიციაზე, რევოლუციური ფრთა კი ბოლშევიკურ პოზიციაზე. ახალი ძალით გაჩაღდა მათ შორის იდეური ბრძოლა, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობას ამზადებდა მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აშკარა და გადამწყვეტი პოლიტიკური ბრძოლისათვის.

მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასები, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, ირაზმებოდნენ ბოლშევიკური ტაქტიკური ლოზუნგების გარშემო, რაც უნდა აისახოს, ჯერ ერთი, იმით, რომ წვრილბურჟუაზიულ მასებს რევოლუციისაკენ იზიდავდა არა იმდენად მისი პროგრამა და საბოლოო მიზნები, რამდენადაც ბრძოლის რევოლუციური, რადიკალური ფორმები და მეთოდები; მეორე, წვრილბურჟუაზიული პარტიების რიგითი წევრები უფრო რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე მათი ხელმძღვანელები. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ხელმძღვანელები და ბელა-

დები რევოლუციური აღმავლობის გავლენით უფრო და უფრო მარჯვნივ ძიექანებიან, ძაშინ, როდესაც პარტიული მასების მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო და უფრო მემარცხენდება.

ამრიგად, საქართველოს სოციალ-დემოკრატია პირველ სახალხო რევოლუციას შეხვდა ორ ფრაქციად გათიშული, რამაც თავისი დაღი დაასვა რევოლუციის განვითარებას. საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, მიუხედავად მენშევიკების ოპორტუნისტული ტაქტიკისა, შეძლეს მშრომელთა წაყვანა ლენინური ტაქტიკური ლოზუნგებით რევოლუციის მიერ წამოყენებული საკითხების გადასაჭრელად. ამ შემთხვევაში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების წარმატებანი პირობადებული იყო არა მარტო ობიექტურ-ისტორიული გარემოებით, არამედ იმითაც, რომ საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, ბოლშევიკებს მუდმივ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი — ვ. ი. ლენინი; საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების სათავეში იდგნენ ლენინის ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, სტ. შაუმიანი, ლ. კეცხოველი, ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ა. ჯაფარიძე, ს. ორჯონიკიძე და სხვები, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ რევოლუციურ-პარტიული მოღვაწეობის ლენინური სკოლის დიად პრინციპებზე.

1903 წელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა საგაფიცვო მოძრაობამ უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მუშათა საგაფიცვო მოძრაობა ახალი ძალით იწყებს აღმავლობას ბაქოს საყოველთაო გაფიცვის გავლენით. ბაქოს პროლეტარიატის გაფიცვას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა საქართველოს მუშათა კლასი. თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრში დაიწყო პოლიტიკური გაფიცვა. იგი მალე სამხრეთ რუსეთშიც გავრცელდა. ამის გამო „ისკრა“ წერდა: „ბაქოს თბილისი მოჰყვა, თბილისს — კიევი, კიევს — ელიზავეტპოლი და, ბოლოს, ოდესა. სამხრეთის მუშების გრანდიოზული გაფიცვა არის ამბავი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მთელ შემდგომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში“[1].

[1] Газ. «Искра», № 45, 1 августа 1903 г.

რევოლუცია გიგანტური ნაბიჯებით უახლოვდება მეფის თვითმპყრობელობას. მეფის რუსეთის მრავალჭირნახული ხალხები საიერიშოდ ემზადებოდნენ. ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მტკიცედ უკავშირდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაშლილ რევოლუციურ, კლასობრივ ბრძოლას. მეფის თვითმპყრობელობა უკანასკნელ ძალღონეს ძაბავდა კარზე მომდგარი რევოლუციის ჩასახშობად. განსაკუთრებული სიმკაცრით უსწორდებოდა იგი მზარდ რევოლუციას კავკასიაში: მუშათა კლასის გამოჩენილი ხელმძღვანელებით გაავსო ციხეები და ციმბირი, 1902 წლის თებერვალში დააპატიმრეს თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა. იმავე წლის აპრილში დააპატიმრეს სტალინი და აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს, 1903 წლის 17 აგვისტოს, დაახლოებით ერთი წლის პატიმრობის შემდეგ, მეტეხის ციხეში ვერაგულად მოკლეს ლადო კეცხოველი.

რევოლუციური აღმავლობის რეპრესიებით შეჩერება შეუძლებელი გახდა.

მეფის ხელისუფლება ძალიან იყო დამფრთხალი რევოლუციური მოძრაობის აზვირთებით განსაკუთრებით კავკასიაში. იგი კარგად ხედავდა, რომ აქ მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს სამი დიდი მოძრაობა: მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივი ბრძოლა მემამულე-თავადაზნაურთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, საერთო-დემოკრატიული მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური თავისუფლებისათვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამიტომ მეფის თვითმპყრობელობა და ქართველი ბურჟუაზია, მემამულე-თავადაზნაურობასთან ერთად, თავიდანვე შეეცადნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ სამი ნაკადის გათიშვას. ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგებმა 1903 წელს პარიზში გამოსცეს გაზეთი „საქართველო“ და მოინდომეს ცარიზმის წინააღმდეგ შექმნილი ერთიანი რევოლუციური ფრონტის ნაცვლად ნაციონალისტური ფრონტის გახსნა რუსისა და სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ საქართველოს პროლეტარიატმა მათ ზურგი შეაქცია და მტკიცედ გაჰყვა რევოლუციურ სოციალ-დემოკ-

რატიას, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ბრძოლის ნათელ გზას ცარიზმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებმა სოციალისტური ნიღბითაც სცადეს ბედი, 1904 წელს ჟენევაში შექმნეს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, მაგრამ ამაოდ.

მზარდი რევოლუციით დამფრთხალი მეფე, მთელი მთავრობა და გაბატონებული კლასები დიდ იმედებს ამყარებდნენ იაპონიასთან მოსალოდნელ ომზე.

იაპონია ომის გამოუცხადებლად 1904 წლის იანვარში თავს დაესხა პორტარტურში რუსეთის ესკადრას. რუსეთის არმია ცუდად იყო შეიარაღებული, არც ტრანსპორტის საქმე ჰქონდა მოგვარებული. არმიის სათავეში იდგნენ უნიჭო და მოსყიდული გენერლები. მთავარსარდალი კუროპატკინი ფრონტზე ვაზნების მაგივრად ხატებს გზავნიდა. მტერზე გამარჯვება მხოლოდ რუს ჯარისკაცთა ძაძაცობით შეუძლებელი იყო. მეფის არმია მარცხს მარცხზე განიცდიდა. რუსი ჯარისკაცები და მეზღვაურები 11 თვე იცავდნენ ალყაშემორტყმულ პორტარტურს. პორტარტური მაინც დაეცა და მუკდენთან მეფის არმია განადგურდა, ცუსიმასთან კი რუსეთის ფლოტი.

მეფის მთავრობა და გაბატონებული კლასები იმედოვნებდნენ, რომ ომი რუსეთის იმპერიაში მოსახლე ხალხებში გამოიწვევდა პატრიოტულ აღტყინებას და გაანელებდა რევოლუციურ განწყობილებას, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. იაპონიასთან წარუმატებლად მიმდინარე ომმა კიდევ უფრო გააძლიერა რევოლუციური მოძრაობა. მეფის ხელისუფლებამ ბურჟუაზიისა და მენშევიკების დახმარებითაც ვერ გამოიწვია პატრიოტული აღტყინება მასებში. მასებს ბოლშევიკები დაჟერებლად განუმარტავდნენ რუსეთ-იაპონიის ომის იმპერიალისტურ ხასიათს, აფხიზლებდნენ და რაზმავდნენ მათ მეფის თვითმპყრობელობისა და ომის წინააღმდეგ.

მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური გამოსვლები უფრო და უფრო ორგანიზებულსა და შეუპოვარ ხასიათს ღებულობდა საქართველოში. ამ დროს გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა თითქმის მთელ საქართველოში: განსაკუთრებით მძლავრი იყო რევოლუციური გამოსვლები ოზურგეთის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის,

გორის, თბილისის, თელავის, დუშეთის, ახალციხის და სხვა ბაზრებში. თბილისის, ბათუმისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშათა გაფიცვები კვლავ მძლავრად არყევდნენ მეფის ადგილობრივ ხელისუფლებას.

საქართველოს ლიბერალური ბურჟუაზია თავადაზნაურობასთან ერთად მოითხოვდა ერობების შემოღებას, ავტონომიას თვითმპყრობელური რუსეთის ფარგლებში, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას და სხვ. ბოლშევიკები ამხელდნენ რევოლუციური აღმავლობის პირობებში მათი პოლიტიკური მოთხოვნების რეაქციულ ხასიათს და საბანკეტო კომპანიას რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის იყენებდნენ.

რეაქციის ძალთა ყოველი ღონისძიება, მიმართული რევოლუციის ჩახშობისაკენ, ბოლშევიკური ორგანიზაციების ენერგიული შუშაობით, საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა.

ამრიგად, ისტორიული განვითარების მომწიფებული ამოცანები, რომლებიც ვერ გადაჭრა მებატონეთა მიერ გატარებულმა საგლეხო რეფორმამ აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში, უნდა გადაეჭრა სახალხო რევოლუციას იმპერიალიზმის ეპოქაში. ამ დროს, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ჩვენში ერთდროულად მწიფდებოდა ორი რევოლუციური ომი: ერთი, მემამულე-თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, მეორე, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ორივე ომი ისტორიულად გარდუვალი იყო, ვინც მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, მას ხელი უნდა აღეპარა იმპერიალიზმის წინააღმდეგაც. ამიტომ სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელობა უკვე აღარ შეეძლო ბურჟუაზიას. საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის — გამოსვლა ბურჟუაზიის რეაქციის ბანაკში მიერეკებოდა, იგი ცარიზმთან იოლად პოულობდა საერთო ენას კარზე მომდგარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში მწიფდებოდა რუსეთში სახალხო რევოლუცია. იგი დააჩქარა რუსეთ-იაპონიის ომმა. ამ ომმა აშკარა გახადა მეფის რუსეთის არა მარტო სამხედრო უძლურება, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი წყობილების გახრწნაც. ომმა თითქმის მთლიანად მოშალა ქვეყნის ეკონომიკა, ჩვეუ-

ლებრივზე უფრო გააუარესა მშრომელთა ცხოვრების მატერიალური პირობები.

მეფის ხელისუფლება არაფერს ზოგავდა ომის მოსაგებად, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ომი რუსეთისათვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. მთავრობისადმი უკმაყოფილება საზოგადოების ყველა ფენაში იზრდებოდა. საჭირო იყო მცირე ბიძგი და ხალხის გულში საუკუნეობით დაგროვილი ბოლმა რევოლუციის ხანძარს დაანთებდა მთელ ქვეყანაში.

ასეთი ბიძგი გახდა 1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა მეფის განკარგულებით. საგულისხმოა რსდმპ კავკასიის კომიტეტის სახელით 1905 წლის იანვარში გავრცელებული მოწოდება „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“ ეს მოწოდება დაიბეჭდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 8 იანვარს. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ „აღელვებული ხალხის მასები რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა თ ვ ი ს ემზადებიან“..., რომ „უკვე იწყება ქარიშხალი, გარიჟრაჟის მაუწყებელი“ და ამიტომ „ჩვენი წმინდა მოვალეობაა მზად ვიყოთ ასეთი მომენტისათვის... როცა მეფის თვითმპყრობელობა ირყევა, ჩვენი მოვალეობაა ვემზადოთ გადამწყვეტი შეტევისათვის!“[1].

კავკასიის კავშირის კომიტეტს ჯერ კიდევ 1904 წლის ბოლოს გადაწყვეტილი ჰქონდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოწყობა საქართველოში 1905 წლის 18 იანვრისათვის. 9 იანვრის ამბებმა ხელი შეუწყვეს ამ განზრახვის განხორციელებას. 1904 წლის 18 დეკემბერს თბილისის ჟანდარმთა განყოფილების უფროსი განზრახული გაფიცვის შესახებ წერდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს: „მიმდინარე წლის ოქტომბრიდან თვალყურის დევნებითა და მიღებულ ცნობებით ჩანს, რომ... ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში გააძლიერა მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ბოლო ხანებში ორგანიზაცია დიდ ენერგიას ხარჯავდა დემონსტრაციებისა და გაფიცვების მოსაწყობად. უკვე არის მითითება, რომ ასეთების მოწყობა განზრახული აქვთ 1905 წლის 18 იანვრისათვის... სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დანაშაუ-

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 77—78.

ლებრივ მოქმედებათა ცენტრალურ პირებად ითვლებიან მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე, მ. ზ. ბოჭორიძე და სხვები.

ორგანიზაციისა და პროპაგანდის უშუალო აქტიურ მოქმედ პირთა შორის მთავარ როლს ასრულებს ი. ბ. ჯუღაშვილი. როშელიც გადასახლებიდან გამოიქცა და იმალება თბილისში"[1].

1905 წლის 9 იანვარს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მიიღო სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი, „სისხლიანმა კვირამ" თვალი აუხილა მუშათა კლასსა და გლეხობას, დაამსხვრია მათი ნდობა. რწმენა მეფისადმი.

„სისხლიანი კვირიდან" რამდენიმე დღის შემდეგ მთელ ამიერკავკასიას მოედო პოლიტიკური გაფიცვების ტალღა. ჯერ კიდევ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დაწყებამდე, 17 იანვარს ჟანდარმერიამ დააპატიმრა ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე და სხვები[2], მაგრამ მაინც დაიწყო 18 იანვარს თბილისის პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა. ამ გაფიცვამ დასაბამი მისცა საყოველთაო გაფიცვების ხანას მთელ ამიერკავკასიაში. თბილისის ჟანდარმთა სამმართველო 16 იანვრის დეპეშით ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში: „დღეს თბილისში დაიწყო მუშათა გაფიცვები. მუშაობა შეწყვიტეს რკინიგზის სახელოსნოებმა, რამდენიმე კერძო ქარხანამ და სტამბების უმრავლესობამ"[3].

გაფიცულ რკინიგზელებს 19 იანვარს შეუერთდა ადელხანოვის ფაბრიკისა და თამბაქოს ფაბრიკა „მირზოევ-ის მუშები ქარავან-სარაის ყველა ნოქარი, სულ ოთხი ათასი კაცი. აქვე მოედანზე ადგილი ჰქონდა დემონსტრაციის მოწყობის ცდას. დღის პირველ საათზე, მაგრამ პოლიციამ ჩაშალა იგი. სამაგიეროდ სამი საათისათვის დიდუბეში, ბათუმის მოედანზე ერთბაშად თავი მოიყარა ორი ათასამდე რკინიგზელმა მუშამ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ წინადადება მისცა მუშებს აერჩიათ დეპუტატები მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება უნდა შეხებოდა მხოლოდ ეკონომიურ საკითხებს. ამის გამო მუშებმა უარი განაცხადეს დეპუტატთა არჩევანზე. ამის საპასუხოდ

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 31, საქ. 38, ფურც. 5—7.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 7-ს, საქ. 653, ფურც. 69.

[3] იქვე.

თბილისის გუბერნატორმა აკრძალა თბილისში მუშათა ყოველ-
გვარი კრება[1]. მთავარი სახელოსნოების მუშათა გაფიცვას
შეუერთდა ყველა რკინიგზელი მუშა, ტრამვაის მუშა-მოსამ-
სახურენი, მექანიკური სახელოსნოებისა და სტამბების მუშე-
ბი. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ 20
იანვარს პროკლამაციის გამოშვების შემდეგ, 21—22 იანვარს
გაიფიცა ყველა კერძო ფაბრიკის მუშა. მდგომარეობა სერიო-
ზულ ხასიათს ღებულობდა, გუბერნატორმა განკარგულება
გასცა 55 აქტიური მუშის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ
მხოლოდ 18 მუშის დაპატიმრება შეძლეს. რეპრესიების მიუ-
ხედავად, რკინიგზელთა გაფიცვები გრძელდებოდა ბათუმში.
ფოთში, სამტრედიასა და სხვაგან. სამტრედიაში გაფიცულ მუ-
შებსა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკებაში მონაწილე-
ობდა ახლო-მახლო სოფლის გლეხობაც, რომლებიც მუშათა
მხარდასაჭერად იყვნენ ჩამოსულნი.

1905 წლის 23 ინავარს, დღის პირველ საათზე გოლოვინის
პროსპექტზე გაიმართა დიდი მანიფესტაცია. მანიფესტანტებმა
გადაყარეს რევოლუციური პროკლამაციები და წითელი დრო-
შა აღმართეს. შეტაკება მოხდა პოლიციელებსა და მანიფეს-
ტანტებს შორის. იყვნენ დაჭრილები ორივე მხრიდან. პოლი-
ციამ დააპატიმრა 41 მუშა[2]. თბილისში იანვრის დღეების შე-
სახებ ბოლშევიკური გაზეთი „ვპერიოდ"-ი წერდა: „კავკასია-
ში რაღაც არაჩვეულებრივი ხდება. თბილისის ყველა მუშა გა-
ფიცულია... მოეწყო დემონსტრაცია, რომელიც წარმატებით
დამთავრდა"[3].

მუშათა რევოლუციური მოძრაობის გავლენით გლეხთა
მღელვარებამ მოიცვა მთელი საქართველო. აქა-იქ იგი აჯანყე-
ბაში იწყებდა გადაზრდას; გლეხები ქმნიდნენ რევოლუციურ
კომიტეტებსა და „წითელ რაზმებს". აჯანყებული
გლეხები მიმართავდნენ მემამულეთა მიწების კონფისკაციასა
და ურთიერთშორის განაწილებას, უარს აცხადებდნენ სახელ-
მწიფო და სხვა ადგილობრივი გადასახადების გადახდაზე, ბოი-

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 7-ს, საქ. 653, ფურც. 137.

[2] იქვე.

[3] Газ. «Вперед», 28 (15), февраля 1905 г.

კოტს უცხადებდნენ მეფის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. შეიარაღებულ შეტაკებას პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან ადგილი ჰქონდა გორის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის, სენაკისა და სხვა მაზრებში.

რევოლუციური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მეფის ბიუროკრატიასთან კავშირი შეკრა თავადაზნაურობამ და ბურჟუაზიამ. ქართველი თავადაზნაურობა კავკასიის პოლიციის უფროსს სთხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას რევოლუციონერთა წინააღმდეგ. თორემ საქართველო მალე უფრო მეტ უსიამოვნებას შეამთხვევს რუსეთს, ვიდრე ბურებმა შეამთხვიესო ინგლისელებს[1].

მეფის ადგილობრივი ხელისუფლება, რომლის სათავეში იდგა მთავარმართებელი გოლიციხი, ძლიერ შეაშფოთა რევოლუციური მოვლენების სწრაფმა განვითარებამ. დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. მაგრამ ვერ გაბედეს იარაღის გამოყენება რევოლუციური გლეხების მიმართ. დამსჯელი ექსპედიცია ნატანებში შეაჩერეს. 21 თებერვალს სამხედრო წესები გამოაცხადეს. არჩიეს რევოლუციურ გლეხობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკება. ამ მიზნით რევოლუციის ერთ-ერთ მძლავრ კერაში — გურიაში — ჩავიდა მთავარმართებლის საბჭოს წევრი სულთან კრიმ-გირეი. მას, სოციალ-დემოკრატიის ბიერ შეკავშირებულმა გლეხებმა ყველგან ერთი და იგივე მოთხოვნები წაუყენეს, როგორიცაა მაგალითად, „ჩამონაჭრების“ დაბრუნება, მემამულეთა, საუფლისწულო და საეკლესიო-სამონასტრო მიწების კონფისკაცია და მათი უსასყიდლოდ გადაცემა გლეხობისათვის; სახელმწიფო, საეკლესიო და სხვა გადასახადთა, აგრეთვე პირდაპირი გადასახადების გაუქმება: ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, სკოლისა — ეკლესიისაგან; ქართულ ენაზე, საერთოდ მშობლიურ ენაზე, საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლების შემოღება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლის ასაკამდე და სხვ.

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 1. საქ. 25, ფურც. 49.

სულთან კრიმ-გირეის მისიას მთავრობისათვის არ მოუტა სასურველი შედეგები: გურიის გლეხთა მოძრაობის ამბები, ამ მოძრაობის ხასიათი და ფორმები ცნობილი გახდა საქვეყნოდ. ამან ახალი ბიძგი მისცა გლეხობის რევოლუციური ბრძოლის შემდგომ გაფართოებასა და გაძლიერებას მთელ საქართველოში. სულთან კრიმ-გირეი უკან გამოიწვიეს სასწრაფოდ. ალიხანოვ-ავარსკის უბრძანეს გურიაში შესვლა. იგი ოზურგეთში შევიდა 10 მარტს და იქ დარჩა ივლისის ბოლომდე.

რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობდა. ამ გარემოებამ მეფის ხელისუფლება სერიოზულად ჩააფიქრა. მან ამიერკავკასიაში გაატარა რიგი ღონისძიება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გასაძლიერებლად: 1905 წლის 26 თებერვლის რესკრიპტით კვლავ აღადგინა კავკასიაში სამეფისნაცვლო; 22 მაისს შექმნა კავკასიის პოლიციის გამგის თანამდებობა, რომელიც აერთიანებდა ჟანდარმერიისა და პოლიციის საქმიანობას და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყოველგვარი პოლიტიკური საქმის გამოძიებას; ჟანდარმერიისა და პოლიციის მუშაობის გაძლიერების მიზნით მეფემ დამატებით გამოყო 100 ათასი მანეთი და ა. შ.

ამრიგად, მეფის ხელისუფლებამ აამოქმედა რა პოლიციური სახელმწიფოს მთელი დამსჯელი აპარატი, უმაგალითოდ გააძლიერა რეპრესიები, მაგრამ მათ თანდათანობით დაკარგეს ქმედითუნარიანობა, რევოლუციური მოძრაობის საყოველთაო ხასიათის გამო. რევოლუციურმა ღონისძიებებმა კი მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პარალიზება გამოიწვია.

1905 წლის იანვრის სახელოვანი გაფიცვა, როგორც ცნობილია, წარმატებით დამთავრდა. რკინიგზის თბილისის მთავარ და სახაზო სახელოსნოებში დაწესდა 9-საათიანი სამუშაო დღე. „ამორჩეულთა“ ინსტიტუტსა და გზის მმართველობას უფლება მიეცათ პირველი მოთხოვნილების პროდუქტთა ფასებთან შეფარდებით გაედიდებინათ დამხმარე მუშათა ხელფასი. მთავარ სახელოსნოებისა და დეპოს მუშებს მიეცათ განაცდური გაფიცვის მთელ პერიოდში, 18 იანვრიდან 31 იანვრამდე, შემდეგი რაოდენობით: ცოლშვილიანებს დღიური გამომუშა-

ვების სამი მეოთხედი, უცოლშვილოებს — ნახევარი, მაგრამ ამან მუშები ვერ დააკმაყოფილა.

1905 წლის მარტს რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშებმა, რაოდენობით სამი ათასმა კაცმა დემონსტრაციულად დატოვა სამუშაო, ისე, რომ გაფიცვის მიზეზი არ წამოუყენებიათ[1]. სახელოსნოების უფროსი გაფიცულ მუშებს ემუქრებოდა, თუ ომიანობის დროს გაფიცვებს გააგრძელებთ, სახელოსნოებს დავხურავთო, მაგრამ მუქარამ არ გაჭრა. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სისტემატურად იმართებოდა მუშათა მრავალრიცხოვანი კრებები როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარეთ, კერძოდ მლაშე ტბის რაიონში. ამ კრებებზე მუშები იხილავდნენ რუსეთის პოლიტიკური წყობის, მისი უვარგისობის საკითხებს; ამ საკითხებს მიეძღვნა რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშათა კრებები 1905 წლის 25 და 27 მარტს მლაშე ტბის რაიონში[2]. ამ გარემოებამ გზათა მიმოსვლის სამინისტრო ჩააფიქრა, რასაც შედეგად მოჰყვა 1905 წლის გაზაფხულზე გზათა მიმოსვლის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო რკინიგზებზე გაფიცვების აკრძალვა, რევოლუციონერთა სასტიკი დასჯა[3].

მაგრამ ასეთ ღონისძიებებს უკვე აღარ შეეძლო რევოლუციის შეჩერება. შეუძლებელი იყო საქართველოს რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდის — რკინიგზელ მუშათა — ალაგმვა, რომელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდებოდა. ამიტომ კვლავ ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. 13, 20 და 25 მარტს გამართეს არალეგალური კრებები ნაძალადევში, სადაც განიხილეს რევოლუციური ბრძოლის კონკრეტული საკითხები[4]. ამის შემდეგ, 10 აპრილს გაიფიცნენ მემანქანეები და მატარებელთა მიმოსვლა შეწყდა მთელ ხაზზე. რკინიგზელთა ამ

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 7-ს, საქ. 653 ფურც. 284.

[2] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 31, საქ. 237, ფურც. 258.

[3] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 279, აღწ. 3, საქ. 36, ფურც. 9.

[4] იქვე, ფ. 7-ს, საქ. 653, ფურც. 291—308.

გაფიცვას მაღალი შეფასება მიაცა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ვპერიოდმა“. მან აღნიშნა, რომ გაფიცვა „მიმდინარეობდა კავკასიისათვის ჩვეული სიმედგრით და სოლიდარობით, ერთბაშად ბოიკოტა რა მთელი ხაზი, ამაში იჩენს თავს რსდმპ კავკასიის კავშირის გავლენა“[1].

რევოლუციურ მოძრაობაში განსაკუთრებით რკინიგზელები აქტიურ მონაწილეობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობებდა მათი მძიმე უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა. ოფიციალური სტატისტიკაც კი ვერ შალავდა ამ გარემოებას. 1900 წელს დაწყებული ეკონომიური კრიზისის შედეგები, როგორც ცნობილია, შედარებით გვიან ხდება საგრძნობი ტრანსპორტზე. საქონელბრუნვის თანდათანობით შემცირებასთან დაკავშირებით მცირდება სამუშაოთა მოცულობა რკინიგზაზე და, მაშასადამე, მუშახელის რაოდენობაც. ეს ყველაზე ცხადად გამოჩნდა რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში. აქ 1902 წელს მუშაობდა 3072 კაცი, ხოლო 1905 წლისათვის მუშათა რაოდენობა შეამცირეს 2536 კაცამდე, საერთოდ ასეთ შემცირებათა გამო დღითი-დღე მატულობდა თბილისში უმუშევართა რაოდენობა. 1903 წლიდან კატასტროფულად დაეცა სამუშაო ხელფასი მთავარ სახელოსნოებში, რაც, სულ ცოტა, ორი გარემოებით მაინც უნდა აიხსნას: ჯ ე რ ე რ თ ი, მუშახელის სიჭარბით, რაც საშუალებას აძლევდა დამქირავებელს მკვეთრად შეემცირებინა სამუშაო ხელფასი, მ ე ო რ ე ც, სამუშაოთა მოცულობის შემცირებით.

რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში მუშათა ხელფასის დინამიკის წარმოსადგენად 1903 წლის ივნისის ხელფასის დონეს, თუ შევადარებთ 1904—1905 წლების ივნისის ხელფასის დონეს, ნათლად დავინახავთ რევოლუციის წინ მუშათა ხელფასის დაცემის სურათს, რასაც დიდი გამარევოლუციურებელი გავლენა ჰქონდა.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოების ამწყობ საამქროში 1903 წლის ივნისის თვეში მუშაობდა 213 ზეინკალი. მათი თვიური გამო-

---

[1] Газ. «Вперед», 30 (17) апреля 1905 г.

ბუშავება უდრიდა 9076 მანეთსა და 53 კაპიკს, საშუალოდ ერთ ზეინკალზე მოდიოდა 42 მანეთი და 61 კაპიკი; 1904 წლის ივნისში საამქროში მუშაობდა 210 ზეინკალი, რომელთა თვიური გამომუშავება შეადგენდა 9410 მანეთსა და 73 კაპიკს. საშუალოდ ერთ ზეინკალზე მოდიოდა 44 მანეთი და 81 კაპიკი; 1904 წლის ივლისში მომუშავე ზეინკალთა რაოდენობა გადიდა 219-მდე, მაგრამ მათ მიერ გამომუშავებული თანხა შემცირდა 6968 მან. და 76 კაპიკამდე, ხოლო ერთი ზეინკლის თვიური გამომუშავება დაეცა 31 მან. და 36 კაპიკამდე. 1903 წლის ივნისში ზეინკლის თანაშემწის საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 25 მანეთსა და 28 კაპიკს; 1904 წლის ივნისში — 18 მანეთსა და 91 კაპიკს, 1905 წლის ივნისში კი 11 მანეთსა და 92 კაპიკს. არაკვალიფიციური მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1903 წლის ივნისში უდრიდა 20 მანეთსა და 90 კაპიკს; 1904 წლის ივნისში — 18 მანეთსა და 85 კაპიკს, ხოლო 1905 წლის ივნისში იგი შემცირდა 15 მანეთსა და 24 კაპიკამდე.

საქვაბე საამქროში 1903 წლის ივნისის თვეში მუშაობდა 97 მექვაბე. მათი საერთო თვიური გამომუშავება უდრიდა 4610 მანეთსა და 49 კაპიკს. თვითეული მექვაბის საშუალო გამომუშავება უდრიდა 47 მანეთსა და 53 კაპიკს; 1904 წლის ივნისში მექვაბეთა რაოდენობა საამქროში გაიზარდა 107-მდე, მაგრამ მათი საერთო გამომუშავება 3766 მანეთსა და 55 კაპიკამდე შემცირდა, ხოლო ერთი მექვაბის საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 35 მანეთი და 21 კაპიკი; 1905 წლის ივნისში მუშაობდა 80 მექვაბე, საერთო გამომუშავებამ შეადგინა 2426 მანეთი და 03 კაპიკი, ერთი მექვაბის საშუალო თვიურმა ხელფასმა კი 30 მანეთი და 32 კაპიკი. ამავე საამქროში ზეინკალთა ხელფასის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 1903 წლის ივნისში ზეინკლის საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 40 მანეთსა და 15 კაპიკს, 1904 წლის ივნისში — 39 მანეთსა და 83 კაპიკს, 1905 წლის ივნისში კი 33 მანეთსა და 38 კაპიკს. აქ არაკვალიფიციურ მუშათა თვიური ხელფასი 1903 წლის ივნისში უდრიდა 20 მანეთსა და 67 კაპიკს, 1904 წლის ივნისში — 18 მანეთსა და 19 კაპიკს, ხოლო 1905 წლის ივნისში 15 მანეთსა და 20 კაპიკს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო რკინი-

გზის თბილისის მთავარი სახელოსნოების დანარჩენ საამქროებში[1].

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში მომუშავეთა ხელფასის ასეთი მუდმივი გაუარესება ფრიად დიდ გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენდა მაშინ. 1903 წლიდან მოყოლებული 1905 წლის ივნისამდე ჩათვლით თანდათანობით კლებულობდა რკინიგზელთა ხელფასი. ჟანდარმერიაც კი იძულებული გამხდარა 1905 წლის 25 ივნისს აღენიშნა რკინიგზელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობა, „რასაც, — ჟანდარმერიის აზრით, — შეეძლო გამოვლინება უაღრესად არასასურველ ფორმებში"[2], და მართლაც, 1905 წლის ივნისში იფეთქა პოლიტიკურმა გაფიცვამ თბილისში.

1905 წლის 20 ივნისს დილის 8 საათზე მუშაობა შეწყვიტეს და გაფიცვა გამოაცხადეს რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშებმა. ელვის სისწრაფით მოეფინა სახელოსნოებს პროკლამაციები, რომლებიც საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდებდნენ[3]. გაფიცულ რკინიგზელებს შეუერთდნენ ტრამვაისა და კერძო ფაბრიკა-ქარხნების მუშები, სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი და სხვ. პოლიტიკურმა გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ამ გაფიცვის შესახებ ლენინური გაზეთი „პროლეტარი" წერდა: „გუშინ მუშაობა შეწყვიტეს რკინიგზის სახელოსნოებისა და ყველა კერძო ფაბრიკა-ქარხნის მუშებმა. შეწყდა ტრამვაისა და „კონკის" მოძრაობა. დღეს გაფიცულთ შეუერთდნენ ნოქრები; თამბაქოს ყველა მაღაზია დაკეტილია. გაიფიცნენ ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი. ქუჩებს გაძლიერებულად იცავენ ყაზახები და პოლიცია. ხდება მასობრივი ჩხრეკა. ეძებენ იარაღს[4].

გაფიცული მუშები მოითხოვდნენ კაზაკების დათხოვნას, პატრულების მოხსნას და მილიციის დაარსებას. 20 და 21 ივ-

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 279, აღწ. 1, საქ. 2829, ფურც. 26—27; საქ. 1860, ფურც. 227—228.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 7-ს, საქ. 620. ფურც. 231.

[3] Газ. «Пролетарий», 21 июня 1905 г.

[4] ი ქ ვ ე.

ნისს ჩატარდა რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა კრება გარეშე მუშებისა და მოწაფეთა მონაწილეობით. კრებამ დაადგინა მიიღონ მონაწილეობა საერთო გაფიცვაში და წამოაყენა მოთხოვნები: 1. ქალაქიდან ყაზახებისა და ჯარის ნაწილების გაყვანის, 2. ე. წ. „პატრიოტების“ განიარაღების, 3. პოლიტიკურ ტუსაღთა განთავისუფლების, 4. თავდაცვის მიზნით ქალაქის მოსახლეობისათვის შეიარაღების უფლების მიცემის, 5. კავშირის, სიტყვის, ბეჭდვის და სხვათა თავისუფალი დაშვების, 6. საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით დამფუძნებელი კრების არჩევის და ა. შ. ასეთი დაძაბული რევოლუციური ვითარების გამო მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ითხოვა თბილისსა და თბილისის მაზრაში საგანგებო დროის წესების შემოღება. მეფისნაცვლის თხოვნა დააკმაყოფილეს და 27 ივნისს თბილისში და თბილისის მაზრაში გამოაცხადეს საგანგებო დროის წესები[1].

ამრიგად, 1905 წლის ივნისის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მონაწილე მუშათა ავანგარდში იდგნენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშები

მეფის ხელისუფლება ბურჟუაზიისა და ქართველი თავადაზნაურობის დახმარებით, რევოლუციის ძალთა დაქსაქსვის მიზნით, შეუდგნენ ეროვნული შუღლის გაღვივებას ამიერკავკასიის ხალხთა შორის, ამ მიზნით აწყობდნენ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტას.

ქართველი თავადაზნაურობის 1905 წლის 1 აპრილის თავყრილობამ თხოვნით მიმართა ნიკოლოზ II მიეცა საქართველოსათვის ავტონომიური უფლებები. ასეთი ავტონომიით ცდილობდა ბურჟუაზია და თავადაზნაურობა რევოლუციის ერთიანი ფრონტის დაშლას. ამ დროს თვითმპყრობელური რუსეთის ფარგლებში საქართველოსათვის ავტონომიური უფლების მოთხოვნა აშკარად რეაქციული მოთხოვნა იყო. საქართველოსათვის ავტონომიური უფლებების მიცემა მომასწავებელი იქნებოდა ასეთივე უფლებების მინიჭებისა იმპერიაში შემავალი ყველა ჩაგრული ერისათვის. ეს კი იქნებოდა

---

[1] ჟურნ. „მოგზაური“, № 24, 1905 წლის 3 ივლისი.

ერთიანი რევოლუციური ფრონტის დაშლა, ამიტომ უარყოფ-
და რა ავტონომიის მოთხოვნას, ალ. წულუკიძე წერდა: „თავ-
და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწი-
ფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის,
რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ
იქნას"[1].

1905 წლის ივლისის ბოლოდან გაძლიერდა გლეხთა რე-
ვოლუციური გამოსვლები გურიასა და სამეგრელოში. გორისა
და დუშეთის მაზრებში შეტაკებები ხდებოდა ჯარის ნაწილებ-
სა და გლეხობას შორის. მჭადიჯვრის შეტაკებაში 48 გლეხი
მოკლეს და ა. შ.

რევოლუციის მძლავრი აღმავლობით დამფრთხალმა მეფის
ხელისუფლებამ 1905 წლის 6 აგვისტოს გამოსცა კანონი სა-
ხელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ.

ხახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მი-
ღების საკითხის განსახილველად 29 აგვისტოს თბილისში ქა-
ლაქის გამგეობის შენობაში შედგა მუშათა კრება. მუშებმა
კრება მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციურ გამოსვლად გა-
დააქცეს. მეფის ადგილობრივმა ხელისუფლებამ კრებას კაზა-
კები და პოლიცია მიუსია. ჩაკეტეს შენობის კარები, ჩააქრეს
სინათლე და დაიწყეს უიარაღო მუშების ხოცვა-ჟლეტა, მოკ-
ლეს 60 და დაჭრეს 200-ზე მეტი მუშა. ამ ბოროტმოქმედებას
საქართველოს მუშათა კლასმა საყოველთაო გაფიცვით უპა-
სუხა.

სოფლად კვლავ ძლიერდებოდა გლეხთა რევოლუციური
მოძრაობა, მასში მოსახლეობის ახალი და ახალი ფენები
ებმებოდა. მოძრაობა საყოველთაო და ორგანიზებულ ხასიათს
ღებულობდა. რევოლუციური გლეხები, ბოლშევიკური ორგა-
ნიზაციების ხელმძღვანელობით, მასობრივად ქმნიდნენ გლეხ-
თა რევოლუციურ კომიტეტებს. პირველ ხანებში
გლეხთა რევოლუციური კომიტეტები მთავ-
რობის დაწესებულებათა და მემამულეთა
ბოიკოტით კმაყოფილდებოდნენ და წარ-
მოადგენდნენ რევოლუციური ხელისუფლე-

---

[1] ალ. წულუკიძე. თხზულებანი, თბ., 1967, გვ. 349.

ბის ჩანასახებს. მაგრამ რევოლუციური ბრძოლის გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად, ისინი გადაიქცნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად. რევოლუციური კომიტეტები რევოლუციის ბობოქარ დღეებში, თუმცა სხვადასხვა დროს და მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით, მაგრამ მაინც წარმატებით ახორციელებდნენ მართვა-გამგეობის ფუნქციას ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, რაჭა-ლეჩხუმის, გორისა და სხვა მაზრებში.

გლეხთა რევოლუციური კომიტეტები შედგებოდა რევოლუციური გლეხობის მიერ დემოკრატიული წესით არჩეულ სასოფლო საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები აწარმოებდნენ მიწების ჩამორთმევას მემამულეებისაგან და გლეხობისათვის დარიგებას, ხელმძღვანელობდნენ სასოფლო და სახელმწიფო გზების შეკეთებასა და ახალი გზების გაყვანას, სასკოლო შენობების შეკეთებასა და ახლის მშენებლობას; ასრულებდნენ სასამართლოს ფუნქციებსაც, საჯაროდ ასამართლებდნენ ქურდებს, ჯაშუშებს, კაცის მკვლელებს და გამოქონდათ სათანადო განაჩენი, რომელიც დაუყოვნებლივ მოჰყავდათ სისრულეში. ასე მაგალითად, ლანჩხუთში გაასამართლეს თანასოფლელები წილოსანი და ეღენტი რუსი მუშების მოკვლის გამო. მათ მიუსაჯეს ექვსი თვით ბორკილებში ყოფნა, ორი წლით ბოიკოტი და 400 მანეთის გადახდა მუშის ქვრივის სასარგებლოდ, ასეთივე სასამართლოები მოქმედებდნენ ოზურგეთსა და ქუთაისის მაზრებში[1].

გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს ჰყავდათ საკუთარი შეიარაღებული ძალა — „წითელი რაზმი", რომელზედაც დაყრდნობით ახორციელებდნენ ისინი მაზრებსა და სოფლებში თავიანთ რევოლუციურ ძალაუფლებას ყველგან, სადაც კი გლეხთა რევოლუციური კომიტეტები მოქმედებდნენ, იყო

---

[1] «Высший подъем революции 1905 — 1907 гг.», ч. III, кн. II, М., 1956, стр. 283.

სანიმუშო წესრიგი, თითქმის სრულიად აღიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, გაიზარდა გლეხობის საზოგადოებრივი აქტივობა, გლეხები თვითონ ჩაუდგნენ სათავეში თავიანთი სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას.

გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მოღვაწეობას უფრო ძეტი წარმატებები ექნებოდა, რომ მენშევიკების ოპორტუნისტულ ტაქტიკას არ შეეფერხებინა მათი მუშაობა. მენშევიკები არ სცნობდნენ რევოლუციურ კომიტეტებს როგორც ხელისუფლების ორგანოებს, როგორც აჯანყების ორგანოებს. ისინი უარყოფდნენ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების საჭიროებას, მოითხოვდნენ შეიარაღებული „წითელი რაზმების“ დაშლას, მაგრამ რევოლუციური გლეხები როდი უსმენდნენ მენშევიკების ოპორტუნისტულ ტიტინს, ისინი ძხარს უჭერდნენ ბოლოლოდ ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკას და კვლავ განაგრძობდნენ რევოლუციური კომიტეტებისა და „წითელი რაზმების“ ჩამოყალიბებას.

მოსკოვსა და პეტერბურგში ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო 12—13 ოქტომბერს, ჯერ რკინიგზებზე და შემდეგ მოედო ფაბრიკა-ქარხნებს. ასე მოხდა თბილისშიც. აქ გაფიცვა დაიწყეს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშებმა 14 ოქტომბერს. ამის გამო რკინიგზის ჟანდარმთა თბილისის განყოფილების უფროსი ატყობინებდა კავკასიის პოლიციის უფროსს: „დაახლოებით 12 საათზე უცნობმა პირებმა მისცეს გამაფრთხილებელი საყვირი. ამით აცნობებდნენ ყველას, რომ იწყებოდა გაფიცვა. გაფიცული მუშები „მარსელიოზას“ სიმღერით გაემართნენ დიდუბის მოედანზე მოსალაპარაკებლად. აქ შეიკრიბა 2000-მდე კაცი. მოლაპარაკების შემდეგ დაიშალნენ. იმავე დღეს სამ ნახევარ საათზე ელისაბედისა და ვაგზლის ქუჩების[1] კუთხეში შეიკრიბნენ რკინიგზის სამმართველოს მოსამსახურეები რიცხვით რამდენიმე ასი კაცი... გადაწყვიტეს გაფიცვა გაეგრძელებინათ 20 ოქტომბრამდე“[2].

---

[1] ამჟამად, კლარა ცეტკინისა და ჩელუსკინველთა ქუჩების კუთხე.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი); ფ. 26, საქ. I, ფურც. 13.

,რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში გაფიცვების დაწყებისა და მიმდინარეობის შესახებ უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი რკინიგზელ მოსამსახურეთა დეპეშებში. 1905 წლის 12 ოქტომბერს, როგორც მთავარი სახელოსნოების უფროსის 13 ოქტომბრის დეპეშიდან ვგებულობთ, დღის ორ საათნახევარზე ხელოსანთა ერთი ჯგუფი, დაახლოებით ათასამდე კაცი შეიკრიბა ამწყობ საამქროს შენობაში, აქ მოისმინეს რამდენიმე ამხანაგის სიტყვა და დაიშალნენ. წავიდნენ თავიანთ საამქროებში. 13 ოქტომბერს მუშაობა ჩვეულებრივი წესით დაიწყო. ამ ცნობის შემდეგ მთავარი სახელოსნოების უფროსი დაუმატებდა „გაფიცვა მთავარ სახელოსნოებში დაიწყება ხვალ, 14 ოქტომბერსო". ამიერკავკასიის რკინიგზების უფროსი 14 ოქტომბრის დეპეშით აფრთხილებდა წევის დარგის უფროსს „ვინაიდან დღეს მთავარი სახელოსნოების მუშებმა თავიანთი ნებით დასტოვეს სამუშაო, წინადადებას ვიძლევი. გასცეთ განკარგულება მთავარი სახელოსნოების დაკეტვის შესახებ ახალ განკარგულებამდე; ამის შესახებ გააკარი: განცხადება სახელოსნოების თვალსაჩინო ადგილზე". გზის უფროსის განკარგულება, რა თქმა უნდა, შეასრულეს და გამოაკრეს შემდეგი განცხადება: „ეცხადებათ მთავარი სახელოსნოების ხელოსნებსა და მუშებს, რომ სახელოსნოები დაკეტილია სათანადო განკარგულებამდე"[1]. იმავე დღეს გაიფიცნენ მეისრეები, მატარებელთა შემდგენლები და გადამბმელები. მოძრაობა გრძელდებოდა რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცთა დახმარებით[2].

გაფიცვა ელვის სისწრაფით გავრცელდა რკინიგზის მთელ ხაზზე. ბათუმიდან იტყობინებოდნენ: „15 ოქტომბერს, დღის ცხრა საათზე, ბათუმის სახალხო, საბარგო და საზღვაო სადგურის ყველა მტვირთავმა მუშამ, გადამბმელებმა, მატარებლის შემდგენლებმა, მეისრეებმა და დარაჯებმა... დასტოვეს სამუშაო და წავიდნენ სადგურიდან". სამტრედიის სადგური-

---

[1] თსუ „შრომები", ტ. 57, 1955, გვ. 129.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი). ფ. 25, საქ. I, ფურც. 3.

დან იტყობინებოდნენ: „მატარებლების მოძრაობა შეწყდა ღამის 12 საათზე, საყუდი დაცარიელებულია, საერთო გაფიცვაა ყველა მუშა-მოსამსახურე“. ასეთივე ცნობები მოდიოდა რკინიგზის უფროსის ივანოვსკის სახელზე ფოთიდან, ევლახიდან, ალექსანდროპოლიდან და სხვა ადგილებიდან. თბილისსა და ბათუმს შორის სრულიად შეწყდა მოძრაობა. გაფიცული მუშების ნაცვლად იყენებდნენ ჯარის სათადარიგო ნაწილებს[1]. მაგრამ არც მათ ენდობოდნენ და აფრთხილებდნენ, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებდნენ გაფიცვებში, მაშინ ჩარიცხავდნენ მუდმივ სამხედრო სამსახურში. მიუხედავად ასეთი მუქარისა, ისინი არ მოერიდნენ გაფიცვაში მონაწილეობას. მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით მთავარსარდლის განკარგულებით დააწესეს გაძლიერებული დაცვა რკინიგზის შემდეგ უბნებზე: სამტრედიაში, რიონში, ფოთსა და ბათუმში. აგრეთვე საჯავახოში[1], ნიგოითში, ლანჩხუთში, ნატანებში, ქობულეთში, ჩაქვში, კოპიტნარში, ჯუმათში, სუფსაში, ჭალადიდში, ქვალონში და აბაშაში. რკინიგზაზე სამხედრო წესების შემოღებამ რკინიგზელთა აღშფოთება და პროტესტები გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით ბათუმის უბნის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს: 1. მოიხსნას სამხედრო წესები მთელ რკინიგზაზე, 2 გაიყვანონ რკინიგზის რაიონში ჩაყენებული ჯარები, 3. შეჩერებულ იქნას ჯარების გადაყვანა იმ ხალხთა დასარბევად, რომელთაც ხმა აიმაღლეს მთელ რუსეთში მოქალაქეობრივი უფლებების აღსადგენად, 4. მიეცეს ყველას ჯამაგირი გაფიცვის დღეებში. არ დაისაჯოს არავინ. ასევე მოთხოვნები მოდიოდა რკინიგზის უფროსის სახელზე სამტრედიიდან, ზესტაფონიდან და სხვა ადგილებიდან. ამ გაფიცვებით უმაღლესი ხელისუფლების ძლიერ შეშფოთებაზე მიუთითებს გზათა მიმოსვლის სამინისტროს მიერ 24 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა: „მინისტრის სახელით გაცნობებთ, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნებართვითა და ბრძანებით მიღებული იქნება დაუყოვნებლივი ზომები რკინიგზებზე

---

[1] თსუ „შრომები“, ტ. 57, 1955, გვ. 129—130.

დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აგრეთვე გაუწყებთ, რომ ბატონი მინისტრის განკარგულებაა, თუ ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს, 24 საათის განმავლობაში. ამ დეპეშის მიღებიდან დაიწყებენ მუშაობას და დამყარდება ჩვეულებრივი მყუდროება რკინიგზებზე, არავინ არ დაისჯება გაფიცვისათვის და ჯამაგირებიც სრულად მიეცემათ. ხოლო აღნიშნულ დროზე მყუდროება თუ არ დამყარდა, შეაჩერეთ ჯამაგირების გაცემა. ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა გვაცნობეთ სასწრაფოდ"[1].

მეფის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდა არა მარტო რევოლუციურ მოძრაობას, არამედ საკუთარ ხაზინასაც. 1890 წელს სახელმწიფო ხაზინამ, როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის რკინიგზებიდან მიიღო წმინდა შემოსავალი რვა მილიონ სამასი ათას მანეთზე მეტი, ხოლო 1900 წელს — თორმეტ მილიონ ორასი ათას მანეთზე მეტი. 1905 წლის მარტო პირველ ექვს თვეში ამიერკავკასიის რკინიგზების ზარალმა გაფიცვების შედეგად სამ მილიონ ხუთას ათას მანეთს მიაღწია[2].

ამრიგად, რევოლუციის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ. მას პირველები გამოეხმაურნენ საქართველოს რკინიგზელი მუშები. ამ გაფიცვამ აქაც მალე მიიღო საყოველთაო პოლიტიკური ხასიათი, იგი მთელ საქართველოში გავრცელდა. ყველგან შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტები, ისინი ხელმძღვანელობდნენ გაფიცვებს, საქალაქო და სადაბო მეურნეობის საკითხების მოწესრიგებას, შეიარაღებული რაზმების შედგენას. საგაფიცვო კომიტეტები იმავე ფუნქციებს ასრულებდნენ, რასაც მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთის სამრეწველო ცენტრებში და გლეხთა რევოლუციური კომიტეტები საქართველოს სოფლებში.

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დღეებში გლეხობა

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1926 წლის 8 იანვარი.
[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წლის 13 აგვისტო.

რევოლუციური ბრძოლის ახალ ფორმებსა და მეთოდებს იყენებდა. შეიარაღებული გლეხობა ერეკებოდა სოფლიდან ხელისუფლების წარმომადგენლებს, იარაღს ჰყრიდნენ მათ. სისტემატურად ხდებოდა შეიარაღებული შეტაკება გლეხებასა და ჯარის ნაწილებს შორის. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბრძოლა მოხდა გურიაში, 20 ოქტომბერს, რომელიც ცნობილია ნასაკირალის ბრძოლის სახელით. ნასაკირალთან ათასამდე შეიარაღებული გლეხი როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების მომხრენი, მიუხედავად მენშევიკლიდერთა წინააღმდეგობისა, თავს დაესხა ოზურგეთისაკენ მიმავალ კაზაკთა და პოლიციელთა რაზმს. შეტაკებისას გლეხებმა მოკლეს 10, დაჭრეს 14 და ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე კაზაკი, დანარჩენები გაფანტეს.

ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დღეებში ძალაუფლება ფაქტიურად გადავიდა ხალხის ხელში. ამ მხრივ აღსანიშნავია ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, შორაპნის, გორისა და სხვა მაზრები, სადაც გლეხთა რევოლუციური კომიტეტები და საგაფიცვო კომიტეტები დაეპატრონენ ძალაუფლებას. საერთო სურათს არ ცვლიდა ის გარემოება, რომ ზოგიერთ მაზრაში ჯერ კიდევ განაგრძობდნენ ფორმალურ არსებობას მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ამას ოფიციალური ხელისუფლებაც ვერ მალავდა. მეფის ერთ-ერთი მოხელე წერდა: „ქუთაისის გუბერნიაში პოლიტიკურმა მდგომარეობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ეს უბრალო „ანარქია" კი არ არის. რომელიც ასე თუ ისე შეიძლება საშხედრო რეპრესიით ჩააქრო. არამედ შეიქმნა რაღაც განსაკუთრებული სახელმწიფო, რომელიც თვითმმართველი რევოლუციური თემებისაგან შედგება. ისინი მხოლოდ რევოლუციური კომიტეტების ხელისუფლებას სცნობენ და ახლა იარაღს იმარაგებენ აშკარა აჯანყებისათვის, რომლის დაწყებას ვარაუდობენ მიმდინარე წლის ახალწვეულთა გაწვევის დროისათვის. ამბები, რაც ქუთაისის გუბერნიაში ხდება, იმდენად გასაოცარია, იმპერიის სახელმწიფო წყობილების საერთო ფონზე, რომ უცხოელები

საგანგებოდ ჩამოდიან კავკასიაში, რათა ადგილობრივ გაეცნონ რუსეთის სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს"[1].

ამრიგად, ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ ძლიერ დააფრთხო მეფის ხელისუფლება. მეფემ 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც პირდებოდა ხალხს პიროვნების ხელშეუხებლობას, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას. „საკანონმდებლო" სათათბიროს მოწვევას. ამით მეფეს სურდა მასების რევოლუციური სიფხიზლის მოდუნება, დროის მოგება რევოლუციის წინააღმდეგ შეტევისთვის. მაგრამ ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგად 17 ოქტომბრის მანიფესტს ფხიზლად შეხვდა ამიერკავკასიის პროლეტარიატი. მხოლოდ მენშევიკებმა ჩათვალეს იგი საბოლოო გამარჯვებად. ბოლშევიკები თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ამხელდნენ მენშევიკურ, ოპორტუნისტულ ტაქტიკას და მასებს შეიარაღებისაკენ მოუწოდებდნენ. 19 ოქტომბერს ნაძალადევში გაიმართა მრავალათასიანი მუშათა მიტინგი. მიტინგმა მეფისნაცვალს მოსთხოვა ეგზეკუციის მოხსნა, სამხედრო წესების გაუქმება, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. მანიფესტაცია ნაძალადევიდან გაემართა მეფისნაცვლის რეზიდენციისაკენ. მეფისნაცვალმა უარი განაცხადა მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ფეხებით გათელა 17 ოქტომბრის მანიფესტი. მეფისნაცვლის რეზიდენციის ახლოს გაიმართა მიტინგი, სადაც მუშებმა უახლოეს ამოცანად დასახეს მასების შეიარაღება. 20,21 და 22 ოქტომბერს ნაძალადევში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, სადაც ბოლშევიკები შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგს აყენებდნენ[2]. ამ დროს ი. ბ. სტალინი წარმატებით ამხელდა მენშევიკების ოპორტუნისტულ ტაქტიკას.

რევოლუციასთან საბრძოლველად ვორონცოვ-დაშკოვი-ბზარდაჭერით რეაქციონერებმა გოროდეცევმა და ვოსტორგოვმა შექმნეს შავრაზმული, „პატრიოტული" ორგანიზაცია —

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 2, საქ. 64. ფურც. 105—107.

[2] Газ. «Новая жизнь», 8 ноября 1905 г.

„წესრიგის მომხრეთა პარტია". ამ ორგანიზაციის პირველი ამკარა გამოსვლა მოხდა ჯერ კიდევ 1905 წლის 9 მაისს[1]. ამ შავრაზმელებმა რევოლუციური მიტინგებისა და დემონსტრაციების საპასუხოდ 21—22 ოქტომბერს თბილისში გამართეს „პატრიოტული" მანიფესტაცია ხატებით და მეფის სურათებით. ამის გამო პროტესტი განაცხადეს თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეებმა. გაბოროტებულმა მანიფესტანტებმა შური იძიეს — სასწავლებელი დაარბიეს. ჯარის ხაწილებმა ტყვია დაუშინეს გიმნაზიის შენობას და ახლო-მახლო ძდებარე საცხოვრებელ სახლებს, მოკლეს 40-მდე და დაჭრეს 60-მდე კაცი.

1905—1907 წლების რევოლუციაში მშრომელთა მხარდამხარ გამოდიოდა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, მისი ერთი ნაწილი მამაცურად იცავდა აჯანყებულ ხალხს ადგილობრივი ხელისუფლების რეპრესიულ ღონისძიებათაგან. ᲬᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ კი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა რევოლუციურ ᲫᲣᲨᲐᲗᲐ კლასსა და გლეხობას. გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნამ, როგორც ცნობილია, მთელი საქართველო ააღელვა. ქართველი ხალხის საუკეთესო და პროგრესული ძალები ფეხზე დადგნენ. თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში გამართულ საპროტესტო მიტინგებზე ერთხმად ღებულობდნენ რეზოლუციებს გურიიდან დამსჯელი ექსპედიციის გამოწვევის შესახებ. მეფისნაცვალთან გამოცხადდა ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის მეთაურობით და კატეგორიულად მოითხოვა გურიიდან დამსჯელი ექსპედიციის გამოწვევა. ასეთივე მოთხოვნით მიმართა მეფისნაცვალს ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲛ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. პირველ ხანებში გადაურჩა გურია დარბევას.

იროდიონ ევდოშვილის ᲫᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ პათოსით გაჟღენთილი ლექსები პროკლამაციებად ვრცელდებოდა რევოლუციის ბოლოქარ დღეებში. იროდიონ ევდოშვილმა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ამცნო მთელ ქვეყანას: „უკვე ადგა ქარიშხალი განთია-

---

[1] Газ. «Кавказ», 10 мая 1905 г.

დის მოციქული". მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ის, რასაც ესოდენ აღტაცებით მოელოდა პოეტი. ეს ჯერ კიდევ არ იყო რევოლუცია... ამიტომ ეპოქის პროგრესული ძალები მ. გორკის სიტყვებს იმეორებდა: „დაე, უფრო მძლავრად დაიგრიალოს ქარიშხალმა", და, არც დაყოვნდა. რევოლუციური ქარიშხალი მთელი სიძლიერით დაეჯახა მეფის თვითმპყრობელობას. ამიტომ აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ რევოლუციას ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსები — აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. ა. წერეთელმა ამ რევოლუციაში დაინახა „თერგდალეულთა" იდეალების განხორციელება. იგი ამბობდა: „ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში". რევოლუციის დღეებში აკაკის ლექსები თავიანთი მებრძოლი, მეამბოხური სულისკვეთებით დიდ გამარევოლუციურებელ როლს ასრულებდა. პოეტი, თავის ერთ-ერთ ლექსში, მოუწოდებდა რა ხალხს გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისაკენ, თვითმპყრობელობას მიმართავდა: „ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს, ვეღარ ასდებ აწ აღვირსო!.. ყოველის მხრივ გეძახიან: „ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო!".

ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც რევოლუციაში დაინახა „მონობის ბორკილთა მსხვრევა" და გონების ზეიმი, მას რევოლუციური პათოსით დაწერილი რამდენიმე ლექსი უძღვნა. გარდა ამისა, ვაჟამ იარაღითაც მიიღო მონაწილეობა რევოლუციაში იგი იყო ფშავ-ხევსურეთში შეიარაღებული მებრძოლი რაზმების ერთ-ერთი ორგანიზატორიც. ასე მტკიცედ დაირაზმნეს ქართველი ხალხის მთელი პროგრესული, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი ძალები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კლასობრივი და ეროვნული თავისუფლებისათვის.

* * *

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ამ ბრძოლის სათავეში იდგა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. კავკასიის კავშირის 1905 წლის ნოემბრის კონფერენციამ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადება. აჯანყების მომზადებისა და მისი ხელმძღვანელო-

ბისათვის შეიქმნა სპეციალური ორგანო — „კავკასიის ბიურო“, მებრძოლი რაზმების შეიარაღებისა და გაწვრთნისათვის კი „სამხედრო-ტექნიკური კომისია“.

რევოლუციურ მოვლენათა განვითარებამ ბრწყინვალედ გაამართლა ბოლშევიკების წინასწარხედვა. 1905 წლის ოქტომბერში კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ გამოშვებულ ერთ-ერთ პროკლამაციაში ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვის შესახებ ნათქვამია: „როგორც უნდა დამთავრდეს ეს გაფიცვა, ერთი რამ ცხადი და უეჭველი უნდა იყოს ყველასათვის: ჩვენ ვიმყოფებით მთელი რუსეთის საყოველთაო-სახალხო აჯანყების წინ და ამ აჯანყების ჟამი მოახლოებულია“[1]. 17 ოქტომბრის მანიფესტით მეფემ მიზანს ვერ მიაღწია. მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა და მიუახლოვდა თავის კულმინაციურ პუნქტს — დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას.

ნოემბრის თვე თბილისში აღინიშნა რიგი გაფიცვით. ნოემბრის დასაწყისში გაიფიცნენ რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების დამხმარე მუშები და მოითხოვეს ხელფასის 50 პროცენტით გადიდება. რკინიგზელ მუშათა და ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა მთელ ნოემბრის თვეში გრძელდებოდა[2].

აჯანყების მომზადება, რევოლუციური მასების შეიარაღება მოითხოვდა ფულად სახსრებს, რომლის მიღებაც შეიძლებოდა საზოგადოების პროგრესული ნაწილისაგან ნებაყოფლობითი შემოწირულების გზით. ამიტომ ცენტრალურმა კომისიამ სპეციალური მოწოდებით მიმართა ხალხს: „არ დაზოგოთ სახსრები მოსახლეობის შეიარაღებისათვის!“[3] წინასწარი, სამხედრო-ტექნიკური და ორგანიზაციული მომზადების შემდეგ 1905 წლის პირველ დეკემბერს თბილისის საგაფიცვო ბიურომ გამოუშვა პროკლამაცია „ამხანაგებო და მოქალაქენო“! იგი

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 176.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. I, საქ. 82. ფურც. 61—62.

[3] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ.“, თბ., 1939, გვ. 198.

მუშებს მოუწოდებდა საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყებისაკენ[1].

1905 წლის 3 დეკემბერს მეფის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანებულება, რომლითაც აიკრძალა „თავის ნებით და ურთიერთ შეთანხმებით მუშაობის აღკვეთა ისეთ დაწესებულებებში, რომლებსაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ". ამ ბრძანებულების მეექვსე მუხლი პირდაპირ კრძალავდა გაფიცვებს რკინიგზებზე. აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე მინისტრთა საბჭომ რკინიგზათა უფროსებს აუკრძალა ურთიერთობა და შეთანხმება რევოლუციონერ მუშებთან, ხოლო რკინიგზელებს გამოუცხადა, რომ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა მათ აკრძალული აქვთ[2]. ნიუხედავად ამისა, პეტერბურგში მაშინ მიმდინარეობდა იმპერიის 29 რკინიგზის დელეგატთა სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირის კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება შეუერთდეს მოსკოვისა და პეტერბურგის საბჭოს გადაწყვეტილებას 7 დეკემბრიდან საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადების შესახებ[3]. ეს დადგენილება რამდენიმე დღეში მიიღეს ამიერკავკასიის რკინიგზელებმა[4]. ამ დადგენილებაში ნათქვამია: „რუსეთის 29 რკინიგზის წარმომადგენელთა და სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირის ცენტრალური ბიუროს პეტერბურგის კონფერენცია უერთდება პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოების დადგენილებას და აცხადებს საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას მთელ რუსეთში 7 დეკემბრიდან"[5].

რუსეთის რკინიგზაზე დაწყებულ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობის საკითხის გადასაწყვეტად ბაქოში შედგა კავკასიის რკინიგზელთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო დადგენილება: „კავკასიის რკინიგზების მოსამსა-

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 11, საქ. 4. ფურც. 217.

[2] გაზ. „სხივი", 1905 წლის 9 დეკემბერი.

[3] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 23, საქ. 338. ფურც.. 1—191.

[4] იქვე, ფ. 22, საქ. 383, ფურც. 1—533.

[5] იქვე.

ხურეთა დელეგატების კონფერენციამ განიხილა რა 29 რკინიგზის საგაფიცვო ბიუროს მოწოდება მათ მიერ გამოცხადებულ სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვისათვის მხარდაჭერის შესახებ, დაადგინა: მხარი დაუჭიროს ამხანაგთა მოწოდებას და აღკვეთოს მოქმედება ცხრიდან ათი დეკემბრის ღამის 12 საათზე. კონფერენციის ბიურო სთხოვს ტელეგრაფისტებს დასტოვონ სადგურებზე მორიგეობით თითო ტელეგრაფისტი, რომელიც რკინიგზის მოძრაობის წარმომადგენელთან ერთად მიიღებს და გაისტუმრებს იმ მატარებლებს, რომლებიც დანიშნულნი არიან გაფიცულთა ბიუროსაგან ორგანიზაციული კავშირის დასაჭერად"[1]. ამრიგად, კონფერენციამ გადაწყვიტა შეუერთდეს სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, რომელიც იმ დროს უკვე დაწყებული იყო ცენტრალური რუსეთის რკინიგზებზე.

1905 წლის დეკემბერში, როგორც ცნობილია, შეიკრიბა ბოლშევიკების კონფერენცია ქალაქ ტამერფორსში. კონფერენციის მუშაობაში თბილისიდან მონაწილეობდნენ ი. ბ. სტალინი და გ. პ. თელია. კონფერენციამ მიიღო დადგენილება პარტიის ერთიანობის აღდგენის შესახებ. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკები და მენშევიკები ფაქტიურად შეადგენდნენ ორ სხვადასხვა პარტიას თავიანთი ცალ-ცალკე არსებული ცენტრებით, რაც ხელს უშლიდა რუსეთში მიმდინარე რევოლუციის შემდგომ განვითარებას. კონფერენციამ სასწრაფოდ დაამთავრა მუშაობა მოსკოვში დაწყებული შეიარაღებული აჯანყების გამო და დელეგატები წავიდ-წამოვიდნენ ადგილებზე შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად.

მოსკოვის შეიარაღებულმა აჯანყებამ ბიძგი მისცა ამიერკავკასიის მშრომელებს დაეწყოთ მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის საბჭოს 9 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „საბჭო იმ აზრს გამოთქვამს, რომ თბილისის პროლეტარიატი უნდა მიეშველოს სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას. პროლეტარიატი და ყველა მოქალაქე, მიმართავენ რა გაფიცვას, უნდა ერიდონ მთავრობასთან შე-

[1] გაზ. „სხივი", 1905 წლის 11 დეკემბერი

ტაკებებს, მაგრამ ყველანი მზად უნდა იყვნენ ამ შეტაკებისათვის... მოსახლეობა უნდა შეიარაღდეს, უნდა შემჭიდროვდეს მებრძოლ რაზმებად"[1].

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა შექმნა „ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი" 31 კაცის შემადგენლობით. ბოლშევიკებიდან მასში შედიოდნენ: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, სტ. შაუმიანი, ფ. ბახარაძე. ის. კორა (ივანე სანჭური) და სხვები. ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი საგაფიცვო მოძრაობას ხელმძღვანელობდა ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიაში. რკინიგზაზე პოლიტიკური გაფიცვის უშუალო ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა „რკინიგზის თბილისის საგაფიცვო ბიურო" 14 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მემანქანე სოლომონ დოლიძე ხელმძღვანელობდა. საგაფიცვო ბიუროები შეიქმნა აგრეთვე რკინიგზის დიდსა და საკვანძო საგზურებზე[2].

1905 წლის 11 დეკემბერს მუშათა დიდი მიტინგი გაიმართა ნაძალადევში. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ჩამოაყალიბა მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები: 1. გამოცხადდეს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, 2. რკინიგზა და მისი მთელი მოძრავი შემადგენლობა ხალხის სრულ განკარგულებაში გადავიდეს. 3. სასურსათო მაღაზიები ხალხის ხელში გადავიდეს ქალაქის უკეთ მომსახურების მიზნით, 4. კაზაკები და ჯარისკაცები სრულიად განთავისუფლდნენ პოლიციური მოვალეობისაგან, 5. მოხდეს კაზაკთა ჯარის სრული დაშლა და მათი გაგზავნა სამშობლოში. 6. გადაყენებულ იქნას მთლიანად ძველი ადმინისტრაცია, 7. მოხდეს პოლიტიკური რწმენისათვის დასჯილთა სრული ამნისტია, 8. შემცირდეს ჯარისკაცთა სამხედრო სამსახურის ვადა ორ წლამდე. 9. სახელმწიფოს ხარჯზე მოხდეს ხალხის შეიარაღება, 10. მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება და ა. შ[3].

---

[1] Газ. «Кавказский рабочий листок», II, (24) декабря 1905 г.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი). ფ. 23. საქ. 482. ფურც. I.

[3] გაზ. „სხივი", 1905 წლის 13 დეკემბერი.

ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა 11 დეკემბერს მთელი რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებს დეპეშით აცნობა: „რსდმპ დადგენილებით გაფიცვა დაიწყო 10—11 დეკემბერს ღამის 12 საათზე. ათიდან ივლიან მხოლოდ ის მატარებლები, რომლებსაც გადაყავთ შინ დაბრუნებული სათადარიგო ჯარისკაცები და დელეგატები, აგრეთვე გადააქვთ სანოვაგე მუშა-მოსამსახურეთათვის. ცარიელი მატარებლები ბრიგადებით დააბრუნეთ თბილისში"[1].

ბოლშევიკების გავლენა მუშათა კლასზე უფრო და უფრო იზრდებოდა. ამას ჟანდარმერიაც გრძნობდა. ამის გამო მათ 11 დეკემბერს დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ". მაგრამ ბოლშევიკებმა იგი კვლავ გამოუშვეს „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკ"-ის სახელწოდებით. ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ ისიც დახურა და აკრძალა. დამახასიათებელია, რომ დეკემბრის დღეებში მენშევიკური გაზეთები თავისუფლად გამოდიოდნენ. ისინი ეწეოდნენ მენშევიკური, ოპორტუნისტული ტაქტიკის პროპაგანდას, და ამდენად, საშიშად არ თვლიდნენ.

12 დეკემბერს ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა დეპეშით აცნობა ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა სადგურს, რომ 12 დეკემბრიდან მთელ გზაზე მატარებლები ივლიან საგაფიცვო კომიტეტის განკარგულებით, აგრეთვე ყველა დეპეშა, რომელიც შეეხება გაფიცვას, და საერთოდ, პოლიტიკურ ვითარებას, ხელმოწერილი იქნებაო საგაფიცვო კომიტეტის მიერ. ამრიგად, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ამიერკავკასიის მთელ რკინიგზაზე გავრცელდა 12 დეკემბრიდან. ამ დღეს თბილისში გაიფიცნენ რკინიგზის მუშა-მოსამსახურენი, ფაბრიკების, ქარხნების, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა და სტამბების მუშები[2]. ამავე დროს სადგური თბილისი და ამიერკავკასიის მთელი რკინიგზა გაფიცულთა ხელში გადავიდა. გადააყენეს სადგურის უფროსი, განაიარაღეს სადგურის დაცვა — რკინიგზის ჟანდარმერია. სადგურის დაცვა და ქალაქში წესრიგის დამყარება მუშათა შეიარაღებულ რაზმებს

---

[1] თსუ „შრომები", ტ. 17, 1955, გვ. 135—136.

[2] Газ. «Кавказ», 13 декабря 1905 г.

დაევალა. ქალაქში, სადგურსა და მთელ რკინიგზაზე სანიმუშო წესრიგი დამყარდება.

საგაფიცვო კომიტეტმა ხელში ჩაიგდო რკინიგზის სამმართველო. ამიერკავკასიის რკინიგზების უფროსად მემანქანე სოლომონ დოლიძე დანიშნეს. რკინიგზის შემოსავალი საგაფიცვო კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა. საგაფიცვო კომიტეტმა თბილისის სადგურზე მოაწყო სასამართლო, რომელიც გაფიცვის დღეებში ახორციელებდა რევოლუციურ კანონიერებას, მძიმე დამნაშავეთათვის ნაძალადევში საპატიმრო ადგილებიც გამოყვეს.

საგაფიცვო კომიტეტის ხელში გადავიდა რკინიგზის ტელეგრაფიც. საგაფიცვო კომიტეტი შეუდგა ქალაქის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებას: 14 დეკემბერს ქუჩებში გამოაკრა დიდად დაკლებული ნიხრი პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე და სამრეწველო საქონელზე. მიიღო ზომები ქალაქის მოსახლეობის უზრუნველსაყოფად სურსათით და ა. შ.

ამრიგად, დეკემბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა უაღრესად ორგანიზებულად დაიწყო და წარმატებით გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. ამ გაფიცვის შესახებ გაზეთი „ელიზავეტპოლსკი ვესტნიკი“ წერდა: „არც ერთი გაფიცვა არ დაწყებულა ასე ორგანიზებულად, ასე შეწყობილად და დიდებულად, როგორც ეს გაფიცვა. მუშათა კლასი იჩენს არნახულ სოლიდარობას, ისტორიაში უმაგალითო მზადყოფნას ბოლომდე იაროს თავის გმირულ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“[1].

ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა 16 დეკემბერს, ბოლშევიკების კატეგორიული მოთხოვნით, გამოუშვა მოწოდება „ყველა მოქალაქეს!“, რომელიც მიზნად ისახავდა აჯანყების გაფართოებას და მის გადაქცევას საყოველთაო-სახალხო აჯანყებად. პროკლამაცია მოუწოდებდა: „ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია სიცოცხლე და თავისუფლება, შეუერთდით ჩვენს რაზმებს! ლოდინი აღარ შეიძლება. შეიარაღდით! თითოეული წუთი ძვირფასია. დააწყეთ მებრძოლი რაზმები! კონტრრევოლუციამ საზიზღარი თავი წამოყო, ჰაერში სის-

---

[1] Газ. «Елисаветпольский вестник», 13 (26) декабря 1805 г.

ხლის ნაკადულის სუნი ტრიალებს. აღსდექით ყველა, როგორც ერთი კაცი და იმ სისხლის მორევში ჩაახრჩვეთ ვინც კი თქვენ პურსა და თავისუფლებას გართმევთ. აღსდექით და შეტაკებაში თავი მოკვეთეთ რეაქციას!"[1]

საგაფიცვო კომიტეტი ხელმძღვანელობდა მუშებისათვის იარაღის შეძენას, ქმნიდა მუშათა „წითელ რაზმებს", იცავდა წესრიგს ქალაქსა და სადგურში, ხელმძღვანელობდა გაფიცვების მიმდინარეობას მთელ ამიერკავკასიაში, აღწერდა გაფიცვისა და აჯანყების მიმდინარეობას და აქვეყნებდა საკუთარი ორგანოს—„ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი"-ს ნომრებში, გაფიცულთ უწევდა მატერიალურ დახმარებას და ა. შ.[2].

1905 წელს საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდმა — რკინიგზელმა მუშებმა — ბრძოლით მიაღწიეს საკუთარი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოების ამწყობი საამქროს ზეინკლის საშუალო ხელფასი 31 მანეთი და 36 კაპიკიდან იმავე წლის დეკემბრისათვის გაიზარდა 106 მანეთი და 24 კაპიკამდე. ზეინკლის თანაშემწისა, შესაბამისად 11 მანეთისა და 92 კაპიკიდან — 36 მანეთისა და 62 კაპიკამდე; არაკვალიფიციური მუშებისა—შესაბამისად, 15 მანეთისა და 24 კაპიკიდან—39 მანეთისა და 76 კაპიკამდე. ასეთივე მდგომარეობა იყო საქვაბე საამქროშიც. მექვაბის ხელფასი 1905 წლის ივნისში 30 მანეთისა და 32 კაპიკიდან გაიზარდა იმავე წლის დეკემბრისათვის 97 მანეთისა და 11 კაპიკამდე, ხარატისა — შესაბამისად, 40 მანეთისა და 61 კაპიკიდან — 92 მანეთისა და 13 კაპიკამდე. სადურგლო საამქროში ოსტატისა — შესაბამისად, 36 მანეთისა და 88 კაპიკიდან — 76 მანეთისა და 27 კაპიკამდე და ა. შ.[3]. ამის მიუხედავად მუშათა კლასი განაგრძნობდა ბრძოლას პოლიტიკური უფლებისათვის, თვითმპყრობელობის დამხობისათვის.

რევოლუცია გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. შეიარაღებული აჯანყება საყოველთაო ხასიათს ღებულობდა. მაგრამ არც

---

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 33, საქ. 789.

[2] თსუ „შრომები", ტ. 57, 1955, გვ. 137.

[3] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 279, აღწ. 1. საქ. 2929, ფურც. 26—27.

კონტრრევოლუციის ბანაკი თვლემდა. კონტრრევოლუციას ახდენდა მთელი ძალების მობილიზაციას. 14 დეკემბერს კავკასიის ოლქის შტაბში შედგა კონტრრევოლუციონერთა სასწრაფო თათბირი. შეიმუშავეს აჯანყების ჩახშობის გეგმა. ოკინიგზა სამხედრო უწყებას გადასცეს. გადაწყდა თბილისსა და ნავთლუღის სადგურების, რკინიგზის ტელეგრაფის დაუყოვნებლივ დაკავება და ა. შ. ამავე დღეს გამოცხადდა მეფისნაცვლის ბრძანებით სამხედრო-საალყო წესების შემოღება თბილისში, თბილისის გუბერნიასა და ამიერკავკასიის რკინიგზებზე.

კონტრრევოლუციის შემოტევას აჯანყებულები სათანადოდ მოვზადებული ვერ შეხვდნენ, ამას ხელი შეუშალა ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის მენშევიკური უმრავლესობის ოპორტუნისტულმა ტაქტიკამ. ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში „იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა“ აჯანყებულთა დასახმარებლად თბილისში გამოგზავნა 150 შეიარაღებული „წითელი რაზმელი“, ხოლო 700—800 შეიარაღებული „წითელი რაზმელი“ წიფასთან ჰყავდა დაბანაკებული. თბილისის რკინიგზის საგაფიცვო ბიურომ წინადადებით მიმართა ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტს აღნიშნული რაზმის გამოყენების შესახებ. აგრეთვე მოითხოვა ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვის დღეებში თბილისიდან გაყვანილი რევოლუციურად განწყობილ მესანგრეთა ბატალიონის განჯიდან უკან დაბრუნებას რევოლუციის შეიარაღებულ ძალთა გასაძლიერებლად. ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა, მიუხედავად ბოლშევიკების კატეგორიული მოთხოვნისა, მენშევიკური ხმების უმრავლესობით უარყო თბილისის რკინიგზის საგაფიცვო ბიუროს მოთხოვნა. უარი თქვა განჯიდან რევოლუციურად განწყობილი ჯარის ნაწილების გამოწვევაზე და 150 შეიარაღებული „წითელი რაზმელიც“ უკან დააბრუნა დასავლეთ საქართველოში. ასე და ამრიგად, ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში მოკალათებული მენშევიკები პრაქტიკულად ატარებდნენ თავიანთ ანტისააჯანყებო ტაქტიკურ გეზს და განაიარაღებდნენ უკვე დაწყებულ შეიარაღებულ აჯანყებას.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ძალებმა, ისარგებლეს რა აჯანყებულთა სისუსტით, 15 დეკემბერს ალყა შემო-

არტყეს თბილისის სადგურს და უბრძოლველად დაიკავეს იგი. ასევე დაიკავეს სადგური ნავთლუღიც. ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი ანდრეევის (ამჟამად ორჯონიკიძის) ქუჩიდან გადავიდა ნაძალადევში, რომელიც აჯანყებულთა ხელში იყო მთლიანად.

16 დეკემბერს გაიმართა მუშათა საპროტესტო მიტინგი სამხედრო-საალყო წესების შემოღების გამო. გადაწყდა აქტიური შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ შეტევაზე გადმოსული კონტრრევოლუციისათვის, მაგრამ უკვე გვიან იყო, რევოლუციურად განწყობილი ჯარის ნაწილები ქალაქიდან გაყვანილი იყო, უკან მათი დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა სადგურ ნავთლუღის მოწინააღმდეგეთა ხელში გადასვლის გამო; დასავლეთ საქართველოდან მაშველი ძალების სწრაფად მიღება შეუძლებელი გახდა. ამის შემდეგ ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა დეპეშით მიმართა საგაფიცვო ბიუროებს: „თბილისსა და ამიერკავკასიის რკინიგზებზე გამოცხადებულია სამხედრო წესები. ჩვენ, დავემორჩილეთ რა ძალას, რკინიგზას თავი ვავანებეთ. ვმაგრდებით ბრძოლის სხვა პოზიციებზე. წინადადებას გაძლევთ თქვენც გაანებოთ თავი გზას“[1].

ასე მოხდა, მენშევიკების წყალობით, ფაქტიური კაპიტულაცია, რადგან უკეთესი პოზიციები, ვიდრე რკინიგზა და ტელეგრაფი იყო, აჯანყებულთ მაშინ არ გააჩნდათ. სამხედრო მატარებლებმა განაახლეს მოძრაობა თბილის-ბაქო-ყარსერევნის მიმართულებით, ხოლო თბილის-ბათუმ-ფოთის ხაზზე გაფიცვა 10 იანვრამდე გრძელდებოდა. აქ მთავრობას ჯერ კიდევ არ ყოფნიდა ძალები აჯანყებულთა გასატეხად.

18 დეკემბერს კაზაკები და ხულიგნური „პატრიოტული საზოგადოების“ წევრები თავს დაესხნენ რკინიგზელ მუშათა რაიონს—ნაძალადევს, სადაც ეგულებოდათ იარაღის საწყობები და აჯანყებულთა მთავარი ძალები. ნაძალადევს იცავდა რკინიგზელ მუშათა შეიარაღებული რაზმები. მაგრამ ბრძოლა აშკარად უთანასწორო იყო. სუსტად შეიარაღებულ მცირერიცხოვან მუშათა გაუწვრთნელი რაზმების წინააღმდეგობა

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 2, საქ. 248, ფურც. 32—33.

დაძლიეს. შეტაკების დროს მოკლეს რამდენიმე შუშა რევოლუციონერი. თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლთა გმირული სიკვდილით დაეცნენ: გიორგი ელიავა, ვასო თვარაძე, მინა კალაძე, ტუხა ლაზიშვილი, გიორგი ჯაში, პეტრე (იასე) ცინცაძე, ილია ნინიძე, ვანო ხუცურაშვილი და ვანო თაკაძე; დაჭრილთა შორის იყვნენ გერმანე დვალი, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა, კამო (სიმონ ტერ-პეტროსიანი), რომელიც მეტეხის ციხეში გაგზავნეს, და სხვები[1].

დაიწყო რევოლუციური ქალაქის მასობრივი დარბევა კაზაკებისა, პოლიციელებისა და ჯარის გათავხედებული ნაწილების მიერ. ბაქოს ქუჩაზე 21 დეკემბერს საღამოთი კაზაკებმა სროლა აუტეხეს მოქალაქეებს, მათ სროლითვე უპასუხეს, მოკლეს ორი კაზაკი; 21—22 დეკემბერს ღამით იუნკრები მიხაილოვსკის (ამჟამად პლეხანოვის) პროსპექტზე ყოველ გამვლელ ქალსა და კაცს ჩხრეკდნენ. მალაკანთა (ამჟამად ფიროსმანის) ქუჩაზე მაღაზიები გაძარცვეს; რკინიგზის სადგურზე საბარგო ვაგონები გახსნეს და საქონელი დაიტაცეს და ა. შ. მრავალი მსგავსი ფაქტი აღინიშნა საგაფიცვო კომიტეტის ორგანოში — „ბიულეტენის“ მესამე ნომერში, რომელიც გამოვიდა 23 დეკემბერს. ამავე ორგანომ აღნიშნა, რომ 22 დეკემბერს „პატრიოტული საზოგადოების“ წევრებმა პროვოკაციულად გაშოიწვიეს შეტაკება ჟანდარმერიასთან.

23 დეკემბერს კაზაკებმა და ჟანდარმერიამ მოაწყვეს თავდასხმა დიდუბეზე, სადაც ჯერ კიდევ იყვნენ გამაგრებული მუშათა შეიარაღებული რაზმები. მუშები ისროდნენ სახლის სახურავებიდან, სარდაფებიდან, ფანჯრებიდან, მარჯვედ იყენებდნენ ხელყუმბარებს. მრავლად იყო მოკლული და დაჭრილი, განსაკუთრებით კაზაკების მხრიდან. დიდუბის დამორჩილება გაძნელდა. მაშინ ხელისუფლებამ ჯარის დამატებითი ნაწილები გამოიყვანა, საცხოვრებელ სახლებს საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს.

აჯანყებული დიდუბე უთანასწორო ბრძოლაში დაეცა.

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი). ფ. 63, საქ. 30, ფურც. 116.

ცალკეული შეტაკებანი კაზაკებთან, ჯარის ნაწილებთან და პოლიციასთან არ შეწყვეტილა დეკემბრის ბოლომდე.

კონტრრევოლუცია გამარჯვებას ზეიმობდა.

დაიწყო რეპრესიები რევოლუციონერ მუშათა წინააღმდეგ. 1906 წლის იანვარ-თებერვალში აქტიური რევოლუციური გამოსვლებისა და პარტიული მოღვაწეობისათვის ამიერკავკასიის რკინიგზიდან დაითხოვეს 2700 მუშა, თბილისის მთავარი სახელოსნოებიდან — 680-მდე კაცი, დააპატიმრეს 300-ზე მეტი რევოლუციონერი, მათ შორის ზაქარია ჩოდრიშვილი, ექვთიმე სართანია, ალექსი ზაკომოლდინი, გიორგი ნინუა და სხვები.

მოსკოვსა და საქართველოში დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებით გათამამებული კონტრრევოლუციური ძალები მასობრივად არბევდნენ მუშათა ორგანიზაციებს, მასობრივად აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლთ. 1906 წლის 25 თებერვალს თბილისის პოლიცმეისტერი ატყობინებდა თბილისის გენერალ-გუბერნატორს, რომ ციხეები გავსებულია დაპატიმართა შემდეგი მიღება ყოვლად შეუძლებელიაო[1]. ასეთივე მდგომარეობა იყო ბათუმისა და ქუთაისის ციხეებშიც. ბათუმის ციხეში, რომელიც ნავარაუდევი იყო 80 პატიმრისათვის, მოთავსებული იყო 400 პატიმარი, ხოლო ქუთაისის ციხეში 250 პატიმრის ადგილზე მოთავსებული ჰყავდათ ათასამდე პატიმარი. ამასთან ადმინისტრაციული წესით 1906 წელს საქართველოდან გაასახლეს ათას ხუთასზე მეტი რევოლუციონერი.

დაპატიმრებულ რევოლუციონერთა საქმეების გამოძიებას ჟანდარმერია დანაშაულებრივად აჭიანურებდა. ამის გამო პატიმრებმა წერილობით მიმართეს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს და მოითხოვეს გამოძიების მსვლელობა გაეცნოთ მათთვის, მაგრამ ამ სამართლიან მოთხოვნაზე მუშებს პასუხიც არ გასცეს. გარდა ამისა, რკინიგზის მმართველობა უმსგავსოებას ჩადიოდა, როდესაც რევოლუციონერ მუშათა მრავალ-

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი). ფ. 20, საქ. 13, ფურც. 214.

რიცხოვან ოჯახებს ბინებიდან ასახლებდა, ავადმყოფებსა და ძუძუმწოვარ ბავშვებს ზამთრის სუსხიან ამინდში ღია ცის ქვეშ ტოვებდა. ყოველივე ამის გამო დაპატიმრებული მუშები პროტესტს აცხადებდნენ, შიმშილობას აცხადებდნენ, მაგრამ ჟანდარმერია მუშათა რაიონების დარბევა-აწიოკებას კვლავ განაგრძობდა. მიუხედავად ამისა, რევოლუცია ჯერ კიდევ არ იყო დათრგუნვილი. 1906 წელს საქართველოს მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა ინარჩუნებდა აქტიური რევოლუციური ბრძოლის უნარს, რაც მეფის ადგილობრივ ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევდა.

1906 წელი ახალი რევოლუციური ბრძოლებით აღნიშნეს საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ, რაც საზღვარს უდებდა კონტრრევოლუციონერთა თარეშს. რეაქციით გაწამებული მუშები ტერორსაც კი მიმართავდნენ მტრის ბანაკში დეზორგანიზაციისა და არევ-დარევის შესატანად. ასე მაგალითად, რსდმპ თბილისის მეოთხე რაიონის მუშათა მებრძოლი რაზმის დადგენილებით ამიერკავკასიის რკინიგზების თბილისის მთავარი სახელოსნოების ჩამომსხმელი საამქროს მუშა არსენ პავლეს ძე ჯორჯიაშვილმა 1906 წლის 16 იანვარს ყუმბარა ესროლა და მოკლა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გრიაზნოვი, რომელმაც თავი გამოიჩინა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობაში. ა. ჯორჯიაშვილი იმავე წლის პირველ მარტს ჩამოახრჩვეს მეფის ჯალათებმა[1].

თბილისის პროლეტარიატი, მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, იარაღს არ ყრიდა. 1906 წლის დასაწყისში კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა სპეციალური პროკლამაცია. პროკლამაცია მთელ ქვეყანას აუწყებდა, რომ რევოლუცია საბოლოოდ არ დამარცხებულა, რომ იგი „აღრმავებს და აფართოებს თავის კალაპოტს“ და ამიტომ მოუწოდებდა მუშათა კლასს „შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადებისაკენ“[2].

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 20. საქ. 13, ფურც. 214.

[2] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ.,“ 1939, გვ. 204.

„რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისათვის ემზადება — წერდა მაშინ ი. ბ. სტალინი, — რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა“[1].

1906 წლის თებერვალში თბილისის გაერთიანებულმა კომიტეტმა პროკლამაციით მიმართა „პირველი რაიონის მუშებს“. პროკლამაციაში აღწერილია საშინელებანი, რომლებიც თავს დაატეხა მეფის ხელისუფლებამ პროლეტარიატს დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ. „სისხლი მდინარეებად იღვრება,— ნათქვამია პროკლამაციაში,— ყველგან წყევლა-კრულვა, ტირილის ზარი და დაჭრილთა კვნესა ისმის. საპყრობილეები აივსო, ასობით და ათასობით სამუშაოდან ითხოვენ და შიმშილის მსხვერპლად ხდიან. რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მაგალითი ჩვენ თვალწინ არის. აგერ ორი თვე იქნება, რაც ასობით დათხოვნილი ამხანაგები შიმშილით გვეხოცებიან. ყოველ დღე, ყოველ წამს მათ თავის თვალით უნდა უყურონ მშიერ ოჯახს, პურს დახატრებულ, მტირალ ბავშვებს“[2]. ამავე დროს რკინიგზელ მუშებს თბილისის პირველი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამაც მიმართა პროკლამაციით, რომელიც მოუწოდებდა მუშებს არ დაუთმონ შეტევაზე გადმოსულ რეაქციის ძალებს რევოლუციის მონაპოვარი. პროკლამაცია მომავლისადმი ღრმა რწმენით იყო გამსჭვალული; მასში ვკითხულობთ: „თავისუფლებისათვის ბრძოლაში მოკლულთა აჩრდილი მოგვიწოდებს ჩვენ შეურყეველად ვებრძოლოთ ყოველგვარ დაჩაგვრასა და დამონებას. ნუ დაუთმობთ იმას, რაც უკვე მოპოვებული გვაქვს სასტიკი ბრძოლით. უარი ვუთხრათ ზედმეტ მუშაობაზე და ხელფასის დაკლებაზე. ნუ გავხდებით მათი საჩანჩალო სახედარი. მტკიცედ დავდგეთ თავისას. მედგრად ვიბრძოლოთ და ვამაგროთ ჩვენი ორგანიზაცია, დაე, მტერმა იდღესასწაულოს მოჩვენებული გამარჯვე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 195.

[2] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ.“, 1939, გვ. 207.

ბა! ჩვენ ღრმად გვწამს პროლეტარიატის გამარჯვება და მისი საბოლოო მიზანი — სოციალიზმი"![1]. და მართლაც, იანვრიდან მოყოლებული მუშათა გაფიცვები თბილისში არ შეწყვეტილა; ზოგჯერ ერთსა და იმავე დროს, ზოგჯერ ერთმანეთზე მიყოლებით ეწყობოდა გაფიცვები ტრამვაის მუშებისა, ნოქრებისა, ენფიანჯიანცის, ბოზარჯიანცის, „მირის" და სხვა ფაბრიკათა მუშებისა. რევოლუციური მოძრაობა იზრდებოდა ჯარის ნაწილებშიც. 1906 წლის გაზაფხულზე თბილისში აჯანყდნენ „მინგრელსკი" პოლკის ჯარისკაცები. მათ მხარი დაუჭირა „თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა კავშირმა". აჯანყება ჩაქრეს. მის მოთავე 27 ჯარისკაცს სიკვდილით დასჯა მოელოდა, მაგრამ მათ სიცოცხლე შეუნარჩუნა თბილისის მუშათა კლასის 22 ივნისის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ. გაფიცულთა ავანგარდში კვლავ თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშები იდგნენ[2]. მათ მოთხოვნა წაუყენეს ადმინისტრაციას ხელფასის მომატებისა და დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მონაწილეობისათვის დათხოვნილ მუშათა სამუშაოზე აღდგენის შესახებ.[3] გაფიცვის აღკვეთის მიზნით ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობამ 23 ივნისს დახურა თბილისის მთავარი სახელოსნოები. 24 ივნისს თბილისის გაერთიანებულმა კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, რომლითაც მოუწოდა რკინიგზელ მუშებს, კერძოდ, მემანქანეებსა და კონდუქტორებს გაფიცვისაკენ, სანამ არ გააღებდნენ სახელოსნოებს[4]. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა მოინდომეს გაფიცულ მუშათა შეცვლა რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცებით, მაგრამ ამ უკანასკნელებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. საქმეს „ურჩთა" დაპატიმრებამაც ვერ უშველა. ხელისუფლება იძულებული გახდა 26 ივნისს გაეხსნა სახელოსნოები.

---

[1] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1906 წწ.", 1939, გვ. 217.

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 26, საქ. 10. ფურც. 1—71.

[3] ი ქ ვ ე, ფ. 1, საქ. 304, ფურც. 136—138.

[4] ი ქ ვ ე, ფ. 26, საქ. 170, ფურც. 197—199.

1906 წლის ზაფხულში ნიკოლოზ მეორის განკარგულებით კავკასიიდან ერთი (33-ე) დივიზია უნდა გადაეყვანათ კიევის ოლქში. ამ განკარგულებას წინ აღუდგა ვორონცოვ-დაშკოვი. იგი მეფისადმი თავის მოხსენებაში 1906 წლის 16 აგვისტოს წერდა, რომ ჯარის შემცირება კავკასიაში სახიფათოა, რადგან რევოლუციური მოძრაობა ჯერ კიდევ ძლიერია მთელ ამიერკავკასიაში. „ამიერკავკასიის რკინიგზა,— წერდა იგი,— ეს მთელი მხარის სასიცოცხლო არტერიაა, წარმოადგენს რა იგი რევოლუციის თვით კერას, მოითხოვსო ფხიზელ სამხედრო დაცვას“[1].

მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას, ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან ერთად, სათავეში ედგა პროფკავშირული ორგანიზაციები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები. 1906 წლის ბოლოსათვის თბილისში უკვე არსებობდა 30 პროფესიული კავშირი. მათ ორგანიზებულ ხელმძღვანელობას უწევდა პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო.

ბოლშევიკური გავლენის ზრდას მასებში ხელს უწყობდა მძლავრი პარტიულ-პროფკავშირული პრესა; მთავრობის მხრივ დევნა-შევიწროების მიუხედავად, ბოლშევიკები მაინც ახერხებდნენ ისეთი მაღალიდეური და მებრძოლი გაზეთების გამოშვებას, როგორიც იყო: „ახალი ცხოვრება“, „ახალი დროება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“ და სხვა.

1906 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამაერთიანებელმა IV ყრილობამ მოახდინა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფორმალური გაერთიანება. ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა შეინარჩუნეს ფაქტიური დამოუკიდებლობა და 1907 წლის დამდეგს შექმნეს ხელმძღვანელი ორგანო — „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ბ ი უ რ ო“, რომელშიც შედიოდნენ: ი. სტალინი, მ. ცხაკაია, სტ. შაუმიანი, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი და სხვები[2].

---

1 Журн. «Красный архив», т. I (26), 1928, стр. 103.

2 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 43, საქ. 115, ფურც. 14.

რევოლუციის დამარცხება ფაქტი იყო. მუშათა კლასი და გლეხობა ბრძოლით იხევდა უკან. რეაქცია უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

დაიწყო დამსჯელი ექსპედიციების განუკითხავი თარეში სოფლებში. წვავდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხთა კარ-მიდამოა. ასობით რევოლუციონერი სახრჩობელაზე ჩამოკიდეს, ათასობით გააციმბირეს და საკატორღო ციხეებში გამოკეტეს. მეფის ხელისუფლებამ სისხლში ჩაახრჩო სახალხო რევოლუცია, რომლის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი იყო საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა.

საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის თავისებურებანი აშკარად გამოჩნდა. მათ შორის უმთავრესი და პ ი რ ვ ე ლ ი იყო ის, რომ იგი თავიდანვე მუშათა კლასის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით დაიწყო და განვითარდა; მ ე ო რ ე ის, რომ მუშათა კლასის ახალი ტიპის პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა და განმტკიცდა საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი პირველ სახალხო რევოლუციაში.

იმპერიალიზმის ეპოქის პირველ სახალხო რევოლუციას, მიუხედავად მისი დამარცხებისა, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, მათ შორის აღსანიშნავია შემღეგი:

1. რევოლუცია კლასობრივი ბრძოლის თვალსაჩინო გაკვეთილი გახდა მუშათა კლასისა და გლეხობისათვის; 2. რევოლუციამ პრაქტიკულად დაადასტურა თვითმპყრობელობის დასამხობად შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობა; 3. რევოლუციაში თვალსაჩინო გახდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ძოღალატური როლი; 4. რევოლუციამ დაადასტურა ქართველი ხალხის ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლების შესაძლებლობა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან მტკიცე კავშირში; 5. რევოლუციამ დაადასტურა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესაძლებლობა და აუცილებლობა; 6. რევოლუციამ

დაადასტურა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის შესაძლებლობა და აუცილებლობა, და ბოლოს, 7. დადასტურდა იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა.

§ 2. მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი

რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები ხდებოდა კაპიტალიზმის განვითარების ახალ, იმპერიალისტურ სტადიაზე. ამიტომ ეპოქის პროგრესულ ამოცანათა გადაჭრისათვის დაწყებული სახალხო მოძრაობის მედროშედ არ გამოდგებოდა ლიბერალური ბურჟუაზია, რადგან იგი, როგორც ცნობილია, იმპერიალიზმის ეპოქაში კონტრრევოლუციურ ძალად გვევლინება.

იმპერიალიზმის პირობებში სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა ჩვენს ქვეყანაში შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატს, თანამედროვე საზოგადოების ამ ერთადერთ, ყველაზე რევოლუციურ ძალას. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა მას სინამდვილედ ექცია, საჭირო იყო მოკავშირე რევოლუციაში, ამისათვის კი აუცილებელი იყო ლიბერალური ბურჟუაზიის, რომელიც თავაწყვეტით მიისწრაფოდა რევოლუციის ჰეგემონობისაკენ, იზოლაცია, მისგან მრავალმილიონიანი გლეხობის ჩამოშორება და მათი გადაქცევა მუშათა კლასის მოკავშირედ რევოლუციაში.

ეს შესაძლებლობა რომ რეალური იყო, ამაზე მიუთითებს ქვეყნად მაშინ არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება. მუშათა კლასისა და მრავალჭირნახულ გლეხობის ინტერესებს მაშინ აერთიანებდა საერთო სიძულვილი მეფის თვითმპყრობელობისა და ფეოდალიზმის სხვა მრავალრიცხოვანი ნაშთების მიმართ, საერთო მისწრაფება დემოკრატიული წყობილებისაკენ. „რა აქვთ საერთო პროლეტარიატსა და გლეხკაცობას?“,— კითხულობდნენ მენშევიკები და პასუხობდა ი. ბ. სტალინი — „ის, რომ ორივეს სძულს ბატონყმური ნაშთები, ორივე სასიკვდილოდ ებრძვის მეფის მთავრო-

ბას და ორივეს უნდა დემოკრატიული რესპუბლიკა"[1]. მაგრამ ეს, რაც ამ ორ კლასს მოკავშირედ ხდიდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ჯერ კიდევ მხოლოდ ობიექტური პირობა იყო. მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითად მასებს უნდა შეეცნოთ ეს ობიექტური პირობა, რათა პროლეტარიატს შეძლებოდა ხელმძღვანელობა, გლეხობას კი პროლეტარული ხელმძღვანელობის მიღება. აქ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას — სოციალ-დემოკრატიას. ის უნდა გამოსულიყო როგორც ობიექტურ-ისტორიული პროცესის შეგნებული გამომხატველი, მას მოკლედ და მეცნიერულად უნდა ჩამოეყალიბებინა მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლის საბოლოო მიზნები და ამოცანები პროგრამის სახით. ამ პროგრამაში უნდა ეპოვა გამოხატულება მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობას, მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის პოლიტიკას გლეხობის მიმართ, აგრეთვე — აგრარულ საკითხში, ჩაგრული ერების მიმართ — ეროვნულ საკითხში. ეს იყო აუცილებელი და გადაუდებელი.

რუსეთში, როდესაც საყოველთაო-სახალხო რევოლუცია იწყებოდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების განსაზღვრას. ამაზე დიდად იყო დამოკიდებული, ეყოლებოდა თუ არა მუშათა კლასს მოკავშირე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, ან უკეთ, იქნებოდა თუ არა პროლეტარიატი ამ რევოლუციის ჰეგემონი, ან კიდევ მეტი, რევოლუციას ეწერა რუსეთში გამარჯვება, თუ იგი განწირული იყო დამარცხებისათვის. ამიტომ აგრარული და ეროვნული პროგრამის გამუშავება მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიისათვის ფრიად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა იყო.

მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც სურდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძლევამოსილი დაგვირგვინება რუსეთში, არ შეეძლო გვერდი აევლო აგრარული და ეროვნული პროგრამის შემუშავებისათვის, რადგან, როგორც ცნობილია, აგრარული საკითხი იყო რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველი და ამ

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 133.

რევოლუციის ეროვნულ თავისებურებათა განმსაზღვრელი. ხოლო ეროვნული პროგრამა იყო ის საფუძველი, რომელიც აერთიანებდა სოციალურ (კლასობრივი) რევოლუციურ მოძრაობასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ვ. ი. ლენინი და ლენინელები, ითვალისწინებდნენ რა ყოველივე ამას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ პროლეტარული პარტიის მიერ აგრარული და ეროვნული პროგრამის შემუშავებას.

ვ. ი. ლენინი აგრარული პროგრამის შემუშავებისათვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იბრძოდა. მან თავის გენიალურ ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" განავითარა და მეცნიერულად დაასაბუთა მარქსისტული დებულება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, ამასთან დაკავშირებით მოხაზა აგრარული პროგრამის ფუძემდებლური პრინციპები, რომელთაც შემდგომში დამუშავება და კონკრეტიზაცია პოვეს ლენინის, დაახლოებით, იმავე პერიოდის შრომებში, როგორიც არიან, მაგალითად, „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება", „ჩვენი პროგრამა", „ჩვენი პარტიის პროგრამა-პროექტი", „მუშათა პარტია და გლეხობა", „პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე" და სხვ.[1].

ვ. ი. ლენინი აგრარული საკითხის მართებულ გადაჭრას უკავშირებდა ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების საკითხს, ამ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის საკითხს. ამიტომ ლენინი რევოლუციის განვითარების ეტაპების მიხედვით წამოწევდა ხოლმე აგრარულ პროგრამაში პარტიის ამა თუ იმ ძირითად მოთხოვნას.

---

[1] М. Ю. Гальперин, Разработка В. И. Лениным аграрной программы большевиков в первой русской революции (журн. Вопросы истории партии», № 1, 1955); ა. ნუცუბიძე, ბოლშევიკების აგრარული პროგრამა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, თბ., 1955; ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბ., 1964.

უსეთის პირველ რევოლუციამდე ლენინი აგრარულ პროგრამის ძირითად მოთხოვნად გლეხებისათვის „ჩამოხეჭრების“ დაბრუნებას აყენებდა. „ჩვენ წამოვაყენებთ მოთხოვნას, — წერდა იგი 1901 წელს, — დაუბრუნონ გლეხებს... ჩამონაჭრები, რომელთა წყალობით ისევ განაგრძობს არსებობას იძულებითი, კაბალური, საბატონო, ე. ი. სინამდვილეში იგივე ბატონყმური შრომა. ჩვენ წამოვაყენებთ მოთხოვნას — დაარსებულ იქნეს გლეხთა კომიტეტები იმ აღმაშფოთებელ უსამართლობათა გამოსასწორებლად, რომლებიც ჩაიდინეს გასათავისუფლებელი მონების მიმართ მეფის ბრძანებით დაარსებულმა თავადაზნაურთა კომიტეტებმა. ჩვენ მოვითხოვთ დაარსებულ იქნეს სასამართლოები, რომელთაც უნდა მიეცეთ უფლება შეამცირონ მიწის მეტისმეტად მაღალი ფასები, მემამულეები რომ ახდევინებენ გლეხებს, სარგებლობენ რა მათი გამოუვალი მდგომარეობით, — სასამართლოები, რომელთა წინაშე გლეხს უნდა ჰქონდეს უფლება პასუხი აგებინოს მევახშეობისათვის ყველა იმათ, ვინც კაბალურ გარიგებებს დებს, სარგებლობს რა მეორე მხარის უკიდურესი გაჭირვებით. ჩვენ შევეცდებით ყოველთვის და ყოველი საბაბით განვუმარტოთ გლეხებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ეუბნებიან მათ, თანამედროვე სახელმწიფოსაგან უნდა მოელოდეთ მზრუნველობას ან დახმარებასო, — ან ბრიყვები არიან, ან შარლატანები და მათი უცუდესი მტრები, რომ გლეხობას ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა მოხელეების ბატონობის თავნებობისა და ჩაგვრისაგან თავის დაღწევა, ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა ღიარება მისი სრული და უცილობელი ყოველმხრივი თანასწორუფლებიანობისა ყველა სხვა წოდებასთან, მიმოსვლისა და გადასახლება-დასახლების სრული თავისუფლებისა, მიწის მოხმარების თავისუფლებისა, სოფლის მთელი საქმეების გამგებლობისა და სოფლის შემოსავლის გამოყენების თავისუფლებისა“[1].

ვ. ი. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები საფუძვლად დაედო რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ აგრარულ პროგრამას. „იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილ იქნეს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 4. გვ. 523—524.

ბატონყმური წყობის ნაშთები, — ვკითხულობთ აღნიშნულ პროგრამაში,— რომლებიც მძიმე უღლად აწევთ უშუალოდ გლეხებს და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის პარტია უწინარეს ყოვლისა ძოითხოვს:

1. გამოსასყიდი და საღალო გადასახადების, აგრეთვე ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას, რაც ამჟამად ტვირთად აწვება გლეხობას, როგორც მობეგრე წოდებას.

2. ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ავიწროებენ გლეხს მისი მიწის განმკარგულებლობის მხრივ.

3. გლეხებისათვის იმ ფულადი თანხების დაბრუნებას, რომლებიც მათგან წაიღეს გამოსასყიდი და საღალო გადასახადთა ფორმით; ამ მიზნით სამონასტრო და საეკლესიო ქონებას, აგრეთვე საუფლისწულო, საკაბინეტო და სამეფო გვარეულობის პირთა კუთვნილი შამულების კონფისკაციას. ასევე იმ მიწათმფლობელ თავადაზნაურთა მიწების დაბეგვრას განსაკუთრებული გადასახადით, რომლებმაც გამოსასყიდი სესხით ისარგებლეს; ამ გზით მიღებული თანხების გადაცემას განსაკუთრებულ სახალხო ფონდში სოფლის საზოგადოებათა კულტურულ და საქველმოქმედო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

4. გლეხთა კომიტეტების დაარსებას: ა) სოფლის საზოგადოებისათვის იმ მიწების დასაბრუნებლად (ექსპროპრიაციის საშუალებით ან, — იმ შემთხვევაში, თუ მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა, — სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვით მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ხარჯზე), რომლებიც გლეხებს ბატონყმობის მოსპობის დროს ჩამოაჭრეს და მემამულეთა ხელში გლეხთა დამონების იარაღს წარმოადგენს; ბ) კავკასიაში გლეხთა საკუთრებაში იმ მიწების გადასაცემად, რომლებითაც ისინი სარგებლობენ როგორც დროებით ვალდებულნი, ხიზნები და სხვ.: გ) ბატონყმური ურთიერთობის იმ ნაშთების მოსასპობად, რომლებიც დარჩენილია ურალში, ალტაიში, დასავლეთ მხარეში და სახელმწიფოს სხვა ოლქებში.

5. სასამართლოებისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ შეამცირონ უზომოდ მაღალი საიჯარო გადასახადები და გაუქ-

მებულად გამოაცხადონ გარიგებანი, რომელთაც კაბალური ხასიათი აქვთ"[1].

3. ი. ლენინი და ლენინელები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ აგრარულ პროგრამაში „ჩამონაჭრების" დაბრუნების შესახებ მოთხოვნის შეტანას. რსდმპ II ყრილობის პერიოდში, როგორც ცნობილია, გლეხობა ჯერ კიდევ არ იყო მასობრივად ჩაბმული აგრარულ მოძრაობაში. ამიტომ „პარტიის მოვალეობა იყო — ისეთი ლოზუნგი გადაესროლა სოფელში, რომელიც გულს აუნთებდა გლეხობას და ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ აამხედრებდა. სწორედ ასეთი ლოზუნგი იყო „ჩამონაჭრები", რომლებიც მკაფიოდ მოაგონებდა რუსეთის გლეხობას ბატონყმური ნაშთების უსამართლობას"[2]. ეს ლოზუნგი, როგორც ვნახეთ, შევიდა პარტიის აგრარულ პროგრამაში. ლენინურმა აგრარულმა პროგრამამ უდიდესი როლი შეასრულა გლეხობის რევოლუციურ მოძრაობაში მასობრივად ჩაბმაში, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პოლიტიკური კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც გლეხთა მოძრაობამ მიიღო მძლავრი რევოლუციური გაქანება, დღის წესრიგში დადგა საკითხი არა იმის შესახებ, „თუ როგორ უნდა ამოძრავდეს გლეხობა,— არამედ იმაზე, თუ რა უნდა მოითხოვოს ამოძრავებულმა გლეხობამ... და აი, პარტია ეუბნება გლეხებს, მემამულეებისა და ხაზინის მთელი მიწების კონფისკაცია უნდა მოითხოვოთო"[3].

ამრიგად, როდესაც რსდმპ II ყრილობაზე ლენინელები იცავდნენ „ჩამონაჭრების" დაბრუნების შესახებ მოთხოვნის შეტანას პროგრამაში, ისინი ამაზე შეჩერებას სრულიად არ ფიქრობდნენ. პირიქით, ლენინს ხელსაყრელ ისტორიულ პირობებში შესაძლებლად, აუცილებელ ღონისძიებად მიაჩნდა უფრო შორს — მემამულეთა და ხაზინის მთელი მიწების კონფისკაციის მოთხოვნისაკენ — წასვლა. და მართლაც, ლენინმა ჯერ კიდევ რსდმპ III ყრილობამდე წამოაყენა მოთხოვნა სა-

---

[1] სკკპ რეზოლუციებში. ნაწ. I, 1954, გვ. 47.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 206.
[3] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 206.

ხელმწიფოსა და მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციის შესახებ, ისეთ შრომებში, როგორიცაა: „პროლეტარიატი და გლეხობა“ და „ჩვენი აგრარული პოლიტიკის შესახებ“.

ბოლშევიკური პარტიის III ყრილობას სპეციალურად არ დაუყენებია აგრარული პროგრამის საკითხი. ყრილობაზე ირჩეოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობისადმი დამოკიდებულების საკითხი, საერთოდ ტაქტიკის საკითხები. პარტიის III ყრილობამ გეზი მისცა მემამულეთა მიწების კონფისკაციისაკენ და თავის რეზოლუციაში ჩაწერა:

„რსდმპ III ყრილობა ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს:

ა) ხალხის ფართო ფენებში გასწიონ პროპაგანდა, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად ისახავს უაღრესად ენერგიულად დაუჭიროს მხარი გლეხობის ყველა რევოლუციურ ღონისძიებას, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ მისი მდგომარეობა, მემამულეთა, სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების თვით კონფისკაციამდე“[1].

რსდმპ III ყრილობის ლენინური გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ბოლშევიკებმა დიდი რევოლუციური შუშაობა გააჩაღეს სოფლად, ძირი გამოუთხარეს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენას გლეხობაში, შექმნეს და განამტკიცეს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი. ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო საქართველოში.

მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მდიდარმა ისტორიულმა გამოცდილებამ პარტიას უჩვენა რსდმპ II ყრილობაზე მიღებული აგრარული პროგრამის გადასინჯვის საჭიროება. ამ საკითხზე იმსჯელა ტამერფორსის კონფერენციამ 1905 წლის დეკემბერში. ვ. ი. ლენინმა თავის ბოხსენებაში, აგრარული პროგრამის გადასინჯვის შესახებ. მოითხოვა „ჩამონაჭრებისა“ და „გამოსასყიდი გადასახდელის“ დაბრუნების შესახებ მოთხოვნის ამოღება პარტიის პროგრამიდან. მან მოითხოვა პარტიისაგან მხარდაჭერა გლეხთა ბრძო-

---

[1] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. I, გვ. 96—97.

ლისადმი, რომელიც წარმოებდა მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციისათვის. ამის შემდეგ კონფერენციამ თავის რეზოლუციაში ლენინის წინადადებით ჩაწერა შემდეგი: „კონფერენცია ფიქრობს, რომ ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამა სასურველია ამნაირად შეიცვალოს: მუხლი ჩამონაწერების შესახებ ამოღებულ იქნას: მის მაგივრად აღინიშნოს, რომ პარტია მხარს უჭერს გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს თვით მთელი სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, საეფლისწულო, საკაბინეტო და კერძომფლობელური მიწის კონფისკაციამდე... კონფერენცია სურვილს გამოთქვამს, რომ აგრარული პროგრამიდან ამოღებულ იქნას გამოსასყიდ გადასახდელთა დაბრუნების და ამგვარად მიღებული თანხებიდან განსაკუთრებული ფონდის შექმნის მოთხოვნა"[1].

ლენინსა და ლენინელებს ამაზე შეჩერება არ შეეძლოთ. მემამულეთა მიწების კონფისკაციის შემდეგ პარტიის წინაშე წამოიჭრებოდა საკითხი, თუ როგორ უნდა განაწილდეს კონფისკაციაქმნილი მიწები, ვის უნდა გადაეცეს საკუთრებად. ამ შემთხვევისათვის პარტიას უნდა ჰქონოდა გარკვეული და ნათელი პასუხი. იგი მკაფიოდ უნდა ჩამოეყალიბებინა თავის აგრარულ პროგრამაში. ეს საკითხი განიხილა რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ 1906 წლის აპრილში. მემამულეთა მიწების გლეხთა საკუთრებად დაყოფის თვალსაზრისს ყრილობაზე ემხრობოდა ბოლშევიკ დელეგატ-პრაქტიკოსთა უმრავლესობა: ხოლო ლენინი და ბოლშევიკ-დელეგატთა დანარჩენი ნაწილი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას იცავდნენ. მენშევიკების უმრავლესობა მუნიციპალიზაციის მომხრე იყო. ყრილობაზე გაჩაღდა ბრძოლა ამ სამ თვალსაზრისს შორის. აღსანიშნავია, რომ მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნის დაცვა ყრილობაზე არავის უცდია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინური თეორიიდან გამომდინარე არგუმენტებით. მიუხედავად იმისა, რომ არ ყოფილა ყრილობაზე მიღებული მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა, ბოლშევიკები მაინც იბრძოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა-

---

[3] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. I, გვ. 122—123.

თვის, მისი ბოლომდე მიყვანისათვის და, ბოლოს, მისი გადაზრდისათვის სოციალისტურ რევოლუციად, რაც რეალურ პირობებს ქმნიდა აგრარული საკითხის ერთადერთ მართებული და რევოლუციის ინტერესების შესაბამისად გაწყვეტისათვის რუსეთში.

მუშათა კლასის პოლიტიკურმა პარტიამ, ბოლშევიკების პარტიამ, წამოაყენა რა მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციის მოთხოვნა, მას გაჰყვა გლეხობის უმრავლესობა საქართველოში.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შექმნისა და განმტკიცებისათვის პარტიის აგრარულ პროგრამასთან ერთად ფრიად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიის ეროვნულ პროგრამასაც. რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული მარქსისტული ეროვნული პროგრამის ძირითადი პრინციპები. პროგრამაში აღნიშნულია, რომ თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია უზრუნველყოფდა:

„ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას; საოლქო თვითმმართველობას იმ ადგილებისათვის, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით“.

შემდეგ. „წოდებათა მოსპობას და ყველა მოქალაქის სრულ თანასწორუფლებიანობას, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა“.

შემდეგ. „მოსახლეობის უფლებას მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე; თვითეული მოქალაქის იმ უფლებას, რომ მშობლიურ ენაზე ილაპარაკოს კრებებზე; მშობლიური ენის შემოღებას ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში...“.

და ბოლოს, „სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას“[1].

---

[1] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. I, გვ. 44.

მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პროგრამის აღნიშნული ძირითადი პრინციპები ადუღაბებდა მრავალეროვან რუსეთის იმპერიაში ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქმნიდა მყარ საფუძველს სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მისი შერწყმისათვის, ერთიანი, მძლავრი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. „თუ საქართველოსა და კავკასიის ბოლშევიკებმა მოახერხეს სხვადასხვა ეროვნების მუშათა და, საერთოდ, მშრომელთა შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა და მათი ჩაბმა მძლავრი მოძრაობის ერთიან ნაკადში — ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა პარტიის ლენინურმა ნაციონალურმა პროგრამამ...“ ეს „მძლავრი მოძრაობის ერთიანი ნაკადი“ შეიქმნა იმით, რომ „საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ რა ჩაგრული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის, შეუერთეს იგი გლეხურ-დემოკრატიულ მოძრაობას მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, დაუმორჩილეს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის და მთელი რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან განუყრელ კავშირში, მედგარი იერიში მიიტანეს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ“[1].

ბოლშევიკურმა ეროვნულმა პროგრამამ, როგორც ცნობილია, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მხრივ მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. ისინი მტკიცედ ირაზმებოდნენ ეროვნულ საკითხში ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკურ კავშირს ბოლშევიკები ქმნიდნენ არა მარტო რევოლუციური აგრარული პროგრამის, არამედ ხალხის ლი

---

[1] ლ. გორგიძე. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში (იხ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, საიუბ. კრებული, თბ., 1955, გვ. 335—337, 350).

ეპრავლესობის ინტერესთა შესაბამისი ეროვნული პროგრამის საფუძველზედაც[1].

ამრიგად, საქართველოში მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პოლიტიკური კავშირის შექმნა სხვა მომენტებთან ერთად განაპირობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნულმა პროგრამამ.

შევეხოთ საკითხს უფრო კონკრეტულად.

საქართველოს მშრომელი გლეხობა, როგორც ვხედავთ, მიჰყვებოდა მუშათა კლასს სოციალ-დემოკრატიის არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნებისათვის, იბრძოდა არა მარტო ამ მოთხოვნათა განხორციელებისათვის, არამედ იგი მიჰყვებოდა მუშათა კლასს მისი პოლიტიკური პარტიის ეროვნული პროგრამისათვის და იბრძოდა მისი განხორციელებისათვის. ეს პროგრამა წარმოადგენდა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და პროლეტარიატის გარშემო დარაზმვის დროშას ჯერ კიდევ პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში.

ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები — სამოციანი წლების მოღვაწენი, რევოლუციური ხალხოსნები, და ბოლოს, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ქართველი ხალხის სოციალურ (კლასობრივი) და ეროვნულ განთავისუფლებას უკავშირებდნენ საერთო-სარუსეთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მათ ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთო-სარუსეთო მოძრაობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ, და ეს ასეც იყო, მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ მათ სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასები მიაჩნდათ: პირველებს — ახალგაზრდა ბურჟუაზია და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობა, მეორეს — გლეხობა და მესამეს — მუშათა კლასი.

საქართველოში რევოლუციური მოძრაობა, როგორც უკვე

---

[1] В. В. Шаниадзе, Роль ленинской национальной программы и политики в создании и упрочении союза рабочего класса и крестьянства (автореферат к. д.). Тб., 1971, стр. 12.

აღვნიშნეთ, თავიდანვე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გავლენით წარმოიშვა. რუსეთის პროლეტარიატის გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე, მისი პოლიტიკური პარტიის - სოციალ-დემოკრატიის შექმნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი ხალხების ცხოვრებაში. პროლეტარიატის კლასობრივად ორგანიზება ახალი ეტაპია საზოგადოების პროგრესულ განვითარებაში.

საქართველოში პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზება იწყება გასული საუკუნის 80- 90-იანი წლებიდან, საძირკველი ეყრება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას. მაგრამ „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა" არ წარმოადგენდა „კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით", ის ხელიხელგადახვეული იყო „მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე", ექვემდებარებოდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას"[1].

მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ინტერნაციონალური ხასიათი განსაკუთრებით ჩვენში, რუსეთსა და საქართველოში, მოითხოვდა პარტიული ორგანიზაციების აგებას ინტერნაციონალური პრინციპით. საქართველოს მუშათა კლასისა და მთელი მოსახლეობის ჭრელი ეროვნული შემადგენლობა სოციალ-დემოკრატიისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღებას მასების ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდისადმი.

მუშათა კლასისა, და საერთოდ, მოსახლეობის ეროვნულმა სიჭრელემ განაპირობეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ინტერნაციონალური პარტიული ორგანიზაციების შექმნა და ჩამოყალიბება. „თავისი წარმოშობიდანვე (90-იანი წლების დამდეგი), — წერდა ი. ბ. სტალინი, — კავკასიის ორგანიზაციები უაღრესად ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდნენ. ერთიანი ორგანიზაცია ქართველი, რუსი, სომეხი და მუსლიმანი მუშებისა, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი ებრძოდნენ მტრებს — ასეთი იყო პარტიული ცხოვრების სურათი... 1903 წელს, კავკასიის (საკუთრივ ამიერკავკასიის) ს.-დ. ორგანიზაციების პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელმაც საფუ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1. გვ. 6.

ძველი ჩაუყარა კავკასიის კავშირს, ორგანიზაციის აგების ინტერნაციონალური პრინციპი კვლავ აღიარებულ იქნა ერთადერთ სწორ პრინციპად. მას შემდეგ კავკასიის სოციალ-დემოკრატია იზრდებოდა ნაციონალიზმთან ბრძოლაში. ქართველი სოციალ-დემოკრატები ებრძოდნენ „თავიანთ“ ნაციონალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს; სომეხი სოციალ-დემოკრატები — „თავიანთ“ დაშნაკცაკანებს; მუსლიმანი სოციალ-დემოკრატები — პანისლამისტებს და მათთან ბრძოლაში აფართოებდა და განამტკიცებდა თავის ორგანიზაციებს კავკასიის სოციალ-დემოკრატია განურჩევლად ფრაქციებისა“[1].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის ინტერნაციონალური წყობა ვ. ი. ლენინა იაჩნდა ეროვნული საკითხის ერთ-ერთ საუკეთესო გადაწყვეტად. იგი წერდა: „კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა“[2].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის ინტერნაციონალურმა წყობამ და პარტიის ეროვნულმა პროგრამამ პროლეტარიატის გარშემო დარაზმა ამიერკავკასიის გლეხობა და მთელი ხალხი თავიანთი სოციალური (კლასობრივი) და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად, ხელი შეუწყო რევოლუციური, საერთო დემოკრატიული მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაერთიანებას, ერთიან საყოველთაო-სახალხო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობად.

XIX საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობილია, საქართველოს თავადაზნაურობამ, ბურჟუაზიამ და მათმა პოლიტიკურმა პარტიებმა წამოაყენეს მოთხოვნა საქართველოსათვის თვითმპყრობელური რუსეთის ფარგლებში ავტონომიური უფ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 308—309.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 35, გვ. 76.

ლებების მინიჭების შესახებ[1]. საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ უარყო ასეთი მოთხოვნა, როგორც ნაციონალისტური, რეაქციული მოთხოვნა, რომელიც სთიშავდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ შექმნილ ერთიან, პროლეტარულ-რევოლუციურ ფრონტს. ასეთივე მიზანს ისახავდა ბაშინ ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთგადაკიდების ცარისტული პოლიტიკა. იგი საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას საერთოდ ანტირუსულ მოძრაობად, ბაგრატიონთა დინასტიის რესტავრაციისაკენ მიმართულ სეპარატისტულ მოძრაობად სახავდა. მაგრამ ამ ვერაკუულ პოლიტიკას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამხელდნენ საქართველოს ბოლშევიკები. „რუსეთი სხვაა და რუსეთის თვითმპყრობელობა სულ სხვაა—„შუა უზის დიდი ზღვარი...“—წერდნენ ბოლშევიკები ერთ-ერთ მოწოდებაში,—რუსეთი ჩვენი ქვეყანაა. მარა ოქვენ კი ჩვენი მტერი ხართ, სისხლის მსმელი, — თვითმპყრობელობის მსახურნო, ბურჯნო და თანამგრძნობელნო“[2].

მეფის ხელისუფლების ძმათა მკვლელი პოლიტიკის წინააღმდეგ თბილისის პროლეტარიატმა პროტესტი განაცხადა 1905 წლის თებერვალში საპროტესტო დემონსტრაციაზე. რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამოშვებულ პროკლამაციაში ვკითხულობთ: „დიდი იმედები და იმედების დიდი გაცრუება! ეროვნული შუღლის ნაცვლად — ურთიერთ სიყვარული და ნდობა! ძმათა მკვლელი რბევის ნაცვლად — გრანდიოზული დემონსტრაცია ცარიზმის, რბევის ამ დამნაშავის, წინააღმდეგ! დაემხო მეფის მთავრობის იმედები: ვერა და ვერ მოახერხა მან ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა თბილისის ეროვნებანი!..“[3].

ასეთ ვითარებაში, როდესაც ცარიზმი მოქმედებდა „დაჰ-

---

[1] «Местныя дворянския собрания Кутайсской и Тифлисской губерний возбудили петиции об автономии Грузии... Грузинское духовенство подняло вопрос о восстановлении автокефалии грузинской церкви» (А. Воронцов-Дашков, Всеподданейшая записка..., стр. 6—7).

[2] „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები 1903—1905 წწ.“, თბ., 1955, გვ. 139—140.

[3] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 82.

ყავი და იბატონე“ პრინციპით, ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის მიერ თვითმპყრობელური რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში საქართველოსათვის ავტონომიური უფლებების მოთხოვნა ნაციონალისტური და რეაქციული მოთხოვნა იყო, რგი წყალს ასხამდა ცარიზმის წისქვილზე. ამიტომ თავიდანვე უარყვეს ასეთი მოთხოვნა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა. „დღევანდელ პირობებში, — წერდა ალ. წულუკიძე, — პროლეტარიატისათვის ავტონომია საზიანო და სახიფათოა“[1].

სოციალისტ-რევოლუციონერებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს თავი ეჩოქნდათ მთელი ხალხის ჭირისუფლად, ანათი ეროვნული ინტერესების დამცველად, მაგრამ საქართველოს ბოლშევიკები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამხელდნენ ხალხის ამ ცრუ „მეგობრებს“. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის 1905 წლის ივლისის ერთ-ერთ პროკლამაციაში, რომელიც მიმართულია წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ, ვკითხულობთ: „დაჩაგრულ კლასებს ყველაზე უფრო რომელი პარტია აძლევდა მხარს და უმსუბუქებდა გაჭირვებულ მდგომარეობას? სოც.-დემოკრატია. ეროვნულ დამოკიდებულებას და დაჩაგვრას ვინ ებრძოდა ყველაზე უფრო? ვინ იქნება, თუ არ სოციალ-დემოკრატია. ვინ აღიმაღლა მედგრად ხმა საქართველოს ასი წლის მონობის იუბილეს და დღესასწაულის წინააღმდეგ, ვინ გააკრა სამარცხვინო ბოძზე ჩვენი ფარისეველნი და ხალხის მატყუარა სისხლისმწოველნი? ვინ და სოციალ-დემოკრატიამ. ვინ შეიტანა ხალხში რევოლუციური ბრძოლის, განთავისუფლების წყურვილი, ვინ აცნობიერებდა და აცნობიერებს ჩვენი ხალხის შევიწროებულ უმრავლესობას? ვინ, თუ არა ს.-დემოკრატია, ყველაზე უფრო ვინ ებრძოდა და ებრძვის საზიზღარ თვითმპყრობელობას და მით ვინ უწყობდა ხელს საქართველოს განთავისუფლებასაც? პროლეტარიატი, სოც.-დემოკრატია“[2].

რსდმპ კავკასიის კავშირის 1905 წლის ნოემბრის კონფერენციამ უარყო ავტონომია და ფედერაცია, რასაც საქართველოში თხოულობდნენ ბურჟუაზიის იდეოლოგები — ბურჟუ-

---

[1] ალ. წ უ ლ უ კ ი ძ ე. თხზულებანი, 1967, გვ. 362.

[2] „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1906 წწ.)“, 1955, გვ. 457.

ახალ ნაციონალისტური პარტიები. კონფერენციამ გამოააშკარავა მათი ნაციონალიზმი და მოუწოდა პარტიას გააჩაღოს მუშაობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის სასარგებლოდ[1]. ამიერკავკასიის ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმად ბოლშევიკებმა აღიარეს ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობა.

საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ ზურგი შეაქცია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ეროვნულ პროგრამას და მჭიდროდ დაირაზმა ლენინური ეროვნული პროგრამის გარშემო, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის გარშემო პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში. ესეც ერთ-ერთი თავისებურებათაგანია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარებისა საქართველოში.

საქართველოს გლეხობის მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და ინტერნაციონალისტური სულისკვეთება ნათლად გამოვლინდა პირველ სახალხო რევოლუციაში. მეფის ხელისუფლება ცდილობდა, როგორც აღვნიშნეთ, გლეხობის, ისე როგორც მთელი მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში დაენახა რეაქციული, რესტავრატორული მისწრაფება. მაგრამ საქართველოს გლეხობა, ისე როგორც მუშათა კლასი, პროტესტს აცხადებდა ამ ბოროტი ცილისწამების წინააღმდეგ. საყურადღებოა, სულთან კრიმ-გირეისთან მოლაპარაკებისას გლეხთა დეპუტატების განცხადებები:

ჯვარცმის დეპუტატი: „ჩვენი მოთხოვნანი არა შემთხვევითი და არა კერძო ხასიათისაა, ისაა საზოგადო მოთხოვნანი მთელი რუსეთის მუშა ხალხისა. ჩვენ არა ვართ არც ერთი ეროვნების მოწინააღმდეგენი, ვმოქმედებთ რუსეთის მუშა-ხალხის თანხმობით, რუსეთის მუშა ხალხი ჩვენი ძმებია... ჩვენი მოქმედება და მოთხოვნანი სრული შეთანხმებულია რუსეთის ხალხის მოქმედებასა და მოთხოვნასთან".

სურების დეპუტატი: „მთავრობის მოხელეები ხალხში და სალდათებში ავრცელებენ ყოვლად უსაფუძვლო ხმებს, თითქოს ჩვენ ჩვენი მეფე გვინდოდეს, თითქოს ჩვენ ცალკე სახელმწიფო გვინდოდეს. ეს ტყუილია, ეს საზიზღარი

---

[1] Газ. «Кавказский рабочий листок», № 8, 3 (16), декабря 1905 г.

ცილისწამებაა. ჩვენი მოძრაობა განუყოფელია მუშათა მოძრაობისაგან... ჩვენ, როგორც ყოველი მუშა რუსეთისა, ვებრძვით დღევანდელ წესწყობილებას"[1].

ბ ა ხ ვ ი ს გ ლ ე ხ თ ა მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი: „ჩვენ, ქართველები, რუსები, სომხები, თათრები — ყველანი ძმები ვართ. ჩვენ ერთმანეთს არ წავეკიდებით, ტყუილად ნუ ცდილობა ამას მთავრობა. აუწერელია ჩვენი საშინელი მდგომარეობა. ვის შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი? ვინ გაიგონებს ჩვენს ხმას? არა ის ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს არ ვვაქცევდა ჩვენ ყურადღებას, რომელიც გვტანჯავდა ჩვენ. ჩვენი მოთხოვნები — კერძო მარტო ქართველთა მოთხოვნები არ ოდია. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით ჩვენს რუს მოძმეებს. ჩვენი დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ხალხი საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი კენჭისყრით აირჩევს თავის წარმომადგენლებს. მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი მთავრობა; მხოლოდ ხალხის ხმა არის სამართლიანი და პატიოსანი... ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს"[2].

საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე თამამად შეიძლება გავავრცელოთ ის, რასაც ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო წერდა გურიის გლეხთა მოძრაობის შესახებ „ბ ა ხ ვ ი ს მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი ს" გამოქვეყნების მეორე დღეს: „თავისი სიმტკიცითა და შეგნებულობით უმაგალითო,— ვკითხულობთ გაზეთ „ვპერიოდში",— გურიის გლეხთა მოძრაობა ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიჭერს კავკასიის პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში... გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას[3].

ამრიგად, პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში საქართველოს მშრომელთა ბრძოლა მიმართული იყო არა მარტო სოციალური (კლასობრივი) ჩაგვრის, არამედ ეროვნული ჩაგვ-

---

[1] ჟურნ. „მოგზაური", № 9, 1905, გვ. 128.

[2] Газ. «Вперед», № 12, 29 (16), марта 1905 г.

[3] Газ. «Вперед» № 14, 30, (17) марта 1905 г.

რის მთელი სისტემის წინააღმდეგაც, იგი აშკარად გამოხატული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათსაც ატარებდა; რამდენადაც 1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობის ბელადად გამოდიოდა პროლეტარიატი, იმდენადაც იგი შორს იყო რაიმე ნაციონალისტური, სეპარატისტული ტენდენციებისაგან. ეს ისე აშკარად იგრძნობოდა მაშინ, რომ მისი მიჩქმალვა ვერ შეძლეს სამეფო ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმაც კი[1].

ამრიგად, საქართველოს გლეხობა ბოლშევიკური პარტიის სახით ხედავდა საკუთარი ინტერესების ერთადერთსა და საიმედო დამცველს, ბოლშევიკური აგრარული და ეროვნული პროგრამა, მისი ლენინური ტაქტიკა წარმოადგენდა მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითად მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარანტიას. ამიტომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი რიგ საკითხებში მენშევიკურ გავლენას განიცდიდნენ, ბოლშევიკურ ტაქტიკას ახორციელებდნენ რევოლუციაში. სწორედ ამაშიაც უნდა ვეძიოთ მიზეზი მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის იმ დიდი გაქანებისა და ორგანიზებულობისა, რომლითაც გამოირჩეოდა საქართველო მაშინდელ რუსეთში. ყოველივე ამის გამო წარ-

---

[1] ჯერ კიდევ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, როდესაც მეფის ხელისუფლება ცდილობდა სეპარატიზმი დაენახა ხალხის რევოლუციურ მოძრაობაში, სულთან კრიმ-გირეი იძულებული გამხდარა განეცხადებინა შემდეგი: „გურიაში ყოფნის დროს მე ღრმად დავრწმუნდი, რომ ხალხი პოლიტიკურის მხრით გონიერი და ჭკვიანია. იმაში სულაც არ არსებობს სეპარატიული ტენდენცია, განცალკევების სურვილი“. (გაზ. „ივერია“ № 49, 1905 წლის 9 აპრილი). უფრო გვიან, 1907 წელს კავკასიის მეფისნაცვალი წერდა:

«Сколько-нибудь серьезного сепаратического движения на Кавказе не существует не только в массе населения, но даже и среди революционных кружков...» (А. Воронцов-Дашков, Всеподданейшая записка..., стр. 21).

მატებით შეიქმნა და შედარებით განმტკიცდა საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი.

მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პოლიტიკური კავშირის შექმნა და განმტკიცება დიდად იყო დამოკიდებული იმისაგან, შეძლებდა თუ არა მუშათა კლასი, ბოლშევიკური პარტია ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იზოლაციას, მათგან გლეხობის ჩამოშორებას. აქიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ბოლშევიკების დამოკიდებულების განხილვაც.

მეფის რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ და ამ ფონზე გასული საუკუნის 60—70-იანი წლების ბურჟუაზიულმა რეფორმებმა ხელი შეუშალეს ბურჟუაზიის კლასობრივი ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, მძლავრი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების წარმოქმნასა და განმტკიცებას.

კაპიტალიზმი რუსეთში ცარიზმის კალთებქვეშ იმდენად სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა, რომ თვითმპყრობელობის მეურვეობისაგან თავდაუღწევლად იმპერიალისტურ სტადიაში გადაიზარდა, იგი ჩამოყალიბდა როგორც „სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი“. ბურჟუაზიამ დაიგვიანა. მან ვერც ერთი რევოლუციური აქტის, ვერც ერთი რევოლუციური ღონისძიების განხორციელება ვერ მოასწრო, უფრო მეტიც, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა ახალ ეტაპზე — იმპერიალისტურ ეტაპზე.

რუსეთის მუშათა კლასმა კი უკვე მოასწრო რევოლუციურ ძალად ორგანიზება, საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნა და განმტკიცება. ამ გარემოებამ იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიას დაუკარგა ბრძოლის ყოველგვარი ხალისი, წაართვა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის უნარი. რუსეთის ბურჟუაზია ამიერიდან რეფორმებისა და ცარიზმთან გარიგების გზას, მასთან ხელისუფლების განაწილების გზას ადგება, პირველი სახალხო რევოლუციის შემდეგ კი იგი მთლიანად კონტრრევოლუციურ ძალად იქცა.

რევოლუციის აღმავლობის პერიოდში რუსეთ-სა და საქართველოს ბურჟუაზია საბელდახელოდ აკოწიწებს საკუთარ პოლიტიკურ პარტიას, არა რევოლუციისათვის, არამედ რევოლუციასთან საბრძოლველად, ცარიზმთან გარიგებისათვის, საზოგადოების ნაკლებად შეგნებული ნაწილის პოლიტიკური სიფხიზლის მოდუნებისათვის. ბურჟუაზიამ აქაც დაიგვიანა.

მუშათა კლასის პოლიტიკურმა პარტიამ — სოციალ-დემოკრატიამ — ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობის შედეგად უმაგალითოდ აამაღლა მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივი თვითშეგნება, პოლიტიკური ცნობიერება, პოლიტიკური სიფხიზლე, თვალი აუხილა მათ და ნათლად უჩვენა ხალხის მტრები და მეგობრები. ყოველივე ამის გამო ბურჟუაზიული პარტიები თუ პოლიტიკური ჯგუფები თავიდანვე აღმოჩნდნენ იზოლირებულნი, განსაკუთრებით საქართველოში. რუსეთში პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში გლეხობის უმრავლესობა ჯერ კიდევ მიჰყვებოდა სოციალისტ-რევოლუციონერთა წვრილბურჟუაზიულ პარტიას, საქართველოში კი მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას, პროლეტარულ პარტიას.

საქართველოში ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული პარტიების სისუსტესა და უძლურებაზე მიუთითებს ისიც, რომ მასებში სოციალ-დემოკრატიის მძლავრი გავლენის გამო, მათ არ შეეძლოთ აშკარად გამოსვლა ისე, თუ სოციალისტურ ნიღაბს არ აიფარებდნენ (ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რევოლუციონერები, ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-ფედერალისტები და ა. შ.).

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ოპორტუნისტული ჯგუფის — მენშევიკების — გაჩენამ ბურჟუაზიულ პარტიებს მნიშვნელოვანი კონტინგენტი წაართვა. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიაშურა მენშევიკურ ორგანიზაციებს, რადგან, ჯ ე რ ე რ თ ი, მას სჭირდებოდა ხალხში მოღვაწეობისათვის სოციალისტური ნიღაბი, რომელსაც უზრუნველყოფდა მისთვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) რიგებში ყოფნა და, მ ე ო რ ე ც, ის რომ მენშევიკები რევოლუციაში ობიექტურად ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდნენ.

საქართველოს ბურჟუაზია, ქართველ მენშევიკებში ხედავდა რა საკუთარი ინტერესების გამომხატველ ძალას, თავს ძა-

ლიან არ იწუხებდა საკუთარი პოლიტიკური პარტიების შექმნისა და განმტკიცებისათვის, იგი ამას მაინც ვერ შეძლებდა და, მაინცდამაინც, არც იყო მისთვის საჭირო, იგი მცირედითაც „მაყოფილდებოდა ქვეყნად შექმნილ ისტორიულ გარემოებათა გამო.

შევეხოთ საკითხს უფრო კონკრეტულად.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელ ხელმძღვანელობას გლეხთა მოძრაობაში, ამ მოვლენის კანონზომიერ ხასიათს ვერ უარყოფდნენ ოფიციალური სახელმწიფო ხელისუფლებისა და თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლებიც კი, ჯერ კიდევ, მაშინ, რევოლუციური ბრძოლების პერიოდში:

კავკასიის მეფისნაცვალი იმპერატორისადმი წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ „მთელი მოძრაობა აშკარა რევოლუციური ხასიათისაა და გარკვეულად ატარებს სოციალ-დემოკრატიულ ელფერს“[1].

თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი წარმომადგენელი თავადი ნ. ერისთავ-შარვაშიძე წერდა, რომ სოციალიზმის იდეა და სოციალ-დემოკრატიული პარტია დიდი ხანი არაა, რაც გაჩნდა საქართველოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიაღწია დიდ წარმატებებს, იმის წყალობით, რომ ამ იდეებისათვის ნიადაგი ისტორიულად იყო მომზადებული[2]

აღსანიშნავია ქუთაისის რევოლუციონერი გუბერნატორის, ა. სტაროსელსკის აზრი. იგი წერდა, რომ ოზურგეთის მაზრის ცბრომელი გლეხების მიერ სულთან კრიმ-გირეისადმი წარდგენილი მოთხოვნები „უეჭველად სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მიერ იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ აღნიშვნელოვანია ის, რომ ეს მოთხოვნები მთლიანად შესულითითოეული გლეხისა და გლეხი ქალის შეგნებაში, რომ ეს მოთხოვნები მათი პოლიტიკური თვალთახედვის განუყოფელი ნაწილი გახდა“[3].

რევოლუციამდელ ისტორიულ ლიტერატურაში ზოგიერთი

---

[1] А. Воронцов-Дашков, указат, отчет, стр. 28.

[2] Н. Эристов-Шарвашидзе, Памятная записка о нуждах грузинского народа, М., 1906, стр. 77.

[3] Журн. «Былое», № 9, 1906, стр. 238.

პროგრესული მკვლევარი აშკარად მიუთითებს იმ ისტორიულ ფაქტზე, რომ საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო მუშათა კლასი, კლასი, რომელიც გლეხობის მიმართ ხელმძღვანელობას ახორციელებდა საკუთარი პოლიტიკური პარტიის — სოციალ-დემოკრატიის — საშუალებით. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ 1906 წელს წერდა, რომ ბათუმიდან გასახლებულმა მუშებმა ვლეხობაში შეიტანეს ორგანიზატორული სული და საერთო ძალ-ღონით ბრძოლის იდეა, რაც მათთვის უკვე კარგად იყო ცნობილი თავიანთ მუშურ ორგანიზაციებშიო[1].

გლეხთა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელ ხელმძღვანელობაზე ბიუთითებდნენ, ჯერ კიდევ რევოლუციის პერიოდში, პარტიული ორგანოები და პარტიული პრესა. „კომედია, რომელიც გაითამაშეს კავკასიის ხელისუფლებმა სულთან კრიმ-გირეის გურიაში გაგზავნით, — წერდა ბოლშევიკური გაზეთი,— დამთავრდა. სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებულმა ხალხმა მეფის მოხელეს ყველგან ერთი და იგივე მოთხოვნები წაუყენა... სულთან კრიმ-გირეი თბილისში გამოიწვიეს. დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია“[2].

მიხა ცხაკაია რსდმპ III ყრილობაზე მრავალგზის აღნიშნავდა უდაო ფაქტს, რომ საქართველოს გლეხთა რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა სოციალ-დემოკრატია. ჩვენს პარტიას, ამბობდა იგი, გლეხთა მოძრაობისადმი ორგანიზატორული ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება აქვსო კავკასიაში[3].

საქართველოში გლეხთა მოძრაობის მიმართ სოციალ-დემოკრატიის განუყოფელ ხელმძღვანელობას ერთგვარი საფრთხე შეექმნა მენშევიკების გამთიშველი მოღვაწეობის გაძლიერებით 1904 წლის ბოლოსა და 1905 წლის დასაწყისში. შინა-

---

[1] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX вв. СПБ, 1906, стр. 43.

[2] Газ. «Вперед», № 16, 30 апреля 1905 г.

[3] «Протоколы третьего съезда РСДРП», 1937, стр. 237—240.

პარტიული ბრძოლის შედეგად, ნათქვამია კავკასიის კავშირის 1904 წლის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციაში, „ზოგან თავი იჩინა პარტიისადმი პროლეტარიატის უნდობლობამაც; ამასთან ეჭვი არ არის, რომ პარტიამ დაკარგა თავისი წინანდელი გავლენა საზოგადოების დანარჩენ, სულ სხვადასხვანაირ ფენებშიც"[1]. ამავე დროს კონფერენციამ აღნიშნა, რომ უაღრესად საჭიროა პარტიის ცალკეული ნაწილების განსაკუთრებული შეთანხმებული მუშაობა მიმდინარე რევოლუციის პირობებში. მაგრამ საფრთხე, რომელიც შეუქმნეს მენშევიკებმა პარტიას, ლიკვიდირებულ იქნა ბოლშევიკური ორგანიზაციების ენერგიული მოღვაწეობით.

საქართველოს ბოლშევიკებმა სერიოზული მარცხი აგემეს მენშევიკ ოპორტუნისტებს, რომლებმაც თავიანთ პირველ კონფერენციაზე, 1905 წლის აპრილში, მიღებული რეზოლუციებით უარყვეს რევოლუციურ დროებით მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესაძლებლობა, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის გამოყენება, როგორც შეიარაღებული აჯანყების აუცილებელი პირობისა, საერთოდ შეიარაღებული აჯანყების მომზადების აუცილებლობა და ა. შ. მენშევიკური რეზოლუციები მოითხოვდნენ გლეხთა შორის მხოლოდ საგიტაციო მუშაობას[2]. ასეთივე ხასიათის რეზოლუციები მიიღო მენშევიკურმა მეორე კონფერენციამ 1905 წლის აგვისტოში[3] ამის შემდეგ მენშევიკებმა ჩაატარეს ძირეულ ორგანიზაციათა კონფერენციები. ასე მაგალითად, 1905 წლის 15 ნოემბერს გურიის მენშევიკური ორგანიზაციის კონფერენციამ, რომელიც შედგა სოფელ ბახვში, უარყო მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბოიკოტის ტაქტიკა, მოსახლეობის შეიარაღება და დაგმო ნაბიჯი, რომელმაც ისინი გამოიყვანა მთავრობის როლში[4]. მიუხედავად ამისა, რევოლუციური გლეხობა იარაღს არ ყრიდა და განაგრძობდა ბრძოლას ბოლშევი-

---

[1] „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.)", 1955. გვ. 236.

[2] «2-я конференция кавказских социал-демократических рабочих организаций», Женева, 1905 г.

[3] იქვე.

[4] გაზ. „სხივი", 1905 წლის 6 და 7 დეკემბერი.

კური ტაქტიკური ლოზუნგებით. სწორედ ასეთ გარემოებათა გამო იყო, რომ წერდა ვ. ი. ლენინი 1905 წლის ოქტომბერში, გ. ვ. პლეხანოვს: „ჩვენს ტაქტიკურ უთანხმოებას კი რევოლუცია თვითონ სპობს საოცარი სისწრაფით“[1].

საქართველოს ბოლშევიკები ყოველთვის ეწეოდნენ შედარებით უფრო მძაფრ და თანმიმდევრულ ბრძოლას მენშევიკური ორგანიზაციებისა და მენშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ, ვიდრე აშკარა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და პოლიტიკურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ. მათი იდეოლოგიის წინააღმდეგ. ეს გარემოება ორმა მომენტმა შეინც განაპირობა:

პ ი რ ვ ე ლ ი, მენშევიკები, გამოდიოდნენ რა სოციალ-დემოკრატიის დროშით, მათ ადვილად შეეძლოთ პოლიტიკურად გამოუცდელი მასების გადაბირება. ამის გამო იოლი როდი იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. საჭირო ხდებოდა ბოლშევიკური პარტიის მთელი იდეოლოგიური არსენალის მობილიზება, უმთავრესად, სწორედ მენშევიზმის წინააღმდეგ, რასაც ქართველი ბოლშევიკები ჩინებულად ასრულებდნენ თითქმის ყოველთვის. არც იმ ერთგვარად მცირე ზიანის დავიწყება შეიძლება, რასაც მენშევიკებს, როგორც მმართველ პარტიას აყენებდნენ აშკარად ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები — სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები, როგორც ოპოზიციური პარტიები. ყველა ამ გარემოებამ ფრიად დააჩქარა მენშევიზმის იდეური და პოლიტიკური დამარცხება, სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კი საბოლოო იდეოლოგიური და ორგანიზაციული განადგურება.

მ ე ო რ ე, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები შედარებით უფრო აშკარად გამოდიოდნენ და ამდენად ძნელი როდი იყო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა ამისა, მათი პოლიტიკური გავლენა მასებში იმდენად სუსტი იყო, რომ ბოლშევიკები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველთვის საჭიროდ როდი თვლიდნენ მათ წინააღმდეგ ისეთივე მედგარ იდეურ ბრძოლას, როგორსაც ეწეოდნენ ისინი მენშევიკური ორგანი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 34, გვ. 414.

ზაციების წინააღმდეგ. ამან განაპირობა სოციალისტ-ფ ე დ ე-რ ა ლ ი ს ტ უ რ ი და ე რ ო ვ ნ უ ლ-დემოკრატიული იდეების ერთგვარი გამძლეობა სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც კი ქართველი ინტელიგენციის ჩამორჩენილ ფენებში.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სისუსტეზე ლაპარაკობდნენ რსდმპ III ყრილობაზე მიხა ცხაკაია და ალიოშა ჯაფარიძე. „რაც შეეხება კავკასიას, მე უნდა განვაცხადო, — ამბობდა ა. ჯაფარიძე. — რომ ს.-რ. ძალიან სუსტია, განსაკუთრებით ძალიან უმნიშვნელოა ს.-რ. კავშირი მუშებთან"; „ს.-რ, როგორც ორგანიზებული პარტია, ნულია,— ამბობდა მ. ცხაკაია,— მათი ორგანიზაციები თითქმის არსად დამინახავს,... კავკასიაში, მათ არავითარი ორგანიზაცია, კერძოდ, არავითარი კავშირი მუშათა მასებთან არა აქვთ. ამხ. გოლუბინმა (ა. ჯაფარიძემ, ი. კ.) აღნიშნა, რომ ბაქოში ს.-რ. არ წარმოადგენენ რაიმე ძალას. ბათუმსა და თბილისში ისინი სრულიად არ სჩანან!"[1].

ფ. მახარაძე წერდა: „ამიერკავკასიაში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა, იმდენად უმნიშვნელო იყო მისი გავლენა მასაში. მასა არც კი იცნობდა ჩვენში ამ პარტიას. ის შესდგებოდა სულ მცირე ჯგუფისაგან, უმეტეს ნაწილად მოსულ ელემენტებისაგან, სოციალისტ-რევოლუციონერების მოქმედება გამოიხატებოდა თითქმის ტერორში. სოციალისტ-რევოლუციონერების ჯგუფები არსებობდნენ ქალაქებში... ეს ჯგუფები შესდგებოდნენ თითქმის განსაკუთრებით ინტელიგენტებისაგან, რომლებსაც არამცთუ გლეხებთან, არამედ ქალაქის მუშებთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. ამნაირად, სოც-რევოლუციონერების ჯგუფები არ ყოფილან დაკავშირებულნი არც გლეხების და არც მუშების მასებთან. გლეხებმა არც კი იცოდნენ იმათი არსებობა"[2].

ამრიგად, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონია საქართველოს გლეხობაში,

---

[1] «Протоколы третьего съезда РСДРП», 1937, стр. 402—403.

[2] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, II გამოცემა, თბ., 1932, გვ. 300.

მაშინ, როდესაც ამ პარტიას რუსეთში უფრო მეტი გლეხობა მიჰყვებოდა, ვიდრე სხვა ვინმეს.

საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია იყო ე. წ. „საქართველოისტები", შემდეგში, სოციალისტ-ფედერალისტები. აშკარა ბურჟუაზიული ნაციონალისტების — ეროვნულ-დემოკრატების მარცხის შემდეგ, საჭირო იყო ნაციონალისტებს „ფერი მაინც ეცვალათ"..., ტანისამოსი მაინც ჩაეცვათ სოციალისტური, თუ სოციალისტურ აზრებს ვერ შეითვისებდნენ. და მართლაც, სცენაზე ამოცურდა არალეგალური... ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური — უკაცრავად მოხსენებაა — „სოციალისტური" ორგანო „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!" ასე უნდოდათ მოეხიბლათ ქართველი მუშები! მაგრამ გვიანღა იყო! ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა, ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო „ფერი იცვალეს" და არა აზრები, რომ გაზეთ „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს" მ ა რ ტ ო ს ა ხ ე ლ ი ა ქ ვ ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი. — დიახ, მიხვდნენ ამას და სიცილი მიაყარეს საქართველოს „მხსნელებს"![1]

ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები 1904 წლიდან ჩოკალათდნენ გაზეთ „ცნობის ფურცელში", რომელსაც აკაკი წერეთელი „ცოდვის ფურცელს" უწოდებდა მასში მოკალათებულთა ნაციონალისტური ბოდვის გამო.

სოციალისტ-ფედერალისტები შეეცადნენ მასების რევოლუციური მოძრაობა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულებით წარემართათ, მაგრამ მათ ვერ პოვეს მასებში მხარდაჭერა. ამის შესახებ ა. ჯაფარიძე ამბობდა რსდმპ III ყრილობაზე: „ეროვნული ორგანიზაციები ჩვენში სხვადასხვაგვარია, მაგალითად, კავკასიაში არის პარტია „დროშაკისტებისა" და „საქართველო..." „საქართველოელები". სარგებლობენ რა საერთო მღელვარებითა და რევოლუციური განწყობილებით კავკასიაში, არენაზე გამოდიან და ცდილობენ ხელთ იგდონ გლეხთა მოძრაობა, მათთან საჭიროა ბრძოლა".[2]

ქართველი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იყო „მე-

---

1 ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 1. გვ. 34—35.

2 «Протоколы третьего съезда РСДРП», 1937, стр. 384.

ტად ახირებული და თავისებური პარტია, — წერდა ფ. მახარაძე,— როგორც მის შემადგენლობაში, ისე მის პროგრამაში ყველაფერს ნახავდით. აქ იყვნენ ბურჟუა-ლიბერალებიც, აზნაურებიც, ხუცებიც, სოციალისტ-ანარქისტებიც და ვინ იცის კიდევ ვინ... ეს იყო ნამდვილი წვრილბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ-კლერიკალური პარტია, რომელიც რევოლუციონურ ხანაში იძულებული შეიქმნა გარეგნულად, რა თქმა უნდა, რევოლუციური და სოციალისტური ფრაზეოლოგია გაეზიარებია... ქალაქის მუშებში სოციალისტ-ფედერალისტებს არსად არც ერთ ქალაქში არავითარი ნიადაგი არ ჰქონია. რაც შეეხება სოფლებს, იქაც უმეტეს ნაწილად მათ არ შეეძლოთ გაჭაჭანება. გურიაში, მაგ., სოც.-ფედერალისტი სალანძღავი სიტყვა იყო"[1].

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოსვლასთან დაკავშირებით თბილისში გაჭართულ ხალხმრავალ მიტინგზე გამოვიდნენ სოციალისტ-ფედერალისტები. მათ აქაც წამოაყენეს მეფის რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების მოთხოვნა. მაგრამ მას ხალხი შეხვდა სტვენითა და შეძახილით: „ძირს ნაციონალისტები!" ამრიგად, მუშათა კლასისა და გლეხობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა მათი ეროვნული და, ესერებთან საზიარო, აგრარული პროგრამაც[2]. ამიტომ საქართველოს გლეხობამ ზურგი შეაქცია ესერებთან ერთად სოციალისტ-ფედერალისტებსაც.

პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და კონტრრევოლუციური პარტია იყო ამიერკავკასიაში „დაშნაკცუტიუნი". მას ძლიერი ორგანიზაციები ჰქონდა საქართველოში, სომხებით დასახლებულ რაიონებში. ამითაც უნდა აიხსნას საქართველოს აღნიშნული რაიონების შედარებით ნაკლებ აქტიური, შედარებით სუსტი რევოლუციური გამოსვლები პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში.

საქართველოს ბოლშევიკები ულმობელ ბრძოლას ეწეოდნენ დაშნაკების წინააღმდეგ, ნიღაბს ხდიდნენ და ამხელდნენ

---

[1] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, 1905 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში, გვ. 301.

[2] „პლატფორმათა სრული კრებული რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიებისა", თბ., 1907, გვ. 132—135.

მათ ნაციონალისტურ, შოვინისტურ, კონტრრევოლუციურ საქმიანობას. სტ. შაუმიანი მათ შესახებ, ჯერ კიდევ 1906 წელს. წერდა: „კავკასიის სომხური ბურჟუაზია, ბუნებრივია, რომ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიაში ხედავდა თავის შშობლიურ ქმნილებას, თავის საუკეთესო მოკავშირეს, თავისი ინტერესების საუკეთესო გამომხატველსა და დამცველს, და ამიტომ მთელი შესაძლებლობით, მატერიალურად და ზნეობრივად მხარს უჭერდა ამ პარტიას“[1].

თვითმპყრობელობის მოხელეებიც კარგად ხედავდნენ „დაშნაკცუტიუნის“, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ხასიათს[2] მაგრამ ისინი სდუმდნენ იმის შესახებ, რომ დაშნაკები, არა-მარტო სომხური ბურჟუაზიის, არამედ თვითმპყრობელობის დასაყრდენიც იყვნენ კავკასიაში. ეს შემდეგ აღიარა დაშნაკური პარტიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ოვ. კაჩაზნუნმა. იგი წერდა: „ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მეფის ბთავრობა, ბათდამი ჩვენი ერთგულებისათვის, მეცადინეობისა და დახმარებისათვის გვიწყალობებდა სომხეთის ავტონომიას“[3].

ბეორე სომხურ-ნაციონალისტური პარტია იყო ჰანჩაკისტების პარტია. მათ პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში, თითქმის არავითარი გავლენა არ ჰქონდათ. მათი ორგანიზაცია თბილისში შედგებოდა სომეხი ინტელიგენტებისა და ხელოსნებისაგან. რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, ე. წ. „განთავისუფლების ჯგუფის“ ან კონსტიტუციონალ-დემოკრატების ტიპისას, ამიერკავკასიაში მათი მსგავსი არ ყოფილა. „მხოლოდ

---

[1] Газ. «Наши понедельники», № 1, 14 декабря 1906 г.

[2] მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი დაშნაკების შესახებ წერდა სტოლიპინს:

«И в то время наиболее влиятельная и богатая часть армянского населения видела в организации «Дашнакцутюн» свою вооруженную охрану против мусульман и порожденных революцией анархических организаций и широко поддерживал дашнакцаканов материальными средствами, почему последние были прекрасно вооружены; помимо охраны своей личности, наиболее богатые армяне пользовались дашнакцаканами для охраны своего имущества и имущественных интересов» (Журн. «Красный архив», т. 34, 1929, стр. 206).

[3] Ов. Качазнуни, Дашнакцутюн больше нечего делать, 1927, стр. 12.

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ იყო სუსტი ცდა კადეტების პარტიის ორგანიზაციის დაარსებისა, მაგრამ ესეც არ მოხერხდა. არ იყო აგრეთვე არც „გლეხთა კავშირის“ რაიმე მსგავსი ორგანიზაცია ან მისი განყოფილება“[1].

დასასრულ, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დასახასიათებლად მივმართოთ რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის 1904 წლის 20 ნოემბრის პროკლამაციას—„საზოგადოება ალაპარაკდა“, სადაც ეკითხულობთ:

„თვითმპყრობელობის გაკოტრება იმ დროს შეხვდა, როცა რუსეთის პროლეტარიატი ერთს უმთავრეს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს სახელმწიფოში, როდესაც პროლეტარიატს აქვს უკვე თავისი ძლიერი პარტია, საკუთარი მიმართულება. ის კარგა ხანია გამოვიდა ბრძოლის ველზე და არა ერთხელ და ორხელ დაუმტკიცებია თავისი პოლიტიკური სიმწიფე. როდესაც საზოგადოების სხვა კლასები კრინტს არ სძრავდნენ რეაქციის წინააღმდეგ, პროლეტარიატი თავისი მედგარი ბრძოლით ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობას... როდესაც ლიბერალური ბურჟუაზია მოინდომებს თვითმპყრობელობასთან შებრძოლებას. მას თვალწინ უდგება პროლეტარიატის წითელი დროშა და ისიც იხევს უკან. აქედან იწყება ტაქტიკა ლიბერალური ბურჟუაზიისა, „პასიური“ უკმაყოფილება, ყველგან და ყველაფერში ზომიერების დაცვა, თხოვნებით და პეტიციებით მთავრობის რეფორმების შემოღების საჭიროებაში დარწმუნებისა — ერთი სიტყვით „ზომიერი გონიერების“ გამეფება. უნდათ თვითმპყრობელობა არ იყოს, მარა ეშინიათ პროლეტარიატისა. აქედან „მოხერხებული დროისათვის“ ცდა. ამიტომ ზევიდან მოცემული კონსტიტუცია — მეფის მთავრობისაგან ეამომეტებული რეფორმები, და არა ქვევიდან წამოღებული ხალხის მიერ—რევოლუციის საშუალებით მოპოვებული,—აი, რა შეადგენდა და შეადგენს ლიბერალების სანატრელ საგანს“[2].

ამრიგად, საქართველოში პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში არ არსებობდა, აშკარა, ცოტად თუ ბევრად გა-

---

[1] ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, გვ. 305.

[2] „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.)“. 1955. გვ. 218.

ფორმებული, ორგანიზებული ბურჟუაზიული პარტია, რომელსაც რაიმე გავლენა ჰქონოდა გლეხობაში. გლეხობა მიჰყვებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ე. ი. უკვე სახეზე იყო მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი. ეს კავშირი კიდევ უფრო ძტკიცე იქნებოდა, რომ ორ ფრაქციად არ ყოფილიყო გათიშული სოციალ-დემოკრატიული პარტია. მენშევიკები თავიანთი ოპორტუნისტული ტაქტიკით ხელს უშლიდნენ ამ კავშირის შემდგომ განმტკიცება-გაფართოებას.

საქართველოს მენშევიკები, როგორც ცნობილია, უკიდურესი შემარჯვენე ფრთა იყო საერთაშორისო მენშევიზმის ბანაკში და, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად იცავდნენ ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს. ამიტომ საქართველოს ბოლშევიკები პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში გლეხობისათვის ბრძოლას ეწეოდნენ ძირითადად და უმთავრესად მენშევიკებთან, რაც უფრო ძნელი და რთული იყო ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, ვიდრე კადეტების ან ესერების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს იყო პირველი სახალხო რევოლუციის განვითარების ერთ-ერთი თავისებურება საქართველოში.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული გლეხობის უდიდესმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა მინიმუმის მოთხოვნებს, რომლებიც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული საქართველოს მშრომელთა ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესებთან. ყოველივე ეს ნიშნავდა, რომ პოლიტიკური კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის სოციალ-დემოკრატიის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

§ 3. მუშათა კლასისა და გლეხობის ორგანიზაციული კავშირი. რევოლუციური ბრძოლის ფორმები და მეთოდები

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი, რომელსაც საფუძვლად ედო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამული მოთხოვნები, განაპირობებდა ამ ორ კლასს შორის ორგანიზაციულ კავშირს, ორივე ერთად —

პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირი კი მათი რევოლუციური ბრძოლის ერთიან ფორმებსა და მეთოდებს.

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, როგორც ცნობილია, პირველად დაიწყო ოზურგეთის მაზრაში — გურიაში, ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობის გავლენით, და იგი შემდეგ გავრცელდა სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში და ა. შ. ამ რაიონებში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შეგნებულ პოლიტიკურ ხასიათს განაპირობებდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ენერგიული მუშაობა გლეხობაში[1].

გურიის სოფლებში ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მუშაობის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი ბათუმის კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც წარედგინა რსდმპ II ყრილობას. გლეხობაში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სტრუქტურის შესახებ მოხსენებაში ვკითხულობთ: „წრეები ყალიბდება თითქმის ყველა სოფელში... გურია გაყოფილია სამ რაიონად, ცენტრალურ რაიონად ითვლება უბანი, ყოველ უბანში არის ცენტრალური მთავარი წრე, რომელსაც ექვემდებარება წვრილ-წვრილი სასოფლო წრეები. კომიტეტთან ურთიერთობა აქვს მხოლოდ მთავარ წრეს თავისი წარმომადგენლის საშუალებით“[2].

სოფლებში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ყალიბდებოდა ქალაქებიდან ჩასულ მუშა სოციალ-დემოკრატ აგიტატორებისა და ორგანიზატორების ხელმძღვანელობით. ამის შესახებ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ვკითხულობთ შემდეგს: გლეხთა „კრებების ხელმძღვანელები და ინიციატორები არიან ჩამოსული აგიტატორები, ჩამოსული უმთავრესად ბათუმიდან...[3]. აგიტატორები გლეხობაში ავრცელებენ

---

[1] «Революция 1905 — 1907 гг. в Грузии» (Сб. документов), Тб., 1956, стр. 249 — 250.

[2] «Доклады Соц.-демократических комитетов второму съезду РСДРП», М. — Л., 1930, стр. 322.

[3] უმთავრესად იმიტომ, რომ სხვა ქალაქებიდანაც იგზავნებოდნენ მუშა აგიტატორები სოფლებში. ასე მაგალითად, იმავე გურიაში თბილისიდან ჩასულ მუშათა დაპატიმრების შემთხვევებიც იყო („გლეხთა მოძრაობა გურიაში“, გვ. 33).

რევოლუციურ გამოცემებს, კრებებზე გამოდიან სიტყვებით, აძლევენ გლეხობას სათანადო მითითებებს"[1].

დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის გაფართოებასა და გაღრმავებაზე უაღრესად დიდი გავლენა იქონია არა მარტო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების მიერ სოფლად სპეციალურად მივლინებულმა აგიტატორებმა და ორგანიზატორებმა, არამედ ხელისუფლების მიერ ბათუმიდან გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში რევოლუციონერ მუშათა მასობრივმა გადასახლებამ 1902 წლის 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით[2].

ბათუმიდან გადმოსახლებულმა მუშებმა დიდი რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს სოფლებში. ამის გამო რსდმპ III ყრილობაზე მიხა ცხაკაია ამბობდა: „აი სწორედ ამ მუშებმა თავიანთ სოფლებში, თავიანთ გაპარტახებულ მეურნეობებში, ძალით დაბრუნებულმა, რომელთაც ნაგემები ჰქონდათ სოციალიზმის ხის ნაყოფი და რომლებმაც თვითმპყრობელობისაგან შათრახების, საპყრობილეებისა და ტყვეების სახით პოლიტიკური განათლების პირველი გაკვეთილები მიიღეს, — გაბედულად და მხნედ დაიწყეს აგიტაცია გლეხებს შორის. ამ აგიტაციის ნაყოფმა თავი იჩინა მაშინვე, უკვე რამოდენიმე თვისა და რამოდენიმე კვირის შემდეგაც კი. გურიის გლეხობა ყველაზე უფრო ადრე გამოფხიზლდა არა მარტო იმიტომ, რომ გურულები უფრო განვითარებული, უფრო ცოცხალი, შემთვისებელი და ვულადები არიან, არამედ უფრო იმიტომ, რომ სამეგრელოსა და იმერეთთან ერთად თანაბარი ეკონომიური განადგურებისა და პოლიტიკური დევნისას, თვითმპყრობელობამ გურიაში „გაგზავნა" ყველაზე მეტი აგიტატორები, ხოლო გურია იმერეთთან და სამეგრელოსთან შედარებით ძალიან პატარაა"[3].

ყველაზე მეტი აგიტატორი მართლაც გურიას შეხვდა. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გურიიდან ძალიან ბევრი იყო ბათუმსა

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 39, საქ. 3283. ფურც. 148.

[2] «Революция 1905-1907 гг. в Грузии» (Сб. документов), Тб., 1956, стр. 95. 249—250, 318.

[3] «Протоколы третьего съезда РСДРП», 1937, стр. 243—244.

და სხვაგან გარესამუშაოზე გასული. ასე მაგალითად, 1904 წელს გარესამუშაოზე გასული იყო ნანეიშვილების სასოფლო საზოგადოების 520 კომლიდან 322 კაცი, ზემოხეთის 360 კომლიდან — 266 კაცი, ერკეთის 473 კომლიდან — 300 კაცი და ა. შ[1]. ყოველივე ამის გამო ბათუმის მუშებსა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დიდი გამარევოლუციურებელი გავლენა ჰქონდათ მთელ დასავლეთ საქართველოზე.

ბათუმელი მუშებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გამარევოლუციურებელი გავლენის შესახებ 1905 წლის ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მუშების დიდ უმეტესობას ბათუმის ქარხნებში შეადგენენ გურიის გლეხები... თითქმის ყველა ეს მუშა დღიურად მუშაობს, ბუნებით წარმოადგენენ ცოცხალ, მოძრავ ელემენტს. ისინი სამუშაოზე ბათუმში დიდხანს არ რჩებიან, ასე, რომ მუშების შემადგენლობა მუდამ იცვლება. ამიტომ ოზურგეთის მაზრის თითქმის მთელ მოსახლეობას ან პირადათ უმუშავნია ბათუმის ქარხნებში, ან ახლო დამოკიდებულებაში ყოფილა ბათუმის ქარხნების ყოფილ, მთელ გურიაში გაფანტულ მუშებთან. ასეთ პირობებში გურია რამდენიმე წელია ცხოვრობს ბათუმის მუშებთან ერთად, ერთი ცხოვრებით, ერთი იდეით: მათი ჭირი და ლხინი საერთოა და ისინი ერთსა და იმავე დროს იმყოფებიან სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გავლენაში“[2].

მეფის ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეებიც ხედავდნენ იმ დიდ გამარევოლუციურებელ გავლენას, რომელსაც გლეხობაზე ახდენდა მუშათა კლასი. რიგ შემთხვევაში, მეფის ადგილობრივი მოხელეების მიერ აღნიშნული იყო გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლიც. ასე მაგალითად, 1905 წლის 4 თებერვალს ქუთაისის გუბერნატორი წერდა, რომ აქ მიმდინარე სახალხო მღელვარებას უეჭველად მჭიდრო კავშირი აქვს მრავალ ადგილას ერთდროულად მიმდინარე ქარხანა-ფაბრიკებისა და რკი-

---

[1] А. Абрамов, Крестьянское революционное движение в Грузии в 1902—1905 гг., Л., 1940, стр. 16.

[2] ჟურნ. „პროლეტარული რევოლუცია“, № 2, 1940, გვ. 77.

ნიგზელ მუშათა გაფიცვებთანო[1]. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა საამართველოს უფროსის 1905 წლის 12 აგვისტოს მოხსენებებიდან ვგებულობთ, რომ საჩხერის გლეხთა მოძრაობის სათავეში იდგნენ ჭიათურის მუშები[2].

რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის შექმნის შემდეგ რევოლუციურმა მოძრაობამ მთელ დასავლეთ საქართველოში მიიღო ორგანიზებული, შეგნებული პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი. „სოფლის მოძრაობამ მოიპოვა მტკიცე ნიადაგი,— ვკითხულობთ რსდმპ კავკასიის კავშირის ერთ-ერთ გამოცემაში,— პირველ ხანებში ის იყო სტიქიური და შეუგნებელი, ახლა კი სოფლის ღარიბი ხალხისათვის მიზანი გარკვეულია, ნამდვილი გზა აღმოჩენილია... ის, გუშინ შეუგნებელი, ძოკრძალე და მოშიშარი, დღეს, გადაიქცა შეგნებულ, ამაყ და უშიშარ მებრძოლათ. გუშინ მარტო ღალის შემცირებაში დ' დრამა-ფულების მოსპობაში ხედავდა ხსნას, დღეს უფრო შორს მიდის: ითვისებს რა პროლეტარიატის მოძღვრებას, სოციალიზმს, შეგნებულათ ებრძვის თვითმპყრობელ მთავრობას და უნდა შეიძინოს პოლიტიკური თავისუფლება"[3]. გლეხობის ასეთი თაობა, რომელიც შეიქმნა ბატონყმობის გაუქმებისა და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, შეუმჩნეველი არ დარჩენია ვ. ი. ლენინს, აი რას წერდა მის შესახებ: „ბინადარი, დაბეჩავებული, თავის სოფელზე მიკრული, ხუცების მორწმუნე, „უფროსების" მოშიშარი ყმა-გლეხის ნაცვლად იზრდებოდა ახალი თაობა გლეხებისა, რომელთაც მოვლილი ჰქონდათ გარესამუშაოები, ქალაქები და ზოგი რამ ესწავლათ მაწანწალური ცხოვრებისა და დაქირავებული მუშაობის მწარე გამოცდილებით"[4]. აი, სწორედ გლეხობის ეს თაობა წარმოადგენდა პირველ სახალხო რევოლუციაში გლეხთა მოძრაობის ძირითად ბირთვს.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ცნობილია, რამდენიმედ ჩამორჩა დასავ-

---

[1] «Революция 1905—1907 гг. в Грузии» (Сб. документов), Тб., 1956, стр. 95.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 261.

[3] „გლეხთა მოძრაობა გურიაში", 1904, გვ. 45.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 88.

ლეთ საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას[1]. გარდა ობიექტურ-ისტორიული პირობებისა, იგი გამოიწვია იმანაც, რომ თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი შედარებით ნაკლები ყურადღებით ეკიდებოდა გლეხთა შორის მუშაობას[2].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა განსაკუთრებით გააძლიერა მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში 1904 წლის ბოლოდან და 1905 წლის დასაწყისიდან. შექმნა ახალი პარტიული ორგანიზაციები გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღისა და სხვა მაზრებში. დაამყარა და განამტკიცა კავშირი ქალაქისა და სოფლის პარტიულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის. სისტემატურად გზავნიდა თბილისიდან მუშა-პროპაგანდისტებს გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის.

პოლიციის ერთ-ერთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ხაშმელი გლეხების გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ რკინიგზელი მუშები, აგრეთვე ადგილობრივი გ. შაქარაშვილი, რომელიც ხშირად დადიოდა თბილისშიო. პოლიცია აღნიშნავდა ისეთ ფაქტსაც, როდესაც თბილისიდან ხაშმში მოდიოდნენ „ვილაც პირები", რომლებიც გლეხებს ურჩევდნენ თბილისში ორგანიზებულად წასვლას იქ მუშათა გამოსვლებთან შესაერთებლად[3].

შემდეგ. მეჯვრისხევის გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს, ოფიციალური ცნობებით, ხელმძღვანელობდნენ თბილისიდან ჩასული მუშები.

შემდეგ. გორის მაზრის უფროსის 1905 წლის ერთ-ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ: „სოფელ კავთისხევში ჩამოვიდა რამოდენიმე თბილისელი მუშა. თბილისელმა მუშებმა რამდენიმე კვირის განმავლობაში ფეხზე დააყენეს გლეხობა და ისეთი განწყობილება შეუქმნეს, რომ მათ წინააღმდეგ არავითარი ღონისძიება არა სჭრის. არც შეიარაღებული ძალების ეში-

---

1 „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.)", გვ. 254—256.

2 «Протоколы третьего съезда РСДРП», 1937, стр. 240.

3 ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. საქ. 650, ფურც. 163—164.

ნიათ და არც მუქარის. აჯანყებულმა გლეხებმა სოფლებიდან გააძევეს თანამდებობის პირები"[1].

ან კიდევ, სხვა დოკუმენტში ვკითხულობთ: „გლეხთა აჯანყებები გორისა და დუშეთის მაზრებში გრძელდება. აჯანყებამ მოიცვა თბილისის მაზრაც. გლეხობაში მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გარედან წარმოებს, იგი ნაწილობრივ ქუთაისიდან და ნაწილობრივ თბილისიდან მომდინარეობს... აჯანყებულმა გლეხებმა სოფლებიდან განდევნეს მემამულეები და დაეპატრონენ მათ მიწებსა და ტყეებს"[2].

კიდევ ზოგიერთი ფაქტი:

თელავის „მაზრაში" აგიტაციის გავლენით ხდება არეულობა... ჩამოსულმა აგიტატორებმა სოფლებში მოსახლეობა ააღელვეს".

თიანეთის მაზრის „გლეხები არ მალავენ, რომ მათთან ამ დღეებში თბილისიდან დუშეთზე გავლით ჩამოვიდა ორი კაცი და ურჩევდნენ გლეხებს — შეერთებოდნენ საერთო მოძრაობას".

„პირველ ხანებში მოძრაობას გურიაში ხელმძღვანელობდა მუშათა ორგანიზაციის ბათუმის კომიტეტი იმ გურულების საშუალებით, რომელნიც დიდი რაოდენობით მუშაობდნენ ნავთის ჩამომსხმელ ქარხნებში.

უქმე დღეებში ისინი ჩამოდიოდნენ ხოლმე სოფლებში და ამრიგად ავრცელებდნენ სოფლებში თავიანთ ნათესავებსა და ნაცნობებში სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას".

6 აგვისტოს საჩხერეში ჩასულა „30 — 40 კაცი შეიარაღებული მოკლე ბერდანკებით... ესენი, როგორც ჩანს, იყვნენ ჭიათურელი მუშები... დაახლოებით ოთხ საათზე რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი ხალხის გროვა, რომელთაც ჭიათურელები ხელმძღვანელობდნენ... დაიძრა სამი წითელი დროშით და რევოლუციური სიმღერებით ბაზრისაკენ... აქ რამდენიმე პირმა წარმოსთქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები".

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბ.), ფ. 34, საქ. 1044, ფურც. 350.

[2] ი. მელქაძე, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი 1905—1907 წწ. რევოლუციაში (საიუბ. კრ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბ. 1955).

ზუგდიდის მაზრის „გლეხთა მასებში ამბოხების მთესველები, რომელნიც აშკარა არეულობისაკენ მოუწოდებდნენ უფრო ხშირად იყვნენ... ბათუმის ქარხნების მუშები...“[1].

საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხობის ერთდროული გამოსვლები ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყებამდე, 1903 წელშიც შეინიშნებოდა თბილისის, ოზურგეთის, გორის, ქუთაისის, სენაკის, ზუგდიდის, ახალქალაქისა და სხვა მაზრებში[2]. მაგრამ მათ, არამც თუ რევოლუციამდე, არამედ თვით რევოლუციის განვითარების უმაღლეს ეტაპზედაც ვერ მიიღეს საერთო, საყოველთაო ხასიათი მენშევიკური ოპორტუნისტული ტაქტიკის წყალობით. ბოლშევიკები საჯაროდ, რევოლუციური მასების თვალწინ ასაბუთებდნენ, რომ „რევოლუციური პროლეტარიატის კავშირი რევოლუციურ გლეხობასთან ყოველად ძლიერი იქნება. ჩვენ მოწმენი ვიქნებით ამ კავშირის საზეიმო სვლისა შეიარაღებული აჯანყებიდან დემოკრატიული დიქტატურისაკენ, დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ“[3].

ამრიგად, საქართველოს ბოლშევიკები დიდსა და ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მიმართ მუშათა მხრივ არა მარტო იდეურ-პოლიტიკური, არამედ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად. ასეთი ხელმძღვანელობისა და კავშირის მაჩვენებელია, სხვათა შორის ისიც, რომ ძალიან ხშირად მუშები და გლეხები არა მარტო ერთდროულად, არამედ ერთმანეთის მხარდამხარ გამოდიოდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

---

[1] ლ. ებანოიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1959, გვ. 222—224.

[2] თბილისის პროკურორი 1903 წლის 22 ივლისს ატყობინებდა პოლიციის დეპარტამენტს:

«Одновременно с забастовкой в Тифлисе было замечено брожение среди сельского населения некоторых окружных деревень, ...что брожение это вызвано прибывшими из Тифлиса рабочими. Последнее обстоятельство находит себе подтверждение в том, что в селах Артачальского участка шла агитация об устройстве шествия в Тифлис для принятия участия в беспорядках» (См. А. Абрамов, Крестьянское революционное движение в Грузии в 1902—1905 гг., стр.48—49).

[3] Газ. «Кавказский рабочий листок», 3(16) декабря 1905 г.

აღვნიშნოთ ზოგიერთი ფაქტი 1905 წელში საქართველოს მუშებისა და გლეხების ერთდროული და ერთიანი ბრძოლის ისტორიიდან:

21 იანვარს გაიფიცნენ რკინიგზელი მუშები სამტრედიაში. გაფიცულებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიჰქონდათ წითელი დროშები. მათ შეუერთდნენ მახლობელი სოფლებიდან, აგრეთვე ოზურგეთის მაზრიდან ჩამოსული გლეხები. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯარის ნაწილები.

13 თებერვალს ქუთაისის მაზრის სოფელ მუხაყრუაში მოკლული მუშის პარმენ ნადირაძის გასვენება გადაიქცა გლეხთა დიდ დემონსტრაციად, რომელსაც ხუთი ათასამდე კაცი ესწრებოდა. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ სამტრედიის დეპოს მუშებიც, მათ წარმოთქვეს მგზნებარე პოლიტიკური სიტყვები და მოუწოდეს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

28 თებერვალს თელავში ჩატარდა დიდი დემონსტრაცია, რომელსაც ესწრებოდა მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული ხუთი ათასამდე გლეხი. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს ჯარის ნაწილები, ჯართან შეტაკებაში მოკვდა ორი დემონსტრანტი.

1 სექტემბერს ჭიათურაში ჩატარდა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია 29 აგვისტოს თბილისში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის გამო. დემონსტრანტებს ჰოჰქონდათ წითელი დროშები. მათ შეუერთდა მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული რამდენიმე ათასი გლეხი.

12 და 14 ნოემბერს ხაშურში იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებშიაც მონაწილეობდნენ მუშები, რკინიგზის მოსამსახურენი და მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული სამი ათასამდე გლეხი.

12 და 14 ნოემბერს ფოთის მახლობლად მუშები და გლეხები ერთად აწარმოებდნენ იარაღის გადმოტვირთვას გემ „სიერიუსიდან". მათ თავს დაესხა პოლიცია. მოხდა შეიარაღებული შეტაკება.

18 ნოემბერს სამტრედიაში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ რკინიგზელები,

ჯარისკაცები და მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, სულ — ათი ათასამდე კაცი.

29—30 ნოემბერს ღამით ბათუმში მუშებისა და გურიიდან ჩამოსულ წითელ რაზმელების შეერთებულმა ძალებმა დაიწყეს საპოლიციო საგუშაგოების განიარაღება და ხალხის შეიარაღება. აჯანყებულებმა დაიკავეს სადგური და ქალაქის თვითმმართველობის შენობა. მოხდა შეტაკება ჯარის ნაწილებთან. ქალაქის ქუჩებში აღიმართა ბარიკადები. მოკლული და დაჭრილი იყო ორივე მხრიდან. ბათუმში გამოცხადდა საალყო წესები.

დეკემბრის თვეში დასავლეთ საქართველოდან თბილისისაკენ წამოვიდნენ გლეხთა შეიარაღებული რაზმები მუშათა გამოსვლებისათვის მხარდასაჭერად. ერთი რაზმი თბილისში ჩამოვიდა, დანარჩენები შეტყობინებას უცდიდნენ წიფასთან. მაგრამ საგაფიცვო კომიტეტში მოკალათებულმა მენშევიკებმა უარი განაცხადეს შეიარაღებული რაზმების გამოყენებაზე. ამის შემდეგ განწირული აღმოჩნდა თბილისელი მუშების დეკემბრის აჯანყება. იგი სისხლში ჩაახრჩვეს მეფის ჯალათებმა დეკემბრის მეორე ნახევარში[1].

საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პოლიტიკური და ორგანიზაციული კავშირის განმტკიცებას აგრეთვე ხელს უწყობდა ბოლშევიკების რევოლუციური ტაქტიკა, რომელიც ემყარებოდა რევოლუციური ბრძოლის პროლეტარულ ფორმებსა და მეთოდებს.

რევოლუციური ბრძოლის ბოლშევიკური ტაქტიკა, პროლეტარული ბრძოლის ფორმები და მეთოდები მხურვალე მხარდაჭერას პოულობდა საქართველოს ღარიბსა და უღარიბეს გლეხურ მოსახლეობაში. მენშევიკებს მოსახლეობის სწორედ ამ ფენებში ჰქონდათ ყველაზე ნაკლები გავლენა. ისინი თავიანთ რიგებს ავსებდნენ უმთავრესად საშუალო და შეძლებული გლეხური ფენებიდან. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელ[1] აღნიშნა ამიერკავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მეოთხე გამაერთიანებელმა ყრილობამ.

---

[1] „ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე, 1883—1921 წწ.)“, ს. ბერიძისა და ზ. გეგეშიძის რედაქციით, თბ., 1974, გვ. 139—234.

გლეხური მოსახლეობის შეძლებული ფენები განზე იდგნენ რევოლუციისაგან, კულაკური გლეხობა მის წინააღმდეგაც კი გამოდიოდა. ამის შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის 1904 წლის ერთ-ერთ გამოცემაში ვკითხულობთ: „როცა ჩვენ ვხმარობთ სიტყვას „გლეხებს“ მხედველობაში არ გვყავს ვლეხკაცობა, როგორც ერთი მთელი და არც ისე უნდა გავიგოთ, თითქოს ეს მოძრაობა მთელი გლეხკაცობის საქმე იყოს. სოფლის ბურჟუაზია, რომელსაც უმთავრესად შეძლებული ვლეხები შეადგენდნენ, თავიდანვე არ ღებულობდა მოძრაობაში მონაწილეობას, ის თავიდანვე მტრულად უყურებდა სოფლის ღარიბ გლეხებს და აშკარათ ეხმარებოდა მემამულეებსა და მთავრობას. ასევე იქცევა ის დღესაც, როდესაც ხალხს და მთავრობას შორის დამოკიდებულება ასე გამწვავდა“[1]. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სოფლის პროლეტარიატი და ნახევრადპროლეტარული ელემენტები წარმოადგენდნენ ძირითად მებრძოლ ძალებს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი ბოლომდე მხარს უჭერდნენ ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკას და პროლეტარული ბრძოლის ფორმებსა და მეთოდებს. ისინი რიგ შემთხვევაში აიძულებდნენ მენშევიკებს დამორჩილებოდნენ კიდეც აჯანყებული გლეხობის ნებასურვილს. ასე მაგალითად, როდესაც გურიის კომიტეტი იხილავდა ჯარის ნაწილებზე ნასაკირალთან თავდასხმის საკითხს, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვა ხელმძღვანელი მენშევიკები თავდასხმის წინააღმდეგ გამოვიდნენ[2], მაგრამ აჯანყებულმა, რიგითი მენშევიკი და ბოლშევიკი გლეხების მოთხოვნამ გაიმარჯვა და ხელმძღვანელი მენშევიკები იძულებული გახდნენ თვითონაც მიეღოთ ერთგვარი მონაწილეობა ნასაკირალის ბრძოლაში[3].

---

[1] „გლეხთა მოძრაობა გურიაში“, 1904, გვ. 46.

[2] „ბ. ჩხიკვიშვილი...—ვკითხულობთ ოფიციალურ დოკუმენტში,—არასოდეს არ მოუწოდებდა ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, რამდენადაც ეს ეწინააღმდეგება ს.-დ-იის მენშევიკური ფრაქციის მოძღვრებას“ (ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 23, საქ. 1114).

[3] «Высший подъем революции 1905—1907 гг.», ч. III, кн. II, м., 1956, стр. 816.

მენშევიკები, მიუხედავად გლეხობაში მათი ერთგვარი გავლენისა, უძლურნი აღმოჩნდნენ თავზე მოეხვიათ აჯანყებული გლეხებისათვის თავიანთი ოპორტუნისტული ტაქტიკა. ამის გამო გაბოროტებულმა მენშევიკებმა გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციაზე 1905 წელს და ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა მეოთხე ყრილობაზე 1906 წელს მოითხოვეს რევოლუციური კომიტეტებისა და გლეხთა მებრძოლი, შეიარაღებული „წითელი რაზმების" დაშლა, რევოლუციის განიარაღება, მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ბოიკოტის მოხსნა და სხვ.

ამიერკავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მეოთხე გამაერთიანებელმა ყრილობამ მენშევიკური უმრავლესობის ხმებით მებრძოლი რაზმების შესახებ მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „უკანასკნელი წლების გამოცდილებამ აშკარად დაგვანახვა, რომ მუდმივი შეიარაღებული მებრძოლი რაზმები განსაკუთრებულ ძალათ იქცევა და ცდილობს პარტიაში გაბატონდეს და თავისი პირობები უკარნახოს"[1], ე. ი. „წითელი რაზმელების" მოთხოვნა რევოლუციური ტაქტიკის, რევოლუციური ბრძოლის პროლეტარული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების შესახებ, როგორც ჩანს, არ მოსწონებიათ მენშევიკ-ლიდერებს და ყრილობამ დაადგინა „წითელი რაზმების" დაშლა.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა მზად იყო ერთმანეთისათვის არა მარტო მორალურ-პოლიტიკური, არამედ შეიარაღებული დახმარების გასაწევადაც კი საჭიროების შემთხვევაში. და ისიც არა მარტო ამა თუ იმ ცალკე რეგიონში, არამედ მთელი ქვეყნის თუ მხარის მასშტაბით. ნასაკირალის ბრძოლის შემდეგ, როგორც ცნობილია, მეფის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა აჯანყებული გურიის მიწასთან გასწორება. გადაწყდა დიდძალი ჯარების გაგზავნა გურიაში. ამის გამო 1905 წლის 30 ოქტომბერს თბილისის პროლეტარულ რაიონში — ნაძალადევში შედგა მუშათა მრავალათასია-

---

[1] „ცნობა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების მეოთხე მორიგ სიეზდის შესახებ", 1906, გვ. 18—19.

ნი მიტინგი, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „წარედგინოს ხელისუფლებას მოთხოვნა გურიიდან ჯარების გაწვევის და სამხედრო მდგომარეობის მოხსნის შესახებ, და თუ ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნება, მაშინ ხელი მოვკიდოთ იარაღს მთელ მხარეში".

ასეთივე რეზოლუცია მიიღო 30 ოქტომბერს ბაქოს მუშათა კლასმა მრავალათასიან მიტინგზე. ამ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „მიტინგი მოითხოვს ჯარების და კაზაკების დაუყოვნებლივ გამოწვევას. თუ მთავრობა გადაწყვეტს გურიის განადგურებას, მიტინგი აცხადებს, რომ ყველა აქ შეკრებილნი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან ერთად და მის ხელმძღვანელობით ყოველ ზომას მიიღებენ იმისათვის, რომ დაიწყონ ყველაზე ფართო და აქტიური რევოლუციური გამოსვლა კავკასიის ქალაქებში და სოფლებში მთავრობის ძალებისათვის უფრო დიდი ძალების დასაპირისპირებლად, ვიდრე გურიას ჰყავს"[1]. ასეთივე რეზოლუციებს ღებულობდნენ მუშათა საპროტესტო მიტინგები ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, სამტრედიაში და სხვაგან.

31 დეკემბერს სოფელ ხაშმში (ივრის ხეობა) შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მიიღო საპროტესტო რეზოლუცია გურიაში დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის წინააღმდეგ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აირჩია დელეგაცია მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის მეთაურობით, რომელსაც უნდა ეცნობებინა ხალხის გულისწყრომა კავკასიის მეფისნაცვლისათვის. „2 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა 30 ცხენოსანი, ივრის ხეობის სხვადასხვა სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელი, რათა შეატყობინონ მეფისნაცვალს, რომ თუ ხმები გურიაში ჯარების გაგზავნის შესახებ მართალია, მთელი საზოგადოება მზად არის გამოექომაგოს გურულებს და იბრძოლოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე"[2].

გურიის დასაცავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღსდგა ქართველი ინტელიგენციაც. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მეფისნაცვალთან მისულმა ქართველი ინტელიგენციის დელე-

---

[1] Газ. «Новая жизнь», 16 (29) декабря.

[2] Газ. «Новая жизнь», 23 ноября 1905 г.

გაციამ მოითხოვა გურიიდან დამსჯელი რაზმების დაუყოვნებლივ გამოწვევა. ყოველივე ეს აშკარად ლაპარაკობს საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის იმ კავშირზე, რომელიც იშედებოდა პირველ სახალხო რევოლუციაში და, რომელმაც ბისცა რევოლუციურ ბოძრაობას საქართველოში უმაგალითოდ მძლავრი გაქანება.

საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მაღალი, პროლეტარული ფორმები და მეთოდები პირობადებული იყო არა მარტო ობიექტურ-ისტორიული ვითარებით, ბოლშევიკების არა მარტო ენერგიული და ღაძაბული მუშაობით, არამედ მუშათა კლასისა და გლეხობის მაღალი პოლიტიკური შეგნებულობითა და მოწიფულობით.

ამიერკავკასიაში წერა-კითხვის მცოდნეობის მხრივ სხვა მხარეებზე უფრო საქართველო გამოირჩეოდა. ამაზე აშკარად მიუთითებს სრულიად რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მასალები, რომლებიც ზემოთ დავიმოწმეთ. გარდა ამისა, ამიერკავკასიის რკინიგზების უდიდესი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე იყო, ამიტომ მუშების უმრავლესობაც აქვე იყო თავმოყრილი. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აქ რევოლუციური მოძრაობის გაშლისა, გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

რკინიგზის მთავარი სახელოსნოები წარმოადგენდნენ რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მთავარსა და ძირითად კერას მთელ ამიერკავკასიაში. რკინიგზელ მუშათა დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის მცოდნე და პოლიტიკურად განათლებული იყო. 1895 წელს მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო მხოლოდ 37,2 პროცენტი. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზელთა შორის პოლიტიკური მუშაობისათვის, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისათვის. რკინიგზებიდან უფრო ადვილად ვრცელდებოდა რევოლუციურ-პოლიტიკური შეგნება ქალაქებსა და სოფლებში, მაშინ, როდესაც სამოღვაწეო სარბიელზე გამოდიოდა გლეხობის ახალ თაობა — განათლებული და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული. ამის შესახებ გაზეთი „ისკრა“ ჯერ კიდევ 1902 წელს წერდა, რომ გლეხობის მცირემიწიანობამ შეუძლებელი გახადა მათი ეკონომიური კეთილდღეობა. მაგრამ ამან კი გამოი-

წვია სოფლის მძლავრი კულტურული აღმავლობა. გლეხობა-ვერ პოულობდა რა ადგილობრივ საშუალებას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, გარბოდა სოფლიდან ქალაქში, დაქირავებულ მუშად: ამრიგად, უხდებოდა გლეხს შეჯახება ცივილიზებულ სამყაროსთან, რაც იწვევდა სოფლებში სკოლების, ბიბლიოთეკების და სხვ. დანერგვასა[1]. ამითაც ნოყიერი ნიადაგი ხვდებოდა ქალაქებიდან მიმდინარე რევოლუციას სოფლებში, განსაკუთრებით ქალაქებთან ეკონომიურად და კულტურულად უფრო დაკავშირებულ რაიონებში. აქ იგი უფრო ჩქარა ვრცელდებოდა და უფრო ორგანიზებულ ხასიათს ღებულობდა. ამის შესახებ ბოლშევიკურ გაზეთ „ვპერიოდში" ვკითხულობთ, რომ მოძრაობა, რომელიც იწყებოდა რკინიგზის სახელოსნოებიდან და საქარხნო-საფაბრიკო რაიონებიდან, სწრაფად მოიცავდა გლეხურ მოსახლეობას და უფრო ძლიერად ვლინდებოდა იქ, სადაც მოსახლეობა შედარებით უფრო განათლებული იყო[2].

საინტერესოა მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც, მიუთითებდა რა საქართველოში გლეხობის რევოლუციური მოძრაობის შეგნებულსა და ორგანიზებულ ხასიათზე, აღნიშნავდა გლეხობაში სოციალ-დემოკრატიის დიდ გავლენას და, რომ გლეხები არ წამოეგებიან სოციალისტ-რევოლუციონერთა ანკესზე[3].

საქართველოში რევოლუციურ მოძრაობაზე მოსახლეობის პოლიტიკური შეგნებულობისა, და საერთოდ, განათლების შედარებით მაღალი დონის გავლენაზე, მ. ი. კალინინიც აღნიშნავდა: „მუშები, განსაკუთრებით თბილისში, რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი. იქმნებოდა არალეგალური პროპაგანდისტული წრეები, 100 და მეტი კაცის შემადგენლობით ეწყობოდა კრებები მთებში, ვრცელდებოდა პროკლამაციები, ეწყობოდა გაფიცვები... სოფელშიც არ იყო სიწყნარე. მძიმე,

---

[1] Газ. «Искра», 28 (15) ноября 1902 г.

[2] Газ. «Вперед», 18 марта 1905 г.

[3] «Поражается сравнительно высоким уровнем развития местных крестьян.. вопросы.. как о вооруженном восстании, как его устроить, устройство баррикад и т. д. слушаются с большим интересом» (ПА. ГФ ИМЛ, Ф. 31, д. 359, л. 73—76).

მდგომარეობა გლეხობისა — მცირე მიწიანობა, სიღარიბე, საშუშაოს საძიებლად წასვლა, და ა. შ. — უარყოფითად განაწყობდა მათ არსებული ხელისუფლებისა და წესების მიმართ, უბიძგებდა რევოლუციური მოქმედებისაკენ... და ამიტომ საქართველოში შედარებით ადრე დაიწყო მარქსიზმის იდეების გავრცელება... მე პირადათ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მუშათა კლასისა და გლეხთა რევოლუციური მოქმედება გარეგნულადაც კი ყოველთვის გამოიხატებოდა უფრო მკვეთრ ფორმებში, ვიდრე რუსეთის სხვა ადგილებში"[1].

საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, როგორც ცნობილია, თავიდან დაიწყო აგრარულ ნიადაგზე, როგორც აგრარული მოძრაობა. მაგრამ მუშათა რევოლუციური ბრძოლის გავლენითა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობის წყალობით მოძრაობამ მალე მიიღო პოლიტიკური ხასიათი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ გლეხობის, უფრო ზუსტად, სოფლის პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარული მასების ბრძოლა თავიდანვე წარიმართა არა მარტო მემამულეებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის წინააღმდეგაც. ამის გამო კულაკობა თავიდანვე გამოვიდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, მემამულეებისა და თვითმპყრობელობის მხარეზე. ეს ჯერ კიდევ გლეხური მოძრაობის დასაწყისშივე შეინიშნებოდა. ამის შესახებ ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" წერდა: „მთავრობამ ბევრი ტყვია-წამალი დახარჯა იმისათვის, რათა აეძულებინა გლეხობა, რომ მათ ძველებურ პირობებში ეძუშავნათ, მაგრამ გლეხები დღემდე არ მუშაობენ მემამულეთა მიწებზე, არც განზრახვა აქვთ იმუშაონ, სანამ მიღებული არ იქნება მათ მიერ წაყენებული პირობები. ჯერ-ჯერობით ისინი ამუშავებენ მხოლოდ თავიანთ მიწებს და ინაწილებენ ერთმანეთს შორის როგორც შრომას, ისე მის შედეგებს. მოძრაობა იზრდება. ერთი მხრივ, მას უერთდება უმიწო თავადაზნაურობა, მეორე მხრივ, მას სცილდებიან

---

[1] М. И. Калинин. К шестидесятилетию со дня рождения товарища Сталина. М., 1939. стр. 5.

შეძლებული გლეხობა და ვაჭრები"[1]. ამიტომ სრულიად ბუნებრივია 1905 წლის გაზაფხულზე გლეხობის რიგი გამოსვლა კულაკობის წინააღმდეგ. ასე მაგალითად, გორის მაზრაში ადგილი ჰქონდა კულაკობის წინააღმდეგ გლეხობის გამოსვლის ოთხ შემთხვევას, თელავის მაზრაში — ექვსს, დუშეთის მაზრაში — სამ, შორაპნის მაზრაში — ხუთ, ოზურგეთის მაზრაში — ოთხ, სენაკის მაზრაში — სამ და ზუგდიდის მაზრაში ხუთ შემთხვევას[2].

სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასები დიდი ხალისით ეტანებოდნენ რევოლუციური ბრძოლის პროლეტარულ ფორმებსა და მეთოდებს. ისინი რევოლუციის დასაწყისიდანვე ფართოდ იყენებდნენ ბრძოლის ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, როგორიცაა საპროტესტო მანიფესტაციები და დემონსტრაციები, გაფიცვები და ბოიკოტი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და მემამულეთა მიმართ, მემამულე-თავადაზნაურთა კარმიდამოსა და მეურნეობის დარბევა, მემამულეთა საშეურნეო ინვენტარისა და ადგილ-მამულის ურთიერთშორის განაწილება, მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დარბევა და მოხელეების გარეკვა, სახალხო რევოლუციური თვითმმართველობის—გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა და სახალხო სასამართლოების შექმნა, მოსახლეობის შეიარაღება, მებრძოლი „წითელი რაზმების" შედგენა და შეიარაღებული ბრძოლა პოლიციასა და ჯარის ნაწილებთან, აჯანყებები და ადგილობრივი ხელისუფლების დაპყრობა და ა. შ. ჩვეულებრივი მოვლენები იყო საქართველოს მაზრებსა და სოფლებში პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში.

მეფის მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ებრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ არა მარტო რეპრესიებით, არამედ წერილი დათმობებისა და თვალთმაქცური დაპირებების საშუალებითაც. ამ მიზნით მეფის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გლეხთა მძლავრი რევოლუციური გამოსვლების რაი-

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა", № 2—3, 1903 წლის აპრილ-მაისი (სომხურ ენაზე).

[2] ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, 1905—1906 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 239.

ონებში დაგზავნა თავისი მოხელეები (კრიმ-გირეი, ვეიდენ-ბაუმი...) ცრულიბერალური დაპირებებით. ამას მოჰყვა მთავ-რობისათვის როგორც უარყოფითი, ისე ზოგიერთი დადებითი შედეგიც. ასე მაგალითად, თბილისის, ბორჩალოს, ახალციხი-სა და ზოგიერთ სხვა მაზრაში გლეხობის ერთმა ნაწილმა დაუ-ჯერა მეფისნაცვლის ცრულიბერალურ დაპირებებს[1]. ისეთ რაი-ონებშიც კი, როგორიც იყო გურია, სამეგრელო და იმერეთი, სადაც გლეხთა მოძრაობას უფრო შეგნებული და მკვეთრი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, გლეხობის ნაწილმა დაუჯერა მოხელეთა ცრულიბერალურ დაპირებებს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წყალობით[1]. ამ გარემოებამ 1905 წლის ზაფხულში რევოლუციური მოძრაობის ერთგვარი შენელება გამოიწვია[2]. ამასთან ერთად, აღნიშნულ ღონისძიე-ბას, უარყოფითი შედეგიც მოჰყვა მეფის მთავრობისათვის. „მომრიგებელი კომისიების“ მუშაობისა და გლეხთა დეპუტა-ტებთან მოლაპარაკების მთელი შინაარსი ქვეყნდებოდა მაშინ-დელ პრესაში, რაც უდიდეს გამარევოლუციურებელ გავლე-ნას ახდენდა ღარიბ გლეხობაზე, კიდევ უფრო რაზმავდა მათ ერთიან ბანაკად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფისნაცვალი იძულებული გახდა შეეწყვიტა რევოლუციურ გლეხობასთან მოლაპარაკება.

ამრიგად, გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ჩახშობა ცრუ-ლიბერალური დაპირებებით ვერ შეძლეს. იგი ოდნავ შეანე-ლეს, მაგრამ უფრო გ ა ა ფ ა რ თ ო ვ ე ს. ხელისუფლებამ კვლავ რეპრესიებს მიმართა. მალე დაიწყო მძლავრი რევოლუ-ციური აღმავლობა, ლიბერალურ ილუზიებს საბოლოოდ ჩაეცა ლახვარი. რეპრესიებმა დაკარგეს ქმედითუნარიანობა; რეპრესიები კიდევ უფრო აძლიერებდა მასების აღშფოთებას და შესაბამისად, რევოლუციურ გამოსვლებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, ი ს ე რ ო გ ო რ ც რ უ ს ე თ შ ი, გ ლ ე ხ თ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო რ-მ ე ბ ი და მ ე თ ო დ ე ბ ი კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ა დ ც ვ ლ ი-

---

[1] А. А б р а м о в, Крестьянское революционное движение в Грузии 1902—1905 гг., Л.,1940, стр. 161.

[2] Ш. Г о р ц е в, Как грузинские крестьяне борются за свободу, М., 1906, стр. 19.

დნენ ერთიმეორეს. რევოლუციური გლეხობა ბრძოლის დაბალი ფორმებიდან თანდათანობით გადადიოდა ბრძოლის უფრო და უფრო მაღალ ფორმებზე, მოძრაობის შეგნებულობისა და ორგანიზებულობის შესაბამისად. ამ მხრივ, თუ თვალს გავადევნებთ საქართველოში გლეხთა რევოლუციური ბრძოლის განვითარებას, დაახლოებით შემდეგი სურათი წარმოგვიდგება.

1905 წელში გლეხობის მიერ გამართულ დემონსტრაციების, მანიფესტაციებისა და მიტინგების 24 პროცენტი მოდიოდა პირველ კვარტალზე, 11 — მეორე კვარტალზე, 24 — მესამე კვარტალზე და 41 პროცენტი — მეოთხე კვარტალზე. 1905 წელს გამართულ დემონსტრაციებში, მანიფესტაციებში და მიტინგებში მონაწილეთა 43 პროცენტი მოდიოდა პირველ კვარტალზე, როდესაც 9 იანვრის ამბების გამო მასობრივად იმართებოდა ხალხმრავალი დემონსტრაციები და მანიფესტაციები; 16 პროცენტი მოდიოდა მეორე კვარტალზე, 14—მესამე კვარტალზე და 27 პროცენტი — უკანასკნელ, მეოთხე კვარტალზე.

დაახლოებით ასეთსავე სურათს გვიჩვენებს ბრძოლის სხვა ფორმების გამოყენებაც. 1905 წლის განმავლობაში გლეხობა მასობრივად მიმართავდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბოიკოტს. ამ წელს მთავრობის ორგანოებისათვის ბოიკოტის გამოცხადების ყველა შემთხვევის 55 პროცენტი მოდიოდა პირველ კვარტალზე, 28 — მესამე კვარტალზე და 17 პროცენტი — მეოთხე კვარტალზე. გლეხობა, როგორც ვხედავთ რევოლუციის დასაწყისში უფრო მეტად მიმართავდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბოიკოტს. ხოლო რევოლუციის განვითარების კულმინაციურ პუნქტში, ბოიკოტს, როგორც ბრძოლის საშუალებას, ნაკლებად იყენებდა, რაც აიხსნება: ჯერ ერთი იმით, რომ მაზრების, სოფლების უმრავლესობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უკვე იყო ბოიკოტირებული, მეორე, იმით, რომ გლეხობის რევოლუციური ბრძოლა უკვე გასცდა ბრძოლის ამ, შედარებით დაბალ, ფორმას და იყენებდა უფრო მაღალ ფორმებს, როგორიცაა: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო-

ბის დარბევა, მათი გაუქმება, პოლიციის განიარაღება და საკუთარი რევოლუციური ხელისუფლების სათანადო ორგანოების შექმნა სოფლად. 1905 წელს ბრძოლის ამ ფორმების გამოყენების ყველა შემთხვევიდან 40 პროცენტი მოდიოდა პირველ კვარტალზე, 17 — მეორე კვარტალზე, 3 — მესამე კვარტალზე და 40 პროცენტი — მეოთხე კვარტალზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დარბევის შემთხვევები რევოლუციური ხელისუფლების შექმნის გარეშე უფრო მეტი იყო 1905 წლის პირველ კვარტალში, ვიდრე იმავე წლის უკანასკნელ კვარტალში. ასე მაგალითად, პირველ კვარტალში იგი უდრიდა 66 პროცენტს, უკანასკნელ კვარტალში — 10 პროცენტს. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ ერთი, ბრძოლის დაბალი ფორმები ჭარბობდა რევოლუციის დასაწყისში, უფრო მაღალი — რევოლუციის განვითარების ყველაზე მაღალ სტადიაში; მეორეც, ის, რომ რევოლუციის განვითარების უმაღლეს სტადიაზე დასარბევიც იმდენად არაფერი იყო სოფლად. მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები პარალიზებული იყო, მოხელეები — მიმალული.

დაახლოებით ასეთივე სურათს გვიჩვენებს პოლიციასა და ჯარის ნაწილებთან რევოლუციური გლეხობის შეიარაღებული ბრძოლის სტატისტიკა. 1905 წლის შეიარაღებული ბრძოლის ყველა შემთხვევის 25 პროცენტი მოდიოდა პირველ კვარტალზე, 8 — მეორე კვარტალზე, 17 — მესამე კვარტალზე და 50 პროცენტი კი მეოთხე კვარტალზე[1].

ამრიგად, საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლა 1905 წლის მეორე და მესამე კვარტალში, იმავე წლის პირველსა და მეოთხე კვარტალთან შედარებით, შენელებული ჩანს. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები: ჯერ ერთი, მენშევიკების მიერ ბრძოლის გაჩაღება ბოლშევიკების წინააღმდეგ,

---

[1] საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ფორმების შესასწავლად გამოიყენეთ: „1905 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში" (რუს.), თბილისი, 1926, და „ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში" (ენიშვნელოვან მოვლენათა მატიანე. 1883 — 1921). თბ., 1974, გვ. 139—234; გაანგარიშება დაახლოებითია, მას სიზუსტის პრეტენზია არა აქვს.

ამით მათ შეძლეს პარტიული ძალების დაქსაქსვა დისკუსიებსა და პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის სხვა ფორმებში[1]: მ ე ო რ ე, მენშევიკების მიერ, წვრილბურჟუაზიული სტიქიის მოწოლის შედეგად. მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება ისეთ პარტიულ ორგანიზაციებში, როგორიც იყვნენ თბილისის, ბათუმის, გურიის (აქ "შემარიგებლები სჭარბობდნენ) და სხვ. რაც აფერხებდა რევოლუციური ბრძოლის განვითარებას 1905 წლის ზაფხულში; მ ე ს ა მ ე, მენშევიკებმა ზაფხულის თვეებში თავიანთ კონფერენციებზე და თათბირებზე მიიღეს რიგი დადგენილება, შეიარაღებული ბრძოლის წინააღმდეგ, ბოიკოტის მოხსნის სასარგებლოდ, „წითელი რაზმების" შექმნის წინააღმდეგ და ა. შ. ყოველივე ეს დაბლა სწევდა მასების რევოლუციურ, საბრძოლო განწყობილებას; მ ე ო თ ხ ე, რიგ მაზრასა და სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლება უკვე აჯანყებულ გლეხთა ხელში იყო.

* * *

პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში საქართველოს გლეხობის გმირულმა ბრძოლამ წარმოშვა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები — გ ლ ე ხ თ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი, ისინი როგორც საგაფიცვო-საბოიკოტო მოძრაობის ორგანოები კიდევ უფრო ადრე ჩამოყალიბდნენ — 1902 წლის ბოლოსა და 1903 წლის დასაწყისიდან გურიაში, შემდეგ წარმოიშვნენ სამეგრელოსა და ბათუმის ოლქში, აფხაზეთსა და იმერეთში, და ბოლოს, გორის მაზრიდან გავრცელდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში[2].

---

[1] «Среди Гурийцев... уже около трех лет действуют свои... революционные комитеты, идущие против помещиков, духовенства и правительства (Газ. «В п е р е д», 10 марта 1905 г.).

[2] რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია 1904 წლის დეკემბერში მოუწოდებდა ქართლ-კახეთის გლეხკაცობას გურია-იმერეთის გლეხთა რევოლუციური ბრძოლისადმი მხარდაჭერისაკენ. ხოლო 1905 წლის მარტში კავკასიის კავშირი სპეციალური პროკლამაციით მიმართავდა ქართლ-კახეთის გლეხკაცობას გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნის საჭიროებაზე. („რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, 1903—1905 წწ.," 1955, გვ. 254, 342).

რევოლუციური კომიტეტები იქმნებოდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პირველად როგორც საგაფიცვო-საბოიკოტო მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოები, რომელთაც უნდა მოეგვარებინათ სოფლად აგრარული ურთიერთობა გლეხობის სასარგებლოდ. მაგრამ მოძრაობის გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად ისინი გადაიქცნენ შეიარაღებული აჯანყების ორგანოებად, ხოლო აჯანყების შემდეგ — რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახი ორგანოებიდან გადაიქცნენ ახალი რევოლუციური ხელისუფლების ნამდვილ ორგანოებად.

ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ტაქტიკურმა უთანხმოებამ, კერძოდ, დროებით რევოლუციური მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხმა, განსაზღვრა მათი დამოკიდებულება საბჭოებისადმი, გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისადმი; როგორც ჟენევის მენშევიკურმა კონფერენციამ, ისე კავკასიის მენშევიკური ორგანიზაციების პირველმა კონფერენციამაც 1905 წლის აპრილში უარყო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შექმნილ დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის ტაქტიკა[1]. მენშევიკურმა კონფერენციამ უარყო შეიარაღებული აჯანყების ტაქტიკაც, იგი უარყო მეორე მენშევიკურმა კონფერენციამაც 1905 წლის აგვისტოში. აქედან გამომდინარე ამ კონფერენციამ აგრეთვე უარყო მებრძოლი „წითელი რაზმების", როგორც შემტევი სამხედრო-რევოლუციური ძალის საჭიროება[2]. გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ნოემბრის კონფერენციამ, როგორც უკვე აღნიშნეთ, მოხსნა ბოიკოტი მთავრობის დაწესებულებებს.

---

[1] მენშევიკურ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

«В целях обеспечения для партии полнейшей свободы критики, нараждающего буржуазно-государственного строя, высказывается против образования социал-демократического временного правительства и вступления в него, а считает наиболее целесообразным оказывать давление из вне на буржуазное временное правительство для полной демократизации государственного строя» («Конференция кавказских социал-демократических рабочих организаций», Женева, 1905, стр. 3).

[2] «2-я конференция кавказских социал-демократических рабочих организаций (август 1905 г.)», стр. 14.

რევოლუციური კომიტეტების შექმნით, ბოიკოტის ტაქტიკით, მენშევიკების აზრით, „სოციალ-დემოკრატია მისდაუნებურად მთავრობის როლში ვარდება და მით ოპოზიციას შორდება, კარგავს ბურჟუაზიული სახელმწიფო წყობილების თავისუფალი კრიტიკის იარაღს...“, ამიტომ მენშევიკებმა გადაწყვიტეს ადგილობრივი ხელისუფლების დათმობა ბურჟუაზიისათვის და თვითონ ოპოზიციაში დარჩენა[1]. ეს იყო, არც ძეტი და არც ნაკლები, გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისათვის ხელისუფლების ჩამორთმევა. ბოლშევიკებმა მაშინვე ამხილეს მენშევიკური ტაქტიკური ოპორტუნიზმი და დაასაბუთეს რევოლუციური კომიტეტების, როგორც ახალი ხელისუფლების ორგანოების აუცილებლობა.

ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ სტატიაში „სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი“ წერდა, რომ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების გარეშე „ყოველგვარი გარდაქმნა არარაა. მათთან და მათზე დაყრდნობით არის შესაძლებელი გლეხთა აჯანყების გამარჯვება“[2].

მენშევიკების დამოკიდებულება გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისადმი განაპირობა მათმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ საერთოდ შეიარაღებული აჯანყებისადმი. ისინი უარყოფდნენ რა შეიარაღებული აჯანყების მომზადების ტაქტიკას, აქედან გამომდინარე მათთვის ზედმეტი იყო აჯანყების ორგანოებიც — რევოლუციური კომიტეტები და აჯანყების ძირითადი სამხედრო-შეიარაღებული ბირთვიც — „წითელი რაზმები“.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკები ენერგიულად იცავდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების ტაქტიკას, და ამდენად, მათთვის აუცილებელი იყო აჯანყების ორგანოებიც — რევოლუციური კომიტეტები და აჯანყების ძირითადი სამხედრო-შეიარაღებული ბირთვიც — „წითელი რაზმები“. ამიტომ ბოლშევიკები დიდი მონდომებით მუშაობდნენ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად და გასატარებლად ჯერ კიდევ 1905 წლის 9 იანვრიდან მოყოლებული. „ჩვენისვის, რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისათვის,— წერდა ლენინი,— აჯანყება აბსოლუტური კი არა, კონკრეტუ-

[1] გაზ. „სხივი“, 1905 წლის 6—7 დეკემბერი.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 284.

ლი ლოზუნგია. ჩვენ განზე ვდებდით მას 1897 წელს, ჩვენ მას ზოგადი მომზადების აზრით ვაყენებდით 1902 წელს, ჩვენ ის, როგორც პირდაპირი მოწოდება, მხოლოდ 1905 წელს, 9 იანვრის შემდეგ წამოვაყენეთ"[1].

ბოლშევიკები ბეჯითად განუმარტავდნენ და ასწავლიდნენ მასებს, აჯანყების არა მარტო როლსა და მნიშვნელობას, არაფერად ასწავლიდნენ მის მოწყობასაც. ასე მაგალითად, რსდმპ კავკასიის კავშირის 1905 წლის 26 მარტის პროკლამაცია გაუმარტავდა მუშებს: „აჯანყების მოწყობა — აი რაშია ჩვენი მიზანი, აი რას უნდა ცდილობდეს დღეს რუსეთის პროლეტართა პარტია", და შემდეგ ასწავლის, თუ როგორ მოაწყონ აჯანყება: „წარმოიდგინეთ ასეთი სურათი, ვთქვათ რამოდენიმე ადგილას აჯანყების საქმე მოწყობილია, ე. ი. კომიტეტებს ჰყავთ ცალკე ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ სალდათებში მუშაობენ; არის „ბრძოლის ორგანიზაციები", არის იარაღი, ბომბები და სხვ.; არის კავშირი ბატარეებთან და არსენალებთან; არის კავშირი სახელმწიფო ბანკების, ფოსტის, ტელეგრაფის კაცებთან; კომიტეტები ფესვგადგმულია მუშა ხალხში; კრიზისი კი ძლიერდება და უკმაყოფილების ტალღებს იწვევს პროლეტარიატში... ვთქვათ, სადმე პეტერბურგში ამა თუ იმ მიზეზის გამო აჯანყების დროშა აფრიალდა. როგორც ეს ცხრა იანვარს მოხდა. აქ პარტია სიგნალებს აძლევს, — და იწყება საერთო აჯანყება. შეიარაღებული პროლეტარიატი, საერთო გაფიცვით ამღელვარებული, ეცემა არსენალებს, სახელმწიფო ბანკებს, ფოსტას, ტელეგრაფს, რკინიგზებს,—ყველა ეს შესაძლებლობისდაგვარად ერთსა და იმავე დროს ხდება, რომ მთავრობას დრო აღარ დარჩეს „ზომების მისაღებად"; ამ მოწინავე ქალაქებს უკან გასდევს სხვა დანარჩენი ქალაქები, მათ უკან მიჰყვება სოფლები... აი ამას ჰქვია აჯანყების მოწყობა... ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი ი ს პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა მ ო ა წ ყ ო ს"[2].

რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში შეიარაღებული აჯანყების შესახებ პირდაპირაა ნათქვამი, რომ რევოლუციურ-

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 333.

2 „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.)", თბ., 1955, გვ. 355.

მა მოძრაობამ ამჟამად უკვე მიგვიყვანა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობამდე, რომ პროლეტარიატი ამ აჯანყებაში აუცილებლად მიიღებს უაღრესად ენერგიულ მონაწილეობას, რომელიც განსაზღვრავს რევოლუციის ბედს რუსეთში. ამიტომ ყრილობამ დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას შეიარაღებული აჯანყების მომზადება.

ბოლშევიკური ორგანიზაციები, ასრულებდნენ რა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს, ენერგიულად ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. მენშევიკები კი, ქედს იხრიდნენ რა სტიქიურობის წინაშე, უარყოფდნენ ყოველგვარ მუშაობას აჯანყების მოსაწყობად. ამის გამო მენშევიკების შესახებ ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ წერდა: „ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უხდა იყოს ამ უტაქტიკოსობა „ტაქტიკა“. აი ნიმუშებიც: როგორც იცით, აჯანყების მოწყობას „უმცირესობა“ უტოპიათ სთვლის და მედიდურად გაიძახის: მაგაზე მხოლოდ „უმრავლესობას“ შეუძლია იოცნებოს, ფანტაზია მისი საქმეა, რადგან ის ცხოვრებას შეთქმულთა თვალით უყურებს, მისთვის ყველაფერი რევოლუციონერთა ორგანიზაციაა, რომელსაც სასწაულთ მოხდენა შეუძლია და სხვ... ჩვენ კი — „უმცირესობა“ — იმდენად გონიერები ვართ, რომ მაგნაირი არაკებით თავს ვერ შევიწყენთო, რომ რევოლუცია თავისით, სტიქიურად ხდება და ჩვენ მხოლოდ, რაც მოხდება, მას უნდა გავუწიოთ ანგარიში და სხვ... ერთი სიტყვით, ისინი, „მეუმცირესენი“ — უარყოფენ აჯანყების მოწყობას და ყოველივე მზადებას მისთვის—მისთვის ყველაფერი სტიქიაა!“[1].

მენშევიკებმა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ნაცვლად მოითხოვეს „გლეხთა რევოლუციური თვითმმართველობის“ შექმნა, რისთვისაც ისინი საფუძვლიანად გააკრიტიკეს ბოლშევიკებმა. ვ. ი. ლენინი, ამხელდა რა მენშევიკების ოპორტუნისტულ ტაქტიკას, წერდა:

„ჯერ-ერთი, წმინდა თეორიულად სწორი არ არის პირველ რიგში წამოვაყენოთ რევოლუციური თვითმმართველობის ლოზუნგი ნაცვლად ხალხის თვითმპყრობელობის ლოზუნგისა. პირველი ეხება მართვა-გამგეობას, მეორე — სახელმწიფოს

---

[1] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1905 წლის 15 ივლისი.

მოწყობას. ამიტომ პირველი ეთავსება „შეთანხმების“ გამცემლურ ბურჟუაზიულ თეორიას (თვითმმართველი ხალხი მეფის შეთაურობით, რომელიც „კი არ განაგებს, არამედ მეფობს“), მეორე უცილობლად შეუთავსებელია მასთან...

მეორე, რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ვაიგივება საყოველთაო სახალხო აჯანყების ორგანიზაციასთან საესებით უაზრობაა. აჯანყება არის სამოქალაქო ომი, ომი კი არმიას საჭიროებს. ამავე დროს თვითმმართველობა თავისთავად არმიას არ საჭიროებს...

მესამე, ისტორიაც ადასტურებს იმ, ისედაც თავისთავად ცხად ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ აჯანყების სრული და გადამწყვეტი გამარჯვება საესებით უზრუნველყოფს ნამდვილი თვითმმართველობის ორგანიზაციის შესაძლებლობას...

მეოთხე, რუსეთის თანამედროვე სინამდვილე ცხადყოფს, რომ „რევოლუციური თვითმმართველობის“ ლოზუნგი არაა საკმარისი და აუცილებელია აჯანყების პირდაპირი და ზუსტი ლოზუნგი....

მეხუთე, ...სოციალ-დემოკრატები, რომლებიც შეიარაღებული აჯანყების, რევოლუციური არმიის, დროებითი მთავრობის ლოზუნგს ჩრდილავენ ან უკან სწევენ და მის ნაცვლად რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგს აყენებენ, მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში მიჩანჩალებენ იმის ნაცვლად, რომ სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ პროლეტარიატსა და გლეხობას“[1].

გლეხთა რევოლუციური კომიტეტები იყვნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ორგანოები. ბოლშევიკები ამ კომიტეტების საშუალებით ახორციელებდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, როგორც დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ პირობას. ამიტომ გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შეცვლა რევოლუციური თვითმმართველობებით ნიშნავდა ხელისაღებას რევოლუციაზე, ნიშნავდა მონარქიასთან გარიგებას, რამდენადაც რევოლუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 264—267.

ციური თვითმმართველობანი უცვლელად ტოვებდნენ სახელ-მწიფოებრივ წყობილებას. გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისადმი მხარდაჭერა ნიშნავდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას, საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციის განვითარებაში გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს. იგი წერდა: „მუშათა დეპუტატების საბჭოები ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში, მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარნი, რომელნიც კაპიტალს გამოჰგლიჯეს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს, სწრაფწარმავალი „რესპუბლიკები“ რუსეთის რამდენიმე ქალაქში,—ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის დ ა ს ა წ ყ ი ს ი იყო, პროლეტარიატისა, რომელიც რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას ეყრდნობოდა“[1].

საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ფართო გაქანება და მკვეთრი ხასიათი აიხსნება იმითაც, რომ ბოლშევიკებმა შეძლეს სოფლებში გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ფართო ქსელის შექმნა, რაც გლეხური მოძრაობის პოლიტიკური შეგნებულობისა და ორგანიზებულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. ესეც იყო გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი თავისებურება საქართველოში.

ვ. ი. ლენინი, როდესაც აღნიშნავდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტების მნიშვნელობას, მაგალითისათვის საქართველოში არსებულ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს რომ ასახელებდა, ეს სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველოში იყვნენ შედარებით სრულყოფილნი ორგანიზაციულად და ქმედითუნარიანი — პოლიტიკურად. ამიტომ რსდმპ III ყრილობის მიერ „გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 204.

ების შესახებ“ მიღებულ რეზოლუციაში მოცემული შეფასება, „რომ გლეხთა მოძრაობა, რომელიც ამჟამად იზრდება, სტიქიური და პოლიტიკურად შეუგნებელია“[1], არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე, რომელიც, როგორც ვნახეთ, ორგანიზებული და პოლიტიკურად შეგნებული მოძრაობა იყო, რადგან მას ხელმძღვანელობდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატია, და ამიტომ, ეჭვს გარეშეა, რომ იგი როგორც მოკავშირე, მიჰყვებოდა მხოლოდ მუშათა კლასს. ყოველივე ამას მაშინდელი ბოლშევიკური პრესა და ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი“ წერდა, რომ საქართველოში პარტიული კომიტეტი ყველგან „წარმოადგენდა ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს, და საგაფიცვო მოძრაობის მთელ პერიოდში ადგილი არ ჰქონია რევოლუციური ენერგიის სტიქიური გამოვლინების თითქმის არც ერთ შემთხვევას. ყველას თვალყური მიპყრობილი ჰქონდა კომიტეტზე, რომელსაც მიეჩვიენ უყურონ ისე, როგორც ოფიციალურ დაწესებულებას“[2].

გენერალ მალამას 1905 წლის 15 თებერვლის ცნობით, 1902 წელს ოზურგეთის მაზრაში დაწყებული აგრარული მოძრაობა პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზარდა. იგი გავრცელდა სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის მაზრასა და კინტრიშის უბანზე ბათუმის ოლქში. მოძრაობამ აშკარა აჯანყების ხასიათი მიიღო. „ოზურგეთის მაზრა (გურია) მთლიანად გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ხელშია, — წერდა გაზეთი „ვპერიოდი“,— კომიტეტები ერევიან გლეხკაცობის ყველა წვრილმან საქმეებში. სასამართლოები მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთაგან შედგება და მარტო რევოლუციურ კომიტეტებს ემორჩილება. კომიტეტების მითითებებს ემორჩილება აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობა. ოზურგეთის მსგავსი მოძრაობა შენიშნულია ჭორის მაზრაშიც. რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა იმერეთი და სამეგრელოს ნაწილი. ქუთაისში, სამტრედიაში, ხონში,

---

[1] სკკპ რეზოლუციებში. ნაწ. I, გვ. 96.

[2] Газ. «Пролетарий», 26 июня 1905 г.

ყვირილაში, ჭიათურაში და სხვ. საერთო მღელვარებაა. ჯარში გაწეულმა პროპაგანდამ კარგი ნაყოფი გამოიღო"[1].

სენაკის მაზრის უფროსი 1905 წლის 2 სექტემბრის მოხსენებაში მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ წერდა: „ასისთავებმა, ათისთავებმა და კომიტეტებმა კვლავ განაახლეს თავიანთი მოღვაწეობა. დაიწყეს ფულების შეგროვება თავისუფლებისათვის საბრძოლველად და კომიტეტების შესანახად. ხალხი სიამოვნებით იხდის ფულს... და შედეგებმაც მალე იჩინა თავი. სენაკის მაზრაში რევოლუციურმა მოძრაობამ მრისხანე ხასიათი მიიღო... მაზრაში სრული ანარქიაა, ხელისუფლებას არავინ სცნობს... ხალხს დიდი რაოდენობით აქვს იარაღი და ხავსებით მზადაა აჯანყებისათვის, მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზულია"[2].

ჭიათურაში არსებული მდგომარეობის შესახებ ბოლშევიკური გაზეთი წერდა: „ჭიათურაში ფაქტიურად სრული დემოკრატიული რესპუბლიკაა. საქმე იმაშია, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონი ჭიათურაში არიან მუშები და გლეხები. ადმინისტრაცია არა სჩანს, მას ყველა დასცინის, იგი ყველას ეზიზღება. გლეხთა კგუფები და ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოქმედებენ როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობა პატარა მასშტაბით"[3]. „1905 წლის ოქტომბრის დამლევს, — ნათქვამია ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში, მდგომარეობა — სრულიად შეიცვალა. თითქმის ყველა სოფელში აშკარად იწვევენ კრებებს, ამბობენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს. შეიარაღებული რაზმები, რო-

---

[1] Газ. «Вперед», 10 марта 1905 г. ქართული ბოლშევიკური გაზეთი წერდა: „მთელ გურიაში ხალხის წარმომადგენლობაა შემოღებული. კანცელარიები დაკეტილია. დიდი კლიტე აძევს ზედ წარწერით: „ვერა პოეთ სამართალი" (გაზ. „პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ რ ძ ო ლ ა", 1905 წლის 1 იანვარი). ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში ეკითხულობთ:

«В начале февраля вся территория Озургетского уезда находилась во власти революционного комитета и его агентов и под влиянием их население начало усиленно вооружаться (ЦГАРМ, ф. 102, № 001350, 70/1905 г., л. 29).

[2] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 2, საქ. 76, ფურც. 37—45.

[1] Газ. «Пролетарий», 5 сентября 1905 г.

ნელთაც მთელი სოფლის საზოგადოება უჭერს მხარს, ყოველი ღამე ესხმიან საგუშაგოებს და მემამულეებს, ართმევენ მათ იარაღს, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში — კლაკენ"[1].

უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობის ფაქტი იყო ნასაკირალის ბრძოლა, რომელიც მოხდა 20 ოქტომბერს აჯანყებულ გლეხობასა და ჯარის ნაწილებს შორის. მან მთელი პროგრესული რუსეთის ყურადღება მიიპყრო. ნასაკირალის ბრძოლის გამო „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირმა" 9 ნოემბერს „მოგზაურს" გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა: „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის და სახალხო მასწავლებელთა და სახალხო განათლების მოღვაწეთა კავშირის გაერთიანებული კრება თავის ძმურ სალამს უგზავნის ქართველი ერის ყველა მებრძოლთ, გურულებსაც, რომელნიც რუსეთის მშრომელი ხალხის დიად განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში დგანან. კრება პატივსცემს ბრძოლაში მოკლულთა ხსოვნას. დახოცილთ დიდება, ცოცხლებს თავისუფლება"[2].

ნასაკირალის სახელოვანი ბრძოლის შემდეგ, ნოემბრის თვეში, აჯახყებულმა გლეხებმა გარეკეს ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობიდან თანამდებობის პირნი, მათ ნაცვლად აირჩიეს რევოლუციონერი მუშები და გლეხები, მოსახლეობის აღწერის შემდეგ, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით[3].

თელავის მაზრის უფროსის ცნობით, მაზრაში „წითელ რაზმელთა" გავლენით მთლიანად გადააყენეს თანამდებობის პირები და ისინი შეცვალეს ხალხის მიერ არჩეული პირებით[4].

ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა მზად იყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამის შესახებ 1905 წლის 8 დეკემბრის ერთ-ერთ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებმა შეიძინეს დიდძალი იარაღი იმ მიზნით, რომ საჭი-

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 68. საქ. 1. ფურც. 32.

[2] ჟურნ. „მოგზაური", № 40, 1905 წლის 13 ნოემბერი.

[3] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 23, საქ. 739, ფურც. 2—6.

[4] ი ქ ვ ე, ფ. 2, საქ. 75, ფურც. 174—176.

როების დროს ებრძოლონ მთავრობის ჯარებს... პირველ-რიგში ასწავლიან სამხედრო ტექნიკასა და სიმაგრეების აშენებას. აგრეთვე მომზადებული ჰყავთ ფერშლები და მოწყალების დები, რათა ჯარებთან შეტაკების დროს დაჭრილთ აღმოუჩინონ პირველი დახმარება. შეძენილი აქვთ შესახვევი მასალა საკმაო რაოდენობით"[1].

კავკასიის პოლიციის უფროსი თავის მოხსენებაში წერდა: „ქუთაისის გუბერნიაში უბრალო ანარქია კი არ არის..., არამედ თავისებური სახელმწიფოა, რომელიც თვითმმართველი რევოლუციური თემებისაგან შედგება. ეს თვითმმართველი თემები ცნობენ მხოლოდ რევოლუციური კომიტეტების ხელისუფლებას"[2].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ბოლშევიკური გაზეთის მიერ გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობისათვის მიცემული შეფასება შეიძლება გავრცელდეს მთლიანად საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე: „თავისი სიმტკიცითა და შეგნებულობით უბადლო გლეხთა მოძრაობა გურიაში ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიკავებს კავკასიის პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში... ეს გლეხების უბრალო ბუნტი როდია, არამედ შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც სავსებით მიჰყვება მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას"[3].

საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია დაფარული იყო რევოლუციური ხელისუფლების — გლეხთა რევოლუციური კომიტეტებითა და სასამართლოებით[4], რომლებიც თა-

---

[1] ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 23, საქ. 63, ფურც. 18.

[2] ი ქ ვ ე, საქ. 64, ფურც. 105—107.

[3] Газ. «Вперед», 16 апреля 1905 г.

[4] «Ни правительственные должностные лица, ни суд нигде больше не действовали, всюду была своя администрация, свой суд» (И. Д ж а в а х о в, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., стр. 44). ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის უფროსის ცნობით, გუბერნიაში 1905 წლის ბოლოს მთავრობის ხელისუფლება მხოლოდ ფორმალურად არსებობდა, გუბერნიას ფაქტიურად მართავდნენ მრავალრიცხოვანი რევოლუციური კომიტეტები, რომლებსაც ფართო ქსელი ჰქონდათ მაზრებში, რკინიგზაც მათ ხელში იყო (ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (თბილისი). ფ. 1, საქ. 25, ფურც. 12—19).

ვიანთ ხელისუფლებას ახორციელებდნენ შეიარაღებულ ხალხზე — „წითელ რაზმებზე“ დაყრდნობით. ფაქტიურად მთელ დასავლეთ საქართველოს განაგებდნენ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც „იყვნენ სრულიად დემოკრატიულნი და გასაგები, რადგან ყველაფერს აწარმოებდნენ ქართულ ენაზე და ექვემდებარებოდა კონტროლს. ამაში გამომჟღავნდა ქართველი ხალხის ორგანიზატორული უნარი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა“[1].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი ცნობები თვალსაჩინოდ ადასტურებენ, რომ 1905 წელს საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობა წარმოადგენდა არა სტიქიურ მოძრაობას, არამედ მტკიცედ ორგანიზებულსა და პოლიტიკურად შეგნებულ რევოლუციურ მოძრაობას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს პარტიულმა ორგანიზაციებმა და ბოლშევიკურმა პრესამ. როგორც ცნობილია, საქართველოში მასების პოლიტიკურ აღზრდასა და კლასობრივი თვითცნობიერების ამაღლებაში დიდი როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა — „ბრძოლამ“, „პროლეტარიატის ბრძოლამ“, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ და სხვა არალეგალურმა და ლეგალურმა ორგანოებმა[2]. ბოლშევიკური პრესა მასებს ზრდიდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნიღაბს ხდიდა ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და მონარქისტების ანტიხალხურ საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო ერთიანი, პროლეტარულ-რევოლუციური ფრონტის დაშლისაკენ. ბოლშევიკური პრესა ულმობელ ბრძოლას ეწეოდა არა მარტო აშკარა ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ, არამედ მენშევიკების, ესერების, სოციალისტ-ფედერალისტებისა და სხვათა წინააღმდეგაც.

---

[1] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПБ, 1906, стр. 44.

[2] Г. К. Жвания, Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции, Тб., 1973 г.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის „ქარხანას“ წარმოადგენდა ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც არალეგალური ტექნიკის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში იყო მთელ რუსეთში. ამ „ქარხნიდან“ ასობით და ათასობით ეფინებოდა ბოლშევიკური გამოცემები კავკასიის სოფლებსა და ქალაქებს. ისინი პოლიტიკურად ზრდიდნენ და აცნობიერებდნენ, პირველ რიგში დემოკრატიული რევოლუციის პოლიტიკურ არმიას. ამიტომ იწონებდა ვ. ი. ლენინი რსდმპ კავკასიის კავშირის საგამომცემლო გეგმასა და მისი განხორციელებისათვის გაწეულ საქმიანობას. გაზეთ „ბორბა პროლეტარიატას“ მიღებასთან დაკავშირებით ლენინური გაზეთი „პროლეტარი“ წერდა: „მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებას“[1].

პირველი სახალხო რევოლუციის დამარცხების მიზეზთა შორის ერთ-ერთი პირველია, რომ გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ვერ გაერთიანდნენ ერთიან, ცენტრალურ, თუნდაც ოლქის თუ გუბერნიის მასშტაბის რევოლუციურ ხელისუფლებად. ამის გამო ოლქის, გუბერნიისა და მთელი მხარის მმართველობის ცენტრალური ორგანოები კვლავ მეფის ბიუროკრატიის ხელში რჩებოდა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების ცენტრალურ ხელისუფლებად გაერთიანებისათვის, ე. ი. დროებითი რევოლუციური მთავრობის — მუშათა კლასისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის მთავრობის შექმნისათვის საჭირო იყო საყოველთაო, ერთდროული შეიარაღებული აჯანყება გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა და მუშათა საგაფიცვო კომიტეტების მიერ მოწყობილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, შეიარაღებულ ხალხზე დაყრდნობით განხორციელებული. მაგრამ აქ კიდევ უფრო მტკივნეულად იგრძნობოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის დამღუპველობა რევოლუციისათვის.

---

[1] Газ. «Пролетарий», 16 августа 1905 г.

* * *

იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია უდიდესი მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში. მან უაღრესად დიდმნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიოს ხალხთა შემდგომ განვითარებაზე, ღრმა კვალი დატოვა მათ შეგნებასა და ცხოვრებაში. იგი იყო მასების პოლიტიკური აღზრდის უდიდესი სკოლა. მისი მდიდარი გამოცდილება დიდი ისტორიული მნიშვნელობის გაკვეთილი იყო არა მარტო რუსეთის მუშათა კლასისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და ჩაგრული ხალხებისათვის. ამ გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ვ. ი. ლენინი. „რუსეთის სოციალ-დემოკრატიას,— წერდა იგი,— უეჭველია, ევალება ზედმიწევნით და ყოველმხრივ შეისწავლოს ჩვენი რევოლუცია, გაავრცელოს მასებში ცოდნა მისი ბრძოლის ფორმებისა, ორგანიზაციების ფორმებისა და სხვ., განამტკიცოს ხალხში რევოლუციური ტრადიციები, ჩაუნერგოს მასებს რწმენა, რომ მხოლოდ და მარტოოდენ რევოლუციური ბრძოლით შეიძლება მიღწეულ იქნას რამდენადმე სერიოზული და რამდენადმე მტკიცე გაუმჯობესებანი“[1].

იმპერიალიზმის ეპოქის პირველმა სახალხო რევოლუციამ რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატს მისცა მდიდარი ისტორიული გამოცდილება და მრავალი ანგარიშგასაწევი გაკვეთილი. ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების, ბოლშევიკური სტრატეგიული გეგმისა და ტაქტიკური გეზის შემოქმედებითად გამოყენებას ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ ევროპის მუშები და აზიის ჩაგრული ხალხები. აი, რას წერდა ამის შესახებ 1907 წელს საქართველოს ბოლშევიკური გაზეთი „მნათობი“ სტატიაში „რუსეთის რევოლუცია და უცხო ქვეყნები“: „ჩვენ ახლა რუსულათ გვინდა ვიბრძოლოთ“ ეუბნებოდნენ თურმე თავიანთ ბელადებს გერმანელი მუშები... საფრანგეთის პროლეტარიატი კი ერთმხრივ „მეორე კომუნით“ ემუქრებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიას... თუ ის ახალ სესხს მისცემდა რუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 32.

სეთის ბიუროკრატიას, — მეორე მხრივ, თავისებური გატაცებითა სწყვეტდა საერთო გაფიცვას, რომელსაც „რევოლუციონური გზით“ უნდა შემოეღო საფრანგეთის ფაბრიკა-ქარხნებში რვა საათის სამუშაო დღე, სწორედ ისე, როგორც ეს პეტერბურგელმა მუშებმა მოიმოქმედეს ნოემბრის დღეებში. ფრანგ მუშებსაც „რუსულათ“ უნდოდათ ბრძოლა... ჩინეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი „რუსებივით“ ჩაერთო მოძრაობის ტალღებში წინააღმდეგ ბატონ-ყმური წესებისა... ინდოეთის პროლეტარიატმა ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ მზაკვრულობას. სპარსეთიდან საერთო გალაშქრებით მიესალმნენ „რუსებს“...[1]. ცხადია ბატონ-ყმური აზია აფორიაქდა, მანაც „რუსულათ“ მოინდომა ბრძოლა“[2].

იმპერიალიზმის ეპოქის პირველმა სახალხო რევოლუციამ ყველა ქვეყნის მუშათა კლასსა და ჩაგრულ ხალხებს უჩვენა, რომ მხოლოდ მასების რევოლუციურ ბრძოლას პროლეტარიატის ხელმძღვანელობით შეუძლია მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, აგრეთვე არსებული რეჟიმის, კერძოდ რუსეთის თვითმპყრობელობის, არა მარტო შერყევა, არამედ მისი დაშ-ხობაც. ხოლო თვითმპყრობელობის დაძხობა იქნებოდა საერთაშორისო რეაქციის კედლის შენგრევა, დიდი და სერიოზული დახმარება საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატისათვის. ამიტომ გერმანიის მუშათა კლასის ბელადს — კარლ ლიბკნეხტს საკმაო საფუძველი ჰქონდა, როდესაც წერდა: „22 იანვარი მობრუნების პუნქტი იქნება რუსეთის ისტორიაში. იმ დღეებში დაღვრილ სისხლში ჩაიხრჩობა ცარიზმი... თავისუფლება, რომლის ცისკარი რუსეთზე ამოდის, ამავე დროს არის თავისუფლება პრუსიისათვის, საქსონიისათვის, გერმანიისათვის... ჩვენ უეჭველი საფუძველი გვაქვს დავდგეთ რუსეთის რევოლუციის დროშის ქვეშ“[3].

---

[1] სპარსეთის რევოლუციაში ქართველ რევოლუციონერთა მონაწილეობის შესახებ იხ. ა. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გურჯები (ქართველი რევოლუციონერები ირანის 1905—1911 წლების რევოლუციაში), თბილისი, 1975.

[2] გაზ. „მნათობი“, 1907 წლის 6 იანვარი.

[3] Liebknecht K., Ausgewählte Reden Briefe und Aufsätze, B., 1952, s. 86.

ისტორიამ გაამართლა კ. ლიბკნეხტის წინასწარმეტყველური სიტყვები. „რუსეთის პირველ რევოლუციას,— ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ზრდაზე, გამოიწვია კოლონიური აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. ყოველივე ამან შეარყია კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემა, მოაახლოვა მისი საერთო კრიზისი"[1].

ამრიგად, გასული საუკუნის ბოლოსა და XIX დასაწყისის გარიჟრაჟზე მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ევროპიდან რუსეთში გადმოვიდა საბოლოოდ, ხოლო რუსეთის გმირი პროლეტარიატი გახდა მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდი.

ჩვენი ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის მდიდარი ისტორიული გამოცდილების განზოგადებასა და თეორიულ-მეცნიერულ დასაბუთებას ახდენდა ვ. ი. ლენინი. ავითარებდა რა მარქსიზმს, იგი ქმნიდა დიად მოძღვრებას — პროლეტარული რევოლუციის თეორიასა და ტაქტიკას საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორიასა და ტაქტიკას განსაკუთრებით, ქმნიდა ლენინიზმს — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმს.

დღეს ჩვენი დიადი ქვეყნის ადამიანები სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს განვლილი გმირული რევოლუციური ბრძოლის სახელოვან გზას. ჩვენი, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ; იგი პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯია მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს ჩაგრული და ექსპლოატირებული ადამიანები, ბედნიერებისა და დემოკრატიისათვის, სოციალიზმისა და თავი-

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1975 წლის 9 იანვარი.

სუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები იმედის თვალით შე-
მოჰყურებენ დიდ საბჭოთა ქვეყანას და ძლევამოსილ საბჭოთა
ჩალხს, რომელმაც სამი რევოლუცია მოახდინა და მოიპოვა
ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება და, რომელმაც,
ამრიგად, პირველმა უჩვენა მთელ კაცობრიობას ნამდვილი გზა
თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

РЕЗЮМЕ

I. Высокая организованность и массовый характер революционного движения рабочего класса и крестьянства Грузии, их решительная и самоотверженная борьба были обусловлены особенностями социально-политической жизни страны. Основными из этих особенностей являлись:

1) **Пережитки феодально-крепостнических отношений.** Царское самодержавие в угоду грузинскому дворянству — своей надежной опоре в Грузии и на Кавказе — провело крестьянскую реформу при более выгодных для грузинских крепостников условиях, нежели в центральных губерниях России. Это еще больше способствовало сохранению здесь пережитков крепостнического строя. В результате абсолютного и относительного малоземелья крестьянство попадало в полную кабалу к помещикам.

2) **Политическое бесправие населения Грузии, в особенности крестьянского.** Своеволие продажной царской бюрократии и разнузданного деспотизма царского полицейского режима душило крестьянство. Сельские «канцелярии» с назначаемыми писарями и старостами, опиравшиеся на дворянство и кулачество, тяжелым бременем ложились на плечи трудового крестьянства. Всесилие бюрократии всячески подавляло общественную инициативу и деятельность крестьянства, которое имело лишь право выслушивать и беспрекословно выполнять распоряжения правительства.

3) **Рост сельского пролетариата и полупролетариата в Грузии.** Росту в деревне пролетарских и полу-

пролетарских элементов способствовали: **во-первых,** крепостнический характер крестьянской реформы и, **во-вторых,** развитие капитализма в пореформенный период, классовая дифференциация крестьянства. Указанный слой сельского населения представлял собой наиболее боевую и наиболее революционную его часть. Это обусловило радикальный характер крестьянского движения в Грузии. Большую роль сыграла прогрессивная сила этого слоя в возникновении в грузинской деревне наиболее боевых организаций большевистской партии.

4) **Бесправное положение рабочего класса и его тяжелое материальное состояние.** В Грузии, как в стране колониальной, царизм развивал, главным образом, отрасли добывающей промышленности, в которой труд был мало механизирован и все достигалось ценой чрезмерного напряжения физических сил человека. Даже там, где была возможность механизировать производство, предпочтение отдавалось более легкому способу извлечения прибыли — путем эксплуатации дешевых рабочих рук. По сравнению с центральными губерниями России, здесь с большим опозданием было введено фабрично-заводское законодательство. Следует отметить и тот факт, что в ряде отраслей производства зарплата рабочих была гораздо ниже, чем у рабочих того же разряда и профессии в центральных губерниях Российской империи. Это — одна из причин возникновения в Грузии наиболее боевых организаций большевистской партии.

5) **Значительная часть рабочего класса Грузии была связана с сельским хозяйством.** Это явление в значительной мере объяснялось малоземельем крестьян и слабым развитием городской жизни. Такое положение рабочего класса Грузии имело большое значение для расширение базы революционного движения в том смысле, что революционные рабочие, связанные с деревней, оказывали свое влияние и втягивали на борьбу в качестве своего союзника крестьянские массы. Хотя указанное положение, с

одной стороны, повышая степень революционности деревни, крестьянства, вместе с тем понижало степень революционности города, рабочего класса, создавало некую благоприятную почву для возникновения мелкобуржуазных течений в рабочем классе Грузии. Несмотря на это, связь значительной части рабочего класса Грузии с деревней способствовала укреплению политического и организационного союза рабочего класса и крестьянства при гегемонии пролетариата в этом союзе.

6) **Национально-колониальное угнетение грузинского народа царизмом.** Присоединение Грузии к России, наряду с объективными прогрессивными результатами, сопровождалось и национальным угнетением грузинского народа. Колониальная политика царизма выражалась в искусственном торможении развития культуры и всяческом поощрении отсталых форм общественного быта, в попытках насильственной руссификации населения. Грузинский народ, никогда не мирившийся с колониальным гнетом со стороны царизма, с оружием в руках защищал свое национальное достоинство. Однако его борьба за свою национальную самостоятельность лишь с середины XIX века выходит на широкую арену. В условиях становления и развития буржуазного общественного строя в стране эта борьба приобретает характер национально-освободительного движения.

В грузинском национально-освободительном движении не было сепаратистских тенденций, национализма, и, тем более, шовинистических стремлений. Грузинский народ и его передовые представители всегда связывали дело своего собственного национального и социального освобождения с революционно-освободительным движением русского народа и считали его возможным только в союзе с русским народом. В силу интернациональной традиции грузинского народа трудящиеся Грузии под руководством большевиков всегда шли на революцион-

ную борьбу под знаменем пролетарского интернационализма.

В Грузии национально-освободительное движение получает мощный размах с конца 90-ых годов, приобретая серьезного союзника и огромную силу в лице демократического и пролетарского революционного движения. Слияние национально-освободительного и революционного пролетарского движений в единое русло мощной революционно-освободительной борьбы придало революции 1905—1907 гг. в Грузии огромный размах и необычайно яркий боевой характер с самого начала революции.

7) **Сравнительно высокий культурный уровень населения и его политическая зрелость.** Это было обусловлено тем, что Грузия была тесно связана в экономическом и культурном отношении с передовой и прогрессивной Россией. С начала XIX века почти вся общественно-политическая жизнь Грузии развивалась под непосредственным влиянием прогрессивных общественно-политических сил России. Необходимо особо отметить, что в Грузии, главным образом среди рабочего класса, большую политическую и культурно-просветительную работу вели высланные из Росии русские социал-демократы, профессиональные революционеры, которых С. Орджоникидзе называл «гордостью тифлисской организации».

Сравнительно с другими окраинами царской империи наличие в Грузии более тесной непосредственной связи между городом и деревней способствовало поднятию культурного уровня деревни и политической сознательности крестьянства. Население Грузии по грамотности занимало первое место среди народов Закавказья еще в конце прошлого века.

Таковы те коренные «особенности социально-политической жизни» Грузии, которые обеспечили возникновение здесь наиболее боевых организаций большевистской партии и обусловили боевитость крестьянской революционной борьбы.

В возникновении и упрочении в Грузии боевых большевистских партийных организаций важную роль сыграло и то обстоятельство, что большевистская партия и ее вождь В. И. Ленин постоянно руководили деятельностью большевиков Закавказья.

Важно подчеркнуть, что во главе большевистских организаций Закавказья, в частности Грузии, стояли верные соратники и ученики великого Ленина—А. Джапаридзе, Л. Кецховели, Ф. Махарадзе, С. Орджоникидзе, С. Спандарян, И. Сталин, А. Цулукидзе, М. Цхакая ,С. Шаумян и другие, воспитанные в духе ленинских принципов революционно-партийной деятельности, под руководством которых большевистские партийные организации неуклонно направляли борьбу грузинского и закавказского рабочего класса и крестьянства против царизма и буржуазии.

II. Своеобразие социально-политической жизни Грузии обусловило особенности революционной борьбы грузинского крестьянства. Главными и основными из этих особенностей были следующие:

1) **Крестьянское движение в Грузии с самого начала возглавила социал-демократическая партия.** В Грузии не было буржуазной партии, открыто выступавшей со своей собственной программой, тактикой, противопоставлявшей себя социал-демократии в борьбе за подчинение своему влиянию крестьянского движения.

2) **Социал-демократия придала аграрному движению крестьян сознательный политический характер.** В Западной Грузии политический характер оно получило с самого начала революции. Экономические, социальные и национальные требования революционных крестьян представляли собой основные требования программы-минимум социал-демократической партии. На основе этих программных требований и оформился в Грузии политический союз рабочего класса и крестьянства при гегемонии рабочего класса.

3) **В революционном движении крестьян Грузии яр-**

ко выявился также союз пролетарских и полупролетарских масс в борьбе против кулачества.

4) **Революционное крестьянство Грузии твердо следовало тактике большевиков, широко используя пролетарские формы и методы борьбы** (стачки, демонстрации и манифестации, баррикадные бои и пр.).

5) **В бурные дни революции стали очевидны одновременные выступления рабочего класса и крестьянства Грузии, а в ряде случаев взаимная поддержка в вооруженной борьбе против самодержавия.**

6) **Под руководством большевиков революционные крестьяне превратили революционные крестьянские комитеты, возникшие с самого же начала революции, в органы восстания, в органы власти.** Меньшевики не считали крестьянские революционные комитеты ни органами революционной власти, ни органами восстания. Они рассматривали крестьянские революционные комитеты, как органы местного самоуправления.

7) **«Крестьянские революционные комитеты» представляли собой органы союза рабочего класса и крестьянства.** Посредством революционных комитетов социал-демократия, большевистская партия, как партия пролетарская, осуществляла политическое руководство революционным крестьянством. Она укрепляла политический и организационный союз рабочего класса и крестьянства.

8) **В революции 1905—1907 гг. был осуществлен союз рабочего класса и крестьянства Грузии.**

9) **Сравнительно организованный и сознательный характер союза рабочего класса и крестьянства Грузии.** В результате осуществления союза рабочего класса и крестьянства, под руководством рабочего класса, революционное крестьянство овладело местной властью почти во всей Грузии. Однако в результате оппортунистической тактики меньшевиков Грузии стало невозможным объединение крестьянских революционных комитетов, хотя бы в областном масштабе, для осуществления революционной власти.

შემოკლებათა განმარტება

„გ ლ ე ხ თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა გ უ რ ი ა შ ი“ — „გლეხთა მოძრაობა გურიაში (პირადი მოგონებით და შთაბეჭდილებებით)“, კავშირის კომიტეტი, 1904 წ.

„თ. ს. უ. შ რ ო მ ე ბ ი“ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.

„ს კ კ პ რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ შ ი“ — სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.

„პ ა რ ტ ი უ ლ ი ა რ ქ ი ვ ი (თ ბ ი ლ ი ს ი)“ — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი.

„ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ა რ ქ ი ვ ი (თ ბ ი ლ ი ს ი)“ — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.

«П р о т о к о л ы т р е т ь е г о с ъ е з д а» — «Протоколы третьего съезда РСДРП», под редакцией Н. К. Крупской, М., 1937 г.

«М Н О Г С С Р» — Музей народного образования Грузинской ССР.

შინაარსი

ავტორისაგან 3
თავი I — იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია რუსეთში 5
თავი II — ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები საქართველოში 24
§ 1. ბატონყმობის გაუქმების პირველი შედეგები 24
§ 2. კაპიტალიზმის განვითარება და სამრეწველო პროლეტარიატის წარმოქმნა 35
§ 3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოება 70
თავი III — გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში 95
§ 1. პირველი სახალხო რევოლუციის დაწყება და მიმდინარეობა 95
§ 2. მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირი 142
§ 3. მუშათა კლასისა და გლეხობის ორგანიზაციული კავშირი. რევოლუციური ბრძოლის ფორმები და მეთოდები 171
რეზიუმე 208
შემოკლებათა განმარტება 214

Юрий Михайлович Качарава

ПЕРВАЯ НАРОДНАЯ РЕВОЛЮЦИЯ
В ГРУЗИИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1975

რედაქტორი ნ. გონაშვილი
მხატვარი გ. ავსაჯანიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები: თ. მაჩაბელი, ნ. კირთაძე
გამომშვები ნ. მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 20/V-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-75 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 11,34. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10.
უე 13646 ტირაჟი 3000 შეკვ. 2313
ფასი 1 მან. 04 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო",
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის
ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7
Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета
Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и
книжной торговли, пр. Дружбы № 7